

# სიხარული



# ცისკარი

მ ა ი ს ი № 5

საქართველოს გეოგრაფიკა კავშირის  
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსდა 1906

1857 წ.



თბილისი

1992



გ ი ს კ ა რ ი

ქართული

საღიგებრძვადგურთო უურნალი

გამოიცემის ი. კურესელიძის მიერ.

ი ა ნ კ ა რ ი.

წელიწადი მესუთე.

«იუ ურეუარო სმენად.—მიითვალე და  
სველი ურეუარო უენი. პრეტე იქმნე »  
(წიგ. ისო ზად. იაგი 6, მეს. 33.)

ქულიძისს.

კურესელიძის ტიპოგრაფიაში.

1861

---

---

მთავარი რედაქტორი  
დათო მალრაძე

სარედაქციო საბჭო

ბალთორ არაბული, ბაბუკ ბაბუკიშვილი, ირაკლი ბაზაძე, თედო ბაქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ვიქტორ ტვა-რაძე, ჯორჯ კალანდია, ლევან მალაფონია, ილზა მებრევილი, ჯორჯ ნარმანია, ვაჟა ჩორდელი (ახსენებები მდივანი), ნანა ჯაფარიძე.

სარედაქციო კოლეგია

ნოდარ ბრიგადაშვილი, ბათუ დანიელი, ვახტანგ რურუა, მამუკა ხალუჭვაძე, ჯაალ სამადაშვილი, ჯორჯ სამადაშვილი, ირაკ-ლი სამსონაძე, გიგი სულაბაური, ვახტანგ ლლონტი, თემურ შავლაძე, ნუგზარ შატა-იძე, მანანა ჩიტიშვილი, ედიშერ ფელიძე, კოტე ჯანდიერი, შაჰა ჯოხაძე.

---

---

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## კოეზია და კრეზა

- 5. ბათუ დანელია — ლექსები
- 13. ზაზა მგაღლიშვილი — რკინის ქალაქნები, კომანი
- 37. ტარიელ ხარხელაური — ლექსები
- 41. მარინე რჩეულიშვილი — ბურაჲ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის, გაგრძელება
- 54. ნუგზარ ჩიკვაძე — ლექსები

## ახალი თარგმანები

- 57. მუიჯი პირანდელო — 306 რიხ IV, პიესა

## წერილები

- 104. ნოდარ ლომოური — ოსტა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები
- 116. გონდო აკველიაძე — აკაკი და პართულ-სომხური ურთიერთობანი
- 141. თეიმურაზ მალაფორიძე — არჩილ ჯორჯაძის მიმოვლერიდან





# ბათუ დანელია

## მარტოობის სანატრიუმები

### მდინარე

მდინარის პირას ქვიშა და ქვები!  
 მდინარე უსმენს ლაქაშის ქვითინს...  
 მდინარის გაღმა ძაღლები ყეფენ...  
 მდინარე მიდის — ცხოვრება მიდის!

ქარვისფერ ქედის ქაფივით ქული  
 შორს მოჩანს, როგორც ბუმბული  
 ჩიტის...  
 მდინარეს მიაქვს ბარტყების ბუდე...  
 მდინარე მიდის — ცხოვრება მიდის!

### დაბრუნება

...ეს კი სიზმარი სულაც არ იყო:  
 მზე ჩადიოდა ურმის კოფოდან...  
 მე მივარღვევდი ძეძვს და ნარ-ეკალს  
 და უცებ ქრისტე შემომეფეთა.

სირცხვილით ცრემლიც ვერ  
 შევიმშრალე,  
 ვიდრე ბავშვივით და ვკანკალებდი.  
 შენდობის თხოვნის იყო ნიშანი  
 ჩემი სახე და ჩემი თვალები.

ვერ გავუსწორე თვალი ვერაფრით  
 და ვთქვი: „არ მინდა ყალბი ვანცხრომა,  
 ვნახე, იქ ყოფნა არი ვერაგი,  
 იქნებ აქა ჯობს ყოფნა, მაცხოვარ!“ —

წინ გაისმოდა მწარე გნისასი...  
 წამები ჰგავდნენ ძაფებს დაბურღულს.  
 უცებ ზელს მხარზე მადებს იესო  
 და მეუბნება: „უკან დაბრუნდი!“ —

ვთქვი და დასავლის წითელ ყურედან  
 იღანდებოდა თეთრი შორეთი...  
 იესო ღუმდა და მიყურებდა,  
 მე თვალს ვერაფრით ვერ ვუსწორებდი.

მე გამოვბრუნდი უკან მაშინვე.  
 ჟამი დგებოდა მზის გაცილების.  
 გზაზე მხედებოდნენ ნერვებაშლილი  
 და ბედნიერი გარდაცვლილები...

ცრემლი მივსებდა თვალებს უძილოს  
 და ქანაობდა ბედის სასწორი...  
 ყოფნის გამოცდას ვერ გავუბელი,  
 მიტომ მრცხვენოდა ქრისტე მაცხოვრის.

მე მომაგონდა დედა მშობელი...  
 სადღაც მამალი ყინჩად ყიოდა,  
 მე შევდიოდი წუთისოფელში,  
 მე ვბრუნდებოდი საიქიოდან.

საქართველოს  
 მემკვიდრეობის  
 მინისტროს  
 ბიბლიოთეკა

**შინ და გარეთ**

შინ სიბნელეა, გარეთ — ქარ-თოში!  
 შინ სიობლეა! — მე ვარ მარტო შინ.  
 შინ სიჭკრივია, გარეთ — ქარ-წვიმა.  
 მე მცივა, ხეებს როგორ არ სცივა!  
 შინ ვარამია, გარეთ — ქარ-თოვლი! —

ჯვარზე გაკრულა სული ქართული...  
 არეული აქვს ყოფნას დაეთარი, —  
 გარეთ — ავდარი! შინაც — ავდარი!  
 საით წავიდე, საით, იესო?! —  
 ყოფნა ასლია საიქიოსი!

**აწმყო**

კაცთა ცხოვრებას ბებერს და ქოფაკს  
 როდესმე უნდა ეტიროს ყოფა,  
 თუ კვლავ ისეთი ტირანი შობა,  
 როგორიც იყო ერთი და ორი, —  
 ჩვენ არ გვასვენებს იმათი მძორიც:  
 შემოაკერეს ტყვეს ხალხი ქობად...  
 და იყო ამბის მომტანი — მორი..

ისინი ყოფნას დაედნენ ხუნდად!  
 ზოგმა გაწირა ისიც კი თუნდაც,  
 ვინც ბავშვობაში ესროლა გუნდა...  
 შოდა, ცხოვრებას ქოფაკს და ბებერს  
 თუ კვლავ ისეთი გაუხდა მეფედ —  
 სუფეველას ყოფა გვეტიროს უნდა,  
 ამაზე ახლა ძაღლებიც ვეფენ!..

**არ იძინებენ, არ იძინებთ**

არ იძინებთ ღამით ოცნებებს,  
 როცა მე გულზეც ძილი მედება,  
 ბნელი სიჩუმით გარემოცულნი  
 ფანჯრის რაფაზე სხედან მტრედებად.

საწოლის თავზე ჩამოსხდებიან,  
 როგორც ყვავები ვერხვის ტოტებზე..

არ იძინებენ ღამით დარდები  
 (არც მოუნდებათ ძილი როდესმე),

უფალმა უწყის, რას დამმართებენ!  
 უფალმა უწყის, რატომ მომძებნეს!  
 არ იძინებენ ღამით დარდები.  
 არ ეძინებთ ღამით ოცნებებს.

**მოლანდებები**

მძინარს მანჯღრევენ ვიღაცები,  
 გავიღვიძებ და — აღარავინ!..  
 და შიშით გული იკაწრება,  
 და შუბლსაც შიშით დაღარავენ  
 ფანჯრიდან მკრთომი ვარსკვლავები  
 და დღისით მიჭირს დაჯერება,  
 მოლანდებებით გაწამებულს  
 გზაზე მაინც რომ მაჩერებენ  
 ნაცნობები და მეგობრები  
 და მაინც რომ არ ეშინიათ  
 გულის, რომელიც მეღუპება!  
 შუბლის, რომელიც შემლილია!  
 ვიცი, წასულნი მისურვებენ  
 ძღვნად ამ დროებით ჭირისაგან... —

ცისქვეშ დროებით მოსულები  
 ბოლოს მივივართ შინისაკენ...  
 აქ დღე სულ ღამით ბოლოვდება,  
 და ღამე სჩადის დანაშაულს,  
 და როგორ გინდა მოლანდებებს  
 სახლში შემოსვლა დაუშალო!  
 ჩემთვის დიდების კარზე მდგომი  
 დღეც ყოფნის ბოლო ბაქანია...  
 და ელის ჩემი არსებობა  
 ცის მატარებელს რახანია...  
 და როცა მხვდებით მეგობრებო,  
 მაოცებს, რომ არ გეშინიათ  
 გულის, რომელიც მეღუპება!  
 სახის, რომელიც შემლილია!

**გულახდილობა**

ღედა, ქვეშ მოყვე ზეავივით გრძნობებს  
 და ვერ მიშეელის ფრთები ნისლების!..  
 მე ისეთი ვარ, როგორიც მშობე.  
 მე ლამაზ დღეებს ვერ ველირსები.

ღედა, მე უკვე ვხვდები ყველაფერს,  
 მაგრამ არაფრის არა მაქვს ნება...  
 მე უკვე თითქოს ვიყო ყულაბა  
 ფოთლების, ხეს რომ ცრემლდება სწყდება.



ლექსი სამყაროს გულად მაძგერებს  
და სულში ღმერთის სიტყვებად  
წვეთავს....

ლექსის თვალებით ცისკენ მაძკერაღს  
არდაბადება მერჩივნა, დედა!

მე შენს სიცოცხლეს ვერ მოვუარე, —  
ჩამითქარუნეს წლებმა ავღრებად...

ყოფნა სხვა არაა არი თუ არა  
სხეულში სულის გამოზამთრება.

გამოვაზამთრებ ამ სულს როგორმე,  
რათა გაუძლოს ზეტიაღს ნეტარს...

არ შეგაშინოს შენ უღმობელმა  
ბელმა — ეს ჩემი ბედია, დედა!

### მშვიდობით!

მშვიდობით! ჩნდება მაცხოვრის სახე  
სულში და ხსოვნას სევდაში, როგორც  
ქალაქში თუთუნს, მე ისე ვახვევ...  
და მოდის ღამე — მშვიერი ღოქო!..

მშვიდობით! გულში სამსალა წვეთავს  
და ავსებს ჩემი წყლულების ქვაბებს...  
ჟამი ეშმაკის ეშვების წვეტით  
მსერავს და სისხლის ზალიჩებს აფენს.

მშვიდობით! მწამდა, რომ ჩემი ტანჯვა  
ჩვენს მეგობრობას შესძენდა სურნელს...  
მე გულუბრყვილო ვყოფილვარ, სანჩო! —  
ეხ, სანჩოობა ცუდია, თურმე!

მშვიდობით! მოდის მშვიერი ღოქო!..  
და სულში ჩნდება მაცხოვრის სახე,  
და მოგონებებს სევდაში, როგორც  
ქალაქში თუთუნს, მე ისე ვახვევ...

მშვიდობით! კვდები და ღრუბლებს  
ვიჭერ  
დაუსრულებელ ცრემლების ძაფით...  
ზეცა დამაყრის ვარსკვლავთა ჭინჭარს  
და წავალ — როგორც სიცოცხლის  
ქაფი...

მშვიდობით!..

### ზამთრის კარიბჭე

შემოდგომა ბინდებს ბარდება.  
შემოთოვა დიდმა დარდებმა  
დაღლილ სულში. ქარიც აღენთო...  
და ღვრის ბურჩი ქარვის ნადვენთებს...  
ფრთებს — გრაციებს იცულის ამინდი...  
მთებს აცვია ნისლის ქლამინდი, —  
მორიდებით კუდს იბურავენ...

შორი მთები ქუდს იბურავენ  
რძის ქაფისფერს. ღრუბლის კვიცები  
ისწრაფვიან, — გულს მიღვიძებენ  
სატკივართა გასახსენებლად... —  
სატირლად და განასვენებლად... —  
ნატყვიარი ნატყრებს არ იმჩინეს...  
და ღიაა ზამთრის კარიბჭე!..

### ჩამოსვლა ზეცის კიბიდან

მე ჩამოვდივარ ზეცის კიბიდან,  
მომაქვს ცრემლები მუშტის სისხონი.  
ვინც მაღლა დამრჩა, მათ მიმიხედე,  
მათი ტანჯული სული მიცხონე!  
მე კი ბნელში ფორთხვით დაღალულს  
არ შემეშლება დედის კარები...  
ჩემზე ნუ ფიქრობ, ღმერთო მაღალო,  
მე არ ჩამომყვე, გემუდარები!  
მე რას დამაკლებს აწი სატანა! —  
ჩემს ხელებს დგამდა ცა ქონჯურებად.  
ჩამავალ მზესაც არ გავატანე

მე ჩემი წილი უბედურება...  
და გვედრები, არ მანუგეშო!  
მე ხომ იმ ქვეყნის მწვეადა თაკარა!  
სიკვდილს ჩაეხედე მე ცალ უბეში,  
ცალს მან ქუთუთო გადააფარა...  
და ჩამოვდივარ ზეცის კიბიდან,  
მეგებებიან ქვემოთ უცხონი...  
ვინც ზემოთ დამრჩა, მათ მიმიხედე,  
მათი ტანჯული სული მიცხონე!  
გზა სამოთხისკენ მათ გაუნათე!  
მათ აარიდე მზერა სატანის





და ამ საშინელ საუკუნიდან  
საამო ხსოვნაც მათ გაატანე!  
მე კი ბნელაში ფორთხვით დაღალულს

არ შემეშლება დედის კარები...  
ჩემზე ნუ ფიქრობ, ღმერთო მაღალო,  
მე არ ჩამომყვე, გემუდარები!

### მარტოობის სამეტაკლები

მთლად მწუხარებამ რომ არ მომიცვას  
და არ მიმიპყროს მთლად მისმა ხმამ,—  
მე მარტოობის რეჟისორი ვარ  
და მარტოობის სპექტაკლებს ვდგამ.

გრაფინი ნამდვილ რომეოს მოჰგავს,  
ჯულიეტას კი — ლარნაკი ბროლის.  
ღირის როლი რომ ისურვა დოქმა,  
ჭიქას მივეცი მასხარას როლი.

დავდგი „ოტელი“, „ღირი“, „მაკბეტი“.  
დავდგი „რომეო და ჯულიეტა“.  
მსახიობებად მყვანან საგნები, —  
ჩემს ხელში ყველა გასულიერდა.

კატარინას როლს ქვაბი ასრულებს,  
გაზქურაზე რომ რძიანს შემოვდგამ,  
პეტრუჩიო კი არის გაზქურა  
და კატარინას უტევს ქვემოდან.

დავდგი „ჰამლეტი“, დავდგი  
„ყვარყვარე“,  
„ჭირვეულიც“ და „ხანუმაც“ დავდგი.  
საგნები კენესენ და ხარზარებენ, —  
მსახიობები არიან ნაღდი.

ეხ, მარტოობა სულის მტერია, —  
არვის ვახსოვარ, არვის ვტკივდები,  
ჰოდა, მართობენ მე დამტკვრალი  
და მოუვლელი ჩემი ნივთები.

ყველას თავისი როლი განაგებს,  
სკამს თუ მაგიდას, უთოს თუ დანას,  
და გრაფინიც და ბროლის ლარნაკიც  
ოთახში განა უსაქმოდ დგანან! —

მაგრამ, როდესაც იმქვეყნად წავალ  
და დარჩებიან სახლში მარტონი, —  
ვინ ითამაშებს ჩემს სახლში მთავარ  
როლს, ვის ექნება როლი პატრონის?!

### უსაშველობა

ფიქრი ვარამთან მრთავს.  
მე ვეჭიდები ხავსს...  
საშველი არ ჩანს ჩემი, —  
მაღე მოვიკლავ თავს.

საშველი არ ჩანს ჩემი —  
მაღე მოვიკლავ თავს,

ვებრძვი ქორსა და ყვავს —  
ორივე ჩემს სისხლს სვამს...  
საშველი არ ჩანს ჩემი—  
მაღე მოვიკლავ თავს.

მაგრამ! დედა ხომ შავს  
დაადნობინებს თავს!  
დედა, ო ბ ო ლ ი დედა,  
დამჭკნარ ბაღბას რომ ჰვავს!

კუბოს — ხმელეთის ნავს  
გავატან გვემილ გვამს...

გაძლება გერგო ბედად!  
ბედი გტანჯავს და გწვავს,  
როცა ხსნას ვერსად ხედავ  
და ვერც მოიკლავ თავს...

### კარბი დღე

ისეთი მზე და ზეცაა გარეთ,  
ბრაღია — ფანჯრებს ეფაროს ფარდა!  
ჭერქვეშ თავისით იღება კარი,  
თუ ერთი წამით შეჩერდი კართან.

კარგი დღე თითქოს ფრთებიან გედის  
და საოცნებო სიერცეებს კვავს..  
ბრაღია — გულში ტკივილი გედოს,  
გარეთ ისეთი მზეა და ზეცა.

უბედურია, ვინც ახლა დარდობს  
და ფიქრით ელტვის სულების მხარეს.

ბრალია — სახლში დარჩენა მარტივად,  
ისეთი მზე და ზეცაა გარეთ.

### მივარა

ლაყვარდების სიზმარი  
მე დავუთმე წეროებს და მერცხლებს...  
მე მთვარე ვარ, — მზის მერე  
გამოვჩნდები ზეცის სავარძელზე!..

ჩემი შუქი არ გათბობთ,  
მარტოოდენ გზას გინათებთ ბნელში.  
თქვენი ფრთების ფარფატი,  
როცა გცივათ — მაწამებს და მქენჯნის.

მე მთვარე ვარ! მთვარე ვარ!  
მე მიყმუის ძალიცა და მგელიც...  
მზის ზარების დარკვას  
ღამის გზებზე მაინც ჩემგან ელით.

ღლის შუქისგან გარიყულს  
საკუთარი შუქი არ მაქვს, რა ვქნა!  
მაგრამ მე რომ არ ვიყო, —  
ღამე წყველიაღს დაგაზურავთ საბნად.

ღლისით მუდამ ჩრდილში ვარ,  
ღლისით ჩემთვის აღარავის გცხელათ...  
ღამით მზემ ამირჩია —  
თქვენთვის თავის მადლის  
მოსაძღვენელად...

ლაყვარდების სიზმარი  
მე დავუთმე წეროებს და მერცხლებს...  
მე მთვარე ვარ — მზის მერე  
გამოვჩნდები ზეცის სავარძელზე!..

### შრთები

დათო კვიტაიშვილის ხსოვნას

ქანდაკს მოჰგავდი იღუმალს,  
იღუმალ ლექსებს წერდი,  
იღუმალეზა თვითონაც  
სულ დაგვებოდა გვერდით.

გადადიოდი დარდებზე  
გამზირის გაყოლებით...

სახარებიდან გადმოსულ  
მოციქულს მაგონებდი.

და მზის გასაშლელ ტოტიდან  
როცა აფრინდი, დათო,  
თუ ცისკენ ფრენა მოგინდა,  
ფრთები დაკვეცე რატომ?!

### საკუთარი კანონები

ამ უკანონო ცხოვრებაში მე ვქმნი კანონებს,  
როგორც ქმნის ცვარ-ნამს მთვარიანი ზეცა მკათათვის.  
მას არ იცნობენ არც წინანი, არც უკანანი  
პოლა, გადაღმა ჩემი ყოფნა ისე გადადის,

როგორც გადადის სიყვითლეში ბაღთა სიმწვანე.  
მელნისფერიდან კუბრისფერში ჟინდები თანდათან.  
მე დღემდე ყოველ მზის ჩასვლაზე გარდავიცვალე.  
მიზს ამოსვლაზე კვლავ ჟინდებოდი. ქარი ფანტავდა

ჩემს ფიქრებს, როგორც ბიბლიური ზეცა მანანებს,  
რომლებსაც ვიღაც მკარნახობდა ცხრა მთას იქიდან...

ამ უკანონო ცხოვრებაში მე ვქმნი კანონებს  
ასეთ ფიქრებით, მაგრამ ვერვინ ვერ წაიკითხავს

მათ, თორემ ბევრი იცხოვრებდა, როგორც პეპელა!  
 ბევრი ავსული გახდებოდა სათნო, კეთილი!  
 თხილის გულივით — უშველებელ ღამის მთევველად  
 მე ჩემს მოარულ ნაჭუჭში ვარ გამოკეტილი.

ყოფნამ ესეც კი არ იქნება არ დამანანოს...  
 და ჟამი ვიდრე უკანასკნელ წამებს დამითვლის, —  
 ამ უკანონო ქვეყანაში მე ვქმნი კანონებს  
 მხოლოდ და მხოლოდ უბედური ჩემი თავითსვის...

### ყოფნა

ჩვენი ყოფნით ისევე ჩვენ დავიჩაგრეთ!  
 რაა ყოფნა?! — ცაზე მზის ნაბიჯები  
 თუ, მიწაზე საფლავს რომ თხრის ნიჩაბი  
 თუ, სიზმარში რომ ვიყავით ნეტარ და  
 ცხადში რიგებს ვუყურებდით ცხედართა  
 და სიცოცხლეს ციდან ღვთის მონიჭებულს —  
 ფერფლად ქცეულს ეშმაკი რომ ხვეტავდა?!

უბედური დღე ამუნჯებს აკვანსაც, —  
 მიწა ბავშვის სამარემაც გაკვანძა...  
 ჰგავს ქვეყანა აოხრებულ საგანძურს...  
 და ტრიალებს ქვეყნის თავზე დოლაბი  
 პორიზონტის წრიულ გზის გაყოლებით...  
 და კუბოებს მოჰყვებიან დაქანცულ  
 აჩრდილებით დედეები და ცოლები... —

სახე რომ აქვთ მწუხარებით მოსილებს, —  
 თითქოს ძმრით ან მწუთხე წყალით მოხილეს,  
 რადგან თურმე აქ არიან მოსული  
 ამ ხანმოკლე და უბედურ დღისათვის...  
 აუგს მაინც არ ამბობენ ღვთისადმი.  
 ჩვენ გაჩენის დღიდანა ვართ მოცული  
 უბედურ დღით, თორემ ფრთებს შევისხამდით...

რაა ყოფნა, მეფეცა და ვასალიც  
 შექმნილი რომ არი ერთი მასალით  
 და სიამის შუქთან ფარვანასავით  
 რომ მივდივართ და სიკვდილი აქედან  
 რომ მიგვდენის, როგორც ურგებ სახედარს  
 და ვილაცა — ყოფნის ნექტარნასვამი  
 ჩვენს გზას, როგორც ჩამავალ მზეს გახედავს?!

რაა ყოფნა?! — წამება თუ ამება?! —  
 ეს გავიგო უნდა აწი რამეფრად!..  
 მე ცად ვიყავ, მაგრამ ზღწა ჩამება...

მე არ ვგავარ ციდან ამბის ჩამომტანს!  
 აზრი არ აქვს არცერთ აზრის გამოთქმას,  
 თუკი მიწა გულებს ეაკლდამება!  
 თუკი ზეტა სულებს არ ესამოთხა!

### სიყვარულის დატირება

სად გპოვო, ჩემო სიყვარულო, სად გაქცეულხარ?!  
 რომელი ქვეყნის გზებზე გეძიო?!  
 უსიყვარულოდ ყოფნა ნიშნავს — ხარ უმეოზო,  
 როგორც სატანა — უპოეზიო.

მე კარგად ვიცი, დღეს რაცა მაქვს თავზე საყრელი,  
 მაგრამ შენამდე რას არ ავიტან!  
 მე შენკენ მომაქვს ტკივილები, როგორც საყვარელ  
 წლების ჩონჩხები ერთ საფლავიდან...

გიორგობისთვიდან დაეუბრუნდე მინდა თიბათვეს,  
 როგორც მზე აისს — დაისნასვამი...  
 მაგრამ ვედრებას საყდრისკენაც ძალით მივათრევე,  
 ისიც მძიმეა ჩემთვის, ქვასავით....

იესოს თვალში ცრემლის სხივი — სხივი წყალობის —  
 ჩემს სულში ნანატრ შვებას ავანებს —  
 მოაფრენს ჩემკენ აყვავებულ ურიცხვ ალუბალს —  
 ნათელმოფენილ ავანჩავანებს...

მე არასოდეს დავჩოქილვარ წმინდა ჯვარის წინ,  
 როგორც მიწვევა წასულს იებზე...  
 მე მინდა ბავშვად გადაიქცეს და სხვამ არ იცნოს!  
 და მე ჩავიკრა გულში იესო

და მერე საყდრის ერთ კუთხეში დავსხდეთ ის და მე, —  
 მე — კუნძის მსგავსი, ის კი ნეკერის,  
 და ვუთხრა, რომ ვარ უბედური და უთვისტომო,  
 მას შევებრალო და მომეფეროს.

ვეტყვი, რომ საბნის ნაცვლად ლოდი მინდა მეზუროს  
 და პურის ნაცვლად ვჭამო ბელტები!  
 ვეტყვი, რომ ვემებ სიყვარულის ნაზ ნაფეხურებს,  
 და რომ ღამე ვარ და არ ვთენდები.

როგორც განძეულს — გამოვიტან იმედს საყდრიდან  
 და დავადგები გზას, შენს საპოვნად,  
 და ცისქვეშეთში ყველა მონის მონა გავხდები,  
 ღმერთმა შენი ხმა თუ გამაგონა.



უსიყვარულო ყოფნა ნიშნავს — ხარ უმეოხო,  
 როგორც სატანა — უპოეზიო!  
 სად გპოვო, ჩემო სიყვარულო, სად გაქცეულაარ,  
 რომელი ქვეყნის გზებზე გეძიო?!

დაცემულ ფოთოლს ვკითხავ, როგორც სტიქსის ორჩხომელს,  
 მან იცის, ვაღმა ვინ გადავიდა...  
 მე შენკენ მომაქვს ტკივილები, როგორც ჩონჩხები  
 ძვირფასი წლების — ერთ საფლავიდან...

**ვედრება მაცხოვარს**

ო, ჩემო ქრისტე მაცხოვარო, მსხნელო იესო!  
 წყალს ცეცხლი უნდა მოეკიდოს და ხე კიოდეს,  
 ორი ათასი წლის შემდეგაც გზა თუ მიეცა  
 ისკარიოტელს!

ჩემო იესო მაცხოვარო, ჩემო მსხნელო და  
 გადამრჩენელო ყველა ერის, ყველა მიწა-წყლის!  
 ორი ათასჯერ. ჯვარზე გაკრულ საქართველოდან  
 გემუდარები: საქართველოს გული მიცოცხლე!

**შთაბეჭდილება დასაფლავების შემდეგ**

მიწაში ვარ და კუბოში ვწევარ  
 და გარეშემო მკედრებია ხრწნადი.  
 ეხედავ თმების და ძარღვების წრეებს,—  
 ჩემკენ იწევენ ყულფები მათი...

აქ ვერ გაარჩევ ჩუმსა და მბორგავს,  
 აქ ვერ გაარჩევ, სწუხან თუ მღერენ.  
 აქ ახლა ზუსტად ისე ვარ, როგორც  
 იქ ვიყავ ბავშვი გაჩენის მერე...

არეულია მატლების გროვა; —  
 აი, მსგავსება მეფის და მონის!..  
 იქითკენ თავის ქალათა ბრბოა, —  
 ვერც მათ გაარჩევ ზომით და წონით.

მე კი მეგონა, თვალები ჩემი  
 აქ იხილავდნენ ქრისტეს ნაზარეთს...  
 და სიჩუმეში ვარ ისე ჩუმად,  
 როგორც ოცნება უზარმაზარი...

**წარსული**

წარსული გზაა ჩვენგან ძლეული  
 და ნაკვალევი მას დაჩნეული  
 აწმყოს და მერმისს ვერ გაუქურდავს. —  
 ზოგი დაღია, ზოგი — ჩუქურთმა

და მათ კეთილ და ბოროტ ავტორებს  
 წარსული არცერთს ისე არ ტოვებს, —  
 ზოგს ყვავილებად, ზოგს კი მეწყერად  
 სადმე უთუოდ წამოეწევა.



## ზაზა დვალიშვილი



# რკინის ქალაქები

რომანი

25 თებერვალი

არჩილი მალეძარას წკრიალმა გამოაღვიძა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა გამთბარ ლოგინში და თვალები გაახილა. საათის ისრები შვიდის ათ წუთს უჩვენებდა. ფანჯრიდან ცივი სიბნელე იცქირებოდა. არჩილის მეუღლეს, ნინოს, გვერდულად ედო ბალიშზე თავი და მშვიდად ეძინა; ოდნავ გაღებული პირიდან მარგალიტით ჩაწიკწიკებული, თეთრი, ლამაზი კბილები მოუჩანდა. ახალგაზრდა ქალის სახე ანგელოზით მშვენიერი იყო და მით უფრო არასასურველი ჩანდა მყუდრო საწოლიდან წამოდგომა, მაგრამ გარიჟრაჟზე იგი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. ფრთხილად, რათა ცოლი და მეორე ოთახში, მძინარე ბავშვი არ გაეღვიძებინა, ლოგინიდან წამოდგა, გალიფე ჩაიცვა და პირის დასაბანად გავიდა. პირსაბანში, სარკესთან, კალენდარი ეკიდა „1938 წლის 24 თებერვალი“, — მექანიკურად წაიკითხა არჩილი და ბოლო ფურცელი აახია. „დღეს 25 თებერვალია“. კიშნასტურა გადაიც-

ვა, ზედ ოფიცრის კოხტა ქაშარი შემოირტყა და საკუთარი თავი გამომცდელად შეათვალეირა სარკეში. სარკიდან მას ოცდათხუთმეტიოდე წლის ახალგაზრდა, ყოჩაღი ოფიცერი უცქეროდა. საყვლოზე მიმზიდველად ბრწყინავდა სამხედრო ოფიცერის ორი რომბი. კუჭმა თითქოს შიმშილი უგრძნო, მაგრამ საჭმელზე ფიქრი თავიდან მოიცილა, — ვაითუ, ავტობუსმა გამასწროს, ასეთ დღეს სამსახურში გვიან მისვლა ზომ ორმაგი შარიაო.

უკვე თენდებოდა, როდესაც არჩილი სადარბაზოდან გავიდა და ზემელზე ჩამავალ ქუჩას დაუყვა. ასეთ დროს ქალაქი სავიფეთს ემსგავსებოდა. ირგვლივ არავინ არავის უყურებდა, თავჩაღუნული, ანერვიულებული ხალხი დამთხვეულივით გარბოდა ქუჩაში. და ეს გასაგებიც იყო. ვის ეხალისებოდა, სამსახურში დაგვიანებისათვის ციხეში წასულიყო. მითუმეტეს, რომ 1937 წელი ახალი დასრულებული იყო. სამხედრო ინჟინერი, არჩილ გურგენიმე სხვე-



ბევით მიიჩქაროდა ავტობუსის გაჩერებისაკენ და ცდილობდა, წინ მიმავალთათვის გაესწრო.

ავტობუსში ხალხის ჭედვა იყო, მაგრამ მაინც მოახერხა წინ წაწეულიყო.

— ფრთხილად, ამხანაგო! — შუახნის ქალმა უკმაყოფილო მზერა ესროლა ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიც ასე თავხედურად მიიწევდა გასასვლელისკენ.

— ბოდიში, — მოკლედ მიუგო არჩილმა და გვერდზე გაიწია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ავტობუსი დაიძრა და საღიანში მოუსვენარი გაწამაწამა შეწყვდა. მიუხედავად სიცხისა და სიციფროვისა, მგზავრები მოთმინებით დუმდნენ და მხოლოდ ერთმანეთს ათვლიერებდნენ უნდოდ. არჩილმა ზურგით იგრძნო, თუ როგორ დაიძვრა მის უკან სიტყვა „ბოდიშის“ გაგონებაზე რამდენიმე გრძელი ყური. ტრანსპორტში, სადაც ათასი თვალი და ყურია მოდარაჯე, ყოველ სიტყვას, ნათქვამს თუ გაგონილს, თავისი წონა აქვს; ყველაზე უმჯობესია, არავის ყურადღება არ მიიქციო, არავინ იცის, პირიდან დაცდენილს, ვინ რა კუდს გამოაბამს.

ავტობუსი გადასასვლელთან შეჩერდა. ორ რიგად დაწყობილი პიონერთა რაზმი დროშებითა და დოლების რაკარუკით ქუჩაზე გადადიოდა. ქალაქში გამოკიდებულმა წითელმა დროშებმა და სტალინის ოთხმეტრიანმა სურათებმა, არჩილს 25 თებერვლის დღესასწაული და გუშინდელი სახიფო სხდომა გაახსენა. სხდომაზე იგი, კრემის პრეზიდენტში ადრე არჩეული, ბოლო წუთებში, რატომღაც, არ მიიწვიეს წითელ ტილოგადაფარებულ მაგიდასთან. ეს ცუდი ნიშანი იყო. მამასადამე, სადღაც რაღაც ითქვა მის შესახებ. სად და რასთან დაკავშირებით? რამდენიმე დღის უკან მისი ასეულის გუშავს ყარაულში ყოფნისას ჩაეძინა და ბატალიონის მეთაურმა არჩილს საყვედური გამოუცხადა, სამხედრო ნაწილში პოლიტიკურად მზრდელიობითი მუშაობის დაბალი დონის გამო. და ეს მოხდა სწო-

რედ დღესასწაულის წინ. ტუზავეს და იაკირას დაჭერის შემდეგ, შავი ღრუბლები სამხედროების თავზეც შეიკრა. არჩილს საიდუმლოდ გაგონილი ჰქონდა, სამხედრო-პოლიტიკურ სამმართველოდან უკვე რამდენიმე შეკითხვა გამოგზავნეს თბილისში, როგორ მიდის რესპუბლიკაში წითელარმიელთა შორის „ხალხის მტრებთან“ დაკავშირებულ პირთა გამოვლენის საქმეო. მაგრამ ეს ყოველივე ხომ პატარა, უმნიშვნელო ეჭვები, ჭორები და დამთხვევები იყო; — მთავარია, შენი საქმე აკეთო, კეთილსინდისიერად ემსახურო ხალხს და სამართალი პურს ჭამს. „მე სუფთა ვარ პარტიის და სამშობლოს წინაშე, უმწიკვლო ვარ!“ — მლიძალ იმეორებდა გულში.

ავტობუსი ერთ დიდ შენობასთან გაჩერდა. აქ სამხედრო ნაწილი იმყოფებოდა. არჩილი ძირს ჩამოხტა. შესასვლელში გუშავს საღამი მისცა და თავისი ასეულის სადგომისკენ გაემართა. ხუთი წუთის შემდეგ, რაზმი ასისთავის წინ იდგა გაჭიმული. ჯარისკაცებს უყვარდათ თავიანთი მეთაური, მზრუნველი, თბილი ხასიათის გამო. არჩილს თითოეული ჯარისკაცის სახელი ახსოვდა, იცნობდა მათ მშობლებს, იცოდა მათზე თითქმის ყველაფერი და უფროს ძმასაკვით უყვარდა ისინი. ასისთავმა ნაბიჯი წინ წარსდგა, მარჯვენა ხელი ქუდთან მიიტანა და ომანიანი ხმით დასძახა: — ასეულო; გილოცავ საქართველოს გათავისუფლების შეჩვიდმეტე წლისთავს!.. —

— ვაშა! ვაშა! ვაშა!.. — ექოდ დაირხა ასეულის ხმა.

**მამნაბელი**

შინსახკომის შენობაში საერთოდ ვერ იტანდნენ ზედმეტ ხმაურს, თუ მოძრაობას. დღის განმავლობაში ჩეკას რიგითი თანამშრომლები ლამის ფეხის წვერებზე დადიოდნენ დერეფანში, რის გამოც, ამ დაწესებულებაში ყოველთვის სამარისებური სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა. ერთი შეხედვით, ძნელი

წარმოსადგენი იყო, რომ ამ მშვიდ, აუფთა, თეთრად შეღებილ კედლებს შორის წყდებოდა ათასობით უბრალო ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხი. აქ შემოსული კაცი ზღურბლს მიღმა ტოვებდა დროის ბეჭედს, ბეჭედს შინის, ექვიანობის, ფსიქოზის. ყოველივე ამქვეყნიური აქ, სიცოცხლის ძარღვთან ერთად წყდებოდა. თავად ადამიანი, — მახრჩობელა გველის წინაშე მონუსხული კურდღელივით უსუსური და უმწეო ხდებოდა, გრძნობები კვდებოდა, ვნებები შრებოდა, რჩებოდა ერთადერთი — ლოდინი, ლოდინი და მოლოდინი. შინსახკომში ჰაერი არ იძვროდა.

უფროსი გამოძიებელი დავით კვერნაძე თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და რიცხვით უკვე მერამდენე დაკითხვის ოქმს ადგენდა. უძილობისაგან დაწითლებული ქუთუთოები ქვასავით დამძიმებოდა, გადაღლილი სხეული საშინლად სტენდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარჯვენა ხელს მტკიცედ გამოჰყავდა შესაბამისი წინადადებები.

კარი გაიღო და გუშაგმა ტუსადი შემოიყვანა. გამოძიებელმა მცველს თვალთ ანიშნა, რომ გარეთ გასულიყო და ბრალდებულს, მაგადის მეორე მხარეს, იატაკზე მიმაგრებულ უზურგო სკამზე მიუთითა. პატიმარი ასე, ოცდახუთი წლის ახალგაზრდა იქნებოდა. მალაღი, მაგრამ ერთნიარად ჩამომხმარი ტანი, უძილო, დაკითხვებისაგან ნაწამები სახე, გაფითრებული, თხელი ტუჩები (თითქმის უსისხლო) და მხოლოდ მშვიდი მზერა, მით უფრო გასაკვირი ამ ფონზე.

დავითმა საქმიდან ცისფერყდიანი რვეული ამოიღო და ნაწერი პატიმრისაკენ შეაბრუნა. — შენია? — პასუხს არც დალოდებია, გადაშლა და წაიკითხა: — „ძალადობას მოაქვს თან, მხოლოდ საპასუხო ძალადობა და არასოდეს სიკეთე, თავისი ბუნებით იგი ეწინააღმდეგება სიკეთეს და ემსახურება, მართოდენ საკუთარ თავს. თუნდაც სიკეთისკენ მიმართული, იგი აუცილებლად შობს ახალ ძალადობას და ეს ახალი,

ბევრად უფრო საშიში, ბოროტი და ძლიერია, ვიდრე ძველი. ადამიანმა, თუ იგი ემსახურება ნათელს, უარი უნდა თქვას ძალადობაზე, თუნდაც თავად პირისპირ შეხვდეს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, იგი ჩაკლავს ამ სიკეთეს საკუთარ თავში“. — ტერორისტისთვის ერთობ თავისებური აღსარებაა, არადა, თქვენი ხელითაა ნაწერი, მას აქეთ რა, რწმენა შეიცვალეთ?

— არა, მე რწმენას არ ვიცვლი.

— მაშ, დღესაც ასე ფიქრობ?

— მე ამაში დარწმუნებული ვარ.

დავითი სკამის ზურგს მიეყრდნო და პატიმარი ყურადღებით შეათვალიერა. გიორგი არ ჰგავდა ასობით და ათასობით ჩეკას თათებში მოხვედრილ სხვა რეპრესირებულებს, რომელნიც თავიდან ყოველივეს უარყოფდნენ, თუმც უდანაშაულო ხალხისაგან ეს არც იყო გასაკვირი (დავითმა ხომ იცოდა, რომ ისინი უდანაშაულონი იყვნენ), ხოლო შემდეგ, სულითა და ხორციით გაწამებულნი, რეპრესიების მანქანის ქვეშ მოყოლილნი, ყველაფერზე ხელს აწერდნენ, ინანიებდნენ და ქედს უზრიდნენ მძიმე ხვედრს. ეს იყო რაღაც ჯოჯოხეთური თამაში, რომლის დროსაც მსხვერპლი (არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იყო იგი) დაპატიმრებიდან დაწყებული, დახვრეტით დასრულებული, კეთილსინდისიერად თამაშობდა საკუთარ როლს და საბოლოო ჯამში, ასრულებდა იმ საქმეს, რომელსაც შინსახკომი მისგან მოითხოვდა. შემდეგ ერთგვარად „ვალ მოხდილნი“; ისინი მორჩილად მიდიოდნენ იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებოან. მათგან განსხვავებით, გიორგიმ შეპყრობისთანავე აღიარა ყველაფერი, რაშიც ბრალს სდებდნენ, მაგრამ არ დამორჩილდა, არ მოინანია საკუთარი წარსული და არც არავინ დაასახელა თანამოზიარებელად, თუმცა სამი გამოცდილი გამოძიებელი ერთიმეორეს მიყოლებით შეუსვენებელივ მუშაობდა მის გასატყუებად. ეს იყო ნამდვილი მტერი; ნამდვილი მკენებელი, რომლის ამოსაძირ-

კვავად ღირდა სხვა, უდანაშაულო ხალხის გაწირვა. დავითი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული. ბოლოს და ბოლოს, რის გაგებაც შეიძლებოდა ბრალდებულზე, მან თავად აღიარა პირველივე დაკითხვაზე, ხოლო სხვა ცნობების გამოძალგაში შინსახკომი უძლეური იყო და შემდეგი ძიებაც აზრს ჰკარგავდა.

მაგრამ გამოძიებელში ინტერესს იწვევდა პატიმარი, რომელიც საკუთარ თავს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სწორავდა, ოღონდ არავითარმე დაწოლამ არ გასჭრა, რომ თანამონაწილეები დაესახელებინა. ესოდენ უგულვებელყოფა საკუთარი სიცოცხლისა და ერთგულება საქმისადმი, რომელსაც იგი ემსახურებოდა, დავითში სადღაც პატივისცემის მაგვარ გრძნობასაც კი აღძრავდა.

— ბოლშევიკები გამონაკლისს წარმოადგენენ ამ თეორიის მიხედვით? —

— თქვენი პარტია, კაცობრიობის ისტორიაში, ყველაზე დიდი ბოროტების მატარებელია და მისი ძალადობის გზით შემუსვრისათვის, საჭიროა თავად გახდე მეტი ძალადობის და ესე იგი, ბოროტების მატარებელი. დარწმუნებული ვარ, თქვენზე ძალადობის გზით გამარჯვებულნი, ჩვენ ხალხს მოუტანთ უფრო დიდ უბედურებას, ვიდრე ეს თქვენ ხელგაწიფებათ.

— მე ეჭვი არ მეპარება შენს გულწრფელობაში, ოღონდ ძალადობის მოწინააღმდეგე, შენ ხდები ტერორისტი, ჩვენთან შეიარაღებულ ბრძოლას უარყოფ, მაგრამ მაინც აქტიურად გვებრძვი. შესაძლოა, ქრისტიანული ფარისევლობა — ამ სიტყვებზე გამოძიებელმა ბრალდებულს დამცინავე მხერა ესროლა, — იმ ზომამდე არის გამჯდარი შენს სულში, რომ თავად ვერ ამჩნევ საკუთარი ლოგიკის უაზრობას. რომ გწამდეს ბრძოლის და მტერზე ძალადობის გამოყენების, მაშინ მე მესმის შენი საქციელი, თუ არადა, ვით ქრისტიანი, ვალდებული ხარ დაემორჩილო არსებულ ხელისუფლებას და უარი თქვა ბრძოლაზე. ან ერთი, ან მეორე, მესამე გზა არ არსებობს.

— არსებობს, — გიორგის მშვიდ მხერაში ნაპერწყალი გაკრთა, — გზა ცოტენ დადიანის, დემეტრე თავდადებულის. ძალადობა არ ისპობა საპასუხო ძალადობით. ძალადობას ამარცხებს მხოლოდ თავგანწირვა. მეფე დემეტრემ კარგად უწყოდა, რომ მისი თავდადება იმხანად საქართველოს გამარჯვებას არ მოუტანდა და მაინც გასწირა თავი. მონღოლთა უზარმაზარი იმპერია უძლეური აღმოჩნდა მის უკვდავ სულთან. რა ძლიერი იყო ეს იმპერია იმ დროს და რაოდენ სუსტი საქართველო, მაგრამ სადღა არიან დღეს ილხანები, ხოლო ქართველი ერი არსებობდა, არსებობს და თქვენს შემდეგაც იარსებებს.

— ერი, რომელსაც არ ჰყავს გმირები, განწირულია დასალუბავად, — მექანიკურად გაიმეორა დავითმა, ადრე წაკითხული ცნობილი გამოთქმა. — გამოდის, რომ შენი ტერორიზმი სწორედ ეს თავგანწირვაა და ბრძოლის მაგიერად, გმირულ სიკვდილს ესრწაფვი მხოლოდ. შენ წმინდანი, ჩვენ — ეშმაკები. შენ გმირი, ჩვენ — მონღოლები და ურჯულოები, — დავითმა თავად ვერ შეამჩნია, თუ როგორ აუწია ხმას. — ლაწირაკო! რა იცი შენ, რა სჭირდება საქართველოს! რეველუციამ ხალხს მოუტანა სიმართლე, სწორედ ის მცნება, რომლის გარეშე ყოველივე სხვა სიკეთე აზრს ჰკარგავს. აღარ არიან მდიდრები და ღარიბები. მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია. აი, რის წინააღმდეგ მიდიხარ შენ!

— მე თქვენგან არ გამოვივა სიტყვა თავის უფლებას. ბედნიერება თავისუფლების გარეშე...

გამომძიებელს ზიზღის და სიძულვილის გრძნობა ყელში მოეხუნა და ენა ჩაუგდო. პატიმრის მშვიდი თავდაჭერილობა წონასწორობას უკარგავდა, ხოლო ზომიერი სიტყვა-პასუხი ფიქრთა მსვლელობას უწყვეტდა. — „მკენებელი!“ — ამოიხრიალა გუნებაში და თავადაც გაუკვირდა, თუ როგორ, მოერგო ეს სიტყვა ბრალდებულს. სწორედაც რომ, იგი ვნებდა, ზიანს აყენებდა ყველაფერს, რასაც თავად საკუთარი სიცოცხლე,



თავი და პირადი ბედნიერება შესწირა სჯობდა ეტირა, მოენანიებინა. გამოძიებულს ეჩვენებოდა, რომ აპატიებდა კიდევ მას და საკუთარ თავზე აიდებოდა მისი გათავისუფლების პასუხისმგებლობას...

— თქვენ ძალგიძთ მხოლოდ ადამიანის დაღუპვა და არა მისი ხსნა, ეს ჯალათის ძალაუფლებას არ ექვემდებარება, როგორ შეგიძლია შენ მაჩუქო სიცოცხლე, როდესაც საკუთარი თავის პატრონიც არა ხარ...

— მაგნებელი! — ამჯერად კბილებში გამოსცრა ჩეკისტმა.

## შიში

სამხედრო ინჟინერის არჩილ გურგენიძის ცხოვრება იყო ჩვეულებრივი და ამავე დროს საშინელი, ისევე როგორც მისი თაობის აბსოლიტური უმრავლესობისა. იგი არ მიეკუთვნებოდა მლიქუნელთა, კარიერისტთა და ტრიბუნაზე მუდამიამ მოტრიალე მყვირალა აქტივისტთა რიცხვს. ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა თავის სამსახურეობრივ მოვალეობას და ამავე დროს, თანამშრომლებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა არაპრეტენზიულობით. ჩუმი, წყნარი ხასიათის პატრონს, არ ჰყავდა ბევრი მეგობარი, მაგრამ, ალბათ, ამავე მიზეზის გამო არ ჰყავდა მტერ-მოშურენიც. დიან, იგი არ იყო ხმაურიანი საკრებულოების მოყვარული და ჯერ კიდევ დაოჯახებამდე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ნაცნობები, თუ თანამშრომლები, სარგებლობდნენ რა მისი გულკეთილობით და დამთმობი ხასიათით, თავს იყრიდნენ მის ოთახში საქეიფოდ, ხოლო თავად არჩილი, რომელიც ამ დროს უნივერსიტეტის დასწრებულ ფაკულტეტზე მორიგი გამოცდისათვის ემზადებოდა, დერეფანში გადიოდა და იქ განაგრძობდა მეცადინეობას. ნიჭი მას ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ როგორც სამსახურში, ასევე სწავლაში, ამ ნაკლს საოცარი მუყაითობით და შრომისმოყვარეობით ანაზღაურებდა. ერთი სიტყვით, გარეშეთა თვალში

არჩილი არაფრით არ იყო ღირსშესანიშნავი კაცი, ასეთები ყოველთვის უფერულად და სხვებისათვის შეუმჩნევლად ცხოვრობდნენ ჩრდილში. უმრავლესობისაგან განსხვავებით, სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება მის ოჯახურ სამყაროსთან შედარებით, ერთგვარად მეორეხარისხოვანი იყო. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ოჯახი იყო ის გარემო, ის პატარა ოაზისი, სადაც ჩვენი გმირი ნამდვილად ცხოვრობდა და რამდენადაც შეზღუდულად და გაუბედავად გრძნობდა თავს გარეთ, იმდენად თავისუფალი და ბედნიერი გახლდათ იგი ამ მისთვის განკუთვნილ პატარა მიკროსამყაროში და, ალბათ, ამიტომ, მოვალეობის ის გამახვილებული გრძნობა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო მისი ბუნებისათვის, მეუღლის წინაშე ათმაჯ ძალას იძენდა. თქმა იმისა, რომ მან ცოლი სიყვარულით მოიყვანა, იქნებოდა არასწორი, მაგრამ ასევე არასწორი იქნებოდა მტკიცება, რომ იგი დაქორწინდა ანგარიშით. მან მოიყვანა ცოლი იმიტომ, რომ დიდი ხანია უკვე, რაც დაოჯახების სურვილი ჰქონდა და იმიტომ, რომ გარკვეულმა გარემოებებმა და შემთხვევამ ამის საშუალება მისცა.

ქორწინების პირველი წლები ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სოლოლაკში, ერთოთახიან, ვიწრო კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა. ამგვარი არსებობა თავიდან მეტ-ნაკლებად ასატანი იყო, მაგრამ მეუღლის ფეხმძიმობამ, შვილის მოლოდინმა და ბინის სივიწროვემ ოჯახში ყველასათვის გასაგები უკმაყოფილება წარმოქმნა. ნინო, ბოლო თვეებში წამოჭრილ ყველა ცხოვრებისეულ სიმწიფეებში არჩილს ამტყუნებდა. მცირე ხელფასი, პატარა ბინა, ქმრის უფურაძლეობა (უფრო ხშირად მოგონილი), ყველა ეს ჩვეულებრივი ფაქტორი, ფეხმძიმობით გაღიზიანებული ქალის თვალში, ქმრის უგერგოლობის და უსულგულობის მომაკვდინებელ საბუთად იქცა. ნინო, ყოველგვარ სერიოზულ მიზეზთა გარეშე, — ყოველ შემთხვევისათვის, ასე ეჩვენე-

ბოდა არჩილს, — გამუდმებით ეჭვიანობდა, მოითხოვდა ყურადღებას, ღიზიანდებოდა, როდესაც არჩილი სამსახურიდან გვიან ბრუნდებოდა და, საერთოდ, არანაკლებ მცირე ხელფასისა, ქალის აღშფოთებას იწვევდა ის ხანგრძლივი სამუშაო საათები, რომლის დროსაც ქმარი მას არ ეკუთვნოდა. ყოველივე ამან, ოჯახში მოიტანა გულის გამაწვწვრილებელი საყვედურები და ყვედრებანი, ერთი მხრიდან და თანამეცხედრის უსამართლო საქციელით გამოწვეული აღშფოთება, მეორე მხრიდან, ეს საყვედურები არჩილისათვის ყოველთვის მთავრდებოდა იბულებითი, და ამიტომაც ესოდენ საძულველი და უახრო თავის მართლებით.

ყოველივე ამის გამო, თანდათანობით მის მთავარ ოცნებად იქცა ისეთი მიწიერი მისწრაფებები, როგორიც იყო სამსახურში დაწინაურება, ოჯახური ბიუჯეტის გაზრდა, ახალი ბინის შექმნა და ცხოვრებაში მიღწეული წარმატებებით, ნათესაობაში და ნაცნობებში თავის მოწონება. ოჯახი იყო ბუდე მისი ცხოვრებისეული სიმყუდროვისა და ამიტომ ამ ოჯახის კეთილმოწყობა იქცა მიზეზად მისი პატივმოყვარეობისა. ამ პატივმოყვარეობაზე გადაძრავლებულმა მისთვის ჩვეულმა შრომისმოყვარეობამ მალე შედეგიც გამოიღო. არჩილი ბატალიონის უფროს სამხედრო ინჟინრად დაწინაურეს. ახალმა თანამდებობამ ხელფასიც საგრძნობლად გაზარდა და ბინის რივიც, რომელშიც იგი უკვე რამდენიმე წლის მანძილზე იდგა, შესამჩნევად მოაახლოვა. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 1935 წლიდან მოყოლებულმა რეპრესიების პროცესმა ამჟამად უკვე, თავის აპოკეას რომ უახლოვდებოდა, ჩვენი პერსონაჟის შრომისმოყვარეობაზე არანაკლებ იმოქმედა, მისი ცხოვრებისეული მიზნების გასრულებაში. პოლკის უფროსი ოფიცრები დაიჭირეს. ბევრი თანამდებობა გათავისუფლდა, ხოლო კადრები არ იყო. ამავე მიზეზების გამო, ბინის მიღების მსურველთა ვრძელი რივიც შესამჩნევად გაძეწებდა, ხოლო მრავალი ბი-

ნის პატრონი, თავად გაუყრნენ ციხეშიც კი რის ვზას. 1936 წლის დასასრულს, ერთ-ერთ ასეთ ბინაში, პოლკის ყოფილ კომისარს, „შენიღბულ ნაციონალისტს და უკვე დასკრეტილ ხალხის მტერს“ რომ ეკუთვნოდა, არჩილის ოჯახი შეასახლეს. ოთხთათხიანი, კარგად მოწყობილი „ოსობნიაკი“, როგორც ცოლქმარი თავიანთი სიყვარულის ამ ახალ ბუდე, სიამოვნებანარევი თავმოქონებით მოიხსენიებდა, ქალაქის შუაგულში, ვერის უბნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე წამომართულ სახლში მდებარეობდა.

ახალსახლობის პირველი დღეები განსაკუთრებით ბედნიერი იყო ცოლქმარისათვის. დავიწყებას მიეცა, უკანასკნელ თვეებში მოზშირებული დაკა და ავალმავალი. ოთახების რემონტმა, ახალი ავეჯის ყიდვამ და კიდევ ასეთ დროს გამოჩენილმა სხვა, ათასმა წვრილმანმა ცოლქმარის მთელი ყურადღება მიიპყრო. სულ მალე, ახალსახლობაზე, სოფლიდან ნათესავეები ჩამოვიდნენ, რომელნიც ამჯერად პატივისცემით განიმსჯვალნენ გადიდკაცებულ ქალაქელი ახლობლის მიმართ. თავად არჩილის ხასიათში, ქცევაში და თავდაჭერაში, მაშინ პირველად გამოკრთა თვითკმაყოფილების და სიამაყის გრძნობა საკუთარი თავის მიმართ და ერთგვარი ქედმაღლობაც კი, სხვებთან ურთიერთობაში. თითქოს ცხოვრება საბოლოოდ აეწყო არჩილისათვის, ყველაფერი ჰქონდა საიმისოდ, რომ თავი ბედნიერად ეგრძნო, მაგრამ სწორედ მაშინ გაჩნდა მის ცხოვრებაში პირველი შიში.

ერთხელ, ახალ ბინაში გადმოსვლიდან ასე, ერთი თვის თავზე, სამსახურიდან გვიან საღამოს დაბრუნებულ არჩილს სადარბაზოს კიბეზე ჩამომჯდარი მოტირალი ნინო დახვდა. ქმრის გაკვირვებულ კითხვებზე ქალმა ხმამაღლა ამოისლუკუნა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა, — გოდერძო...

არჩილს ოფლის მსხვილი წვეთები დაასხა შუბლზე. თავზარდაცემული, ყველაფერს მიხვდა, მაგრამ თითქოს ბო-

ლო იმედს ებღაუჭებაო, ცოლს მიინც დაეკითხა: — რა გოდერძი? —

— დაიჭირეს, ღამით წაუყვანიათ.

— ღმერთო ჩემო, — უნებურად წაიწურა აზრით, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, უაზროდ სახეზე მოისვა და შეუღლის გვერდით ჩამოაჯდა.

გოდერძი ტყვეუჩავე არჩილის ცოლის ძმა იყო. პროფესიით მშენებელმა ინჟინერმა, თავის ასაკისათვის ბრწყინვალე კარიერას მიაღწია და ოცდათექვსმეტი წლისა, უკვე დიდ სამშენებლო ტრესტს უდგა სათავეში. არჩილი და ნინო მცირე იმედებს როდი ამყარებდნენ თავიანთი სახელოვანი ნათესავის დახმარებაზე და არცთუ უმიზეზოდ, ახლა კი...

სადარბაზოში მკვეთრად ისმოდა ქალის ტირილის ხმა, ალბათ, ამ ხმაზე, ქვედა სართულზე ვიღაცამ კარი გამოაღო და თითქოს მიაყურადაო, მაგრამ შემდეგ ნაჩქარევად შებრუნდა უკან და კარიც მიიხურა. ხმაურზე არჩილი ფეთიანივით წამოხტა ზეზე, ცოლს მკლავში ხელი ჩავლო და თითქმის ძალით შეათრია შინ.

— შენ ყველას დაგვლუპავ, სიბრაზისაგან ხმაში კანკალი შეეპარა; კრინტიც არ დასძრა, ხმა ჩაიწყვიტე..

ნინო დაჭერილ ძმას მისტიროდა. გულუბრყვილო ქალს არც კი ესმოდა, თუ რაოდენ მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრებოდა მათ ოჯახს, მაგრამ არჩილისათვის ხომ გასაგები იყო, ახლო ნათესავის დაჭერა, უკვე წინასწარ გამოტანილ განაჩენს ნიშნავდა შენთვის.

იმ საღამოს, სქელფარდაჩამოფარებული ოთახში, ცოლქმარი გულმოდგინედ სინჯავდა საოჯახო ალბომის ფურცლებს და გვერდზე დებდნენ გოდერძის და მისი ოჯახის წევრების სურათებს. როდესაც ეს გადასინჯვა დამთავრდა, არჩილმა სურათების კარგად მოზრდილ დასტას ხელი მოავლო და ბუხარში შეუძახა, რის შემდეგ, ცრემლებისაგან სახედასიებულ ცოლს მიუბრუნდა:

— ყურადღებით მისმინე, ნინო, შესაძლოა, ჩვენი დღეები დათვლილიც იყოს. გადავრჩებით თუ არა, არ ვიცი, მაგრამ

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გადავრჩეთ. გარეთ ცხვირიც არ გაყო, სახლში იჯექი და ეცადე, ნაკლებად იხმაურო, კარი არავის გაუღო, ვინც უნდა დარეკოს. მე რომ სამსახურიდან დავბრუნდები, ჩემი გასაღებით გავაღებ, არ დავერეკავ. ერთი სიტყვით, მოიქეცი ისე, რომ თვალში არავის მოხვედ და დაიხსოვო, არავითარი ნაცნობები, ან ნათესავები, ყველა დაივიწყე, მორჩა, ჩვენ აღარავინ გვყავს და არც ჩვენ ვართ ვინმესთვის და კიდევ ერთი, — არჩილი ცოლს მიუახლოვდა, ხელები მზრებში ჩაავლო და თავისკენ მიიზიდა: — გოდერძის ცოლთან მისული თუ დაგინახე, ან ის ვიხილე აქ, თუნდაც ერთხელ... — მამაკაცის თვალებში ცრემლი გამოკრთა, ხმაში ბუხარი შეეპარა, — იცოდე, ჩვენ ერთმანეთისათვის აღარ ვარსებობთ, მათთვისაც ასე აჯობებს და ჩვენთვისაც.

ამრიგად დასრულდა არჩილის მშვიდი და წყნარი ცხოვრება. პირველად თავის სიცოცხლეში, მან იგრძნო სიკვდილის აჩრდილის მოახლოება. სამსახურში დაწინაურება, ახალი ბინა და ყოველივე სხვა ცხოვრებისეული წარმატებანი, რომელიც იყო მიზეზი ოჯახის თვითკმაყოფილების და ბედნიერებისა, იქცა წყაროდ მისი საკუთარი უბედურებისა. ახლა მას კიდევ შურდა იმ უფერული, მაგრამ უშფოთველი ყოფისა, რომელიც ადრე ჰქონდა და რომელიც (ეს ძალიან კარგად ესმოდა) უკვე საშუალოდ დაკარგა.

პოლკის ოფიცერთა წრეში არჩილი ხშირად ამჩნევდა თანამოსამსახურეთა უცნაურ დამოკიდებულებას მის მიმართ. ხან ეჩვენებოდა, რომ მას უყურებდნენ, როგორც ადამიანს, რომელმაც მალე უნდა გაათავისუფლოს მის მიერ დაკავებული ადგილი, ხან კიდევ პირიქით, ოფიცრები მასთან ზედმეტად უშუალონი და მზიარულნი ხდებოდნენ... სამსახურში იგი დადიოდა გულის კანკალით, ცდილობდა დაეჭირა ზურგს უკან მისკენ მიმართული მზერა, მაგრამ თავის მობრუნებასაც ვერ ბედავდა. თუ შორიან-



ლო ორი ან რამდენიმე კაცი იდგა და ერთმანეთში რაღაცაზე საუბრობდნენ, ერეგებოდა, რომ ლაპარაკი მას ეხებოდა, მაგრამ მიახლოებასაც ვერ ბედავდა. რამდენს მისცემდა არჩილი, რომ უჩინმანინის ქუდი პქონოდა და უხილა? ვი გამხდარიყო, მაგრამ სამწუხაროდ, საკუთარი სხეულის დამალვა შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევით ნასროლ მზერაში, ჩვეულებრივ მისაღმებამში, ადამიანთა ქცევაში, თუ მოძრაობაში ელანდებოდა, რაღაც ფარული აზრი, თითქოს უკვე ყველამ იცოდა მასზე რაღაც, მისგან დაფარული და მხოლოდ მან არ უწყოდა არაფერი. ხანდახან არჩილი საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ მთელი ეს მორჩენებანი მისივე ფანტაზიის ნაყოფი იყო, რომ იგი თავად ტანჯავდა საკუთარ თავს და ეს აზრები თითქოს გულს უკეთებდა, მაგრამ საკმარისი იყო, ვინმეს შემთხვევით მზერა დაეჭირა, რომ იმედის ეს შენობა თიხასავით დაფშვნილიყო და ყველაფერი თავიდან დაწყებულიყო. ის ახლა წინანდელზე უფრო ჩუმი, საკუთარ თავში ჩაკეტილი და ყველასათვის უცხო გახდა. განსაკუთრებით ეს შესამჩნევი იყო სახლში. შინ გაღიზიანებული ბრუნდებოდა, ხან ერეგებოდა, რომ თევშები არ იყო შესაფერისად დარეცხილი ან საჭმელი ჩანდა უგემური და ყველაფერში მეუღლეს ამტყუნებდა. ნინო ქმრის საყვედურებს უხმოდა ისმენდა, მაგრამ როდესაც არჩილი ხმაში მისთვის ესოდენ უცხო ბოდმას და გესლს გაურევედა, ქალი ხელებს აცრემლებულ თვალებზე აიფარებდა და მეორე ოთახში გადიოდა. არჩილი ერთხანს ჩუმად იჯდა თავისთვის და მხოლოდ ტურებს იკენებდა. მეტე კი, უკვე დამშვიდებული, საწოლ ოთახში შედიოდა, ატირებულ მეუღლეს მხრებზე ხელს გადახვევდა და ნაზად ეწურწულებოდა, რის შემდეგ ცოლ-ქმარი აკანკალებული ხმით უმხელდა ერთმანეთს გულის წუხილს, მაგრამ მეორე დღეს ყოველივე თავიდან იწყებოდა: შიში, ეჭვები, უნდობლობა, პირფერობა და სიუცხოვე. არჩილს ერეგებოდა,

რომ იგი ყველაზე უბედური ადამიანი იყო და მოსვენებას არ აძლევდა საკუთარი დანაშაულის შეგონებებს. რა თქმა უნდა, მას არავის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, მაგრამ შეუძლებელია იცხოვრო ამგვარი ყოფით თუნდაც გარკვეული დროის განმავლობაში და არ გაგინდეს დამნაშავეისთვის ჩვეული შიში. ხოლო შიში უკვე თავად ბადებს დანაშაულის გრძობას. არჩილის მდგომარეობა მით უფრო მძიმე იყო, რომ საკუთარ უბედურებასთან იგი მარტო რჩებოდა, უცხო ყველასათვის და ყველაფრის მიმართ, მაგრამ სწორედ აქ სცდებოდა. სინამდვილეში, ამგვარ ტაფაში იწვოდა მაშინდელ მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა, თუმცა, ყოველი მათგანი მხოლოდ თავის საკუთარ ტაფაში იხრაკებოდა და ეს იყო უმთავრესი მიზეზი მათი უბედურების და უსუსურობისა.



კაბინეტში ვახტანგი შემოვიდა, არეული ნაბიჯებით მიუახლოვდა საწერ მაგიდას და ზედ ჩამოჯდა. არჩილმა დაუფურნალო გრაფიკის წერას თავი მიახებ, სკამის ზურგს მიეყრდნო და თანამშრომელს ერთგვარი მოლოდინით მიაჩერდა.

— მოხდა რამე?

ვახტანგმა პასუხად, მხოლოდ მარჯვენა ხელი აიქნია, თითქოს რაღაცას უარყოფს, მაგრამ ეტყობოდა, უფრო თავს იმხნევებდა. სახეზეც სერიოზულად შეფიქრიაუნებული ჩანდა.

— არ ვიცი, თითქოს წვრილმანია, რაღაც სისულელე, მაგრამ... ამ სიტყვებზე მან ჯიბიდან თეთრი, მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე მომდგარი ოფლი ხვნეშით მოიწმინდა. — რაღაც ხათაბალაა, არჩილ, ჩემს თავს და არც კი ვიცი, რის გამო. დღეს პარტაქტივი იკრიბება ჩემი ჰირადი საკითხის გასარჩევად, — ვახტანგი შეჩერდა და მოსაუბრეს მიაჩერდა, თითქოს მისგან ელის რჩევას, მაგრამ არჩილი ჯი-

უტად დუმდა. — დამიჭერ მხარს კრებაზე? — ამოღერდა ბოლოს მან.

ვახტანგმა არჩილთან ერთად დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი. ისინი ერთად მსახურობდნენ რამდენიმე წლის მანძილზე და ახლო ნაცნობებადაც კი ითვლებოდნენ, ყოველ შემთხვევისათვის, მათი ურთიერთობა უბრალო თანამშრომლობაზე უფრო მეტი იყო. თავად არჩილი არა ერთხელ იყო ნამყოფი სტუმრად მის ოჯახში. ვახტანგის ცოლი, ლალი და ნინო ერთი სოფლიდან იყვნენ. ვახტანგმა სწორედ მათ ქორწილზე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე. ლალი არა თუ სოფელში, ქალაქშიც კი გამოირჩეოდა გასაოცარი მშვენიერებით, რის წყალობითაც ვახტანგი არა ერთი მამაკაცის შურის საგნად იქცა, თუმცა ერთმანეთის სიყვარულით გაბედნიერებული ცოლ-ქმარი ამ გარემოებას, ცხადია, დიდ ყურადღებას არც აქცევდა, ახლა კი ბედნიერი მეუღლის ნაცვლად, არჩილის წინ, არც თუ სახუმაროდ შემოფოთებული მამაკაცი იჯდა და მუდარანარევე მზერას არ აშორებდა მოსაუბრეს. არჩილს საკუთარი სიჩუმის შერცხვა, ფეხზე წამოდგა და მეგობარს გამამხნეველად მხარზე ხელი დაადო. — თქვი მინც, რა ამბავია შენს თავს...

ვახტანგი თითქოს ნიშანს ელოდაო. უმაღ გამოცოცხლდა, თვალებში იმედის ნაპერწკალი გაუკრთა და ალაპარაკდა: — ლალის გეფიცები, არ ვიცა, რა ბრალი მიმიძღვის, რადგან შეუძლებელია, რაშიც მე მამტყუნებენ, ამის გულისათვის კაცი პარტიიდან გარიცხონ, გუშინწინ, ბატალიონის მეთაურმა ღამის ჩამოვლაზე ჩემი ასეულის გუშავს მძინარეს მოუსწრო, ჰოდა, მაშინვე საყვედური მომხალა, ხოლო კომისარმა პარტკრებაზე გასატანად მოამზადა ჩემი საკითხი. ვითომ მე ასეულში ჩავშალე სამხედრო-პოლიტიკური მომზადება და ფაქტიურად მანებლობას ვეწევი. განა ეს მიზეზია?

არჩილმა ვაკვირვებისაგან მხრები აიჩჩა. — ვერაფერი გამიგია ასეთ წვრილმანს, ასეთი კული მოაბან. შენ შესანიშ-

ნავი ოფიცერი ხარ, არა ერთი მადლობა მიგიღია...

— არჩილ, სულ მცირე ბრალიც რამეში რომ მიმიძღოდეს, ხმასაც არ ამოვიღებდი, ისე დაედებდი თავს, მაგრამ უბრალო ვარ. შენზე, პოლკის კომიტეტის წევრზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ოღონდ ახლა შემავსელები ხელი და სიკვდილის კარამდე არ დაგივიწყებ ამ სიკეთეს.

აშკარად ჩანდა, ვახტანგი ვიღაცის ინტრიგების მსხვერპლად იქცა, არჩილი საკმაოდ პატიოსანი კაცი იყო იმისათვის, რომ ასეთი ამბავი გულთან ახლოს არ მიეტანა.

— გული არ გაიტეხო, რაშიც შემეძლება, ყველაფერში მხარს დაგიჭერ, გაბირდები.

— გმადლობ, არჩილ, გმადლობ, შენ კეთილი გულის კაცი ხარ, — ვახტანგი ოდნავ შეეყოვნა და მოსაუბრეს მადლიერი მზერა ესროლა: — შენ ადამიანი გეცოდება.

პარტაქტივი საღამოს ზუთ საათზე შეიკრიბა. ზალხით გაჭედით ოთახში თამბაქოს ბოლი ნისლივით იდგა, პარტიული ორგანიზაციის წევრები ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილნი თუ თითო-ორთადად განცალკევებულნი, კრების დაწყების მოლოდინში, ხმადაბლა საუბრობდნენ.

— არჩილ, აქეთ მოდი, — პარტორგანიზაციის მდივანმა ხელი დაუქნია და გვერდით მდგარ სკამზე მიუთითა.

არჩილი თავად აპირებდა კრების დაწყებამდე მდივნის ნახვას, რათა საკუთარი პროტესტი გამოეთქვა თანამშრომლების მიმართ ესოდენ უმსგავსო დამოკიდებულების გამო, მაგრამ სკამზე ჩამოქვდადარმა პირის ვალებაც ვერ მოასწრო, რომ მდივანი მისკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა: — იცოდე, დღეს ჩვენ ვახტანგი უნდა ჩაეპიროთ.

— მაგრამ...

— არვითარი მაგრამ, — მდივანმა მკვეთრად აიქნია ხელი, მუშტი სკამის ზურგს დაჰკრა და ოდნავ გასაგონი ხმით თქვა: აბა, იქით გაიხედე, ზედავ

ორ უცნობს სამოქალაქო სამოსში? იცოდე, შინსახკომიდან არიან. შენ როგორ გგონია, აქ ვისთვის მოვიდნენ, ვახტანგისათვის არა? ჩვენივეს, მოვიდნენ. უკვე თვენახევარი გავიდა, რაც შინსახკომიდან გეგმა მივიღეთ. იქ ზუსტად არის მითითებული, თუ რამდენი მანებელი უნდა გამომქვადეს ჩვენი პოლკის რიგებში. ამდენი ხანი გავიდა და ერთი კაციც არ არის მხილებული, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ თვითონ დაგეწამებენ მანებლობას და მთელ კომიტეტს დაგეპატიმრებენ. შენ გგონია, აქ ვახტანგის ბედი წყდება? სცდები, დღეს ჩვენი საკუთარი ბედი წყდება, ჩვენი, ყველასი, დაიმახსოვრე ეს კარგად, — ბოლო სიტყვებზე მდივანი ფეხზე წამოდგა და შინსახკომელებისაკენ გაემართა. იგი სამოქალაქოში ჩაემულ უცნობებს, რაღაცას უხსნიდა. ეს უკანასკნელნი თანხმობის ნიშნად, მხოლოდ თავს უქნევდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მძიმე, ამღვრული მზერით მოათვალიერა დარბაზი და ერთი წამით არჩილზე შეჩერდა. არჩილს ისეთი გრძნობა დაუფულა, თითქოს შხამიანი გველი უყურებდა.

ამ დროს ფანჯარასთან თავმოყრილ ადამიანთა ჯგუფს ვახტანგი გამოეყო და რიგებზე დაწყოხილა სკამებისაკენ წამოვიდა. მოდიოდა ფრთხილად, თითქოს წინასწარ ბოდიშს იხდიდა. მთელი მისი გარეგნობა და თვით თავდაჭერის მანერა გამოხატავდა ერთგვარ თხოვნას: — ნუ მომაქცევთ ყურადღებას, ნუ შესწუხდებით, დაიჭირეთ თავი ისე, ვითომც, მე აქ არ ვიყო, — მას მართლაც არავინ აქცევდა ყურადღებას. გზად შემხვედრნი, თითქოს შემთხვევით, ზურგს აქცევნენ, თვალს არიდებდნენ. არჩილმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ წელში ოდნავ მოხრილი ვახტანგი სკამებს შორის გაძვრა და მის გვერდით დაჯდა.

— რაზე გელაპარაკებოდა მდივანი?

— არაფერზე...

— მიშველი, არჩილ? — ვახტანგმა მოსაუბრის სახეზე ყოყმანი შენიშნა და სიტყვა პირში გაეყინა. მე ხომ არაფე-

რი დაიძაბებია, — ძლივს ამოღერდეს მცირე ხნის შემდეგ.

ვახტანგის ხმაში იმდენი მუდარა, თხოვნა და უსუსურობა იგრძნობოდა, რომ არჩილი დაიბნა კიდევ, მისთვის, ბუნებით რბილი ხასიათის კაიცსათვის, ყოველგვარ ძალას აღმატებოდა ხელი ეკრა ამ, უკვე წინასწარ განწირული ადამიანისათვის.

— დაგეხმარები, გქონდეს ჩემი იმედი, — ქურდული ჩურჩულით ისროლა მან ეს სიტყვები. ფეხზე სასწრაფოდ წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა თავმჯდომარის გრძელი მაგიდისაკენ, რომლის გარშემო კომიტეტის წევრები უკვე თავს იყრიდნენ. შემდგომში არჩილს, მოძალებული სინდისის ქნჯნის დროს არა ერთხელ უკითხავს საკუთარი თავისათვის, თუ რატომ მისცა ეს დაპირება, ხომ დღესავით აშკარა იყო, რომ არავითარი დახმარებისათვის მას არც ძალა, არც გამბედაობა არ ეყოფოდა, მაშინ რაღად ატყუებდა მასზე უკანასკნელ იმედად მინდობილ კაცს? ამ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობდა.

კრება მდივანმა ვრცელი შესავლით გახსნა. თავის სიტყვაში მან „ფართოდ და ღრმად გააშუქა“ ქვეყანაში, და კერძოდ, შეიარაღებულ ძალებში შექმნილი პოლიტიკური ვითარება. აღნიშნა „ხალხის მტრების“ ძირგამომთხრელი მუშაობის მასშტაბები წითელი არმიის რიგებში. რის შემდეგაც, აბსტრაქტული მასშტაბებიდან საკუთარ პოლკს დაუბრუნდა.

— ამხანაგებო მდივანი წუთით შეჩერდა და მძიმე მზერა მოავლო ოთახში შეკრებილთ. — სრული პასუხისმგებლობით და კრიტიკულად უნდა დავუსვათ საკუთარ თავს კითხვა, განა ჩვენთან კი ყველაფერი რიგზეა? თუ შეიარაღებული ძალების ეშელონების ყველა სტრუქტურაში მოხერხებულად მოკალათდა ფაშისტური, ბურჟუაზიის დამპალი აგენტურა, ნუთუ ჩვენს ნაწილში არ შეეძლო მტერს შემოეღწია? რა თქმა უნდა, შეეძლო, რა თქმა უნდა, იგი ჩვენს რიგებშიც საკმაოდ მოიძებნება და თუ



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

დღევანდელ დღემდე ისინი ჩრდილში იმალებოდნენ, ეს მხოლოდ ჩვენ საკუთარ საბეცეზე მეტყველებს, მაგრამ ნურავის ვაჩვენებ იმედი, — ორატორი სულის მოსათქმელად შეჩერდა და ტრიბუნაზე დადგმული ჭიჭიდან წყალი მოსვა. დარბაზში ამ დროს სრული სიჩუმე იყო გაშფეებული. მხოლოდინით განახული აუდიტორია თვალმოუშორებლად უყურებდა გამომსვლელს თითქოს ნიშანს ელისო. მხოლოდინი და მზადყოფნა, ალბათ, ამ ორი სიტყვით შეიძლებოდა იმ ატმოსფეროს მოკლედ გადმოცემა კრებაზე რომ სუფევდა. — ნურავის ექნება იმის იმედი, რომ პროლეტარიატის შურისმაძიებელ მახვილს გადურჩება. ეს მახვილი, ამხანაგებო, ყველა გველის წიწილას მისწვდება და საკადრისს მიუზღავს. როგორც ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში აღნიშნა, — თითქოს ნიშანი მისცესო, ხალხი ფეხზე წამოიჭრა და ოთახს ოვაციების ხანგრძლივმა ტალღამ გადაურა. ოვაციები რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. არჩილი, რომელიც თავად მთელი ძალისხმევით უკრავდა ტაშს, სხეულით გრძნობდა დარბაზში გაშფეებულ საერთო ბრმა ექსტაზს, რომელიც მასაც გადაეღო. ეს იყო, ალბათ, ერთმანეთში არეული შიში, სიხარული და აღფრთოვანება. საკმარისი იყო, ოვაციების ტალღა მცირედ შენელებულიყო, რომ კრების რომელიმე წევრის მორიგ შემახილზე: — „იღებთ ჩვენს ბრძენ ბელადს, ამხანაგ სტალინს!“ — ტაში ახალი ძალით აგრიალებულიყო. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. არჩილი, რომელიც რამდენიმე წუთის უკან მშვილდ იჯდა მაგიდასთან, ამჟამად თითქოს ტკებოდა კიდევ ექსტაზში ჩაძირული და ბედნიერი იყო ამ შეგრძნებებით, ამ წუთიერი სიმთვრალით: როდის შეწყდა ოვაცია არ ახსოვდა, რამეთუ ეჩვენებოდა, რომ ამ საერთო აღფრთოვანებას არ შეიძლებოდა ბოლო ჰქონოდა, მაგრამ ტაში დარბაზში როგორღაც მოულოდნელად ჩაქრა და მაინც, სამხედრო ინჟინერს რამდენიმე ხანს კვლავ გაჰყვა ეს შეგრძნება, შევ-

გრძნება იმისა, რომ იგი არის პატარა, მაგრამ მტკიცე და მორჩილი ნაწილაკი, რაღაც დიდი და ერთიანი სხეულისა. ამ შეგრძნებაში იყო რაღაც დამატობელი, რაღაც სასაიამოვნო. ხოლო მდივანი უკვე ვახტანგზე ლაპარაკობდა. ფართოდ აშუქებდა „მაყნებლის“ ძირგამომთხრელ, კონტრეველუციურ მუშაობას, ოღონდ არჩილს გამოჩნა, ორატორს არაფერი უთქვამს, თუ გამოსვლაში მართლა ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები, კერძოდ, რაში ადანაშაულებდა კრება ვახტანგს, თავად მიზეზი ბრალდების გრძელ და ამორფულ გამოსვლაში არ ჩანდა, თუმცა, როგორც კრების განწყობიდან შეიმჩნეოდა, ამას არც არავინ აქცევდა ყურადღებას. მთავარი იყო, რომ მათ წინაშე იდგა დამნაშავე, ხოლო რაში იყო ეს კაცი დამნაშავე, ამას არც ქონდა მნიშვნელობა და არც არავის აინტერესებდა.

— ვინ გამოვა სიტყვით? — იკითხა დასასრულ კრების თავმჯდომარემ. დარბაზში მსხდომთ ერთმანეთს გადახედეს. აქა-იქ არურულდნენ, მაგრამ გამოსვლაზე ყველა თავს იკავებდა.

— რაღა საჭიროა შემდეგი გარჩევა. ისეღაც ყველაფერი ნათელია, — მოისმა ცალკეული შემახილები უკანა რიგებიდან. დეე, თავად გაიმართლოს თავი. ენახოთ, რას იტყვის.

ვახტანგი დარბაზის შუაგულში გამოვიდა, თვალებს განწირულივით აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ხელის მოსაკიდს ეძებდა. ირგვლივ ყველა მას შესჩერებოდა. უყურებდნენ მტრულად, უნდოდ, გულგრილად...

— მე, — დაიწყო არეული ხმით ვახტანგმა. — მე მრავალი წელი ერთგულად ვემსახურებოდი... თავი არ დამიზოგია...

— ვინ დაგიდგება თავმდებად? — გააწყვტიწინა მდივანმა.

— მე შემპირდნენ, — ვახტანგმა მუდარის მზერა თავმჯდომარის მაგიდაზე შეაჩერა. არჩილმა თვალები ძირს დახარა და მაგიდაზე გადაფარებულ წითელ ტილოს დაამტერდა უაზროდ. ყუ-

რადღებთან დაკავშირებული ადვილად შეამჩნევდა, რომ მას პარტიის მიერ ეჭვმიტანილ ბრალდებულზე უკეთესი დღე როდი ადგა, თუმცა, საპირისპირო მხარეს, მოსამართლეთა შორის იჯდა და მაინც, არანაკლებ უბედური იყო საკუთარი შიშის და უსუსურობის გამო.

— დეე თქვას, ვის გულისხმობს თავმდებად, — გაისმა ხმები. შევხედოთ ერთი, ვინ არის ის ვაჟბატონი, ხალხის მტერს რომ თავმდებად უდგება, ვნახოთ ერთი, რას იტყვის, სად არის?

ვახტანგი ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა და მხოლოდ უმწეო, დასაკლავად განწირული კრავივით აცეცებდა თვალებს. ნელ-ნელა საერთო ყურადღება თავმჯდომარის გვერდით მჯდომ არჩილზე შეჩერდა. დარბაზი დაკვირვებით ადევნებდა თვალს ვახტანგის რეაქციას და მისი მუდარის გამოშხატველი ჩუმი მზერა უკვე ბევრმა შენიშნა. არჩილს უნებურად გაახსენდა ბავშვობის დროინდელი ერთი ეპიზოდი, რამაც (იგი ამაში ღრმად იყო დარწმუნებული) მნიშვნელოვნად იმოქმედა მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე. სოფელი, სადაც არჩილი გაიზარდა, პატარა მდინარის წყალობით, ორად იყო გაყოფილი. გამოღმელი და გაღმელი ბიჭები ხშირად ერთმანეთში ქიშპობდნენ და ეს მეტოქეობა არცთუ ისე იშვიათად, ნამდვილ ცემატყევაში გადადიოდა. ერთ-ერთი ასეთი შეჯახების დროს გაღმელები, რომელნიც უფრო მცირერიცხოვანი იყვნენ, გაიქცნენ, მხოლოდ ერთმა, ყველაზე პატარამ, ვერ მოასწრო გაქცევა, რადგან მუხლი ჰქონდა ნატკენი და კოჭლობით ძლივს დადიოდა. დანარჩენების ხელიდან გაშვებით დაბოლმელი ბიჭები, იმ ერთს მიესივნენ, წრეში შეაგდეს და ცემა დაუწყეს. დასისხლიანებული ბავშვი ქვიშაზე დაეცა და ზევიდან დაშენილი წიხლები როგორმე რომ აერიდეინა, ერთიანად მოიკუნტა. მაინც ჯიუტად არ იღებდა ხმას, როგორც ჩანს, მუდარაყვირილით თავის დამცირება არ უნდოდა, რაც უფრო ამწარებდა თავდამსხმელებს. არჩილს გულმა ველარ

მოუთმინა და მოჩხუბრებს შორის ჩადგა, — რას შვრებით. როგორ არა გრცხვებით, ნუ ურტყამთ!

ვიღაცამ ხელი ჰკრა და გვერდზე გასწია. — წაეთრე აქედან, შე დედალო, ფეხებში ნუ გვეჩრები.

არჩილს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სილა გააწნესო, მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი თანატოლის შეურაცხყოფელმა კილომ დაამცირა და გააბრაზა, უბრალოდ, სირცხვილი იგრძნო, რომ საკუთარი გულწვილობა გაამყვანა და თანატოლების დასაციინად გაიხადა თავი. ერთაშად დაფრთხა, მოიბუზა და ჩხუბის ადგილს სიბრალდისაგან და სირცხვილისაგან გულშეკუმშული გასცილდა. ჰოდა, ახლაც, რაღაც ამის მაგვარს განიცდიდა. თითქოს დედიშობილა გამოავადესო ხალხის წინაშე. გუნებაში საკუთარი ხასიათის სირბილეს და უგერვილობას წყევლიდა და მხოლოდ იმას ნატრულობდა მიწა ფეხქვეშ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ოღონდ კი აქედან გამქრალიყო. ამ წუთში მას კიდევ სძულდა ვახტანგი. ადამიანი, რომელმაც თუმცა უნებურად, მაინც აიძულა, თავი გაეშისვლებინა და საკუთარი არარობა, რომელსაც ყოველთვის ასე გულმოდგინედ მალავდა, საშკარაოზე გამოეტანა. შიშის და სირცხვილის გრძნობა, ბავშვობის იმ ეპიზოდის არ იყოს, ამჟამადაც ესოდენ თვალნათლივ რომ გამოჩნდა, ერთხანად ახრჩობდა მას. სამხედრო ინჟინერი ნელ-ნელა წამოადგა, ოღონდ თავი ვერ ასწია. მისი მზერა კვლავ მაგიდაზე გადაფარებულ წითელ ტილოზე იყო მიმსჭვალული.

— ლაპარაკი ჩვენ მართლაც გვქონდა, მაგრამ თავმდებობას არ შევპირებივარ, ანდა როგორ შევპირდებოდი, როდესაც მის გულახდილობაში არ ვარ დარწმუნებული.

— თქვენ ფიქრობთ, რომ იგი არ იმსახურებს პარტიიდან გარიცხვას? — ამას ოდნავ წინ გადმოხრილი, ერთ-ერთი შინსახკომეული ეკითხებოდა.

— მე... მე არ ვიცი, როგორც კრება

გაღწევებს. მე კრების გაღწევებილეს დავემორჩილები.

— ნეტავი, რას ვარჩევთ, — წინა რიგში მჯდომი კრების ერთ-ერთი მონაწილე, პარტიამი ახლად მიღებული ოფიცერი, მეზობელი ბატალიონიდან ფეხზე წამოვდა. — ისედაც ყველაფერი ნათელია, გახურებული შანთით უნდა ამოიდალოს ამისთანა გველის წიწილა! — კრება ერთბაშად ახმაურდა, გამოცოცხლდა, დარბაზში მყოფნი ფეხზე დაგბოდნენ და მუშტის ქნევით მოითხოვდნენ მაგნებლის მოკვეთას პარტიის რიგებიდან. ტრიბუნაზე ერთიმეორეს მიყოლებით გამოსული ორატორები ებითეტებს არ იშურებდნენ ვახტანგის „კაციჭამიური“ მოღვაწეობის გამოსაშვარავებლად და ახლაც, როგორც მდივნის გამოსვლისას, არავის უკითხავს, არ დაუზუსტებია ის ყოველთა დანაშაული, რომელმაც კოფილი კომუნისტი ერთ დღეში „ხალხის მტრად“ აქცია. მსჯავრდადებულისათვის ეს ყველაზე მთავარი საკითხი, კრების მსჯელობის მიღმა დარჩა, ვით მისთვის უცხო თემა...

კრების დასასრულს, ყველა ფეხზე წამოიშალა, ვახტანგის უკვე აღარავინ აქცევდა ყურადღებას, ზედაც არ უყურებდნენ. თვალს არიდებდნენ. როდესაც იგი თავზარდაცემული და განადგურებული, არეული ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისაკენ, ყველანი გზას უთმობდნენ. გზიდან ეცლებოდნენ, ვით ჭირიანს, რომელთან შეხებაც კი საშიშია. გაუბედურებული და მარტოსული მიდიოდა იგი ამ ადამიანებისაგან შექმნილ ცოცხალ დერეფანში, ვით კეთროვანი და მოკვეთილი საზოგადოებისაგან. ხალხმრავალ დარბაზში, მხოლოდ მან, ერთადერთმა უწყოდა, რომ ყველაზე მძიმე, აუტანელი და სასოწარმკვეთი, დასაპატიმრებლად განწირული ადამიანისათვის, უფრო მძიმე, ვიდრე ხელისუფლების მიერ მისი გაწივრა, ვიდრე პარტიიდან გარიცხვა და დაჭერა, იყო სწორედ ეს მოკვეთა ყველასაგან, ვისაც კი ჯერ კიდევ გუშინ თავის მეგობრებად და ნაცნობებად თვლიდა.

შემდგომში არჩილი დიდხანს არ მუნებდა საკუთარ თავს, რომ ის რაც მოხდა, მოხდა მის გარეშე და თავად ბრალი არ მიუძღვის; იგი ეუბნებოდა საკუთარ თავს: — მართალია, ირგვლივ ათასი მამამძღობა კეთდება, მაგრამ ეს არ არის ჩემი საქმე. დეე, მათ აკეთონ თავიანთი ბინძური საქმენი, ხოლო მე ამაში მონაწილეობას არ მივიღებ...

## უფროსი ბაიოპიკების დახით კვერნაძის ცხოვრების საქმე

პატიმარი ახალი გასული იყო კაბინეტიდან. დავითი წამოვდა, რგოლზე ჩამოკიდებული გასაღებით კუთხეში მდგარი ცეცხლგამძლე სეიფი ვალო, იქიდან მისთვის საინტერესო რამდენიმე შეკვრა გადმოიღო და მაგიდაზე გაშალა. ოთახში არავინ იყო და დავითს საკმაოდ დრო ჰქონდა გაერჩია ერთი საჭირობოტიო საკითხი, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა მოსვენებას არ აძლევდა. დაახლოებით ორი კვირის წინ შინსახკომში რაღაც გაურკვეველი ცვლილებები მოხდა. რამდენიმე პასუხისმგებელი ჩეკისტი თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს. რეპრესიების სისხლიანი მანქანის ღერძი ჯერჯერობით ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ ჯიუტად ტრიალებდა. დაიწყო თავისებური უკუპროცესი საშიში და, მით უფრო ავისმომასწავებელი, რომ ამჯერად სიკვდილის აჩრდილი თავად იმ ადამიანების ზურგს უკან აღიმართა, რომელნიც ადრე სხვებს იჭერდნენ, სვამდნენ, ასამართლებდნენ და ხერტდნენ. რამდენი ცრემლი, უსამართლობა და სისასტიკე შეხვედრია უფროსი გამომძიებელ კვერნაძეს თავის მრავალფეროვანი მოღვაწეობის გზაზე, მაგრამ ყოველივე ეს, მართალია, სავალალო, მაგრამ საჭირო აუცილებლობად მიაჩნდა. აუცილებლობად, რომელზეც რევოლუციას უნდა გაევიღო.

უეცრად კაბინეტის კარები გაიღო და ოთახში მეორე განყოფილების მდივანი ქალი შემოვიდა: — ამხანაგო პირველი რანგის გამომძიებელი, თქვენ გინმობთ



მოსკოვიდან ჩამოსული პასუხისმგებელი ინსპექტორი, გასაუბრებაზე, — მღივანი ასე, თერამეტ-ცხრამეტი წლის იქნებოდა. ცისფერი, მოგრძო თვალებიდან ახალგაზრდული უდარდებლობა და ქალური ცნობისმოყვარეობა გამოკრთოდა. კონაწიად უკან გადავარცხნილ შავ თმაზე მოღაში ახლად შემოსული, წინწკლებიანი ბაფთა ეკეთა. ეს ნორჩი და მშვენიერი არსება თითქოს სხვა სამყაროდან იყო მოსული. დავითმა ნაჩქარევად დახურა საქმე. — გადვით, რომ ნახევარ საათში მოვალ, — უპასუხა მღივანს.

— ახლავე გთხოვენ...

მეტი გზა არ იყო. გამოძიებელმა მძიმედ ამოიოხრა, საქმე ინსტინქტურად გამოწვეულ უკრაში ჩააგდო და მღივან ქალს უკან გაჰყვა.

დერეფანში არავინ ჩანდა, მხოლოდ კიბესთან ჩამოკიდებულ დაფაზე ვიღაცა განცხადებებს კითხულობდა. საგამომძიებლო ოთახების კარი მჭიდროდ მიუკეტათ. აქ მიზანშეწონილი არ იყო ზედმეტი ყურადღების მიქცევა საკუთარ თავზე. მღივანმა შეუჩერებლევ ჩაუარა სამ კარს, მეოთხესთან შეჩერდა, ფრთხილად დააკაკუნა და შეაღო: — ანტონ ილიას ძე, უფროსი გამოძიებელი კვერნაძე...

ოთახიდან მოისმა მკვეთრად ნათქვამი სიტყვა: — შემოვიდეს!

მაგიდიდან ასე, ორმოც წელს მიღწეული მაღალი, ქერათმიანი რუსი ოფიცერი წამოდგა. დავითს თვალში ეცა საოცარი კონტრასტი ჩრდილოელებისათვის დამახასიათებელი თეთრი სახის კანის, აზიურად წვრილი, შავი თვალების და სწორი ბერძნული ცხვირისა.

მოსკოველმა სტუმარმა გამოძიებელს მაგიდის წინ მდგარ ბრტყელბურვიან სკამზე მიუთითა, ყაზბეგის კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა. დავითს არ ესიამოვნა, რომ მოწვევა მასაც არ შესთავაზეს, ეს ცუდი ნიშანი იყო.

— ჩემი სახელი და გვარია ტეპლოვი, ანტონ ილიას ძე ტეპლოვი. ვარ უშიშროების ორგანოს პასუხისმგებელი მუ-

შაკი, ამჯერად ინსპექტორად მსახურობდი თბილისში. როგორც გაირკვა, თქვენთან (დავითს ეხაპუსა სიტყვა „თქვენთან“, რომელსაც მოსაუბრემ საკმაოდ უემბეხად გაუსვა ხაზი) ადგილი ჰქონდა ცალკეულ, მაგრამ საკმაოდ უკანონო გადახვევებს, უდანაშაულო ადამიანთა უშიშროდ რეპრესიებს. იქ, ზევით, — ტეპლოვმა საჩვენებელი თითი მაღლა ასწია, — წარმოიქმნა აზრი, რომ აქ საქმე გვაქვს არა ცალკეულ შეცდომებთან, არამედ წინასწარ გამიზნულ ტროცკისტულ ძირგამომთხრელ, კონტრევოლუციურ საქმიანობასთან, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტირებას მშრომელი ხალხის თვალში, — ტეპლოვი შეჩერდა და გამოძიებელს მზერა ესროლა; შეატყო, თუ როგორ (თუნდაც ოდნავ შესამჩნევად) აუთრთოლდა ამ უკანასკნელს ტუჩები. პაპიროსის კოლოფი მიუწია და ხელით ანიშნა:

— შეგიძლიათ მოსწიოთ.

— გმადლობთ.

— ამ საქმესთან დაკავშირებით, დაკავებული გყავს რამდენიმე თქვენი თანამშრომელი, რომელნიც საკმაოდ ახლო ურთიერთობაში იყვნენ თქვენთან.

დავითს უნდოდა შეპასუხებოდა, ეთქვა, რომ მას ხალხის მტრებთან არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ სიტყვა ყელში ეჩხირებოდა და მონუსხულივით უყურებდა ინსპექტორს, რომელიც ლაპარაკს განაგრძობდა.

— მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ თქვენ მათთან ერთად იყავით, მაგრამ სიფხიზლე ვერ გამოიჩინეთ, დროზე ვერ გამოაშკარავეთ მავნებლები და საშუალება მიეცით მათ დაეღუპათ უდანაშაულო ხალხს, ეს უდავო ფაქტია; და ეს ფაქტი თქვენს წინააღმდეგ მუტყვევლებს. მე ყურადღებით წავიკითხე თქვენი დახასიათება. ხართ პარტიის წევრი 1925 წლიდან, უშიშროების ორგანოებში თავი გამოიჩინეთ, როგორც პრინციპულმა, უნარიანმა ჩეკისტმა და უცებ ასეთი სიბეცე რა უნდა ვიფიქრო, თქვენ ხომ პირველი წელი არა ხართ ჩეკაში.

დავითი ბოლო სიტყვებზე ინერციულად ფეხზე წამოხტა, შუბლზე ოფლის მსხვილმა წვეთებმა დაასხა. — აღიარე, ყველაფერი აღიარე, მხოლოდ ეს თუ გიმეორებ, — ბრძანებასავით უკარნახა საკუთარ თავს, მხნეობა მოიკრიბა და კბილებს შორის ლამის ძალდატანებით გამოსცრა. დიახ, დიახ, მე შევეცი, ვერ გამოვიჩინე სიფხიზლე და საკუთარი თავის გასამართლებლად არაფერი მეთქმის. თუ პარტია თვლის, რომ მე სასჯელის ღირსი ვარ, დეე დავისაჯო...

ტეპლოვმა ჩუმად და აუღელვებლად მოისმინა ბოლო სიტყვები. ყველაფრიდან ჩანდა, რომ იგი ასეთ მონანიებას მიჩვეული იყო. — შეგიძლიათ წახვიდეთ, საჭიროების შემთხვევაში გამოვიძახებენ და კიდევ ერთი, ქალაქი ჩვენი ნებართვის გარეშე არ დატოვოთ.

დავითი, მთვრალივით გამოვიდა კაბინეტიდან. სამუშაო ოთახში დაბრუნება აღარ გახსენებია. უაზრო ნაბიჯებით გაიარა დერეფანი და კიბეზე დაეშვა. სადარბაზოსთან გუშაგმა გაკვირებული მზერა გააყოლა, მისთვის კარგად ნაცნობი, ენერგიული ჩეკისტის უჩვეულოდ არეულ ნაბიჯებს. ქურის სუფთა ჰაერმა, ავტომობილების ხმაურმა და ხალხის სიმრავლემ თითქოს გონს მოიყვანა დავითი. იგი წელში გასწორდა და შინსახკომის შენობას აჩქარებული ნაბიჯით გაშორდა. სამსახურის მანქანა გარაეში იდგა, მძღოლის გამოძახებასაც არაფერი უნდოდა. მაგრამ დავითი ყველაზე მეტად ახლა მარტოობას ესწრაფვოდა. მით უმეტეს, ვერ იგუებდა იგი ყოველივეს რაც, ასე თუ ისე, მის სამსახურთან იყო დაკავშირებული.

ყველაზე უფრო შემადრწუნებელი შთაბეჭდილება გამოიმძიებელზე მოახდინა არა მისი პიროვნების მიმართ აღძრულმა ეჭვებმა ან სიცოცხლის მოსპობის საფრთხემ, არამედ იმ გულგრილმა კილომ, ინსპექტორის ხმაში აშკარად რომ გამოსჭვიოდა. მოსკოველი ჩეკისტის თავდაჭერა ზუსტად ისეთი იყო, როგორც მისი საკუთარი, ბოლო წლებში პატიმრებთან მრავალრიცხოვანი და-

კითხვების დროს. იგივე სიუცხოველში, უნდობლობა კითხვებში, სიცივე მზერაში. ყველაფერი, რაც მოხდა, იყო საოცრად ნაცნობი და ამავე დროს წარმოუდგენლად უცხო, რადგან ყოველივე ხდებოდა პირიქით, და ამიტომ, უკვე ათასჯერ მომხდარი, ხდებოდა პირველად. დავითი განიცდიდა უხერხულობასა და დაბნეულობაში ნარევი მტკიცე ეულ გრძნობას, რომელიც შეიძლება დაეუფლოს გამოცდილ მონადირეს, ბუნების ყველა კანონის საწინააღმდეგოდ, სრულიად მოულოდნელად, თავად რომ აღმოჩნდება სამიზნეზე გამოგდებული ნადირის როლში. საქმე ის კი არ იყო, დამშანავედ თელიდნენ მას თუ არა. ამ საკითხს გამომძიებლისათვის, იმდროინდელი რეპრესირებულთა აბსოლუტური უმრავლესობისაგან განსხვავებით, მეთაუბარისხოვანი მნიშვნელობა თუ ჰქონდა. ყველაზე მთავარი და საშინელი მდგომარეობა იმაში, რომ ხდებოდა, ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, რაც არ შეიძლებოდა მომხდარიყო და ამას ვერავინ გრძნობდა, ვერავინ ამჩნევდა.

მოსახვევიდან გამოსული ტრამვაის წკრიალა სიგნალმა გამოიმძიებელი ფიქრებიდან გამოიყვანა. თითქოს გამოფხიზლდა, თავი მალლა ასწია და ირგვლივ მიმოიხედა. ბესიკის ქურა უკვე გამოველო და ახლა გაშვირზე იმყოფებოდა. ქურაში თოვლი მოდიოდა. სიცივემ დავითს გაახსენა, რომ შინელი სამუშაო კაბინეტში დარჩა. პალტოს აწეულ საყელოებში თავიარგული გამვლელები აჩქარებული მიმოდიოდნენ. ირგვლივ ნახევრად ნისლიანი, პირქუში ამინდი იდგა. საშინელი სევდა შემოაწვა დავითს გულზე. ხალხმრავალ გაშვირზე იგი საოცრად ეულად გრძნობდა თავს: ადამიანები უცხო, ქურები უცხო, ყველაფერი უცხო და გულსამრევი. მკერდში სიძულვილი შემოაწვა ყველაფრის მიმართ და იგრძნო, რომ რაც უფრო მალე მოსცილდებოდა აქაურობას, მით უფრო მოითქვამდა სულს. გამომძიებელმა თავი მხრებში ჩარგო და გულდამ-

მიმებული დაუყვანა სახლისაკენ მიმავალ გზას.

შინსახკომში მუშაობის პერიოდში, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, დავითს გამოუმუშავდა ერთგვარი შინაგანი რწმენა იმისა, რომ ყოველი ადამიანი აუცილებლად რაღაცაში არის დამნაშავე, ხოლო უდანაშაულო, შინსახკომის თანამშრომლების გარდა, არავინ შეიძლება იყოს, ამიტომ მას აქვს უფლება დაიჭიროს ნებისმიერი მოქალაქე და მოექცეს ისე, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ და ეს აზრი სამართლიანად ეჩვენებოდა. სამართლიანი იყო ის, რომ, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, ყოველი მოქალაქე, განურჩევლად ასაკის, სქესის, თუ თანამდებობისა, იყო მის ხელში; სამართლიანი იყო ისიც, რომ სწორედ მას ეყრატა ეს განუსაზღვრელი და არაფრით შეზღუდული ძალა-უფლება.

1937 წლის რეპრესიები იმ დროს ახალ ძალ-ღონეს იკრებდა: ათასობით და ათიათასობით „ხალხის მტერი“; სისხლით მორწყული დასაკითხი კაბინეტები; წამებისაგან ჭკუაგადასულ პატარათა ისტერიული ხარხარი; ცრემლი თუ გონებრივი დაჩლუნგება...

— მე არაფერი დამიშავებია, — ცრემლმორეული იხვეწება მორიგი განწირული, — თქვენ ხომ ჯერ არ დაგიმტკიცებიათ...

დავითის ნაცრისფერი თვალების ღრმა ჭრისში ცივი სხივები კრთება. მხერა თითქოს ჩხვლელს პირისპირ მჯდომარეს. სუფთად გაპარსული სახის ნაკეთები, თითქოს ნაჯახით ჩამოთლილი, ხდება ქვასავით უძრავი და უგრძნობი. მაშასადამე, შენ შინსახკომს ბრალს სდებ? გამოდის რომ, ალალი კაცი ჩეკამ უდანაშაულოდ დაგიჭირა. ასეც ჩავეწერთ; დამნაშავე ბრალს სდებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ცილისწამებაში.

— არაფერი მაგის მაგვარი მე არ მითქვამს, — ლამის ბლავის შიშისაგან დაზაფრული პატიმარი.

— მაშ რახან შინსახკომს შენთვის

ცილი არ დაუწამებია, გამოდის, რომ სამართლიანად ხარ დაჭერილი, გამოდის, რომ ნამდვილად ხალხის მტერი ხარ, განვაგრძოთ დაკითხვა?..

— განვაგრძოთ, — ფრთხილად ეთანხმებოდა გამოძიებლის „რკინის“ ლოგიკით, კუთხეში მომწყვდეული პატიმარი.

დავითს არ სწამდა ადამიანების. იგი არ ენდობოდა არავის და, როდესაც ადამიანთა საქციელში ვერაგობას, სიფლიდეს ან ორგულობას ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს პატიოსან ადამიანად თვლიდა, იმედგაცრუების ან აღშფოთების მაგივრად, გულში ფარულ კმაყოფილებას გრძნობდა, ხოლო ამგვარ ეპიზოდს აღიქვამდა, ვით კიდევ ერთ საბუთს საკუთარი შეხედულების სისწორისა და, პირიქით, ადამიანის კეთილშობილება, პატიოსნება, თუ ერთგულება გამოძიებელში იწვევდა ახალ ეჭვებს და უფრო მეტ უნდობლობას. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დამნაშავესა და უდანაშაულოს შორის ის განსხვავებაა, რომ უდანაშაულო მხოლოდ კარგად შენიღბული და ამიტომ უფრო საშიში დამნაშავეა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გამოძიებელი არ იყო სადისტი ან კატომოძულე მიზანთროპი, პირიქით, მას ნამდვილად სჯეროდა და ამაში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყოველივე, რასაც იგი აკეთებს ემსახურება, სწორედ ადამიანების მომავალი ბედნიერების საქმეს (თუმცა ნათელი წარმოდგენა არც ჰქონდა; თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ეს მომავალი, მაგრამ მას იტაცებდა არა მიზანი, ან შედეგი, არამედ თავად ეს პროცესი შეურიგებელი ბრძოლის და მზადყოფნა ამ საქმისათვის თავის განწირვისა). სხვა თანამშრომლებისაგან განსხვავებით, მას არასდროს გამოუყენებია საკუთარი ძალაუფლება პირადი ინტერესებისათვის. შინსახკომის მუშაკები ბოლო ხანებში დიდი სიამოვნებით სარგებლობდნენ სამსახურეობრივი მდგომარეობით და „ხალხის მტრების“ ხარჯზე ერთიმეორეზე



უკეთს ბინებში უსახლებოდნენ. დავითი ყოველივე ამის მიმართ გულგრილი იყო. მუდამ სერიოზული, შუბლმოღრუბლული და გამჭოლი, უნდო მზერით, ახსოვდა იგი ყველას. არავის უნახავს მისი სიცილი, არავის მიუშართავს მისთვის „შენობით“, მას არც ჰყავდა მეგობრები, არ იყო კაცი, ვინც მის მიერ მკვეთრად გავლებულ ამ ოფიციალურობის ზღვარს გადალახავდა და ეს საქციელი სანანებელი არ გაუზღებოდა. მის სახეზე შეუძლებელი იყო რაიმე ვნების, თუ სურვილის წაკითხვა.

თითქოს არ იყო ამ კაცში სუსტი წერტილი: ოჯახი, ახლობლები, დეინო, მატერიალური კეთილდღეობა, ქალები, ფული, ყოველივე ამის ფლობა-არფლობას დავითი, ალბათ, არათუ ყურადღებას არ აქცევდა, არამედ, უბრალოდ, ვერც ამჩნევდა. იდეის ერთგულს, არც ჰქონდა პირადი ცხოვრება, მით უფრო, არ ჰქონდა პირადი ინტერესები, არ ჰყავდა პირადი მტრები (და აგრეთვე მეგობრები), რომელთათვის შეიძლებოდა ანგარიშის გასწორება. ამიტომ იგი ზიზღით უცქეროდა ანგარებაატანილ კოლეგებს, დაწმუნებული იყო, რომ თავად მათზე ბევრად მაღლა იდგა და გულში კიდევ მოჰქონდა თავი საკუთარი პატიოსნებით. მაგრამ შეცდებოდა ის, ვინც იფიქრებდა, რომ ამ კაცისათვის უცხო იყო ყოველივე ადამიანური. პირიქით, იგი ბევრად უფრო პატივმოყვარე და ვნებიანი გახლდათ, ვიდრე ბევრი სხვა, ანგარებიანი თავკერძა. და ეს იყო დავითის პიროვნების მთავარი საიდუმლო, რომელიც ბოლომდე თავადაც არ ჰქონდა გაცნობიერებული. მართალია, მისი ვნებების ერთადერთი, მაგრამ უშრეტო წყარო იყო იდეა, იდეის სიყვარული. ამ სიყვარულს არც მალავდა, პირიქით, ყოველნაირად ხაზს უსვამდა მას, მაგრამ, შესაძლოა, ვერც გრძნობდა, რომ იდეის სიყვარული მასში თავად იღებდა სათავეს საკუთარი თავის სიყვარულიდან და სწორედ ამიტომ, მიუხედავად გარეგნული ასკეტიზმისა იგი ბევრად უფრო გაუმამძარი და დაუცხრომელი მონა

იყო გარყვნილებისა, ვიდრე თუნდაც ყველაზე ნამუსწამხდარი ადამიანი, ან ყველაზე მეტად გამოუსწორებელი კარიერისტი. მას სწამდა, რომ კაცობრიობის სიკეთისათვის იბრძოდა, მაგრამ ამ ბრძოლას არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანის სიყვარულთან, ალბათ, ამიტომ ეს სწრაფვა კაცობრიობის ბედნიერებისაკენ, მის წარმოდგენაში იქცა იდეად, რომელიც თავად გაუთანაბრდა ადამიანის ბედნიერებას და დავითს უყვარდა უკვე არა ადამიანები, არამედ ეს იდეა ადამიანთა ბედნიერებისა. იდეა თავად გულისხმობდა ბედნიერებას. ცალკეული ადამიანები, მხოლოდ ხელს უშლიდნენ ამ ბრძოლაში, ისინი უფრო ხშირად მოწინააღმდეგედ ევლინებოდნენ იდეას. სხვათაგან არც შეიძლებოდა ყოფილიყო, არა მარტო იდეის, თვით მასების სიყვარულიც ადამიანს მოითხოვდა მსხვერპლად. მასა იწოვდა კაცს, იდეა კლავდა მას. იდეა იქცა ფეტიშად, დიქტატორად, ცოცხალ ადამიანს მოწყვეტილი, იგი ამჯერად განაგრძობდა არსებობას, მხოლოდ საკუთარი თავისათვის, არსებობას უკვე ადამიანის საზიანოდ.

ოჯახში და ახლობლების წრეში დავითს ხშირად უყვარდა ჩივილი იმ სიმძნელებთან დაკავშირებით, ყოველდღიურ სამსახურს რომ სდევდა თან, და ყოველთვის აღნიშნავდა, თუ რაოდენ დაღალა ასეთმა ცხოვრებამ, მაგრამ ეს ჩივილი არ გამოხატავდა მის რეალურ სულიერ მდგომარეობას და მხოლოდ იგივე ჰეგელიანური თავმოწონეობა უბიძგებდა მას ტანჯული ადამიანის პოზა მიეღო. სინამდვილეში დავითი კმაყოფილი იყო საკუთარი ბედით. საქმე, რომელსაც იგი მართლაც მთელი თავისი არსებით ეძლეოდა, მისი აზრით, იყო საინტერესო, სასარგებლო, რაც მთავარია, ერთადერთი და მნიშვნელოვანი და თუმცა ფიზიკურად მართლაც ხშირად იღლებოდა სულიერად მაინც კმაყოფილი იყო. ამიტომ, როდესაც ღამეული დაკითხვების შემდეგ შინ დაბრუნებული, ძილს მიეცემოდა, მისი მშვიდად მთვლე-

მარე სახის შემყურე, ძნელად თუ წარმო-  
იდგენდი, რომ სწორედ ეს კაცი ერთი-  
ორი საათის წინ, რეზინის მსხვილი  
ხელკეტით ძველებს უმსხვრევდა, ისე-  
დაც წაძებისაგან გაღებულ და დაავად-  
ყოფებულ „ზევებს“.

რა თქმა უნდა, დავითი, ისევე რო-  
გორც სტალინის დროის ყველა სხვა ჩე-  
კისტი, იყო ჭეშმარიტი ჯალათი, ურ-  
ჩხული, რომლის კისერზე ეკიდა ბევრი  
უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე,  
მრავალი და მრავალი დანგრეული ოჯა-  
ხი, მაგრამ ამავე დროს მას მართლა  
სწამდა, რომ პატიოსანი ადამიანი იყო  
და ამ მიზეზის გამო, ბევრად უფრო  
სასტიკი და საშიში გახლდათ, ვიდრე,  
თუნდაც ყველაზე სულდაცემული და  
განრწინილი ბოროტმოქმედი. მაგრამ  
ამავე მიზეზთა გამო, გამომდინარე ბუ-  
ნების და სამართლიანობის უმადლესი  
ლოგიკიდან, სწორედ ის გარემოებანი,  
რომელმაც დავითი აქცია მრავალი ადა-  
მიანის დაღუპვის და უბედურების მი-  
ზეზად, ადრე თუ გვიან, უნდა ქცეული-  
ყო წყაროდ მისი საკუთარი უბედურე-  
ბისა.

მოსკოველ ინსპექტორთან გამოძახე-  
ბის შემდეგ, დავითის ცხოვრებაში გა-  
რეგნულად არაფერი შეიცვალა, თანამ-  
შრომლების თვალში იგი იყო და რჩებო-  
და ჩეკას გავლენიან ჩინოვნიკად. ვით პა-  
რტიული ბიუროკრატიის პრივილეგი-  
რებული შრის, სრულუფლებიანი წევ-  
რი, იგი ცხოვრობდა დედაქალაქის ერთ-  
ერთ საუკეთესო უბანში, ხუთთაზიან  
კეთილმოწყობილ ბინაში. იღებდა მა-  
ღალ ხელფასს, ჰყავდა პირადი მძღოლი  
მანქანით, ეჭირა შინსახოცში ერთ-  
ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა.

ერთი სიტყვით, გარეგნულად, თვით  
წერილმანებშიც კი, ცხოვრება ძველ,  
ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა, ოღ-  
ონდ ეს მხოლოდ გარეგნულად. რაღაც  
ახალი და მნიშვნელოვანი, რომლის იგ-  
ნორირება არაფრით არ შეიძლებოდა,

ხდებოდა დავითის ცხოვრებაში. პირვე-  
ლი ეჭვები, ინსპექტორთან გასაუბრე-  
ბის შემდეგ თავისთავად რომ ამოტიუ-  
ტივდა მის გონებაში, რაღაც დროის  
გასვლის შემდეგ, თითქოს დაჩლუნგდა,  
მაგრამ სრული გარკვეულობა ამ საკითხ-  
ში აღარ აღმდგარა. თვით დავითხვების  
დროსაც კი, გამოძიებელი ხშირად ატ-  
ყობდა საკუთარ თავს არა ყოყმანს, ან  
მით უფრო ეჭვს, საკუთარი ცხოვრების  
საკუთარი საქმის მიმართ (ყოველივე  
ამისაგან დავითი, ყოველ შემთხვევისათ-  
ვის, იმ დღეებში შორს იყო), არამედ  
ყველაფრისადმი ინტერესის აბსოლუ-  
ტურად დაკარგვას. მას ძველებურად  
აღარ ახარებდა მორიგი ბრალ-  
დებულის აღიარება; ახალი საქმე  
ველარ აღვიძებდა მასში ბრძოლის ჩვე-  
ულ აზარტს, ბრძოლა, რწმენა, თავად  
სიცოცხლაც კი, ყოველივე რაც ადრე  
მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი და  
აუცილებელი იყო, თითქმის უაზრო და  
უფერული გახდა. ცხოვრების ეს მთა-  
ვარი ღერძი, დავითისათვის შემადრწუ-  
ნებლად, ამჟამად მოირღვა და იგი  
უსუსური იყო, რამე გაეწყო ამ საშინელი  
ფაქტის წინაშე. რამდენჯერმე ხელოვ-  
ნურად სცადა გაეღვიძებინა ეს ინტერე-  
სი საკუთარ თავში, მაგრამ აქედან ახა-  
ლი გაღიზიანების და აღშფოთების  
გარდა, არაფერი გამოდიოდა. იგი ძვე-  
ლებურად პუნქტუალურად ასრულებ-  
და თავის საქმეს, მაგრამ ასრულებდა  
სრული აპათიით. ვნება, გულის წადი-  
ლი, სურვილი უკვე აღარ იყო მასში.  
გამომძიებელი ღამის წყევლიდა საკუ-  
თარ უსულგულობას და გონებაში არა-  
ერთხელ კეთიხებოდა თავს, ნუთუ, რა-  
ღაც ეჭვები და ეს სასაცილო უნდობ-  
ლობა საკმარისია იმისათვის, რომ მას,  
კომუნისტს, საკუთარი საქმისადმი  
რწმენა შეერყვას, და თუ ეს ასე არის  
(ამის გაფიქრებაზეც კი დავითს ფრუან-  
ტელი უვლიდა ტანში), მაშინ, საერთოდ,  
რაღა აზრი აქვს მის შემდგომ სიცოცხ-  
ლეს და როგორ მოიქცეს თავად ამის  
შემდეგ? პასუხი ამ კითხვაზე არ იყო,  
ხოლო იმედი, რომ აპათია თავისით



ჩამოსცილდებოდა, დღითიდღე ფერმკრთალდებოდა და ქრებოდა.

ერთ საღამოს, ამ გაორებული ცხოვრების დაწყებიდან დაახლოებით სამი კვირის თავზე, დავითი იჯდა თავის სამუშაო კაბინეტში და მისთვის გადმოცემულ ახალ საქმეს კითხულობდა. უნებურად მზერა დაეცა ოქმის თავზე წაწერილ ტექსტს: — გურგენიძე არ ჩილი. დაბადებული 1902 წელს. სოციალური წარმოშობა — მოსამსახურე. მეფის არმიასი არ მსახურობდა. სამოქალაქო ომში მონაწილეობას არ იღებდა. კონტრრევოლუციურ გამოსვლებში შენიშნული არ არის. პარტიის წევრი 1933 წლიდან. პროფესიით სამხედრო ინჟინერი. დააპატიმრეს... და ასე შემდეგ...

დავითმა მექანიკურად გადაიკითხა რამდენიმე ფორმალური წინადადება და აი, ბრალდების მთავარი არსი — ვილას წითელი ფანქრით გაეხაზა: იმყოფება ახლო მეგობრულ და ნათესაურ ურთიერთობაში ხალხის მტერ გოდერძი ტყებუჩავასთან (არის მისი სიმე) — საქმეს დართული ჰქონდა აგრეთვე გაკრული ხელით ნაწერი ანონიმური ბარათი.

გამომძიებელმა შუბლი მოჭმუნხა, დაიძაბა და უფრო მეტი ყურადღებით განაგრძო კითხვა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. სევდა უსასღვრო, უფორმო და უკიდევანო, რომელიც ბოლო დღეებში მოსვენებას არ აძლევდა, ახალი ძალით მოედო მთელ მის არსებას და ამ აპათიისაგან არ იყო ზსნა, არ იყო საფარი. მოულოდნელად, იმდენად მოულოდნელად, რომ დავითი დაინხა კიდევ, მის წარმოდგენაში შემოვიდა, რაღაც ახალი, გაუგებარი, საგამომძიებლო საქმის მისთვის ესოდენ ნაცნობ, მშრალ სტრიქონებს შორის, პირველად თავის სიცოცხლეში, დაინახა ცოცხალი ადამიანი და არა უბრალოდ მავანი და მავანი, არამედ საკუთარი თავი. გამომძიებელმა პირველად იგრძნო, რომ ეს ვინმე არჩილ გურგენიძე, პატიმარი № ... მასავით ცოცხალი არსებაა, თავისი სურვილებით, ჩვევებით, რაო-

ბით, თავისი სიხარულითა და წუხილითა და რომ ამ რიგით მერამდენე ხალხის მტერის ადგილზე შეიძლება თვითონაც აღმოჩნდეს, მათ შორის არ არის სხვაობა და, კიდევ ერთი, რამდენადაც გასაოცარი, იმდენადვე გაუგებარი აზრი: რომ იგი იძიებს არა არჩილ გურგენიძის, არამედ საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის, საკუთარი ყოფნა-არყოფნის საკითხს.

„ღმერთო ჩემო, — მრავალი წლის შემდეგ დავითს პირველად წამოსცდა ეს სიტყვა, თუნდაც გუნებაში. — ეს, ხომ შეუძლებელია...“ — და ამის გაფიქრებაზე გაახსენდა მოსკოველ ინსპექტორთან გასაუბრების შემდეგ თავში მოსული, მისთვის გაუგებარი, მაგრამ უცნაურად აკვიატებული აზრი: „ხდება ის, რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ შეიძლება მოხდეს. დიახ, სწორედ რომ ასეა...“ დავითმა საქმე დახურა, ფეხზე წამოდგა და გისოსებიან ფანჯარას მიუახლოვდა. თავში ქარიშხალივით ტრიალებდა უწყესრიგოდ არეული ათასნაირი ფიქრი, — არა, ეს შეუძლებელია, — კვლავ გაკრთა მხსნელი აზრი, მაგრამ იმ წამსვე, თითქოს განგებ, უფრო ცხადად იგრძნო, რომ ეს სწორედ ასე გახლდათ. და არა სხვანაირად. იგი არის ერთ-ერთი მათგანი, არაფრით მათზე უკეთესი, არაფრით მათზე მართალი... ტანში სიცივემ დაუარა, თითქოს გულიც შეურყნდა. დავითს გაახსენდა ცნობილი ანტისაბჭოთა გამოთქმა, რომლის მაგალითზე თავად მას, არაერთი მავნებელი გაუწირავს: — „განა შენ სასჯელს მოსამართლე გისჯის? მოსამართლე მხოლოდ ხელფასს იღებს და სკამზე ცარიელ ადგილს იკავებს, ზოლო სასჯელს შენ გისჯის ინსტრუქცია. ამას 10 წელი, იმას — 25, ამას კი უმაღლესი ზომა“. — მაშინ ვარ მე, რას ვაკეთებ, რისთვის ვაკეთებ? — სიცხადე მატულობდა, სიცხადე ნათელი, დიდებული და ამავე დროს საზარელი. — განა მე „ხალხის მტრებს“ ვდეუნდი, ვუწყობდი დაკითხვებს, ვუწყებდი სასჯელს? არა, მე მხოლოდ საკუთარ თავს ვაწამებდი, ვწირავდი,

ვართმევედი თავისუფლებას, სიცოცხლეს, თანაც არა ერთხელ, არამედ ათჯერ, ათიათასჯერ, რამდენჯერაც კი ეს არჩევანი ჩემს წინაშე დამდგარა და არც ერთხელ არავინ მიხსნია, არავინ გამომართლებია, არადა, არჩევანი ზომ მქონდა? მქონდა კი? — ისევ კითხვა საკუთარ თავთან. — შინსახკომის თათებში მოხვედრილ უბედურთა ხსნის ყველა საშუალება შენ ზელიდან გაუშვი რადგან გეგონა, რომ ასამართლებდი სხვას, როდესაც ასამართლებდი მხოლოდ საკუთარ თავს... მაშ რაღა იყო ჩემი ბრძოლა, ჩემი სიცოცხლის ყველაზე მთავარი საქმე? „შენი სიცოცხლის ყველაზე მთავარი საქმე?“ — დაეკითხა სულის სიღრმიდან ვიღაც დამცინაუად. შენი სიცოცხლის ყველაზე მთავარი საქმე, ის საქმეა, რომელიც გადის ყველა შენს ზელში მოხვედრილი უბედურის საქმეზე, ამ საქმეს უფროსი გამოძიებლის დავით კვერნაძის ცხოვრების საქმე ჰქვია. ეს საქმე შენ გამოიძიე და განაჩენიც თავად გამოიტანე, ახლა რაღას კითხულობ? — ჩემი... მე... სიკვდილ-სიცოცხლის საქმე.

„სიკვდილ-სიცოცხლისაც“, — იყო დაბეჯითებული პასუხი.

— მე ეს არ მინდოდა, — მე ეს არ ვიცოდი, ახლა რა, რა ვქნა, სად წავიდე, ვისთან მივიდე?! — დავითი გაშეშდა და ყურადღებად იქცა, პასუხად მარტოდენ ღუმელი... თუმცა ხშირად ღუმელიც ზომ პასუხია.

გამომძიებელი შინ, ჩვეულებისამებრ, გამთენიისას დაბრუნდა. სიკვდილმისჯილის გრძნობით და გაციებული სხეულით. შესასვლელში მეუღლე მიეგება: — მოხვედი? აქამდე სად იყავი? — კითხვა ჩვეულებრივი, ყოველდღიური იყო, მაგრამ დავითს მოეჩვენა, რომ ეს კითხვა იყო დასმული უჩვეულო კეთილი ხმით და ამ უჩვეულოდ კეთილმა ხმამ გული უფრო გაუბოროტა. ეკამ მეუღლეს ზელი მზრებზე გადახვია და მკერდზე მიეკრო. — როგორ გაყინულხარ, მთელი სხეული გიკანკალებს. სულ გა-

დაყვეი ამ სამსახურს, ერთხელ აიღე შვებულება, სოფელში წავიდოდიო შენს მშობლებთან, — დავითმა ძალდატანებით გაიღიმა. იმდენი სიძულვილი იყო მასში დაგროვილი, რომ ძლივს შეიკავა თავი, რათა ქალისათვის ხელი არ ეკრა. — წავიდეთ, დავიძინოთ, გვიან არის უკვე...

— უკვე ადრეა, დავით, და არა გვიან, გაიხედე, გარეთ თენდება...

— სულ ერთია.

### უბედური ადამიანი

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩანერგილი აქვს გრძნობა საკუთარი დანაშაულისა ვიღაცის, თუ რაღაცის წინაშე. იგი დამნაშავე არის უკვე მარტო იმით, რომ არსებობს, როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქე და ამიტომ მისი მთავარი მიზანი ხელისუფლებასთან ურთიერთობაში არის არა საკუთარი უფლებების დაცვისა და ხელშეუხებლობის მოთხოვნა, არამედ, სასჯელის თავიდან აცილება, და ეს საკმარისია, რამეთუ ადამიანი, რომელიც უშვებს და ურიგდება საკუთარი დანაშაულის გრძნობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავიდან იცილებს სასჯელს, არ შეიძლება არ იყოს კმაყოფილი, თუნდაც გარეგნულად. თუმცა, მორიგე სასჯელის თავიდან აცილების შემდეგაც, მას არ ტოვებს პასუხისმგებლობის გრძნობა მუდმივ დანაშაულზე ხელისუფლების წინაშე. ხელისუფლება მის თვალში შეიძლება იყოს ყოველი ზემდგომი მოქალაქე, რის გამოც მთელი სახელმწიფო შედგება საზოგადოებისაგან, რომლის ყოველი წევრი დამნაშავე არის სათითაოდ და დამნაშავე არის საერთო ჯამში. ეს დაუწერელი კანონი უდევს საფუძვლად სახელმწიფო ცხოვრებას. თავისთავად გამორიცხულია, რომ დამნაშავეთა სახელმწიფოში ცხოვრობდეს პატიოსანი, კეთილშობილი, ღირსეული და, მაშასადამე, უდანაშაულო ადამიანი. და როცა ადამიანი დამნაშავეა, მას არ შეიძლება ჰქონდეს მო-

ქალაქობრივი უფლებები, ცხოვრებისაგან იგი ელის ცუდს და არასდროს კარგს; უარესს და არასდროს უკეთესს.

მეორე დაუწერელი კანონი: — ადამიანს არ გააჩნია არავითარი საკუთრება, რამეთუ საკუთრება ეს არის უფლება, ხოლო ადამიანი აქ ითვლება უუფლებო პირად და თუ მას მაინც უპყრია ხელთ რაიმე კერძო ქონება (არა აქვს მნიშვნელობა, რა), გამოდის, რომ მას უპყრია იგი უკანონოდ და ეს მშვენიერად უწყის. მეორე მხრივ, შეუძლებელია არსებობა იმის გარეშე, რაღაც მაინც არ ჰქონდეს კაცს და რჩება უბრალო და უღმობელი არჩევანი: არჩიოს ან არსებობა (რა თქმა უნდა, აქ არავითარ ცხოვრებაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი) ვით დამნაშავემ და მტყუანმა ვილაციის, თუ რაღაცის წინაშე, ან უარი თქვას სიცოცხლეზე, რადგან ყოველივე, რასაც იგი ჭამს, რაც მას აცვია, სახლი, რომელშიც ცხოვრობს, არ არის მისი საკუთრება.

არაკანონიერი კანონების სახელმწიფოში მოქალაქე თავად ცხოვრობს უკანონოდ, რამეთუ სხვანაირი არსებობა აქ შეუძლებელია. მას არ შეიძლება განუვითარდეს დადებითი თვისებები. იგი ეჩვევა ტყუილს, სიფლიდეს, ირყენება სულით და ხორციით. ეს ადამიანი უცილოდ უბედური არსდება. ცხოვრებით მუდამ უკმაყოფილოა, დაკარგული აქვს სიმშვიდე, ხდება მერყევი, მშობარა და რამდენადაც სასურა მისი ცხოვრება ყოველდღიური საფრთხით, იმდენად უფრო ეპოტინება სიცოცხლეს. საკუთარი არსებობის გულისთვის იგი არ დაინდობს არავის თავად საზოგადოება ასეთი ადამიანებისა არის უნდო, ვერაგი, მდაბალი, თავკერძა, შურიანი და შეუწყნარებელი ერთმანეთთან ურთიერთობისას. მათთვის უცნობია თავისუფალი კანონებით ცხოვრება. ამიტომ ის წამი, როდესაც ისინი ბედის, თუ შემთხვევის წყალობით მოიპოვებენ თავისუფლებას და მაშასადამე, გაუთავისუფლებათ ხელისუფლების მიერ დაბორკილი ვნებები, იქნება ამ ხალხის ცხოვრებაში ყველაზე უკმაყოფილო.

ლაზე დიდი უკანონობის წამი. ვუწინდელი უტყვი მონების ნაცვლად, ქვეყანა მიიღებს ასობით დაბოღმილ, გაბოროტებულ, პატივმოყვარე და თავაშვებულ დესპოტს. ამ საშინელი სისასტიკის წამი იქნება ხანმოკლე და დამთავრდება ან ხალხის თვითგანადგურებით, ან ახალი ტირანის მოსვლით.

## სტუმარი

— ყოჩაღ, ლევანიჩ, ყოჩაღ!.. — თამაზი ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდა თვალს ვერ აცილებდა მაღალჭერიანი სახლის სქელ კედლებს.

ნინოს, როგორც ჩანს, ესიაშენა სტუმრის შექება და თავმომწონედ გაიღიმა: — რას ბრძანებთ, ბატონო თამაზ, — ქალისთვის შეიძლებოდა გაგვეოთ. მრავალშვილიან, ხელმოკლე ვლებიხს ოჯახში აღზრდილი, შემდეგ ქმარშვილთან ერთად თბილისის ერთოთახიან ბინაში შეყუჟული, როგორც იქნა, ეღირსა აღმიანურ ჭერს და თანაც სად — დედაქალაქში, ნამდვილ ბინას, საკუთარი სამზარეულოთი და საპირფარეშოთი. ბინას, სადაც იგი თავად იქნებოდა ერთადერთი დისასხლისი.

— არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივი სამოთხიანი ბინაა, — კბილებში გამოსცრა არჩილმა.

— ეს ბინაა? ბინა კი არა, მთელი სასახლეა, ნამდვილი სასახლე! — თამაზი სკამზე ჩამოჯდა და კიდევ ერთხელ ახედა მაღალ ჭერს. — ლევანიჩ, აი, შენ უნდა თქვა, კაცი ვარ და ქუდი მზურავსო. არა, მაინც, როგორ გაჩარხე ეს საქმე, თანაც ერთი სიტყვაც რომ არ დავცდენია, უუუ, კაი ეშმაკი ხარ შენი..

არჩილს სტუმრის ყოველი სიტყვა საფეთქელში მძიმე ჩაქუჩივით ურტყამდა. — ამზანაგობაში შევედი, სოფელში სახლი გავყიდე, თანაც შვილი მყავს, ცოლი მეორეზე ფეხმძიმედ არის, განა არ მეკუთვინის?.. — წარმოთქვა ბოლო სიტყვები და მაშინვე ენაზე იკბინა.

— შე კაცო, — თამაზს სახეზე პროტესტის და უკმაყოფილების ნიშნები

გამოეხატა. — მე სამი შვილი მყავს და სარდაფში ვცხოვრობ...

სტუმრის თვალში არჩილმა გარკვევით წაიკითხა საყვედური — „რავა, რითი ვარ შენზე ნაკლები?“ — და ლამის სული შეეხუთა საკუთარი უმწიფობის გამო, რა უნდა გაეწყო? რა დიდი საამოვნებით წაავლებდა ახლა ამ არამკითხველ სტუმარს ქქორობის ხელს და ისროდა სადარბაზოში.

— ნინო, საპირფარეოში გაქვთ? სად არის?

ქალმა თამაზს ხელით მიუთითა მიმართულება, მაგრამ ბოლო წამს სულმა ვერ მოუთმინა და თავად გაუძღვა წინ.

— აბაზანა, ნამდვილი, საკუთარი თეთრი აბაზანა! ასეთი ადრე თავადიშვილებსაც არ ჰქონიათ. — თამაზი ყურადღებით უვლიდა გარს აბაზანას, ხელეზით სინჯავდა მის კედლებს. შემდეგ წელში გაიმართა და სააბაზანოს სიგრძე-სიგანე ფართო ნაბიჯებით გაზომა. — ხუთი საშუალო ფართობი, ძალიან ფართობი, ის დიდი ოთახი ხომ არნახულია, ასაკციან მაგიდას გაშლილი საჭედიფო. არჩილ, შეგიძლია დღესვე მეორე ცოლი მოიყვანო და ქორწილი გადაიხადო, ვხუმრობ, ნინო, ვხუმრობ...

— იქნებ დამჯდარიყავით, პატივცემულო თამაზ, სადილი მიგერთვათ.

— ოკ, რას ამბობ, ჩემო ძვირფასო, მე ამ სახლის ყურებით გამაძლო ნეტავ და, არც სასმელი მინდა, არც საჭმელი.

წასვლის წინ თამაზმა კიდევ ერთხელ ინატრა: — ნეტავ ამ სახლის ყურებით გამაძლო.

სტუმარი უკვე წასული იყო. ნინომ სადარბაზოს კარი მიხურა და დიმილთ უკან შემობრუნდა, მაგრამ ქმრის დანახვაზე დიმილი სახეზე მიეყინა. არჩილი სამინელი სანახავი იყო. შუბლზე ოფლ-მომდგარი, ფეთიანივით ატრიალებდა თვალებს და მთელი ტანი უკანკალებდა.

— რა დაგემართა, კაცო? — შეკრთა ცოლი.

— საიდან გაიგო, ვინ უთხრა, რომ ბინა მომცეს. შენი ვატლექილი იქნება.

ხომ გაფრთხილებდი, ენას კბილი დააჭირე, არსად წამოგცდეს-მეთქი.

— შენი ჭირიძე, არჩილ, ბავშვს გეფიცები, არსად ერთი სიტყვა არ დამცდენია.

არჩილი უხმოდ შეტრიალდა და ოთახში უახრო ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ნუ ხმაურობ, ძვირფასო, ბავშვს გაეღვიძება.

ამ სიტყვებზე ქმარი საერთოდ მოთმინებიდან გამოვიდა. ერთბაშად იფეთქა და ცოლს მკლავში ხელი წაველო. — რა ბავშვი, შე სულელი, ბავშვიც ოხრად დაგვრჩება, თავიც და სიცოცხლაც. შენ რა, ვერ მიხვდი, რისთვის მოვიდა ეს სულწაწმედილი?

— რისთვის, არჩილ, თქვა, ნუ მაშინებ.

— ბინის გასასინჯად. უყურებდი, როგორ ამოწმებდა ყველაფერს? რა მაგის საქმეა, რა სიგრძე აქვს საპირფარეოს, რა სისქისაა კედელი, ან გადის თუ არა ხმა ერთი ოთახიდან მეორეში. საკუთარი ოჯახისთვის იზომავდა ამ ბინას. საბუთები, საბუთები! — არჩილი ხაწერ მაგიდას ეცა, სუფთა ფურცელი ამოარჩია და კალმი სამელნეში ჩააწო.

— რას წერ, ძვირფასო? — ცოლი ფრთხილად მიუახლოვდა კაცს და მხრებს ზემოდან დახედა.

— „დანოსს“, უნდა დავასწრო, რაღა მან უნდა ჩამსვას, ამ ბარათს პროკურატურასთან, საფოსტო ყუთში ჩავაგდებ და იქნებ გადავრჩეთ.

— გაგიჟდი, კაცო? — ნინომ ხელიდან გამოსტაცა ფურცელი და დახია. — უღანაშუალო ოჯახს ლუპავ?

— ჩვენ რომ ვიღუპებით, ჩვენ ვინ გვიშველი? — მწარედ შესჩივლა არჩილმა, სკამზე ჩამოჯდა და ხელეზში თავი ჩაერგა. — აი ეს სახლი გვლუპავს დღეს — რად მინდოდა ამხანაგობა, ვცხოვრობდით ექვსი წელი კომუნალურში, კიდევ ვიცხოვრებდით, ახია ჩემზე, საკუთარმა სიწუწკემ შემაცდინა. ნეტავი, რომელი ბატონკაცი მე ვიყავი, სასახლე რომ მოვიწოდებ.

შეშფოთება ნინოსაც დაეტყო. ქალს სახე გაუფითრდა. მუცელზე ხელი იტა-



ცა და საწოლზე ჩამოჯდა. არჩილს უნდოდა ეყვირა, — რა ქვეყანაში ცვხოვრობთო, — მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ასეთი რამის თქმა უახლოეს ადამიანთანაც კი, აშკარად სახიფათო იყო.

— ნინო, კარადები კარგად დაათვალიერე, ძმის სურათი სადაც ნახო, დახიე და აუცილებლად დაწვი. ყველა, ერთიც არ დატოვო. მე ბიბლიოთეკას მივხედავ. ჩეკა ღამის პირველ საათზე იწყებს ჩამოვლას. და დრო კიდევ გვაქვს, მოვემზადოთ. ამაღამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

### ვიდრე ხვალ

გათუნებისას ქალაქი იღვიძებდა, ქუჩები ცოცხლდებოდა. ტრანსპორტი სამსახურში მიმავალი ხალხით ივსებოდა. ერთი სიტყვით, ღამით მიძინებული ცხოვრების ჩვეული რიტმი თავის კალაპოტში დგებოდა, მაგრამ ეს დილით, დილაბდე წინ მთელი ღამე იდო. ქალაქში დაპატიმრებები ღამით ხდებოდა, ღამე მორალს ეძინა. ღამე კანონი ქრებოდა. ღამე სიკვდილის ლატარეა თამაშდებოდა. ღამით უკანონო ხელისუფლება კანონიერების ნიღაბს იხსნიდა და ქვეშევრდომთ საკუთარ, ნამდვილ სახეს ანახებდა. ღამე მოქალაქე მარტოოდენ სანადიროდ გამოგდებოდა, სამიზნეზე აყვანილი ცხოველი ხდებოდა.

დაახლოებით თორმეტ საათზე, თბილისის ქუჩებში გარკვევით მოისმოდა მოტორის ეული, ყრო ხმა. და ეს ხმა, ესოდენ კარგად ნაცნობი მოქალაქეთათვის, შეუძლებელი იყო არ გამოგერჩია. ამ ხმის გაგონებაზე სისხლი სხეულში ჩერდებოდა, ძილი კრთებოდა, თმაში ჭაღარა ჩნდებოდა. პატარა, შავფურგონიანი მანქანა იწყებდა თავის საზარელი მარშრუტით მორიგ ჩამოვლას.

— არჩილ, ჩვენს ქუჩაზე შემოუხვია... — ნინო საწოლიდან ფრთხილად წამოდგა, ფანჯარას მიუახლოვდა. მინის იქით ბნელოდა და გარკვევით არაფერი ჩანდა. არჩილმა უკვე მერამდენე პაპიროსს მოუკიდა და კვამლი ღრმად ჩაისუნთქა.

საცვლები და სამოსი, ერთ ზონჩად შეკრული, კუთხეში იდო, თითქოს ყველაფერი უკვე მზად იყო. რჩებოდა მხოლოდ ლოდინი.

მანქანა მათი სახლიდან ოციოდე ნაბიჯზე შეჩერდა, თუცა მოტორის ღმუილი არ შემწყდარა. ქუჩაში გარკვევით გაისმა ნაბიჯების ხმა. ამ დროს სმენა საოცრად იძაბება. კარზე ბრაზუნი, შემდეგ სინრუმე და მოულოდნელად ამ სინრუმეს ზარივით არღვევს მკვეთრი წივილი-კივილი. და მორჩა ღამის სიმშვიდე, ქუჩამ გაიღვიძა, ქუჩა მოლოდინში გაინაბა. სახლის კედლებს შიგნით, ვინ ჩაცმული, ვინ ღამის საცვლებში სხედან ლოგინებზე, სკამებზე, სულაც იატაკზე, ბოლთას სცემენ ოთახის კუთხიდან კუთხეში. ოღონდ სინათლე არსად ანთია. მჭიდროდ დაგმანული ფანჯრებიდან ჩქამიც არ ისმის. ქუჩაში სიკვდილთან წილისყრა ხდება.

კვლავ მოტორის ენერგიული ღმუილი, ამჯერად სულ ახლოს. ქვევით, სადარბაზოს კარი გაიღო, ქვის კიბეზე გარკვევით ისმის ჩექმების ბაკუნი.

— ეს ჩემს წასაყვანად მოვიდნენ, — დენივით გაჰკრა არჩილს აზრმა თავში, მაგრამ ხმის ამოდება ვერ გაბედა. მისი გამაზვიანებული სმენა, ფეხის მიხედვით, საფეხურებს ითვლიდა. — თუ პირდაპირ ჩემთან მოდიან, ნახევარი წუთი დარჩა, ნახევარი წუთი, რის გაკეთება შეიძლება ნახევარ წუთში, ორი წუთი იყოს, წუთ-ნახევარი... — წამების უღმობელ დინებაში ერთი წუთიც მთელ მარადისობად ჩანდა. რამდენი რამ შეიძლება ერთ წუთში მოასწრო კაცმა. ხუთი თუ ექვსი საფეხური დარჩა. სართულზე გარკვევით მოისმა ჩექმიან მამაკაცთა ნაბიჯები, რა ბედნიერი იქნებოდა ახლა, კიდევ ნახევარ წუთსაც რომ ფლობდეს, — და არჩილს უზომოდ დასწყდა გული უკვე დაკარგულ წამებზე. წამებზე, რომელნიც აღარასოდეს დაბრუნდებოდნენ. თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ბ ო ლ ო წ ა მ ე ბ ზ ე .

კარზე რიხიანი, მჭახე ბრაგუნი. ეს მოპირდაპირე კარი იყო, მეზობლის.

— ვინ არის?! — მოისმა ჩუმი, მოგუ-  
დული ხმა (თითქოს არ იყო გასაგები,  
ვინ შეიმღებოდა ყოფილიყო ასეთ  
დროს). ხმა სასოწარკვეთის, უკანასკნე-  
ლი იმედის, ზეჟენის და მუდარის, —  
შემებრალეთო, — თითქოს ამბობდა ეს ხმა.

— ჩეკაა, გააღე! — კვლავ რიხიანი  
ბრაზხუნი. კარს იქით ცივი შეკვივლება,  
კენესა სლუკუნი.

— გვიშველეთ!

ქალღღვივით გაფითრებული ნინო  
მუხლებზე უღონოდ დაეშვა. — ღმერ-  
თო დაგვიფარე ამისაგან, ღმერთო დაგ-  
ვიფარე!

სადარბაზოდან ისმოდა ხმაური, ქა-  
ლის ტირილი, ბავშვების ღრიალი: —  
მამაა!..

— ბავშვებს მიხედე, მართა, — მოისმა  
კაცის განწირული ხმა. ნაბიჯების ხმა  
კიბეზე წყდება. სართულზე ქალი ტირის.

პირველი გრძნობა, რაც ცოლ-ქმარმა  
განიცადა ყოველივე მოსმენილ-გადატა-  
ნილის შემდგომ, იყო გრძნობა უსაზღვ-  
რო ბედნიერების ფარული, აქამდე არ-  
ნახული სიხარულის, რომელიც გამოი-  
ხატებოდა ორ სიტყვაში: — სხვა წა-  
იყვანეს... — სწორედ ეს იყო იმ თა-  
ვისუფლების სანატრელი წამები, რო-  
მელსაც არჩილი ნახევარი წუთის წინ  
შენატროდა. თავისუფალ სახელმწიფო-  
ში ადამიანი ვერასდროს გაიგებს ამ  
წამების სიტკბოს, არც თავისუფალი  
ადამიანს ძალუმს იგრძნოს ესოდენ უკი-  
დეგანო სიხარული, ხოლო შემდგომ,  
სიბრალული მეზობლისადმი. პირველი  
ადამიანური ინსტინქტი დახმარებისა და  
ერთბაშად ყოვლისმომცველი შიში. მარ-  
თალია, ნაკლებად მკვეთრი, მაგრამ მა-  
ინც თანაბარი და მუდმივი. ეს შიში არ  
გაძლევდა ნებას მისულიყავი ხალხის  
მტერის ოჯახთან, გვერდში ამოდგომო-  
დი. პირიქით, სადარბაზო გაისუსა, გაი-  
ნაბა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს,  
ქუჩაში მოტორის ხმა მიწყდა.

— ჩვენი ქუჩიდან მარტო ოღონდ უნდა  
წაიყვანეს დღეს. — ხმამალა გაიფიქრა  
არჩილმა. და ცოლის გვერდით საწოლზე  
ჩამოჯდა. ცოლ-ქმარი ეხლა ითქვამდა  
სულს საათის ისრები ხუთის ოც წუთს  
აჩვენებდა.

— საცაა გათენდება, არჩილ, ერთი  
საათი მაინც წაგეძინა სამსახურში წას-  
ვლის წინ.

— სწორია, ძვირფასო, ბოხნა გახსე-  
ნი და დაეწვეთ, — არჩილმა ზალათი გაი-  
ხადა და საბნის ქვეშ შეტურდა. ყოველ  
გვერდი ეჭვი და ბოლო დროს მოსული  
უქამური აზრები მას ახლა საკუთარი  
ფანტაზიის ნაყოფად ეჩვენებოდა. გუნე-  
ბაში კიდევ გაეცინა თამაზის სტუმრო-  
ბის დროს გადატანილ განცდებზე.

— უაზრობაა, თუ უდანაშაულო ხარ,  
არაფერს დაგიჭერს, — დაარწმუნა საკუ-  
თარი თავი. კეფა და მხრების ნახევარი  
დიდ, მსუბუქ ბალიშში ჩაიძირა. ღამე  
ილეოდა, უძილობისაგან გადაღლილ  
სხეულში ნეტარების ჟრუანტელმა დაუ-  
არა. დამძიმებული ქუთუთოები თავისით  
იხუტებოდა...

მეუდრო სიჩუმე ზარის ყურისწამდებ-  
მა წკრიალმა გაკვეთა. კარებზე ტლანქი  
ბრაზხუნი: — „გააღეთ, ჩეკაა!“ არჩილი  
გონს ვერ მოსულიყო — როდის მოვიდ-  
ნენ?

რატომღაც ოცი წლის წინანდელი ამ-  
ბავი გაახსენდა. იმ დროს იგი. მენშევი-  
კური არმიის ახალბედა ჯარისკაცი,  
თურქეთის ფრონტზე გამართულ ცხა-  
რე ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას.  
იერიშის დროს ყურთან ტყვიების გა-  
მუდმებული წუილის გაგონებაზე, თავს  
მალამალ მხრებში აძვრენდა. ეს მისმა  
ათისთავმა შენიშნა და გასამხნეველად  
მხრებზე ხელი წამოჰკრა. — აგრე რადა  
ფრთხი, ვეჟო, შენს მოსაკლავად ნას-  
როლ იმ ერთადერთი ტყვიის ზუზუნს  
სულ ერთია, მაინც ვერ მოისმენო.



## ტარიელ ხარსელაური

გუთნისდედებო,  
საქართველო უთქვენოდ მჭლეა,  
ბიჭო კუნწულავ,  
ბიჭო თოთე  
და ბიჭო ლევანი!  
გლები რომ ჰქვია, სამარცხვინოდ რომ გვიჩნდა წინათ,  
დღეს გაგვიძნელდა —  
უთქვენობა დღეს გვიღირს ძვირად.  
ბიჭო ლუარსაბ,  
ბიჭო ლექსო,

ბიჭო თვეღორე!

არა ყოფილა თურმე ასე, როგორც გვეგონა,  
თურმე დაგვკოდეს, დაგვაღარეს, დაგვდეს ბორკილი,  
მიტომ მოვბლავით საფლავებში, მიტომ მოგკივით  
არავინა ვართ თქვენებურად გუთნის გამშლელი,  
უკვე დაინგრა, ნაცრად იქცა ჩვენ რაც ვაშენეთ,  
და რაც ვაშენეთ, ხომ გაგვიხდა თავში საშენი.  
ვინც გაგვაფხიზლა, ვინც აგვყარა, ღმერთმა აშენოს,  
ღმერთმა შეგვინდოს, ჩვენ მრავალი მიგვიძღვის ბრალი,  
თავად გაუხსენით, არავინ არ გვიმტვრია კარი.  
მეისტორიე, როცა ჩვენზე იამბობ ამბავს,  
შთამომავლობას განუმარტავ ვიყავით რანი,  
შე სულმაღალო, მხოლოდ ერთი ეს ჰქვნი მაღლად,  
სთქვი, — ჩვენზე ნაკლებ არ უყვარდათ სამშობლო მანც.  
გუთნისდედებო, საქართველო უთქვენოდ მჭლეა,  
ბიჭო კუნწულავ,  
ბიჭო თოთე  
და ბიჭო ლევანი!  
ნახევრადმკვდარი ტანდახეთქილ მუხის ქვეშ ვწევარ,  
რა შემზარავად მობუდული საავდრო დღეა.  
შორით, ჰო, შორით ბორკილების მოისმის მტვრევა,  
და იშმუშნება ჩვენზე რისხვით მოსული მტერია,

ხელ ბრძოლის ველზე ვიცი, რო არ გამოვა ყველა  
 და ისიც ვიცი, რომ ჩასვრილი შინ წავა ბევრი.  
 ჩემი სოფლიდან გავიყოლებ ვაჟკაცებს ყვეარს  
 ვიბრძოლებთ — სანამ არ მოგვივა სიკვდილის ჯერი.  
 გუთნისდედებო,  
 საქართველო უთქვენოდ მჭლეა.

წუხელ დამესიხმრნენ მთები  
 დათოვლილი ტყიანი კალთებით.  
 დამესიხმრა ყინულებსქვეშ ბუბუნით მომდინარე იორი,  
 არტნისთავს პირკომლიანი კაცები  
 ჩატეხილი შუბლებით,  
 მიწამდე ჩამოყრილი მხრებით,  
 ბრძოლიდან მობრუნვილნი უომრად.  
 და გამახსენდა სხლოვნილი წიწოლა,  
 იფნის ტოტზე ჩამომხრჩვალს ქარი რომ არწევდა.  
 ნელა მიჰლოკავდნენ ჭიუხებს ღრუბლები,  
 გულს იმღვრევდნენ საიქითოდ მიმავალნი.  
 მხოლოდ ირემს ეჭირა მთვარე მსხვილ კბილებში  
 ნახევრამდე ჩაკბენილი.  
 ცეცხლი მივანავლე.  
 ზარიდან ჩამოვიღე გული  
 სისხლისგან დაცლილი და დაწრეტილი  
 და მე ვტიროდი.  
 ვტიროდი უცრემლოდ,  
 უხმოდ ვბლაოდი.  
 აღარაფერი აღარ დამრჩა იმ გამბედაობის  
 გუშინ რომ მტერზე საბრძოლველად მიკიჟინებდა.  
 და იყო წვიმა,  
 შემოდგომის სუსხიანი წვიმა.  
 ეს იყო წინათ,  
 იყო წინათ,  
 დიდი ხნის წინათ.

ვიგინეთ ბევრი, ვიმყრალეთ პირი  
 და ჩვენი ჩათვლით სუყველა ვლანძღეთ, —  
 სადამდის გასწვდა გონება მწირო,  
 ვიდრემდის ფიქრი შეგვეძლო მაძღრებს.  
 გუშინწინდელი გორდილის წვენით,  
 რომ მოიკითხა გოგიაძ ცხენი  
 გულგაღვლილნი გავცვივით გარეთ,  
 კვლავ ამოვშალეთ გინება ცხარე.  
 ვის დაუწყვილეთ დიდი, პატარა,  
 ვის მკვდრები ზემოთ ამოვუყარეთ,  
 გაჟვევით, მაგრამ გაგიგონია?! —



ამ ტრამალებში გაგნება კვალის.  
 — ამ შობელძაღვლებს, ბევრსა ჰგონია,  
 ტყუილად მოვთქვამთ, ტყუილად ვბღავეთ...  
 შემოვტრიალდით ყველანი უკან  
 გულგაბოლილნი თავის კანტურით.  
 — არ წაიყვანდა?! —  
 ცხარობდა ლუკა, —  
 როცა საქონელს არ ჰყავს პატრონი.  
 მივეყარენით თეოზე ხენეშით,  
 შემოვიკეცეთ მხრებთან ნაბდები,  
 ვინც რო არ გვაგდებს ჩვენ ამ შავ დღეში —  
 ერთხელ ვუხსენეთ კიდევ კარგები.  
 და მოვიკუნჭე,  
 ჰყინავდა გარეთ,  
 ბალახზე უკვე აესხა ჭირხლი.  
 მხოლოდ თავის გზას მიჰლევდა მთვარე  
 დამძიმებული მსოფლიო ფიქრით.

აქ ჩვენ ერთმანეთს საფლავებს ვუთხროთ,  
 ცრემლები ცეცხლის ნაცვლად იელვებს.  
 ქუჩას ღიღინით მიჰბერტყავს ქურთი  
 და საქართველოს აცარიელებს...  
 ვიღაც ქირქილით მომწინხლავს უკან  
 და ეს ქირქილი მარადი დამდევს,  
 აგერ იქ, ბნელში, ქართველი ძუკნა  
 მთლად უცხო თესლის ნაშიერს აგდებს.  
 ...და არ დაიმტვრეს იმედის ფრთები  
 ამაჟრუანტლებ ზმავ უამურო,  
 დღეს თითო-თითოდ — თავისთვის კვედებით  
 და შენზე არვინ ვფიქრობთ, მამულო.

ახლა მარტოდყოფნის ჟინი  
 სასწაულებრივად მივლის.  
 გუშინწინანდელი წვიმის,  
 იმისწინანდელი დილის.  
 ფერი მომშინვია ლურჯი  
 ახლად ნამნაკური ფოთლის,  
 დასისხლიანებული კუნძის,  
 ძილშიც ფიქრიანი სოფლის.  
 ერთგან მივიხენეშით ხუთნი  
 შემოწუნებულნი სიციხით,  
 ზურგზე აგდებული გუთნით,  
 ნისლში შემავალნი შუბლით,  
 ნადველჩაქცეული მზერით  
 უკან მოგვპარაშებს გუნდი

ბუმბულ გაცვენილი ძერის.  
 აღმა ერთი გზაა მხოლოდ,  
 ჩაღმაც ესევე გზა მიდის.  
 უკან ჯოჯოხეთი ბოლავს,  
 წინ — მზევაუვალი ბინდი,  
 მაგრამ სულ ერთია, ახლა  
 საით —  
 წინ თუ უკან — ვივლი.  
 როგორ მენატრება, რა ვქნა,  
 სუნი იმდღევანდელ წვიმის.

ბუხრის კალთაზე აფურთხებს  
 პაპა ღადარის მღადრავი,  
 შუბლს ხან საავდროდ დაჰქუფრავს.

ხან გაჭხსნის, გამოადარებს.  
 აეთა სულთ დაისაკუთრეს —  
 გადის მეხუთე ზამთარი.  
 გვერდით უწყვია საომრად  
 გამზადებული ხანჯალი.  
 დაუნდა მუხლისთავეებზე  
 დაფვითლებული მაჯანი.  
 აღარ უხმობენ ბერიკაცს,  
 მოჰბეზრდა ცოლთან ჯაჯღანი.  
 როდემდის ჰლიოს თითებით  
 დაწყალებული ხვანჯარი.  
 ხანდახან ავად იელვებს  
 ბნელში შავხალი ხანჯალი,  
 მგელი მგელია მაინცა —  
 თუნდაც მუხლებზე ჩამჯღარი.

ღღეს ეს ღღე უნდა ვიჯავრო...  
 ჩავდეუ ჩათელილ იელვებს,  
 გვიშველე, ლაშარის ჯვარო!  
 შეგვკარ და გაგვაძლიერე.  
 მთებს მივანგრევიდი, ვკიოდი,  
 ნისლი ნისლებში ვაბრუნე,  
 გვიშველე, წმინდა გიორგი,  
 სამზეოდ ამოგვაბრუნე.  
 ისევ ცათ უნდა გავბლაგლო,  
 ვუხმო უფორმო არდილებს,  
 გვიშველე, ღმერთო მალალო!  
 ცოდვილნი გადაგვარჩინე.

მე გავასრულე სიცოცხლე მზის ქვეშ,  
 ყოფნა ამ ქვეყნად ვახდა ამაო.  
 ზვალდან ჩემს ტყავს გააკიდებ იფნებს,  
 არხიოს ქარმა და იქანაოს.  
 და მე ნაწილი ვიქცევი სრულად,  
 ძალად შერყეულ სამყაროს მტკრევის,  
 საიქაოზე იდარდოს სულმა,  
 მტკერი ვარ, მარადიული მტკერი.

შევეროვდით შუა მინდორში,  
 სად დიდი მუხა შრიალებს,  
 სადაც ლოდებზე მდინარე  
 მოედინება ღრიალით.  
 ვინ თავდაყირა ვიდექით,

ვინ მიწას ელოკდით ენითა,  
 ვინ თავებს დავიდევენდით  
 უკან გამობმულთ წნელითა.  
 ვინ საფლავს ვჭირდით, ვინ უკვე  
 დამარხულ სხეულს ვფარავდით,  
 ვინ წვივს, ვინ მაჯას და ვინ შუბლს  
 ერთიმეორეს ეპარავდით.  
 ჩვენს ქვემოთ ძაღლნი გადაყრილ  
 მზით დამხმარ ძარღვებს ღეჭავდენენ,  
 ზოგის გამომშრალ საყლაპავს  
 გველი ჩასდევდა ბეჭამდე.  
 მეც იმით ჯოგში ვერიე,  
 ვიდექ ვანზე და ვტიროდი,  
 რაც ვნახე — ადრეც მეხილა  
 და აღარაფერს კვირვობდი.  
 მხოლოდ მდიოდა ცრემლები  
 მშრალი, ვარსკვლავთა ოდენა,  
 ზოგჯერ თუ შევტოკებოდი,  
 ამოვგმინავდი ზოგჯერა.  
 სხვა დროს მეც მკვდარი ვიყავი  
 ამ საოცრების შემყურე.  
 მუხა კი,  
 მუხა ჟივილით  
 ჩამოენისლათ ბელურებს,  
 წვიმდა,  
 მთებს შავი ღრუბლები  
 კვლავინდებურად ებურათ.

ვინ იცის, ჩემო გვირილო,  
 როგორ გცივა და კანკალებ.  
 ქარი რო დასძრავს კივილით  
 კლდეთა პირფარაჟ ნაპრალებს.  
 თვალს ვერ შეუმღვრევ ტკივილით  
 ცაზედ გაფანტულ ვარსკვლავებს,  
 ვინ იცის, ჩემო გვირილო,  
 როგორ თრთი, როგორ კანკალებ.

სხვებისგან რაღას ველოდო  
 შენც მტრად დამიდექ, გვიმრაო,  
 გაგძარცვიდი იის ჯინაზე  
 ჩემთვის რომ გაგეცინაო.  
 არც შენ დაჰკარგდი სინაზეს,  
 არც გულს ჩამგლეჯდა გმინვაო.



## მარინე რჩეულიშვილი

# გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის

### კომენტარი:

გვიან მივხვდი, — მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელახლა გადავიკითხე „ცისკრის“ მე-2 ნომერში უკვე დიდი ხნის წინ დაწერილი ჩემი მოგონებების დასაწყისი, — მივხვდი: როდესაც ჩემი ძმის „მოწამებრივ დასასრულზე“ ვწერდი, ალბათ, მკითხველი იფიქრებდა, რომ ვგულისხმობდი ბოლო მომენტს გურამის ცხოვრებიდან, როდესაც ის, როგორც ამბობდნენ, თავის დაუზოგავად გადაეშვა აბობოქრებულ ზღვაში მოცურავე ლენინგრაძელების დასახმარებლად. თუმცა ყვებოდნენ სხვადასხვანაირად მაშინვე...

ამბობდნენ, რომ გურამმა ხელი გაუწოდა ლენინგრაძელს, როდესაც ის ტალღამ მოულოდნელად გამოაგდო ნაპირზე, შემდეგ ამ უეცრად მოვარდნილმა ტალღამვე ჩაითრია და ამის შემდეგ ყველაფერი უცებ მოხდა... ზოგი ამბობდა, რომ გურამის რაინდული სული მაშინ გამოჩნდა მთელი თავისი სისავსით, როდესაც ვერტმფრენიდან ჩამოშვებულ კიბეზე ჯერ სამი ლენინგრაძელი აუშვა თავის წინ, მერე თვითონ აპირებდა ასვლას... ადგა კიდეც ფეხი უკვე გაცვეთილ, დაძველებულ თოკზე, მაგრამ თოკმა ვეღარ გაუძლო და... ისევ, ამის შემდეგ, ამ ვარიანტის მიხედვითაც ყველაფერი უცებ მოხდა... ზოგი კი ამბობდა,

რომ გურამის მოქმედებებს შეღამაზება არ ჭირდება, ის უბრალოდ ძალიან ნასვამი იღვა ზღვის სანაპიროზე და უყურებდა აბობოქრებულ ზღვაში მობანავე ლენინგრაძელებს. შემდეგ, მოულოდნელად მოვარდნილმა ტალღამ წაიყოლა და ისე, როგორც ყველა ვარიანტში... ამჯერადაც ყველაფერი უცებ მოხდა... იყო, ალბათ, ამ მომენტის სხვა ინტერპრეტაციებიც, სხვა კუთხიდან, სხვა თვალთახედვის წერტილიდან აღწერილი ერთი და იგივე ამბავი, სხვადასხვა ტიპის მთხრობელის მიერ...

შეიძლება, ეს ყველაფერი ასე იყო და ყველა ვარიანტი სწორია, ისინიც კი, რომელთაც ჩემამდე ამა თუ იმ მიზეზის გამო არ მოუღწევიათ. შეიძლება არც ერთი ვარიანტი არ არის სწორი, ან მხოლოდ ერთი რომელიმეა სიმართლის ზღვარზე... უცნაურია, ალბათ, მაგრამ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა ჩემთვის, არც გურამისთვის, არც არავისთვის და, რაც მთავარია, არც საერთოდ. რადგან ის, რაც ხდებოდა უხილავად, ბევრად უფრო რეალური იყო, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი. და ამიტომაც თითქოს ბუნებრივია, რომ ზილუღი იმპრესიონისტული ნახატივით აღიქმება ახლა, დროთა სიმორიდან, წაშლილი შემოუსაზღვრელი კონტურებით. თუმცა როგორცა ჩანს, ასევე აღიქმებოდა მაშინაც...

„ო, ეპოქავ — ეგოისტო, ჯვარცმის ღირსადაც კი აღარა თელი შენ ადამიანს!“

გაურკვეველია, მწერლის ეს ჩანაწერი, გაკეთებულია პიესისათვის, რომელიმე გმირის რეპლიკაა თუ დაუმთავრებელი დღიურიდანაა შემორჩენილი... რადგან, სხვადასხვა კრიტიკიუმების მიხედვით, ის დაწერილი უნდა იყოს გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების იმ პერიოდში, როდესაც ზღვარი მის შემოქმედებასა და ცხოვრებას შორის სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე ხდებოდა...

საინტერესოა ისიც, რომ ეს ჩანაწერი გაკეთებულია ფანქრით. არა ქიმიურა ფანქრით, არამედ ჩვეულებრივი, რბილი ფანქრით, რომელიც ძალიან ადვილად იშლება. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ გურამს, როგორც თვითონაც წერს ერთ-ერთ დღიურში, ფანქრით წერა არ უყვარდა, რადგან ეშინოდა, რომ ის, რაც ერთხელ ითქვა სამუდამოდ არ დაკარგულიყო და მართლაც, დროის მსვლელობას თავისი დღი დაუმჩნევია ამ ჩანაწერისათვის, გაფერმკრთალებულა. იმპრესიონისტული ნახატის მსგავსად ეს ასოებიც თავ-თავიანთი კონტურების წაშლის ზღვარზე არიან. მაგრამ ამაზე შემდეგ, შემდეგ... მე ისევ მოვლენებს ვუსწრებ წინ. ჯერ არ დამდგარა იმ ამბის თხრობის დრო თუ როდის, როგორი ფანქრით, რაფერი მელნით, როგორი ხელწერით არის დაწერილი ესა თუ ის ავტოგრაფი; დედასას გავს ის თუ მამასას; თუ ივანე ჯავახიშვილისას; თუ არც ერთს, როდესაც სიჩქარისაგან სიტყვის კონფიგურაცია ისეა წაშლილი, რომ მხოლოდ — როგორც ოსტატურად, დახვეწილად ნათქვამ გადაკრულ სიტყვაში — უთქმელად, გამოუკვლენელად იგულისხმება მთელი გენეალოგია მესხეთ-ჯავახეთ-ქართლ-კახეთ-იმერეთიდან წამოსული წინაპრებისა... ამაზე შემდეგ, რადგან ჯერ არ დამდგარა დრო „გამომძიებლისათვის“, საქალაქდებიდან მოიზიდოს, დღის სინათლეზე გამოიტანოს, გამოაქვეყნოს, გამოამზეუროს ესა თუ ის დოკუმენტი, ესა თუ ის დამამტკიცე-

ბელი საბუთი — თუ როდის, ვითარებაში, როგორი ფორმატის, ფაქტურის, ფერის, თაბახის ფურცელზე, რომელ წელს დაბეჭდილ საერთო თუ თორ, მეტფურცლიან რვეულში, თუ ქალაქის როგორ ნაგლეჯზე თუ დეპეშის როგორ ბლანკზე დაწერა მწერალმა ესა თუ ის სიტყვა, რეპლიკა, წინადადება, ლექსი, მოთხრობა, რომანი, პიესა...

არქივზე მუშაობისას მე ჩემ თავს არაერთხელ ვუსოდე ეს სიტყვა — „გამომძიებელი“; შეიძლება იმიტომ, რომ გურამისათვის ეს ტერმინი არ არის უცხო; მთელი მისი შემოქმედება მოფენილია სხვადასხვა ტიპის სასამართლოებით; ვუსოდე ჩემ თავს „გამომძიებელი“ ხან გაბრაზებით, როდესაც გულში გამიელვებდა ხოლმე: რა უფლება მაქვს მე, როგორც მეკვლემ ნადირობისას, ისე მივსდო სხვა ადამიანის, სხვისი სული; მოძრაობას, გინდაც ეს ადამიანი ჩემი დვიძლი ძმა იყოს. ასეთმა განწყობილებამ გამოიწვია, როგორცა ჩანს, ერთ-ერთ ჩემ ჩანაწერში, რომელიც გადათვალეურებისას მომხდა ხელში, სასოწარკვეთილი წამოძახილი: „ვინ დამნიშნა მე გამომძიებლად, ვინ? მაქვს კი ამის უფლება?“ ხან კი ირონიულად...

ასეთ შემთხვევებში, როგორც საერთოდ ირონიისთვისაა დამახასიათებელი, უარყოფითი დამოკიდებულება დადებითსაც შეიცავდა, ნეგატიური პოზიტიური მარცვალსაც. ხანდახან კი ამ „გამომძიებლობას“ ისე ვგრძნობდი როგორც რაღაც მოვალეობას, რაღაც აუცილებლობას, მისიას. „თუ ეს ასე არ არის“, ვფიქრობდი მე ასეთ მომენტებში, „მშინ რატომ წერს გურამი 1958 წლის დღიურში — არ მიყვარს ფანქრით წერა, მეშინია ის, რაც ერთხელ ითქვა თუ დაწერა სამუდამოდ დაიკარგოს! ან რატომ გაჩნდა იმავე წელს, იმავე თვეებში პატარა ბლოკნოტში ქიმიური ფანქრით ჩაწერილი ეს წინადადება: „ვფიქრობ ჩანაწერებზე, რამდენი კარგი რამეა და უცებ, მე რომ მოგკვდე, ვიცი, მარინეს დაუზარება გადაკითხვაც კი, როგორც მე დამეზარება ამათი წაკითხვა საერთოდ“.



საქართველო  
საქართველო

ან რატომ მომწერა ერთხელ მოსკოვიდან — ძალიანა გთხოვ წერილებს ნუ დახვეო! თუმცა საფიქრელია ისიც, რომ ეს მინაწერი წერილის ბოლოს საგულდაგულოდაა გადაშლილი, „შანსიანად“, როგორც თვითონ ზუმრობდა ხოლმე, როდესაც ხანდახან ისე გადაშლიდა და წერილს, რომ მისი წაკითხვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. განსხვავებით სხვა ტიპის გადაშლილი ადგილებიდან, რომლებშიც მინიშნებული იყო, რომ ესა თუ ის სიტყვა თუ მთელი წინადადება თუ აზრები, უბრალოდ, საჭირო აღარ იყო. დიდი ხნის წვალების შემდეგ, მე მგონი უფრო ალღოთი ამოვიკითხე ეს სიტყვები, რის შემდეგაც ის პატარა-პატარა — ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ-მუქი-ვისფერი-შელნით გაკეთებული ხაზები სრულიად გამჭვირვალე გახდა. ამ ხაზების იქიდან თვითონვე, სხვის ჩაურევლად, ასობემა შეიძინეს სიცხადე და ახლა, მონდომების გარეშეც მზად არიან ინფორმაციის გასაცემად: მართლაც, გურამის თქმისა არ იყოს, როგორა გავს ყველაფერი ერთმანეთს (თუმცა ის ამას მხოლოდ სიყვარულზე წერს): ლექსა, მოთხრობა, ხელწერა, ადამიანი... საკმარისია, ერთხელ გაიხსნას რაღაცისაკენ გზა, ერთხელ შესძლო ხილულის იქით გადახედვა, სულერთია, რა შემთხვევაში, რომ გაქრობამდე გამჭვირვალე გახდეს მატერია. და მაშინვე ხედები, რომ სხეულს კი არ ეფარება სული, სხეულის, მატერიის უკან კი არ იმალება არისი, ჩასაფრებული ამოსაცნობად, არამედ ის თვითონ არის მატერია, თვითონ არის სხეული; თუ ეს ასეა, მაშინ არც ზემოთა წათქვამი წინადადებაა სწორი — „სხეულის იქით გადახედვა“. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, შეთქვა: თუ ერთხელ მაინც შეხედვს სხეულში შეხედვს, ან უფრო სწორი, — თუ შესძლებს ადამიანის დანახვას, აღქმას. ადამიანს რომელიც შენ ხან ფიქტული გგონია — დაცლილი სულისგან, არსისგან; ხან კი მნიშვნელობით და აზრით სავსე... და გამოდის ისე, რომ ეს შენზეა დამოკიდებული, შენს უნარზე — რას აღიქვამ, რას დანი-

ხავ, რას იგრძნობ: სხეულს თუ სულს თუ ორივეს ერთად!!! ხარ კი მზად, აღიქვა ეს ერთიანობა, ეს მთლიანობა, ეს პარმონია, გინდაც ის აშკარა დისპარმონიაში ვლინდებოდეს, აშკარა დაპირისპირებაში, როდესაც ერთი შეხედვით ისე ჩანს და შენც ისე გგონია, რომ სული და სხეული ერთმანეთს მთლიანად გამოირიცხავენ!!

აი, სიცოცხლე — საგულდაგულოდ და არა მოჩვენებითად გადაშლილი სიტყვები, რომელნიც მიისწრაფვიან ამოცნობისაკენ. აი, კაფკას შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც მისმა შემქმნელმა გასწირა დასალუპად, დასაწვავად... ან იგრძნობ სიცოცხლეს და ან არა, და თუ არ იგრძნობ, მაშინ შეიძლება, როგორც ზოჭოს ან ჭიანჭველას, გასაჭვლელტადაც კი გამოეკიდო, გინდაც ის შენი გზიდან მოშორებით იყოს და სულ სხვა მხარეს მიიჩქაროდეს ან სულაც მიიპარებოდეს. სიცოცხლე... ან გადარჩება, შეინარჩუნებს ფორმას, სიმკვრივეს, თუ უწერია; ხანდახან კი შეიძლება ისეც გადარჩეს, რომ მუდმივად ცოცხალი იყოს ან შეიძლება ჩრჩილის ბებელასავით მისი მტკერი პაერს შეერიოს სრულ გაქრობამდე...

კიდევ ბევრი რამ არის დასაფიქრებელი. ისიც, რომ ზემოთ მოყვანილი პატარა-პატარა ჩანაწერები გაკეთებულია 1958 წლის გაზაფხულამდე. ეს ნიშნავს, რომ ჯერ დაწერილი არ არის „ძაგანია“ (გამოუქვეყნებელი, ჩემი აზრით, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელშიც გამოვლინდა ჩემი ძმის სულიერი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპი, საფეხური), დაწერილი არ არის „იულიანი“, „ალავერდობა“, „დღიური“ და კიდევ ბევრი სხვა.

აქ შევჩერდები ისევ გურამ რჩეულაშვილის სულიერი ბიოგრაფიის თხრობისას, დასაწყისშივე მოყვანილ იმ პატარა ამონაწერთან, რომელმაც გამოიწვია მთელი ეს ფიქრები, თუმცა სწორედ ეს ფიქრები ან მიძლევენ საშუალებას, ახლა რომ ვთქვა: „სულის ბიოგრაფია“ — ვიხმარო ეს გამოთქმა, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია ასეთი შემთხვევა-



ბისას დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში; რადგან მე მიყვები, როგორც ახლა გავარკვეე, არა ჩემი ძმის სულიერ ბიოგრაფიას, არა მწერალ გურამ რჩეულიშვილის ბიოგრაფიას, არამედ ერთი ადამიანის ცხოვრების ისტორიას, ხოლო ადამიანი კი სულისა და სხეულის მთლიანობაა... ეს სხვაა, რომ სხეულში მომწყვდეულ სულს ბევრი რამ ეკისრება; უპირველეს ყოვლისა კი, ალბათ, ის, რომ ისე წარმართოს თავისი განვითარება, მისწრაფება, რომ აღამაღლოს სხეული, „ნათლის სამოსით“ შემოსოს იგი. აი, სწორხაზიანი თაბახის ფურცლის ბოლოს — გურამი ასეთ თაბახებზე 1958 წელს წერდა ლექსებს, — გაკრული ხელით საიდანღაც ამოწერილია შემდეგი სიტყვები:

«Не есть ли по учению Христа аскетизм, умерщвление плоти, только средство, цель которого — очищение, и просветление, и наконец воскресение плоти?»

შეიძლება ეს ციტატა ტოლსტოიდანაა, რომელსაც ის ინტენსიურად კითხულობდა 58 წლის ზამთარ-გაზაფხულზე.

ახლა ვხვდები, თუმცა შეიძლება არა. სწორიცა ვარ, რომ ბარათაშვილისათვის მერანი მისივე სხეული იყო, რომელიც უნდოდა თავისი სულიერი ქროლის თანამონაწილე გაეხადა. და მე მგონი ამ ლექსის განუმეორებლობას სწორედ სულისა და სხეულის ამ გათვითნობიერებულ ერთიანობაში აქვს საფუძველი.

შენ ადამიანი ხარ და პასუხს აგებ შენს ყველა ქმედებაზე, ყველა სიტყვაზე, იმ გამომტყველებაზე, შენს თვალებს რომა აქვთ, იმ სიტყვებზე, შენი ბაგენი რომ გამოსთქვამენ. თავს ვერ იმართლებ ვერასოდეს... მე რომ გავაკეთე ის სხვაა, გულში სულ სხვანაირი ვარ... მთავარია, ისე არ მოვივიდეს როგორც ლევის, რომელიც სიკეთის ოცნებებში გახვეული მეტლეს უჯავრდება. ეს ადგილი ტოლსტოიდან ჩემს ძმას გაახსენდა, ჩემმა ძმამ ამოიწერა; ალბათ, იმ დროს დაემთხვა მისი წაკითხვა, როდესაც უკვე მი-

ხვდა, ყველაზე ძნელია შეიგრძნოდა შენს ინარჩუნო ეს ერთიანობა გრძნობა-სიტყვა-საქმის და შეეშინდა, სიკეთის ოცნებებში გახვეულს, ლევისის მსგავსად, თვითონაც არ დავიწყნოდა რეალური, კონკრეტული ადამიანი, ის ადამიანი, რომელიც მის გვერდით იდგა.

დავუბრუნდები ისევ იმპრესიონისტულად აღქმულ იმ „ბოლო სცენას“ და ვიტყვი მხოლოდ იმას, რაც იყო ცხადა და ზუსტი მაშინ ყველასათვის და რაც ასევე ცხადად და ზუსტად შემოინახა ყველა მოგონებამ...

მოქმედების ადგილი იყო ზღვის სანაპირო. ის ადგილი ახალ გაგრაში, სადაც დადებულია უზარმაზარი, ტალღების მჭრელი სინკარები. ზღვა საშინლად დელავდა, უბერავდა ძლიერი ქარი. იყო დღის მეორე ნახევარი, უფრო საღამოსკენ. მზე ის-ის იყო გადაიხარა იმ მხარეს, საიდანაც უნდა დაეწყო ზღვაში ჩაშვება, რამდენიმე კაცი წყალში იყო შესული, ამ სცენაზე თანდათანობით გამოიკვეთა მთავარი მოქმედი პირი — ახალგაზრდა კაცი, რომელიც ხალხითგარე შემორტყმული სრულიადმართო იდგა ამალგებულ ადგილას. ცხადი იყო კიდევ ორი მომენტი, რადგან ისინი არც ერთ ვარიანტში არაა გამოტოვებული, მაგრამ ამ მომენტებს მივაწოდებ მკითხველს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვეცდები, შეძლებისდაგვარად დეტალურად აღვადგინო ყველაფერი, წუთი წუთზე...

იყვნენ სხვა მოქმედი პირებიც — გაგრელები, ლენინგრადელები, თბილისელები... ამ „ბოლო სცენაზე“ ყველას თავისი როლი ჰქონდა, თავისი ფუნქცია... წინდაწინ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ლენინგრადელების საცურაოდ შესვლას იმ აბობოქრებულ ზღვაში და შემდეგ ბერი რამის დაკავშირებას ამ ბიჭების სიკვდილ-სიცოცხლის ამბავთან, აღვიქვამ, როგორც ღვთის წყალობას, როგორც იმის ნიშანს, რომ კეთილი სიტყვა რეალურად იწყებდა ხორცის შესხმას, განსხეულებას

ეს ჩემი სიამაყეა თუ ამპარტავნება... თუ ეს ყველასათვის მისაღები ფაქტია

ახლა, რეალობა უკვე, რომ მაშინ, ზღვასთან პირისპირ, ხალხითგარშემორტყმულმასრულიად მართოდდარჩენილმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც, როგორც მალევე გაირკვა, იყო ამედიისმომცემი, დამწყები მწერალი გურამ რჩეულიშვილი, ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულის შემდეგ, გზა გაიკვლია სხვადასხვა ადამიანების გულებისაკენ და მას აქეთ ეს სხვადასხვა გულების რიცხვი ყოველწლიურად მხოლოდ მატულობს, იზრდება.

თუ იმ წუთას გურამის ამბავმა გააერთიანა ზღვის სანაპიროზე შეკრებილი ხალხი, შემდეგ მთელი გავრა, როგორც ამბობდნენ; შემდეგ თბილისიდან, მეორე დღესვე, მისი ნეშტის საძიებლად ჩავარდნილი ნათესავ-მეგობრები; შემდეგ მის დაკრძალვაზე მოსული თბილისელები, უკვე ბევრი უცნობიც, დღეს ამ თბილისელების რიცხვი მრავლდება და მრავლდება, იკრებს სხვადასხვა კუთხის ქაღალდელებსა და სოფლელებსაც, მემკვიდრეობით გადაეცემა სულ ახალ-ახალ თაობებს და გურამის შვილიშვილების აზრით, ახლა მისი სახელი უკვე ზღვა რეკა — გადაიქცეს მოძრაობად, რომელმაც უნდა გააერთიანოს თავის გარშემო სულ სხვადასხვა თაობის, სხვადასხვა საქმიანობის და სხვადასხვა კუთხის ხალხი...

ჩვენი მხრივ იდეა გვინდა შემოვთავაზოთ ერთი საზოგადოების, ამავე დროს მოძრაობისა... ჩვენი აზრით, არის სახელი, რომლის ირგვლივაც მართლა შეიძლება ყველა თაობის ადამიანთა გაერთიანება: ეს გურამ რჩეულიშვილია...“ (დათო ტურაშვილი, ამონაწერი გაზეთიდან).

გამოდის ასე, რომ ისინი ვინც გურამზე ადრევე წერდნენ, ვინც ფიქრობდნენ მის ადგილზე ქართველი ხალხის ცხოვრებასა და კულტურის ისტორიაში, უბრალოდ, ამ მოძრაობის წინამორბედები არიან. ისევე, როგორც წინამორბედები არიან ის პატარა გოგობიჭები, რომლებსაც როგორც ერთ-ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა, „უდგებათ ხოლმე გურამის

დრო“. მერე მანვე დაამატა: „ჩვენ ვხედავთ, რომ ვაგვიარეთ ეს დრო, რომელიც მერე აღარა გტოვებს. ახლა ჩემი შვილები შევიდნენ ამ ასაკში. მთელი დღე მართორჩეულიშვილი უჭირავთ ხელში, მართორჩეულიშვილზე ლაპარაკობენ“. წინამორბედი პატარა ნათია, რომლის დღიურში დედამ შემთხვევით ამოიკითხა: „მე დაველოდები გურამ რჩეულიშვილს“. გავიდა დრო. მოხდა საოცრება... ჩვენ, გურამის სიცოცხლეში მის გვერდით მყოფი ადამიანები და ისინიც, ვინც გურამის შემდგომ, და კიდევ შემდგომ და შემდგომ თაობებს მიეკუთვნებიან, ერთნაირად ვეძებთ ერთმანეთში და საკუთარ თავშიც გურამ რჩეულიშვილს...

მე მინდა ახლა ყოველგვარი ანალიზისა და ინტერპრეტაციის გარეშე მკითხველს მივაწოდო ერთი ინფორმაცია, რომელიც გურამის ხელნაწერებზე მუშაობისას მივიღე:

თავდაპირველად ჩემი ყურადღება მიიქცია ნაწარმოებების სათაურებმა: „ბევრი ბავშვები ერთად“, „ჩვენ ყველა ერთი საქმისათვის ვიბრძვი“, „ჩვენ ერთად ვართ“ და კიდევ ბევრმა სხვა სიტყვამ სხვა სათაურებიდან და შემდეგ თვითონ მხატვრული ტექსტებიდანაც, რომელნიც ჩემს გონებაში თანდათანობით ერთ სემანტიკურ ველად იწყებდნენ გაერთიანებას. ძალიან მალე გაირკვა, რომ ამ სემანტიკური ველისაკენ იკვლევდა გზას ყველა ის სიტყვა, რომელიც ამა თუ იმ ნიშნით მაინც გამოხატავდა „ერთიანობის“ ცნებას. ეს ველი რომელსაც, ჩემთვის პირობითად ვუწოდებ „ყველა“, „ყველა ერთად“ არქივზე მუშაობის განმავლობაში იზრდებოდა, ფართოვდებოდა, იკრებდა სულ ახალ და ახალ სიტყვებს, რომელთა უმეტესობა ცხადია, იმ შემოქმედების კონტექსტის გარეშე, რომელსაც მე ვიკვლევდი, ერთმანეთისაგან სრულიად გათიშულად და უკავშიროდ გამოიყურებოდნენ. აი, მაგალითად, ერთ-ერთ ეტაპზე მივხვდი, რომ ისეთი ნეიტრალური მნიშვნელობის და შეფერილობის მქონე სიტყვასაც კი, როგორც არის „ჯარისკაცის მაზარა“,



„ჯარისკაცის ქურთუკი“ ამ სემანტიკურ რიგში თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა.

ახლა კი მკითხველს გავახსენებ ერთ ეპიზოდს მოთხრობა „ალავერდობიდან“, ამ ეპიზოდში მოთხრობილმა ამბავმა ტაძრის გუმბათისაკენ აახტო ნაწარმოების მოქმედ პირობთან ერთად ალბათ მკითხველზე მოქმედება ამ ეპიზოდში განვითარდა შემდეგნაირად...

თავდაპირველად ალავერდის გუმბათის ძირში მღვარი ადამიანი სრულიად მოულოდნელად შეამჩნია ვიღაც მოცეკვავემ. „რომელმაც მოღერებული სახე მალა აწია, ცეკვა ზედ თითის წვერებზედ შეაჩერა და გაირინდა“. შემდეგ „მალა აიხედეს მეზურნეებმაც და დაკვრა შეწყვიტეს“. და ასე ერთ წამში, თანდათანობით, და ამავე დროს ყველამ ერთად, აიხედა ზევით, იმ მიმართულებით, სადაც ახალგაზრდა კაცი, წონასწორობისათვის ხელგაშლილი, მიდიოდა ტაძრის გუმბათის ყელიდან ოდნავ გამოწეულ მკლავზე. შემდეგ ხმა გავიდა გალავნის გარეთაც, მერე ხევე გაღმაც ეს ადამიანი დაინახეს უკვე იმათაც კი ვისაც ფიზიკურად მისი დანახვა არ შეეძლოთ და ხალხმა დაიწყო „გალავნის შიგნით დენა“.

მწერლის ჩანაფიქრი მშვენივრად განხორციელდა ვიზუალურად ამავე სახელწოდების ფილმში „ალავერდობა“. რომელიც ეკრანებზე გურამის გარდაცვალების შემდეგ ძალიან მალე გამოვიდა, სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში. ეკრანზე ნათლად ჩანს, თუ როგორ ფხიზლდება, როგორ ერთიანდება – არა სიმბოლურად, არა წარმოდგენით, ან პოტენციით, ან ოცნებაში, არამედ რეალურად დაშლილი, დანაწევრებული, უძილო ღამისა და უაზრო ღრეობისაგან ქაოსსა და ბურანში გაფანტულ ადამიანთა ყურადღება. ჩანს, თუ როგორ აღიმართება თითოეული ადამიანის შხერა ერთმანეთის მიყოლებით სწრაფ-სწრაფად, წყვეტილ-წყვეტილად და მერე თითქმის ერთდროულად, ტაძრის დომინანტისაკენ, მაღალი გუმბათისაკენ, იმ ადგილისაკენ, სადაც ფრთხილად, წონასწორობისათვის

ხელგაშლილი გადაადგილდება ყმაწვილ კაცი. შემდეგ ჩანს, თუ როგორ ჩერდება ეს კაცი, თუ როგორ ახწევს მალა მარჯვენა ხელს შემდეგ ჩანს, რომ ერთ წამში, ერთი წამით, ადამიანთა შხერა ერთ მთლიანობად აღიქვამს ცისკენ მისწრაფულ კახეთის ერთ-ერთი საუკეთესო ტაძრის მაღალ გუმბათს და მის ძირში მღვარ ადამიანს.

აი, რა მოყვა სულ რაღაც ორიოდ წლის წინ რადიო-გადაცემაში, რომელიც გურამ რჩეულიშვილისადმი იყო მიძღვნილი, ფილმის რეჟისორმა გიორგი შენგელიამ. საინტერესოა, რომ მისმა ამ მონაყოლმა ამბავმა შეინარჩუნა საოცარი სიცოცხლე, ახალი ამბავის ცხოველმყოფელობა, რადგან, როგორცა ჩანს, ასევე აღიქვამდა ამ ამბავს თვითონ მოთხრობელიც, რომელიც 28 წლის შემდეგ ყვებოდა იმ განცდის შესახებ, დიდი ხნის წინ რომ დაეუფლა.

აი, როგორ აღვიქვი მე ეს, შესაძლებელია, სრულიად ჩვეულებრივი ისტორია. აი, ფიქრების რა ჯაჭვი გადაება ერთმანეთს და როგორ დაუკავშირდა ყველაფერი იმ ამბავს, რაც მე უკვე მოვეყვი, იმასაც, ახლა რომ ყვეები და შესაძლებელია ყველაზე მეტად დაუკავშირდება იმას, რომლის მისადგომებთანაც ვარ მხოლოდ, ყოველთვის, მას შემდეგ, რაც რაღაცამ გაიელვა ჩემ თვალწინ ერთხელ და მას შემდეგ, რაც ამ გაელვებისას გამოსროლილი ნაპერწკალი სხვა სთან ერთად მომხვდა მეც, მოგვხვდა ყველას ჩვენ, ვინც ფიზიკურად ძალიან ახლოს ვიდექით ამ ადგილთან.

გიორგის მონაყოლი ამბავი: გურამის დაღუპვა მე და ელდარმა სვანეთში გავიგეთ, იქ ჩვენს მუუღლეებთან ვიყავით წასული, რომლებიც ერთ-ერთი ფილმის გადაღებაში იღებდნენ მონაწილეობას. იმ წუთას გადავწყვიტეთ თბილისში დაბრუნება. საშინელი ამინდი იღვა. უბერავდა ძლიერი ქარი. ფრენა არ იყო. წამოვედიო საბარგო მანქანით, ვიღაცასთან გავათიეთ ღამე. დავთვევით, ვისხედით აივანზე. გურამის დაკრძალვას ვეღარ დავე-



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

წარი- ორივე ყურის ანთებით, საშინელი ტკივილებით და მაღალი სიცხით ვიწვე-  
ქი ლოგინში. სწორედ იმ დროს, როდესაც  
გურამის ნეშტს მიასვენებდნენ ვა-  
კის სასაფლაოსაკენ, ვიღაცამ ჩართო  
ტელევიზორი. კოტე მახარაძემ დაიწყო  
კითხვა გურამის ახალი მოთხრობისა,  
რომელსაც ერქვა „ალავერდობა“. ნაწარ-  
მოები წაკითხული არა მქონდა. თავი-  
დანვე საოცარი განცდა დამეუფლა. ასე-  
თი შეგრძნება არცა მქონია ოდესმე —  
თითქოს საგანგებოდ კითხულობდნენ ჩემ-  
თვის. თითქოს ვიღაც საგანგებოდ მიყ-  
ვებოდა რაღაცას. ამან საოცრად ემოცა-  
ურად იმოქმედა ჩემზე. ეს გაურკვეველი,  
უცნაური შეგრძნება სულ უფრო და უფრო  
ძლიერდებოდა ჩემში და მაშინ, როდესაც  
დიქტორმა თქვა, რომ ვიღაცა  
მოცეკვავემ მოღერებული სახე მაღლა  
აწია, ცეკვა თითის წვერებზე შეაჩერა და  
გაირინდა... უეცრად ყველაფერმა, მთე-  
ლმა ჩემმა განცდამ შეიძინა სიცხადე და  
სრულიად ნათლად, გარკვევით აღვიქვო  
ფორმა — დაეინახე თითის წვერებზე  
შემდგარი მოცეკვავე, მოღერებული ყე-  
ლით, რომელმაც უეცრად ზევით აიხედა  
და გაირინდა... ეს იყო სრული შესვლა  
ნაწარმოებში. ისეთი შეგრძნება მქონ-  
და, რომ მეღაპარაკებოდა თვითონ გუ-  
რამი. მივხვდი, რომ სასწრაფოდ უნდა  
დამეწყო მზადება ფილმის გადასაღე-  
ბად...

როგორცა ჩანს, ეს იყო „ალავერდო-  
ბის“ პირველი ინტერპრეტაცია, პირვე-  
ლი „გაგება“, ეს იყო პირველი გული,  
რომლისკენაც გზა გაიკვლია ამ პატარა  
მოთხრობამ, რომლის პუბლიკაციის უფ-  
ლება ახალგაზრდა მწერალმა საოცარი  
ძალისხმევით შედეგად მოიპოვა.

(„ცისკრის“ პირველი ნომერი, რომელ-  
შიც გურამ რჩეულიშვილის ორი ახალი  
მოთხრობა იყო დაბეჭდილი „ალავერ-  
დობა“ და „ირინა და მე“, გაგრის კოს-  
კებმა მიიღეს თურმე 1960 წლის 23 აგ-  
ვისტოს, გურამის დაღუპვის დღეს).

ეს ახლა ირკვევა, თანდათანობით, ჯერ  
კიდევ ყველაფერი წინ არის... თითქმის

ალარც მჭირდება ვიხმარო სიტყვა „თითქოს“,  
ან „თითქოს“, ან „როგორცა  
ჩანს“, ან „ჩემი აზრით“...

ირკვევა, რომ გურამმა ვიღაცას თქვა  
გასაკეთებელი საქმე დაუტოვა...

გიორგი შენგელაიას უნდა გადაედო  
ფილმი „ალავერდობა“. ეს არაა შემთხ-  
ვევითი, რომ რეჟისორის სიცხადე დაე-  
უფლა სწორედ იმ მომენტში, როდესაც  
მოცეკვავე გაჩერდა თითის წვერებზე,  
აიხედა ზევით და გაირინდა. ეს ხდება  
ფილმში, ეს ერთიანობა: მწერალ-რეჟი-  
სორ-მკითხველ-მკითხველ — ალავერდის  
ტაძრის ეზოში-მის გარეთ მყოფი ად-  
ამიანებისა. არც ის იყო შემთხვევითი,  
რომ რეჟისორი უნდა ყოფილიყო გიორ-  
გი შენგელაია, რომლის ბავშვობის ბუ-  
ნდოვანებაშიც იკვეთებოდა ალავერდის  
ტაძარი თავისი დღეობებით, რომელთა  
ხშირი სტუმარიც ყოფილა თურმე ის პა-  
ტარობისას. თავისი კახელი დედის ნატო  
ანდრონიკაშვილი — ვანაძის წყალობით.

ფილმში გურამის როლი უნდა შეეს-  
რულებინა ჩემს მომავალ მეუღლეს —  
გეიდარ ფალავანდიშვილს.

გივი კიკალაშვილს უნდა დაებინავე-  
ბინა მწერლის არქივი საქაღალდეებში.  
უნდა დაეკრა ამ საქაღალდეებზე მოგრ-  
ძო ფურცლები, რომლებზეც ეწერა გუ-  
რამის მოთხრობების სათაურები. მოვა  
ამ ამბის თხრობის დროც... ახლა ვიტყ-  
ვი მხოლოდ იმას, რომ მახსოვს ერთობი  
და მე რა შეშინებულ-შეშფოთებულება  
უახლოვდებოდი და ვშორდებოდი  
გურამის ზელნაწერებს, რომელთაც გა-  
ვი საქმიანად, ზედმიზეძ, ერთმანეთის მი-  
ყოლებით ათავსებდა პატარა-პატარა,  
სხვადასხვა ფერის საქაღალდეებში.

ვოგი ოჩიაურს უნდა შეექმნა გურამის  
საფლავის არქიტექტურა. უნდა ჩამოეტა-  
ნინებინა ჩვენთვის ბოლნისიდან ღია  
მომწვანო ფერის საოცარი თბილი ფაქ-  
ტურის ქვა, ეს ქვა უნდა ჩამოეტანა ულა-  
მაზეს, სიკეთით სავსე ვაჭკაცს, დედანე-  
მის მოგვარეს იროდი ნიჟარაძეს, რო-  
მელიც იმ ხანად, იმ მიდამოებში მუშა-  
ობდა. გეიდარს, ჩემს მეუღლეს, უნდა მო-  
ეწყობა მაშინ წელი ამ ქვის ვაკის სასა-

ფლორე შეტანისას... შემდეგ გოგის აქ ქვაზე უნდა ამოეტიფრა ის საოცარი კომპოზიცია, რომელიც რაღაცნაირად გურამის გაგება-აღქმის სიმბოლოდაც კა იქცა. ეს კომპოზიცია შემდეგ უნდა გამხდარიყო გურამ რჩეულიშვილის პირველი შედარებით სრული კრებულის გარეკანი, რომელიც ასე შეიყვარა ხალხმა...

ეს წიგნი უნდა გამოსულიყო გიორგი შატბერაშვილის რედაქციით, რომელსაც ასე საოცრად უყვარდა გურამი... გიორგი შატბერაშვილის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახს უნდა გადმოეცა ბატონ გიორგის პატარა ჩანაწერი გაკეთებული 1960 წლის 23 აგვისტოს, რომელშიც იგრძნობა თუ როგორ შეძრა მრავალ ჭირვადატანილი მწერალი ახალგაზრდა ჭაბუკის უდროო დაღუპვამ...

ნუგზარ წერეთელს უნდა დაეწერა წიგნი „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, რათა შემდეგ ეს წიგნი აღბეჭდილიყო ადამიანების გულებში, როგორც სიმბოლო ორი მეგობრის ურთიერთსიყვარულის, ურთიერთპატივისცემის და ურთიერთაღმატებულობის...

ესმა ონიანს უნდა შეექმნა გურამის პორტრეტი...

აი, თურმე მე რა მევალებოდა. აი, თურმე რატომ არ მიშველა არაფერმა, არც ყურებზე საგულდაგულოდ დაფარებულმა ბალიშებმა, არც ძალით დაიწყებულმა შეგრძნებებმა, არც ყურის მოყრუებამ, არც საოცარი გულგრილობის ნიღაბმა... არც სრულიად საწინააღმდეგო გზების არჩევამ... რომელთაც ისე როგორც ოიდიპოს მეფე, პირიქით თურმე ბედისწერის აღსრულების გზაზე მიყვავდი...

მოვალეობა კიდევ ბევრსა ჰქონდა...

ლექსის შეთხზვის, დახატვის არ დავიწყების, ინტერპრეტაციის... ერთ-ერთზე ამ კომენტარის დასასრულს ვიტყვი.

და შეიძლება არც იყოს უსაფუძვლო (აი, ისევ ადამიანური, დაუსრულებელი მერყეობა, დაუსრულებელი ეჭვი. აი,

ისევ ურწმუნო თომა! აი, ისევ „მედიკოსი“ „ბურანი და ქაოსი უნდა მოყვეს!!!) ჩემი შეგრძნება, რომ ჯერ კიდევ წინაა... რომ ჯერ კიდევ ბევრი მოვალეობა აქვს თითოეულ ჩვენგანს, ჩვენ ყველას, ვინც გურამის სიცოცხლეში მის გვერდით ვიდექით... შეგრძნება, რომ მთავარი ჯერ კიდევ წინ არის... ის მთავარი, რისთვისაც იყო ყველაფერი დანარჩენი... და ის ადამიანი, რომელსაც შეიძლება ევალება კიდევაც ყველაზე მეტი, ჯერ კიდევ ქაოსში გაბნეული, ბურანში მყოფი, შეშინებული ემალება კიდევ მომავალს, რომელიც ალბათ (ისევ „ალბათი“) მას არ აცდება... ვნახოთ... „ვნახოთ და ვნახოთ!“ გურამის სიტყვებისა არ იყოს.

დავუბრუნდები ისევ „ალავერდობის“ ბოლო ეპიზოდს... იმ მომენტს, როდესაც ალავერდის გუმბათის ძირში მდგარმა ადამიანმა შესძლო ერთი წამით, ერთ წამში შეეკრა ამ გაფანტული, დაქსაქსული „როლიდან ვერ გამოსული“ ხალხის ყურადღება... ის მაშინ რეალურად იდგა, ფიზიკურად, თავისი სხეულით ყურადღების ცენტრში და სწორედ მაშინ, როდესაც „ეფექტი მთლიანი იყო“ და როდესაც იგრძნო, რომ მიაღწია საწაფელს, ამ ახალგაზრდა კაცში თათისთვისვე მოულოდნელად დაიძრა ახალი შეგრძნება, საიდანაც მისი გრძობა-ცნობიერების სიღრმიდან ამოტივტივდა სულ სხვა განცდა-ფიქრი, რომელმაც ორი წუთის წინადროინდელი ამბავი, ერთადერთი მიზანი, გადაულახავი წყურვილი, გადააქცია მხოლოდ საფეხურად, ეტაპად... (აი, რატომ არის აუცილებელი გურამის მოთხრობების ციკლური ხასიათის აღდგენა. ის ციკლი, რომელშიც შედის „ალავერდობა“ ოთხი მოთხრობისაგან შედგება. „ალავერდობა“ კი ამ ციკლის მხოლოდ მეორე მოთხრობაა!!!) ამის შემდეგ ეს ახალგაზრდა კაცი მშვიდად, ყოველგვარი ალტყინების გარეშე ჩამოვიდა ალავერდის გუმბათიდან და ასევე მშვიდად, აუღელვებლად გაუყვა

იმ გზას, რომელიც აღწებისაკენ მიდის... ჩემნაირ კირკიტა მკითხველს მინდა მივაწოდო ერთი ინფორმაცია: „ალავერდობის“ შავ ხელნაწერის ბოლო წინადადებაში წერია: გურამი გაუყვა გს... ტყვისაკენ“. თეთრ ხელნაწერში სიტყვა „ტყვისაკენ“ შეცვლილია სიტყვით „ალვისისაკენ“...

როგორც 25 წლის შემდეგ გაირკვა გურამი თავის სიღრმისეულ, ყველაზე მნიშვნელოვან, თავდაპირველად, როგორც ჩანს, შეგრძნებას, შემდეგ აზრს, შემდეგ კი ცოდნას, არ ამბობდა პირდაპირი, არამატერული სიტყვით, არც წერდა... არავისთან არ ლაპარაკობდა... ერლომთან?

ბევრს მსჯელობდნენ, საათობით ლაპარაკობდნენ... ძალიან ბევრი დღიური მათი სიღრმისეული, არსისმიერი საუბრების დოკუმენტებია, „ფოტოფირებია“... ბევრი დღიური უშუალოდ გულისხმობს კიდეც ერლომს, როგორც მსმენელს...

მაგრამ როგორც ეტყობა ძირითადი ამბის საფუძველში იდო თვითონ საიდუმლოება, უთქმელობა... „ნუთუ აუცილებელია, რომ ყველაფერი დაფარული იყოს!“ (გურამის ჩანაწერებიდან).

რა იყო ცხოვრებაში?

გურამი აშენებდა გემს. ამ გემის სახელი უნდა ყოფილიყო „გურამი“. გემის ეკიპაჟს საგანგებოდ არჩევდა. ეს თითქმის ყველა ახლობელმა იცოდა. სხვადასხვა ხალხით დატვირთული ხომალდი უნდა გამგზავრებულიყო შორეული ნაპირებისაკენ... ჩვენ, ყველა ერთად უნდა წაესულიყავით სადღაც.

მერე აშენებდა კოსკს... რომელშიც ყველას ერთად უნდა გვეცხოვრა... თვითუღს უნდა ჰქონოდა თავისი ფუნქცია... ზოგის ფუნქცია უფუნქციობა იყო. მერე ყველა ერთად უნდა წავსულიყავით სადღაც ახალგაშენებულ სოფელში, რომელსაც უნდა რქმეოდა „რჩეულოვკა“...

ეს იყო რაღაცნაირად არა აბსტრაქტული ოცნებები, აბსტრაქტული მსჯელობები, არამედ დაყენებული, რაღაც

ნაირად თითქოსდა რეალობის ზღვარზე მდგარი კონკრეტული გეგმები...

არ ვაპირებ არაფრის ანალიზს, ყოველშემთხვევაში ძალიან არ მინდა, რაღაცნაირად საგანგებოდ ვცდილობ კიდეც, ვიყო მაქსიმალურად ობიექტური მთხრობელი, მივაწოდო მკითხველს მხოლოდ ფაქტები ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე. საშინლად არ მინდა შევქმნა რაღაც ნიღაბი ჩემი ძმისგან, რაღაც მოდელი და შემდეგ ყველაფერი შევტყურო შიგნით; თავდაპირველად, ალბათ ადვილად, სანამ ნიღაბი ცარიელია, მერე კი თანდათანობით სულ უფრო და უფრო ძნელად, და ბოლოს ძალიანაც კი, როდესაც უკვე როლში შესული თვალებსაც კი ზუჭავ იმ კუდეებზე, რომელთაც ნიღბის გარეთ გამოუყვიათ თავი. საშინლად არ მინდა შევქმნა რაიმე ნიღბისმაგვარიც კი, რადგან გურამი მთელი ცხოვრება ამ ნიღბის გარღვევას, დაშლას, გვირგვინის მოხდას, დამდაბლებას ცდილობდა. მაგრამ ცხადია ეს ოცნებაა მხოლოდ. ადამიანის არათუ სიტყვა მიმართული სხვა ადამიანის მიმართ და მე მგონი სხვანაირი სიტყვა არც არსებობს, არამედ ამოიხვრა, გამოიხედა, დგომაც კი უკვე ინტერპრეტაციაა ვიღაცის, რაღაცის, საერთოდ ადამიანის, სამყაროსი. საოცრად მჭიდროა ეს ქვეყანა და არ არსებობს ერთი მეორის გარეშე, გინდაც ისინი სხვადასხვა სივრცეებსა და დროში იყვნენ განლაგებულნი. ამიტომ ჩემს მკითხველს არა აქვს არჩევანი, მის წინ არის გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ინტერპრეტაცია მისი ოთხი წლით უმცროსი დის მიერ, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, მაინც თავისას ცდილობს — მაიწოდოს მკითხველს მხოლოდ ფაქტები, თუმცა შეიძლება ვინმეს ეს ფაქტები თავდაპირველად მხოლოდ მონათხრობი ამბის შესაღამაზებლად მოგონილი ამბავი ეგონოს, მხოლოდ ლამაზი სიტყვისათვის ნათქვამი.

აი, ესეც ფაქტია, რომ მაშინ გურამ რჩეულიშვილი იდგა ზღვის სანაპიროზე



გაქვეყნდა

და რაღაცა წუთები როგორც ჩანს, ჩუმად უყურებდა ზღვას, რომელიც საშინელო ძალით ეხეთქებოდა ადამიანის ხელით აგებულ უზარმაზარ ზღვისმჭერელ „სინკარებს“ – ასეთი დღევა, ამბობდნენ მაშინ, გაგარის სანაპიროზე დიდი ხანია არა ყოფილაო. ისიც ფაქტია, რომ საიდანდაც მოვარდნილი უხილავი ქარიშხალი ასევე უხილავ კედლებს წაღვეკით ემუქრებოდა. იყო სკდომა, იყო ხეთქება ჯებირებზე... და ჩემთვის უკვე ფაქტია ისიც, რომ ეს იყო სრულიადმართოდარჩენილი, ჩუმად მდგარი ადამიანის სულიერი სამყაროს ექსტერნალიზაცია, რომ ამ ადამიანის სულიერი მოძრაობა, შინაგანი ამბავი, სარკესავით ირეკლებოდა და აისახებოდა ამ უსულო სამყაროში. ეს იყო სამყაროს ერთიანობის უდიდესი წამი, ათასად დაშლილი, ერთხმად აჟღერებული სამყარო; ხილული უხილავი წამი, რომლის რეტროსპექტული ანალიზისას უკვე გონებითაც კი ხედები, გონებითაც კი იცი და როგორც უბრალო ფაქტს ისე აღწინავ, ისე აღიარებ, რომ მართლაც თურმე ყველაფერს ერთი ხელი მართავს, ერთ ნებას ემორჩილება... რომ ყველა და ყველაფერი ერთ ხმაში პოულობს დასაბამს...

აი „ალავერდობიდან“ ის სიტყვები რომელთა მნიშვნელობა მთელი სისხავსით მხოლოდ ახლა აღვიქვი:

„უცნაური გაშეშება იყრობს მართოდარჩენილ მხედარს, ცხენი ცოტა წყალსა სვამს და ყურებდაცქვეტილი დგება მის შუაში. ოდნავი ჩქამიც კი არ ისმის. მთლიანად გამოთიშული გარემოსგან დგას გურამი და ამ სიჩუმისგან, არარეალობისგან, რამოდენიმეჯერ გაძღვრებული ისმის მთლიანი დიდებული სიმფონია გაურკვეველი სურვილისა... არაფერა არ ესმის მხმენელს. ეს არის მუსიკა მთლიანად ერთად. ყველა თავისი ხმით,

ნაწილებით. ერთადერთი თავისუფალი მისგან. არ იხმძე არ გაუძალიანდე... მე მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ ვივიე ის შმა, რადგან, როგორც ეტყობა, მართლა შეუძლებელია არ შედგეს „ის“, „რაღაც“, თუ ის არსებობს, თუ ის ცოცხალია, არის თუ იყო – ამას არა აქვს მნიშვნელობა. არ შეიძლება უკვალოდ ჩიაროს გულწრფელმა აზრმა, სიტყვამ, გრძნობამ; უბრალოდ, გემართებს მოთმინება, „შეუპოვრობა“, იმედი დარაც მთავარია, რწმენა, ბრმა რწმენა!!! უკვე მერამდენედ ვრწმუნდები სხვადასხვა მაგალითზე, რაც არ გწამს, რასაც არ ეძიებ, ვერც ჰპოვებ.

ახლა კი არ მინდა შენ, მკითხველი, და მე, ერთი ორი წინადადებით მოვიშორით სათქმელი, რადგან, სულერთია, ვერც ერთი ვერ ვიტყვით ამის შემდეგ ეს სრულიად საკმარისია; რადგან თავის „ბოლო სცენამდე“ თვითონ მოქმედი პირი მივიდა თანდათანობით; თვითონ მთავარი მოქმედი პირი მიჰყვა თავისი ცხოვრების სიუყვეტს ნაბიჯ-ნაბიჯ, აღმაღლმა სვლებით, საოცარი დამარცხებებით, რომელნიც უცნაური ძალით გამარჯვებებისაკენ მიდიოდნენ მხოლოდ, ამბებით, სულიერი მოძრაობებით, რომელნიც „ძალას სისუსტეში იკრებდნენ“ („სისუსტეა ჩემი ძალა“ – გურამის ტექსტიდან) და გურამი ხშირად უიმედოდ, სამუდამოდ უფსკრულის კედეს დანარცხებული, როგორც კი რაღაც იელეებდა მასში, რაღაც საოცრად, დაუჯერებლად გულწრფელი, რომელიც როგორც ჩანს გაელეებისთანავე კოცონად იწყებდა გიზგისს, როგორც „დღიურის“ ლოთა (რჩეულიშვილის ამ მოთხრობის გმირი) თავის საოცარ სიზმარში საფლავის სიღრმიდან დაუძლეველი აკლდამის თავს ექცეოდა ზევიდან და ისევე სრულიად დაუჯერებლად, ალოგიკურად, ახალ,





უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდა... ნეტა რა სულიერი მოძრაობა უძღოდა წინ ამ გაელეებას, ამ სულის ქროლვის რა ნიუანსი...

ამიტომ ამ „ბრალდებულის“ საქმის გადმოცემისას არ გაუუსწრებ მოვლენებს წინ... აი, ისევ ცოცხლდება რაღაც... ეს ახლა „იულონის“ ერთ-ერთი სცენის პირობითობა იქვე სახელდახელოდ არჩეული თავისი გამომძიებელ-დამცველ-მოსამართლეებით; თუმცა მგონი იქ დამცველები იყვნენ მხოლოდ... რომელნიც ერთი ადამიანის, კონკრეტული ბრალდებულის საქმის განხილვას იწყებდნენ მისი ბავშვობის გახსენებით, რადგან მის ბავშვობაში ეძიებდნენ უფროს ასაკში ჩადენილი დანაშაულის საფუძველს... თითქოს ახლა, სულ სხვა სიტუაციაში, რეალური ამბის თხრობისას, საიდანღაც ამოტივტივდა „იულონის“ სცენის პირობითობის აუცილებლობა. ახლა ამ სცენაზე დგას მხოლოდ „ბრალდებული“, საიდანღაც ვიღაცის მიერ დანიშნული „გამომძიებელი“ - მკითხველი და... და ის ხილულ-უხილავი ნება, რომელსაც ყველაფერი და ყველა ემორჩილება...

ამიტომ ვიმეორებ ისევ, არ გაუუსწრებ მოვლენებს წინ, რადგან მან, ვინც ჩემსაკენ, როგორც ურწმუნო თომა, საჭიროებს დამამტკიცებელ საბუთებს, ზელი უნდა შეახოს იარას, ხოლო ისინი, ვისთვისაც ყველაფერი ისედაც ნათელია, ცხადია და ვისაც აქვს უნარი, უხილავი ირწმუნოს ბრმად, იმათთვის გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების ისტორია ნათქვამი ჩემს მიერ, გინდაც ერთ-ორი წინადადებით, ზედმეტი იქნება და შეიძლება შემაწუხებელიც კი...

მაშ ასე...

ვუსურვებ ჩემ თავს და შენც, მკითხველო, არ წამრთმეოდეს, არ შეწყვეტი-

ლიყოს, არ შეჩერებულყოფილი იმ წაკადი, რომელმაც ჩვენ ორთავე უნდა წაგვიყვანოს ამ ეკლიან გზაზე...

არ ვიცი რატომ, მაგრამ ისევ მოულოდნელად, სრულიად პროზაულ სიტუაციაში და ფართო თვალსაწიერით კი გადაბუგულ, ჩაშავებულ, დაჩეხილ-დანაწევრებულ საქართველოში მეუფლება ჰამლეტის სრულიად საწინააღმდეგო განცდა... დროთა კავშირი იწყებს აღდგენას... საიდან მოდიან ასეთი ფიქრები! და ისევ რაღაცნაირად, ისევ საიდანღაც, იგივე შეგრძნებიდან იკვთება კონკრეტული დეტალის რეალური აღქმა: გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების სიუჟეტს ამ „დარღვეული დროის“ აღდგენაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. მაშ ასე! „წინ“ მკითხველო! 1960 წლისაკენ... ამ გზის გავლას მეც მოუთმენლად მოველი შენთან ერთად, თუ შევძელი ვადმომეცა შენთვისაც ის მუხტი, რაც მე გურამის სიტყვიდან, გურამის სულის ქროლვიდან მივიღე. რადგან ჩემთვისაც ბევრი რამ გასაგები ხდება მხოლოდ ამ წერის პროცესში და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაცის ხელს, ვიღაცის ნებას რაღაცა მოჰყავს გურამის სიტყვიდან ჩემთან, მერე ჩემგან შენთან და მხოლოდ მაშინ ხდება ის რეალური, მხოლოდ მაშინ იკრებს ძალას, როდესაც შენით გაშუალებული კვლავ ჩემთან ბრუნდება. მართალია, ეს ყველაფერი ერთ წამში ხდება, ერთდროულად, ისევე როგორც მუსიკაში, სადაც ძნელია გამოჰყო და თქვა: ჯერ ეს, შემდეგ ეს... მაგრამ არც ამას აქვს მნიშვნელობა... მთავარია, რომ... როგორცა ჩანს ამ გაგების გარეშე მართლა არ შეიძლება („ნუთუ ამ გაგების გარეშე არ შეიძლება?“ გურამის ჩანაწერებიდან).

დასასრულს მინდა მკითხველს მივაცოდო სამი „დოკუმენტი“ — ნახატა,

რომელმაც ყველაფრისაგან ჩაურევლად, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად შეიქმნენ სულ სხვადასხვა წლებში, სულ სხვადასხვა ადამიანების მიერ და რომლებშიც დვთის ნებით გამოვლინდა ის ევოლუცია, რაც განიცადა გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ინტერპრეტაციამ:



პირველი ნახატი ჩემუღმრთელს ახსოვს მკითხველს (იხ. „ცისკარი“ 1992-2). მაშინ უნდა ახსოვდეს ისიც, რომ ეს ცხენი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში რატომღაც, საიდანღაც მაშინვე ამოტივტივდა, მაშინვე როგორც კი ჩემი ძმის ცხოვრების ისტორიის თხრობას შევეუდგე, 7 წლის გურამს 1942 წელს ომში წახვლის წინ დაუხატა თავისმა ბიძამ გია რჩეულიშვილმა.

როგორც ნახატიც გურამის მოთხრობების მკითხველისათვის ცნობილი უნდა იყოს. ეს სწორედ ის კომპოზიციაა, რომელიც შექმნა გოგი ოჩიაურმა, როგორც აღვნიშნე თავდაპირველად საფლავის ქვაზე ამოსატვიფრად. როგორც მან თქვა, მაშინ პირველად აღორძინდა თბილისში ძველი ქართული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ქვა საფლავზე ფეხზე მდგომი, აღმართული კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უნდა დადებულყო ზევიდან მთელ სიგრძეზე. აი, ამ საფლავს ქვის გიორგი შატბერაშვილისეული აღქმა:

„... ჭაბუკი მხედარი გაჭენებულ ცხენზე ზის. მხედარს საკინძეგახსნილი პერანგი აცვია. მარჯვენა ხელით გაფრენილი ცხენის აღვირი თუ ფაფარი უჭირავს, მარცხენათი გამშლილი პერგამენტი თუ ქაღალდის გრაგნილი. საფლავის ქვის თავსა და ბოლოს მზე და მთვარე ამოკვეთილი, აქა-იქ ვარსკვლავთა ყვავილებია მიმოფანტული. ცხენი ჭენებია მიჰქრის, მკერდი წინ წაუგდია... ჭაბუკი მზითა მთვართა და ვარსკვლავების შუქით განათებულ გზაზე მიაქროლებს თავის სალამურას. დიახ, ეს სალამურაა, ან თვირთვილა...“ ახლა, მას შემდეგ, რაც სამივე ნახატი უკვე ჩემ თვალწინაა, კვითხე მხატვარს თუ როგორი გაგება ედო საფუძვლად ამ გრაფიკული ნამუშევრების შექმნას. გოგი ოჩიაურმა მითხრა: „ჩემთვის გურამი ყველასაგან განსხვავებული პიროვნება იყო, ქალაქში ის ამ თავისი განსხვავებულობით ერთგვარ დისკომფორტსაც კი ქმნიდა. ის, როგორც თორღვა, ხევსურული მითოლოგიის გმირი, და, გაიხსენე, ამასთანა-



ვე რეალური პიროვნებაც, არ იყო უბრალო კაცი. მისი გარდაცვალების შემდეგ აღმოჩინეს კიდევ მისი ხელდასმულობის ნიშანი — მარჯვენა ბეჭზე მზე ეხატა, ხოლო მარცხენაზე კი მთვარე. აი, ასეთი აღქმა უდევს საფუძვლად ჩემს ნახატს. დააკვირდი: მხედარი თითქოს არცა ზის ცხენზე. თითქოს არც ცხენსა და არც მხედარს არა აქვთ წონა... ჩემთვის გურამი თავისი ბუნებით წარმართია, შემცნობი ყველაფრის, მთელი სამყაროსი ინტუიციურად. ჩემი გაგება ახლოა ტაბიძისეულ გაგებასთან, რომელიც მისტიკის იმ დროს, როდესაც პოეტი ერთდროულად ბედუნი და მეომარიც იყო. გაიხსენე, როგორ ამბობს გალაკტიონი:

„დავლით ჩვენ იმ კარგი დროის  
შესანდობარი,

ოღეს პოეტი იყო არა მართო პოეტი:  
პოეტი იყო ბედუნი და მეომარი.

პოეტი იყო მოსამართლე და უფრო  
მეტი —

იყო გრივალი, იყო შერყევა,

იყო მსოფლიო ძალა — უგემი.

მისთვის არ იყო რამ შეფერხება —

იგი უყვარდათ როგორც ნუგემი.“

აი, ასე აღვიქვამ მე გურამს; არა როგორც მხოლოდ პოეტს, არამედ როგორც პოეტ-ბედუინს, პოეტ-მეომარს. ამიტომ შეესვი ცხენზე და მარჯვნიდან და მარცხნიდან მზე და მთვარე დაეუხატე, წმინდა გიორგის ნიშნები, გამორჩეულობის აღსანიშნავად“.

მესამე ნახატი უცვლელად იმეორებს გოგი ოჩიაურის უკვე ნაცნობ კომპოზიციას ოღონდ, მისგან განსხვავებით, მხატვარმა ვახტანგ რურუამ, რომელიც გურამის შემდეგ თაობას ეკუთვნის, მხედრის მარცხენა მხრის ზემოთ, მზეში ჩახატა „ბოლნური“ ჯვარი. აი, რა მითხრა ვახტანგ რურუამ: „ბოლნური ჯვარი საგანგებოდ ავირჩიე. რადგან ის ერთდროულად ჯვარი აყვავებულიც არის და ჯვრის ამაღლებაც. ეს ძალიან კარგად ჩანს ჯვრის მონასტერში, რომლის მთავარ კარიბჭეზე გამოსახულ ამ ჯვარს ორი ანგელოზი ზევით მიაქანებს. ქვემოთ კი ხატია აყვავებული ტოტები. ეს ტოლგვერდა ჯვარი ყველაზე პოპულარული, გავრცელებული ჯვარი იყო მთელ საქართველოში. თითქმის ყველა ძველ ტაძარზეა ამოკვეთილი. არსებობს მოსაზრება, რომ ის მოთავსებული უნდა ყოფილიყო ქართულ სამეფო დროშაზეც. გარდა ამისა, ჩემის აზრით, ის ახლო უნდა იყოს წმინდა გიორგის ჯვართანაც“.

მესამე ნახატი არის ემბლემა, რომელიც მხატვარმა საგანგებოდ შექმნა გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების დაკვეთით. (ასეთი საზოგადოება უკვე დაარსდა — პრეზიდენტია ნუგზარ წერეთელი, ვიცეპრეზიდენტები — ერთ-ერთი ახელქედიანი, დათო ტურაშვილი ბორია ინასარიძე. საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი კი დათო ტურაშვილი) ამ ემბლემას შემთხვევით გადაეწყდი ნუგზარ წერეთლის სამუშაო მაგიდაზე. თუ შეეძელი, მკითხველისათვის ყველაფერი ისე გადამეცა როგორც მე აღვიქვი, მაშინ, ალბათ ისიც მზად უნდა იყოს, ჩემსავით გადაიწეროს პირჯვარი გულში მაინც და თუნდაც ისევე ღრმა გულში ჩემსავით გაიფიქროს: „ამოუცნობია შენი გზები, უფალო!“

(გაგრძელება იქნება)



## ნუგზარ ჩიკვაიძე

ილოცე, ხორცი დარჩების ნაცრად,  
ზეალ გაშიშვლება მოელის ზრახულს;  
სატანის ზრახვებს სასჯელი მკაცრი,  
და შებრალება სატანის მსახურს.

ბინდეთი არსად ვერაფრით დარჩეს,  
არ ელის ყოფნა და გადარჩენა,  
სატანის ზედრი არ არის მარჯი,  
რამეთუ ეშმას არ აქვს მარჯვენა.

ამიტომ თქვენთან უღმერთოდ ვაჭრობს,  
ეს გული ცაძდე გოდებად გავდე;  
სატანა მარჯვენს იმისთვის გაჭრის  
რამეთუ მთელი არსებით ჰგავდე.

სატანურ სახეს თუ ანტისახეს,  
ბნელიდან მოსდგენ და განიზრახეს  
შესცვალონ წმინდა ანი და ბანი,...  
ღმერთეულ არსში გამონაკვეთო,  
რამეთუ გახდე სატანის მგვანი  
და ნათლით ბინდი ველარ გაკვეთო.

სატანა ნათელს უშზადებს ბოქლომს,  
თვალეში ცრემლი სულად გროვდება;  
სატანა აგრე რისთვის ბობოქრობს,  
განკითხვის ჟამი თუ ახლოვდება?!

სინათლე შეფენს ქვეყნის დასასრულს  
სიმშვიდეს, სულში შვების მჩქერებლად;  
აიღებს ეშმა მახვილს გაბასრულს  
და განგიშზადებს დასამგერებლად,

შიშნეულ არსით ღამიდან ქოლგენ,  
ღრუბელთა ბინდი თვალეთში მივეფს;  
მე უკვე მესმის გვამების ყროლვა  
და ავსებული სისხლითგან ციხე.

მე მაცხოვარში დარჩენა მინდა,  
სინათლეს ლოცვა და გასაქანი...  
საკნულ ბინდებს არ შეუშინდე  
სხეული თვითონ არის საკანი;

ვიღაცა შუბლზე მოგაბჯენს ნაგანს,  
დახვდები თვალთ ხმაშეუმკრთალით;  
როდესაც ეშმა აავსებს საკანს,  
იმ ჯოჯოხეთურ წამების ალით  
საწყისიც მოვა იმ გამარჯვების,  
უშშვიდესთა შვებათა მგვრელი;  
სასჯელიც მოვა,  
არც შენ დარჩები

მთლად უენებელი და დაუსჯელი,  
თუმცა ეს დასჯა არაფრად ვიღარს,  
შენ ღმერთის წმინდა სამსჯავროს ელი...  
ვერ შეგაშინებს სასჯელის მოხდა,  
საკანშიც უნდა დევებს შევება;  
ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოხდეს  
სატანის დასჯა ან აღზევება...

მტკივნეულ სისხლით შენაფერ დრამას,  
უფრო ღიდ გლოვას უშზადებთ მისტერ?!..  
რა დაასრულებს ყველაფერ ამას,  
მხოლოდ და მხოლოდ უფალი ქრისტე...



მე თავშესაფარს არ ვეძებ თქვენთან,  
 სიბილწეს უმხელთ მზეს და კვიპაროსს,  
 კვლავ მოვალ თქვენთან, მშვიდობა

თქვენდა,

დაგვიხსნას ღმერთიან და განგვიფაროს.  
 სიცოცხლე თქვენი განა ხმლებიან  
 ტკივილებს უნდა მიჰყვეს დინებით,  
 ჟამი არს ახლა ცრემლმეულ ლოცვით

და სიმართლით ედგეთ ზმლიანთა...  
 ზეცნულ არსშიც განიხვენებთან  
 ლოდნულ არსთა გამოვლინებით,  
 განიხვნის ზეცა და ანგელოსიც

მოგმახებს: უკვე დაგაგვიანდა.  
 იელვებს ცათა მხედართმთავარი  
 ზეახშეკვებულ არსთა ქორითი,  
 მე არ მიცვნიას სოფლის მთავარი  
 სოფელი რადგან არის ბოროტი.  
 იელვებს ზეცა როგორც ბუნება

და განდევნილი მიწის თავადი,  
 ნათელში ჟამთა შემობრუნება  
 თთიქოს და სული თავისთავადი.  
 ამ სოფელს ჟამი ვერ შეეწია,  
 მეც სევდით წარვხდე თუ გარდავიდე  
 და ისევ ველტი სოფელს ზეციერს  
 რომელშიც უნდა მალე წავიდე.  
 მანთებდა ზრახვა ზეცის მზეთაგან,  
 მაკრთობდა სული შეუმტკიცავი;  
 ცოდვა არს ნუთუ ეს სისპეტაკე  
 მახვილით აღვსდექ და დავიცავი.

არ დამიღვრია ცრემლი მალულად,  
 დღეს ჩემს წინ ეშმა ისევ იქადის;  
 და ისევ სულით და სიბრალულით  
 აღმართვა ლოცვის და ბარიკადის.  
 სატანას ვუთხარ: რაისთვის შემკარ,  
 როდემდე ეგრე უნდა მიხელო;  
 შორია ისევ გზები სავალი,  
 თან მახლავს თუმცა თანამზრახველი;  
 და თქვენ კი გეტყვით; მე წავალ  
 თქვენგან

და ჩემი სახეც ვეღარ იხილოთ,  
 არ იტყვით ვიდრე რომ მომავალი  
 კურთხეულია ღმერთის სახელით.  
 კვლავაც მაგ თვალთა ნისლებს ველოცვი  
 ემი თუ ისევ ჯავრი იყაროთ,  
 და მაინც გვედრებთ ის ანგელოსი,  
 მეტადრე აღარ გადამიგვაროთ.  
 სიმართლის ზეცა მოვიდეს თქვენში,  
 და ნათლულთა მზეთამზეობა;  
 განბანილ იქნას გლოვათა თქვეით  
 სიბილწე, ზაკვა, და უზნეობა...

და მოვალს ზეცა; მშვიდობა თქვენდა!  
 გარდაეხსნება ბინდის მზეს აფრა,  
 თავშესაფარი მე არ მაქვს თქვენთან  
 რადგანაც ზეცა მეთავშესაფრა...  
 ცა სიმართლის სევდას მბაბრებს,  
 ამ სულში ლოცვა და განგაშია,  
 ადგილი ახლა ბნელთან არ არის  
 ადგილი უკვე მხოლოდ ცაშია..

სიცოცხლე დამრჩეს როგორც ოლარი,  
 ცხოვრებამ მწარე ზმანებდა შეგსვა;  
 პირველად ახლა გნახე მწოლარი  
 და კვაჯები სარეცელს შენსა.

რაისთვის აგრე ფერდალეული,  
 რად მიაბსგავსე მთვარეს სხეული,  
 ცას გარდევსნება დღეთა რვეული  
 და სადღაც სუნთქვა სარეცლეული.

გაუშვეს უკვე გოგი, მაგოგი,  
 ცხოვრებას აღარ ელოდე დაფნად;

შენ სანისლეთი ზეწრად გაგეგო  
 და სადღაც ზეცა გეზურა საბნად.

შენ ჩემში ისევ შეგიწყნარებენ,  
 და შემომრჩები მაინც ეული,  
 დაგზედავს თვალი კვლავ ჟამნარევი  
 და მომწყურდება შენი სხეული

და ვნებად მკედრზე შემოგადნები...  
 სიკვდილშიც ტრფიალს ვუხმობდეთ,  
 ამენ!

ამ წუთისოფლის უნდო მატლები  
 სხეულსა ჩვენსა უღმერთოდ სჭამენ.

შენ ქალი გქვია...

შენ ქალი გქვია სიცოცხლეო, შენ ქალი გქვია,  
მე შენგან მომხვდა მტკივნეული გოდების ტყვია,  
არ განმეშორო გევედრები მომეცი ძალი,  
შენ ქალი გქვია.

მე ვინ ვარ ახლა; დაღვრემილი ღიმილით გკითხე,  
ვერ მიპასუხე და წამწამიც ცრემლში დაზვარე;  
ძარღვებში მოდის ღმერთეულად ნათელი სითხე  
და მე გაპასუხოვ საყვარელო, მე ვარ ლაზარე.

ამ საუკუნემ დაქანცულად ყური მათხოვა,  
უფალი კვლავაც მოწყალებით დამშხერდა მურდალს;  
მან ორი სიტყვა გადმომიგდო როგორც მათხოვარს  
გადაუგდებენ სამოწყალოდ გაცვეთილ ხურდას.

დაბადებითგან დამყოლია მათხოვრის ბედი,  
და ნისლეული თვალში ცრემლად ჩასაქსოვარი...  
ვარ შენი ტრფობის სიყვარულში დასხმული რეტი  
და დავგდებულვარ შენს კარებთან ვით მათხოვარი.

არ მინდა მეტი; შენი ღიმიც სახსოვრად მყოფნის,  
ჭრილობას ჩემსა წმინდანები ღრუბელს ადებენ...  
წმინდეთში უთქვამთ საყვარელო, მათხოვარს სოფლის,  
იმ საუფლოში სასუფეველს რომ უმზადებენ.

შენ ჩემი არსი ლერწამელთა გოდებით ლეწე,  
ჰო, გევედრები ეს იარა არ განმიახლო,  
მე აქ მიწაზე შენი ტრფობის სუფევას ვეძებ  
რომ გარდასვლაში ღმერთეული სივრცე ვიახლო.

შენც გქონდეს წილი აღდგომაში, ო, როგორ მინდა,  
მთლად განიწმინდო სიცოცხლეთი ცათა ზეფირო;  
წარვიდეს თვალთგან მწუხრეულით მოსილი ბინდი  
და საუკუნეს ანგელოსად გადაეფინო...

შენ ქალი გქვია სიცოცხლეო, შენ ქალი გქვია,  
მე შენგან მომხვდა მტკივნეული გოდების ტყვია,  
არ განმეშორო გევედრები მომეცი ძალი,  
შენ ქალი გქვია.



## ლუიჯი პირანდელი

## პენრიხ IV

ტრაგედია სამ მოქმედებად

## მოქმედი პირნი

პენრიხ IV

მატილდა სპინა — მარკიზა

ფრიდა — მისი ქალიშვილი

კარლო დი ნოლი — ახალგაზრდა მარკიზი

ტიტო ბელკრედი — ბარონი

დიონიზიო ჯენონი — ექიმი

ოთხი პერსონაჟი, რომლებიც საიდუმლო მრჩევლებს განასახიერებენ:

1 — ლანდოლფო (ლოლო)

2 — არიალდო (ფრანკო)

3 — ორდულფო (შომო)

4 — ბერტოლდო (ფინო)

ჯოვანი — კამერდინერი

ორი გადაცმული ლაქია

მოქმედება მიმდინარეობს თანამედროვე უმბრიის სოფლურ ვილაში

## მოქმედება პირველი

ვილის ოთახი, რომელიც ზუსტად იმეორებს პენრიხ IV-ის სატახტო დარბაზის მკაცრ მორთულობას გოსლარის საიმპერატორო სასახლეში. ძველებურ ნივთებს შორის ზეთის საღებავებით შესრულებული ორი თანამედროვე პორტრეტი მოჩანს, ნატურალური სიდიდისა; ორივე პორტრეტი სცენის სიღრმეში, ხის მოჩუქურთმებულ ცოკოლზე დგას, რომელიც მთელ კედელს გასდევს (ცოკოლი ფართოა, წინწამოწეული, და ზედ ისე შეიძლება ჩამოჯდეს კაცი, როგორც მერხზე). ტახტი და საიმპერატორო სავარძელი დაბალი ბალდახინითურთ კედლის შუაში ორად ყოფს ცოკოლს. ტახტის აქეთ-იქით მდგარი პორტრეტები საკარნავალო კოსტიუმებში გამოწყობილ ახალგაზრდა ქალსა და კაცს გამოხატავენ; ერთი პენრიხ IV-ის პორტრეტია, მეორე კი მატილდა ტოსკანელისა. მარჯვნივ და მარცხნივ, ორ-ორი კარია.

ფარდის ახდისას ორი ლაქია დაფეთებული წამოიჭრება ცოკოლიდან, რომელზედაც მანამდე იწვნენ და ხელში ჩაბლუჯული ალუბარდებით ქანდაკებებით გახეველებიან ტახტის ორივე მხარეს. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვენა კარიდან შემოდიან არიალდო, ლანდოლფო, ორდულფო და ბერტოლდო: ჭაბუკები, რომლებიც მარჯიხ დი ნოლის ემსახურებიან და „საიდუმლო მრჩევლების“ როლს ასრულებენ; ისინი თითქოს წვრილფეხა აზნაურები არიან, იმპერატორის ვასალები ჰენრიხ IV-ის სასახლის კარზე. ოთხივე მათგანი XI საუკუნის გერმანული რაინდების კოსტიუმებშია გამოწყობილი. სულ ბოლოს მომავალი ბერტოლდო ეს-ეხაა იწყებს სამსახურს. ამხანაგები უხსნიან, როგორ უნდა მოიქცეს და თან დასცინიან. მთელი სცენა უჩვეულო სისწრაფით და სისხარტით თამაშდება.

**ლანდოლფო** (ბერტოლდოს, თითქოს თავის ახსნა-განმარტებას განაგრძობს). ეს კიდეც სატახტო დარბაზია!

**არიანდო**. გოსლარში!

**ორდულფო**. ან, თუ გნებავს, პარცში!

**არიანდო**. ან კიდეც ვორმსში!

**ლანდოლფო**. იმის მიხედვით, თუ ვის განვასახიერებთ, დარბაზი ხან აქაა და ხან იქ.

**ორდულფო**. საქსონიაში!

**არიანდო**. ლომბარდიაში!

**ლანდოლფო**. რაინზე!

**პრტი-პრტი**. ლაქია (შეურხევლად, ტუჩების ოდნავი ცმაცუნით). სუ, სუ!

**არიანდო**. (ლაქიის საპასუხოდ). რა მოხდა?

**პირველი ლაქია**. (კვლავინდებურად ქანდაკებასავით გახევებული, ჩურჩულით). მოვა თუ არა? (ჰენრიხ IV-ს გულისხმობს).

**ორდულფო**. არა, არა; სძინავს. ნუ გეშინია.

**მეორე ლაქია** (პირველთან ერთად შევებით ამოიხუნთქავს, გაიზმორება და ისევ ცოკოლზე წამოწვება). ღმერთო ჩემო, რა იქნებოდა, აღრვეე გეთქვათ?

**პირველი ლაქია**. (არიანდოს უახლოვდება). ასანთი ხომ არ გექნებათ, გეთაყვა?

**ლანდოლფო**. კი მაგრამ, ამ დარბაზში ჩიბუხის მოწვევა რომ არ შეიძლება?

**პირველი ლაქია**. (ვიდრე არიალდო ანთებულ ასანთს აწოდებს). მეც ავდგები და პაპიროსს გაეაბოლებ (უკიდებს, მოქაჩავს და თვითონაც ცოკოლზე წამოწვება).

**ბერტოლდო**. (განცვიფრებული, დარცხვენით ათვალიერებს დარბაზს, თავის კოსტიუმსა და ამხანაგების ჩაცმულობას). მომიტყვევთ... ეს დარბაზი... ეს ტანსაცმელი... რომელი ჰენრიხ IV-ა? გონს ვერ მოვსულვარ... საფრანგეთის მეფე ხომ არა? (ამ შეკითხვაზე ლანდოლფოს, არიალდოსა და ორდულფოს სიცილი წახედებათ).

**ლანდოლფო** (იცინის და თან ბერტოლდოზე ანიშნებს შეგობრებს, რომლებიც მასავით განაგრძობენ სიცილს). მაშ, შენ ამბობ, საფრანგეთის მეფეო?!

**ორდულფო** (უწინდებურად). ფრანგი ჰკონებია.

**არიანდო**. ჰენრიხ IV გერმანელი, ჩემო ძვირფასო! საღიების დინასტია!

**ორდულფო**. დიდი და ტრაგიკული იმპერატორი!

**ლანდოლფო**. ჰენრიხ IV კანოსელი, ჩვენ აქ დღიდან დღემდის სისხლის-



მღვრელ ბრძოლებში ემონაწილეობთ; ესაა ომი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, ოპ!

**ორდულფო.** იმპერატორი პაპის წინააღმდეგ. ოპ!

**არიალდო.** ანტიპაპები პაპების წინააღმდეგ!

**ლანდოლფო.** მეფეები ანტიმეფეების წინააღმდეგ!

**ორდულფო.** ჩვენ საქსონელებს ვებრძვით!

**არიალდო.** და ურჩ თავადებს!

**ლანდოლფო.** თვით იმპერატორის შვილებსაც კი!

**ბერტოლდო** (თავზე იტაცებს ხელებს, თითქოს სიტყვების ამ ნიაღვრისაგან დასაცავად). მესმის, ახლა კი მესმის! თორემ ამ ჩემი მორთულობისა და ამ დარბაზის შემყურემ აღარ ვიცოდი, რა მეფექრა. სწორიც ვიყავი: ეს ტანსაცმელი ნამდვილად არ შეჭფერის მეთექვსმეტე საუკუნეს.

**არიალდო.** მეთექვსმეტესაო?!

**ორდულფო.** ჩვენ აქ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში ვართ!

**ბერტოლდო** (უწინდელზე უფრო დარცხვენით). ღმერთო ჩემო, ახლა კი დავიღუპე!

**ორდულფო.** რა თქმა უნდა, თუკი მართლა საფრანგეთის სამეფო კარზე გეგონა თავი!

**ბერტოლდო.** მაშ, სულ ტყუილად ვემზადებოდი ისტორიაში?..

**ლანდოლფო.** ჩვენ ოთხასი წლით უფრო ადრინდელ ეპოქაში ვცხოვრობთ, ჩემო ძვირფასო. ამიტომაც პატარა ბიჭი გვეგონიხარ!

**ბერტოლდო** (გაცოფებული). დალაზროს ეშმაკმა, მაშინ რატომ არ მიიხრეს, რომ ფრანგს კი არა, გერმანელ პენრიხ IV-ს ეხებოდა საქმე? მთელი ორი კვირა ვემზადებოდი ისტორიაში; ვინ მოთელის, რამდენი წიგნი გადავკექქე!

**არიალდო.** მომიტყევე, ნუთუ არ იცოდი, რომ საბრალო ტიტო ეპისკოპოსი ადალბერტ ბრემენელი იყო?

**ბერტოლდო.** რა ადალბერტი, რის ადალბერტი?!

**ლანდოლფო.** ერიპაა!.. როდესაც ტიტო გარდაიცვალა, ახალგაზრდა მარკიზი დი ნოლი...

**ბერტოლდო.** დიახ. დიახ, სწორედ მაგ მარკიზმა... რა იქნებოდა, ეთქვა?..

**არიალდო.** ალბათ, ეგონა, რომ იცოდი.

**ლანდოლფო.** ჰოდა, იმას მოგახსენებდი, რომ მარკიზი არავის აყვანას აღარ აპირებდა. ეგონა, ჩვენ სამნიც საკმარისნი ვიქნებოდით, მაგრამ მან ყვირილი მორთო: „ადალბერტი განდევნესო“. რას იზამ, ვერ გაიგო, რომ საწყალი ტიტო მოკვდა, და რაკი ადალბერტი ეგონა, ასე დაასკვნა, ნამდვილად ჩემმა მტრებმა – კელნისა და მაინცის ეპისკოპოსებმა გაამეფვესო.

**ბერტოლდო** (თავში იტაცებს ორივე ხელს). მაგრამ ამ საქმის ასავალ-დასავალი რომ არ გამეგება?!

**ორდულფო.** მაშინ მახეში გაბმულხარ და ეგაა, ჩემო ძვირფასო!

**არიალდო.** თუმცა ყველაზე უარესი ისაა, რომ არც ჩვენ ვიცით შენი ავანჩავანი.

**ბერტოლდო.** არც თქვენ იცით? რაო, მართლა არ იცით, ვისი განსახიერება მომიწევს?

**ორდულფო.** ჰმ, ვისი და „ბერტოლდოსი“.

**ბერტოლდო.** როგორ თუ ბერტოლდოსი? რომელი ბერტოლდოსი?

**ლანდოლფო.** „ადალბერტი ზომ გამიბევეს? ახლა კი ბერტოლდო მინდა, გესმით, ბერტოლდო!“ – ყვიროდა იგი.

**არიალდო.** სამივემ ერთმანეთს გადაუხედეთ კითხვის ნიშნად უნდა იყოს ეს ბერტოლოდო?

**ორდულფო.** და, აი, შენც „ბერტოლოდო“ ხარ, ჩემო ძერფასო.

**ლანდოლფო.** სწორედ რომ ზედგამოჭრილი იქნები ამ ჩვენი ისტორიისთვის.

**ბერტოლოდო** (აღშფოთებულს სახეზე აწერია, წასვლას ვაპირებო). კი მაგრამ, მე აღარ მკითხავთ? კარგად ბრძანდებოდეთ. ახლა კი წავედი, წავედი მეთქი!

**არიალდო** (ხელს ჩააქვებს და ორდულფოსთან ერთად სიცილით იჭაჭება). არა, არა! დამშვიდდი, რამ დაგაფეთა?!

**ორდულფო.** შენც ხომ ზღაპრული ბერტოლოდო არ უნდა იყო?

**ლანდოლფო.** სანუგეშოდ ისიც გეყოფა, რომ, მართალი გითხრა, არც ჩვენ ვიცით, ვინა ვართ. ეს არიალდოა, ის — ორდულფო, მე კი — ლანდოლფო, მაგრამ ვინა ვართ სინამდვილეში? ან ვისი სახელი გექვია? ალბათ, იმდროინდელი ხალხისა. შენი სახელიც — „ბერტოლოდო“ — იმდროინდელი იქნება. მხოლოდ ერთ ჩვენგანს — საბრალო ტიტოს გაუღიმა ბეღმა და წილად ზედა ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნების — ბრემენელი ეპისკოპოსის როლი შეეხსრულებინა. ჰოდა, ის საცოდავიც მშვენივრად ასრულებდა თავის როლს, ოპ, რა დიდებული ეპისკოპოსი იყავი, ტიტო!

**არიალდო.** რატომაც არა, მე შენ გეტყვი, წიგნები აკლდა თუ?..

**ლანდოლფო.** შენ წარმოიდგინე, ბრძანებასაც კი უბედავდა მის უდიდებულესობას, თავის ნებას თავზე ახვევდა, რჩევას აძლევდა, ჭკუას არიგებდა, როგორც შეჭფურის მეურვესა და მრჩეველს. ჰო, მართლა, ჩვენ ხომ „საიდუმლო მრჩეველები“ ვართ. ისტორიის თანახმად, უმაღლეს არისტოკრატიას სძულდა ჰენრიხ IV, რადგანაც იმპერატორმა დაბალი წარმომავლობის ჭაბუკები შემოიხვია გარს.

**ორდულფო.** ჩვენნაირები.

**ლანდოლფო.** დიახ, იმპერატორის წვრილგუნა ვასალები: ერთგულნი, სანდონი, ცოტა არ იყოს, აღვირახსნილნი და ჭკუამხიარულნი...

**ბერტოლოდო.** მეც ჭკუამხიარული უნდა ვიყო?

**არიალდო.** დიახ, ჩვენსავით!

**ორდულფო.** რომ იცოდე, საკმაოდ ძნელი საქმეა!

**ლანდოლფო.** და, მართალი გითხრა, სათაკილოც. ხომ ხედავ ამ დეკორაციას? ჩვენი ჩაცმულობა ძალზე ეფექტური იქნებოდა ისტორიულ პიესაში. სწორედ ისეთი, ასე ძალიან რომ მოსწონს დღევანდელ მაყურებელს. რაც შეეხება მასალას, ჰენრიხ IV-ის ისტორია ერთი კი არა, რამდენიმე ტრაგედიისთვისაც საკმარის მასალას გვთავაზობს. მაგრამ რად გინდა?.. ჩვენ ოთხს და ამ ორ უბედურს (ლაქიებზე ანიშნებს), სარგადაყლაპულებივით რომ დგანან ტახტის კვარცხლბეკთან, არავინ გვიწვევს ამა თუ იმ პიესაში როლების შემსრულებლებად. ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცარიელი ფორმა ვართ, რომელსაც შინაარსი აკლია. მერწმუნე, ჩვენ გაცილებით უფრო გვიჭირს, ვიდრე ჰენრიხ IV-ის ნამდვილ საიდუმლო მრჩეველებს. მართალია, არც მათ რთავდნენ ამა თუ იმ როლის შესრულების ნებას, მაგრამ ისინი, ყოველ შემთხვევაში, თვითონაც არ იყვნენ აზრზე, რომ ესა და ეს როლი უნდა შეეხსრულებინათ. ხოლო თუ მაინც აიძულებდნენ მის შესრულებას, კიდევაც ასრულებდნენ: ეს მათთვის როლი კი არ იყო, არამედ მათივე სიცოცხლე; ისინი თავიანთი ინტერესებისათვის იბრძოდნენ, სხვების საზიანოდ; ინვესტიტურებსა და, რა ვიცი, კიდევ რას აღარ ყიდდნენ. ჩვენ კი აქ, ამ დიდებულ სასახლეში, გადაცმულები ვცხოვრობთ, რისთვის?

— არაფრისათვის... ჩვენ თითქოს ექვსი თოჯინა ვართ, კედელზე ჩამოკიდებულნი, და ვუცდით, იქნებ ვინმემ ჩამოგვხსნას, აგვამოძროს და ორიოდ სიტყვა გვათქმევინოს.

**არიანლო.** ო, არა, ჩემო ძვირფასო. მომიტყევე! უნდა შეგეძლოს, ლაპარაკში მხარი აუბა. გესმის? მხარი აუბა-მეთქი! ვაი შენ დღეს და მოსწრებას, თუ გამოგვლაპარაკა და ისე ვერ უპასუხებ, როგორც თვითონ სურს.

**ლანდოლო.** რაც მართალია, მართალია.

**ბერტილო.** კი მაგრამ, რატომ ადრევე არ გამაფრთხილე? ახლა რაღა ექნა, ან რანაირად აუბა მხარი, თუკი ფრანგების ჰენრიხ IV-სთან შესახვედრად ვეშაღებოდი და ახლა კი გერმანელების ჰენრიხ IV-ს უნდა ველოდე?

ლანდოლო, ორდულყო და არიანლო კვლავ იცინიან.

**არიანლო.** ახლავე უნდა გარდაიქმნა.

**ორდულყო.** ნუ გეშინია, ჩვენ შენთანა ვართ!

**არიანლო.** რომ იცოდე, რამდენი წიგნი გვაქვს! ცოტა ხანს მაინც გეყოფა, თუ კეთილინებებ და გადაათვალიერებ.

**ორდულყო.** ზოგადად მაინც მიხვდები რაშეს.

**არიანლო.** აბა, შეხედე! (აიძულეებს შებრუნდეს და უკანა კედელზე მარჯვნივ მატყლდას სურათს უჩვენებს). ვინ არის, მაგალითად, ეს ქალი?

**ბერტილო (უყურებს).** ეს ქალი?.. უწინარეს ყოვლისა, ეს ნამდვილი ანაქრონიზმია: ორი თანამედროვე პორტრეტი ამდენ ღირსშესანიშნავ სიძველეს შორის.

**არიანლო.** მართალს ბრძანებ. ეს ორი სურათი ადრე არც ყოფილა აქ. მათ უკან ორი ნიშაა. სწორედ აქ უნდა მდგარიყო იმდროინდელი სტილის მიხედვით შესრულებული ორი ქანდაკება. მაგრამ რაკი ნიშები ცარიელი რჩებოდა, ამ ორი სურათით დაფარეს ისინი.

**ლანდოლო (აწვევტინებს და თვითონ განაგრძობს).** ანაქრონიზმად მაშინ უნდა მიგეჩინია, მართლა სურათები რომ ყოფილიყო.

**ბერტილო.** აბა, რა არის?

**ლანდოლო.** თუ შეეხები სურათებია, მაგრამ იმისთვის (იღუმალი იერით ანიშნებს მარჯვნივ: ჰენრიხ IV-ის გულისხმობს), ვინც არ ეხება...

**ბერტილო.** თქვი, მამ, რა არის იმისთვის?

**ლანდოლო.** კარგად დაუკვირდი. თუმცა, ჩემის აზრით, ეს, არსებითად, ასეცაა. ესენი ხატებია, დიახ, ხატები, როგორც... აბა, რანაირად ავიხსნა?.. როგორც სარკეში იხატება საგნები. აი, ეს (ჰენრიხ IV-ის პორტრეტზე ანიშნებს), ხომ ხედავ, რა ცოცხლად გვიხატავს მას თავის სატახტო დარბაზში, რომელიც ზუსტად ისეთია, როგორც უნდა იყოს იმდროინდელი სტილით ნაგები დარბაზი. რა გიკვირს? წინ რომ სარკე დაგიდგან, განა შენს თავსაც ცოცხლად არ დაინახავ შიგ? ზუსტად ისეთს, როგორცა ხარ ახლა, ამ ძველებურ ტანსაცმელში გამოწყობილი? ეს ორი სურათიც თითქოს ორი სარკეა, საიდანაც შემოგვცქერიან ცოცხალი ხატებანი, შემოგვცქერიან აქ. ამ სამყაროში, რომელსაც, თუ ცოტა ხანს მაინც დაჰყოფ ჩვენს გვერდით, მერწმუნე, თვითონაც გაცოცხლებულს იხილავ.

**ბერტილო.** იცით, რას გეტყვით? სულაც არ მზიბლავს აქ, თქვენთან ერთად, ჭკუაზე შეშლა.

**არიანლო.** ჭკუაზე შეშლისა რა მოგახსენო და თავშესაქცევი კი არ მოგაკლდება.

**ბერტილო.** ერთი ეს მითხარი, ყველანი ასე რამ დაგაბრძენათ?

**ირდულუო.** ჩემო ძვირფასო, ისტორიაში რვაასი წლით უკან ვინ ვინ ვინაა შეუძლებელია ცოტათი მაინც არ დაგაბრძენოს.

**არიალდო.** მორჩი ერთი! აი, ნახავ, თუ სულ მალე შენც არ გადმოგდეთ ეს სიბრძნე.

**ირდულუო.** ამნაირ სკოლაში შენც ყოვლისმცოდნე გახდები.

**ბერტოლდო.** ღვთის გულისათვის, დღეს დამეხმარეთ. ორიოდ სიტყვა მაინც მითხარით, რომ აზრზე მოვიდე.

**არიალდო.** ეგ ჩვენზე იყოს; ერთი ერთს გეტყვის, მეორე — მეორეს და...

**ლანდოლუო.** მაგ შენს მავთულებს ერთმანეთს გადავაბამთ, ისე მოგმართავთ და მოგაწესრიგებთ. როგორც ყველაზე ჭკვიანსა და სრულქმნილ თოჯინას. აბა, წავიდეთ! (ხელკავს გამოხედვს, რომ წაიყოლიოს).

**ბერტოლდო (შეჩერდება და პორტრეტს შეხედავს).** მოიცათ! რომ არ გითქვამთ, ვინ არის ეს ქალი? იმპერატორის ცოლია?

**არიალდო.** არა, იმპერატორის ცოლი ბერტა სუხელი გახლავთ, ამედუო II სავოიელის და.

**ირდულუო.** იმპერატორი, რომელსაც სურს ჩვენსავით ახალგაზრდა იყოს, ვერ იტანს ცოლს და გადაწყვეტილი აქვს, გაეყაროს.

**ლანდოლუო.** ეს კი (პორტრეტზე ანიშნებს). იმპერატორის დაუძინებელი მტერია: მარკიზა მატილდა ტოსკანელი.

**ბერტოლდო.** აა, ახლა კი მიუხვდი: ის, ვინც პაპი შეიფარა?

**ლანდოლუო.** დიახ, კანოსაში.

**ირდულუო.** პაპი გრიგოლ VII.

**არიალდო.** ეგ ჩვენი საფრთხობელა! წავიდეთ, წავიდეთ!

ოთხივენი მარჯვნივ მიემართებიან, იმ კარისაკენ, საიდანაც შემოვიდნენ, მაგრამ ამ დროს მარცხენა კარიდან შემოდის ფრაკში გამოწყობილი ბებერი კამერდინერი ჯოვანი.

**ჯოვანი (ჩქარობს; ქოშინით).** ეი, სუუ! ფრანკო! ლოლო!

**არიალდო (ჩერდება და მისკენ ბრუნდება).** რაო, რა გნებავს?

**ბერტოლდო (განცვიფრებული იმით, რომ ფრაკში გამოწყობილი ჯოვანი სატახტო დარბაზში შემოდის).** როგორ? ის იქაა?

**ლანდოლუო.** აბა, მეოცე საუკუნის კაცო, აქედან მოუსვი! (დანარჩენებთან ერთად მივარდება ჯოვანის, ხუმრობით ეშუქრება და ერეკება).

**ირდულუო.** უპ, შე გრიგოლ VII-ის ელჩო, თავიდან მოგვეწყდი!

**არიალდო.** თვალთ ალარ დაგვენახო.

**ჯოვანი (თავს იცავს; გაბრაზებით).** აბა, გვეყოფათ!

**ირდულუო.** რას ქვია, გვეყოფა? შენი ფეხი არ ვნახოთ აქ!

**არიალდო.** შორს ჩვენგან! შორს ჩვენგან!

**ლანდოლუო (ბერტოლდოს).** აი, ნამდვილი მკრეხელობა! ეს ეშმაკის მოციქული რომელმა მოგემა გამოიხმო! აბა, ხმალი იშიშვლე; ხმალი იშიშვლემეთქი! (თვითონაც ხმალს დააძრობს ქარქაშიდან).

**ჯოვანი (ვერის).** გვეყოფათ-მეთქი, ვის ვუბნები? რა თავს იგიჟიანებთ? ბატონი მარკიზი მობრძანდა და მასთან ერთად...

**ლანდოლუო (ხელების სრესით).** აა, დიდებულია, დიდებული! ქალებიც არიან?

**ირდულუო (ლანდოლუოსავით).** ბებრები თუ ახალგაზრდები?

**ჯოვანი.** არა, თან ორი ბატონი ახლავს.

**არიალდო.** კი მაგრამ, ქალები? ქალები ვინდა არიან?

**ჯოვანი.** ქალბატონი მარკიზა და მისი ქალიშვილი.



**ლანდოლფო** (განცვიფრებით). როგორ, ქალბატონი მარკიზა?  
**ორდულფო** (ასევე განცვიფრებით). მაშ, მარკიზაო, შენ ამბობ?  
**ჯოვანი**. დიახ, მარკიზა!

**არიალდო**. კაცებზე რაღას გვეტყვი?

**ჯოვანი**. ვერაფერს.

**არიალდო** (ბერტოლოს). ალბათ, იმიტომ მოვიდნენ, რომ როლები გვი-  
 კარნახონ, გესმის?

**ორდულფო**. გრიგოლ VII-ის ელჩები იქნებიან! აი, სეირი!

**ჯოვანი**. აღარ მათქმევენებთ?

**არიალდო**. თქვი! თქვი!

**ჯოვანი**. ჩემის აზრით, ერთი მათგანი ექიმი უნდა იყოს.

**ლანდოლფო**. აა, გასაგებია! ისევე ექიმი?

**არიალდო**. ბრავო, ბერტოლოდო! რა კაი ფეხი გქონია!

**ლანდოლფო**. ნახე, როგორ გავაპამპულავებთ ვაფბატონ ექიმს!

**ბერტოლოდო**. მე კი მგონია, ჩემი განკითხვის დღე მოვიდა და ეგ არი!

**ჯოვანი**. დამაცათ, ხალხო! ამ დარბაზში შემოსვლას აპირებენ.

**ლანდოლფო** (გაოგნებული). რაო?.. მარკიზა — ამ დარბაზში?!

**არიალდო**. ერიპა! ესე იგი, აქ საქმე ჩვენ როლებს როდი ეხება!

**ლანდოლფო**. ნამდვილი ტრაგედიის მოწმენი გავხდებით.

**ბერტოლოდო** (ცნობისმოყვარეობით აღძრული). რატომ? რატომ?

**ორდულფო**. რატომ და იმიტომ, რომ აი, ეს (პორტრეტზე ანიშნებს) —

მარკიზა! ახლა ხომ გესმის?

**ლანდოლფო**. მისი ქალიშვილი კი მარკიზის საცოლეა.

**არიალდო**. კი მაგრამ, რა უნდათ, თუ იცი?

**ორდულფო**. ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას, თუ მარკიზას თვალი შეას-  
 წრო!

**ლანდოლფო**. რა იცი, იქნებ ვერც იცნოს?

**ჯოვანი**. რაღაც უნდა დაგიჯდეთ, თუ გაიღვიძა, იქიდან ფეხი არ მოაცე-  
 ლევინოთ!

**ორდულფო**. ხუმრობ თუ მართალს ამბობ? როგორ გინდა, ფეხი არ მო-  
 აცკლევინო?

**არიალდო**. ვითომ არ იცნობ!

**ჯოვანი**. დალახეროს ეშმაკმა, თუ გინდა, ძალა იხმარეთ! ასე მაქვს ნაბრ-  
 ძანები ახლა კი გასწით!

**არიალდო**. დიახ, დიახ; იქნება კიდევ გაიღვიძა!

**ორდულფო**. აბა, წავედით!

**ლანდოლფო** (ვიდრე სხვებთან ერთად გავიდოდეს, ჯოვანის). ყველაფერს  
 მერე აგვიხსენი!

**ჯოვანი** (უკან მიმჯიჯირის მიშაყალთ). კარი დაკეტეთ და გასაღები კარ-  
 გაღ შეინახეთ! აი, ეგ მეორე კარიც! (მეორე კარს უჩვენებს მარჯვნივ).

ლანდოლფო, არიალდო და ორდულფო მარჯვნივ დატანებული მეორე კა-  
 რიდან გადიან.

**ჯოვანი** (ორ ლაქიას). თქვენ კი, აი, იქ მიბრძანდით! (პირველ კარს უჩ-  
 ვენებს მარჯვნივ). კარი დაკეტეთ და გასაღები შეინახეთ.

ლაქიები მარჯვნივ დატანებული პირველი კარიდან გადიან. ჯოვანი მარცხე-  
 ნა კარიხაკენ მიემართება და აღუბს, რომ მარკიზი დი ნოლი გამოატაროს.

**დი ნოლი.** რაც გითხარი, ყველაფერი შეასრულე?

**ჯოვანი.** დიახ. არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო მარკიზო!

დი ნოლი გადის, რომ დანარჩენები მოიპატიჟოს. პირველად ბარონი ტიტო ბელკრედი და ექიმი დიონიზიო ჯენონი შემოდიან. მათ მოჰყვებიან ქალბატონი მატილდა სპინა და მისი ქალიშვილი ფრიდა. ქალბატონი მატილდა სპინა, ასე, ორმოცდახუთი წლისა იქნება; ჯერ კიდევ შერეწნია უწინდელი სილამაზე და მომზიბვლელობა, თუმცა, ეტყობა, გულმოდგინედ ცდილობს, სახეზე უხვად წასმული, მაგრამ დახვეწილი ხელოვნების წყალობით თითქმის შეუჩნეველი ნელსაცხებლებით შეარბილოს ასაკის ყოვლისმმუსვრელი ზემოქმედების კვალი. ეს გრამი მას გოროზი ვალკირიის იერს ანიჭებს, რასაც ნაკლებად ეხამება მჭმუნვარედ მოკუმული ბაგეების ლამაზი ჭრილი. მარკიზა დიდი ხნის წინათ დაქვრივდა და ახლა მისი მეგობარია ბარონი ტიტო ბელკრედი რომელსაც თვითონაც და სხვებიც, ცოტა არ იყოს, აგდებულად უყურებენ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც ასე ჩანს. მაგრამ რა არის სინამდვილეში ტიტო ბელკრედი მარკიზასათვის, ეს მხოლოდ ბარონმა იცის, რომელსაც გულში ჩუმად ეცინება, როცა ქალბატონი მატილდა სპინა იძულებულია თავი ისე დაიჭიროს, თითქოს მისთვის უცნობი იყოს რა კავშირია მათ შორის. ბარონი იცინის იმ სიცილის პასუხად, რასაც მისდამი მარკიზას აგდებული დამოკიდებულება იწვევს სხვებში. პირხმელი, ნაადრევად გაჭლარავებული ბარონი ოდნავ უმცროსია მარკიზაზე. ცოტა არ იყოს სასაცილო თავი განსაცვიფრებლად მიუგავს ჩიტის თავს. მართლაც ჩაუქი ეთქმოდან, მის უჩვეულო სიციკასეს (რისი წყალობითაც ძალზე საშიში მოფარიაკავის სახელი აქვს გავარდნილი) ოდნავ რომ არ აჩლუნგებდეს მცონარა არაბის სიზანტი, რაც მკაფიოდ ვლინდება თავისებურ, დუღლუნა ხმასა და გატყლარჭულ მეტყველებაში. მარკიზას ქალიშვილი ფრიდა ცხრაშვიტი წლისაა. საწყალობლად მიყუყული მედიდური და გოროზი დედის ჩრდილში, ჩუმად იტანჯება მარკიზას ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმის გამო, რაც იმდენად დედას როდი ვნებს, რამდენადაც შვილს. საბედნიეროდ, ის უკვე დანიშნულია მარკიზ დი ნოლიზე; ეს ვახლავთ მკაცრი გარეგნობის ჭაბუკი, სხვების მიმართ შემწყნარებელი, მაგრამ გულჩათხრობილი და იმ მოკრძალებული როლითაც კმაყოფილი, რომლის შესრულებაც, მისი აზრით, ბუდმა მიანდო ამ ქვეყნად; თუმცა თვითონაც ვერ გეტყვით დაბუჯითებით, რაში მდგომარეობს ეს როლი. ასეა თუ ისე, ის აშკარად გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც მას დაეკისრა განგების ნებით; ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე აცონია. ჭაბუკი მარკიზი ჭვლის, რომ სხვებს — სვებედნიერთ — შეუძლიათ ილაყბონ და გაერთონ კიდევ, მაშინ როდესაც თვითონ მას წართმეული აქვს ამის უფლება. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არა სურს, არამედ იმიტომ, რომ მართლა არ შეუძლია. მარკიზმა ამას წინათ დაკარგა დედა და მკაცრი გემოვნებით შერჩეული სამგლოვიარო ტანისამოსი აცვია. ექიმ დიონიზიო ჯენონის სატირის ლამაზი, დაჟღაჟა და ურცხვი სახე, გადმოკარკული თვალები და ვერცხლისფრად მზინავი, მოკლედ შეკრეჭილი წვერი აქვს; თითქმის მთლიანად გამელოტებულია და უხადო მანერებით გამოირჩევა.

შემოსვლისას ყველანი ალელვებულნი და შეშინებულნიც კი ჩანან; ისინი (მარკიზ დი ნოლის გარდა) დიდი ინტერესით ათვალაიერებენ დარბაზს და ერთხანს ხმადაბლა ლაპარაკობენ.

**ბელკრედი.** დიდებულია, დიდებულია!

**ექიმი.** ძალზე საინტერესოა. ეს შლეგური ფანტაზია თანმიმდევრულად ვლინდება თვით დარბაზის მორთულობაში! დიდებულია, ჭეშმარიტად დიდებული!



**ძ-ნი მათილდა** (თვალბით დაეძებს თავის პორტრეტს და როცა შეამჩნევს, უახლოვდება). აჰ, აი, ისიც! (ვიდრე ოდნავ მოშორებით მდგარი ათვალიერებს პორტრეტს, ქალში ათასი გრძნობა იღვიძებს). დიახ, დიახ... აბა, შეხედე!.. ღმერთო ჩემო!.. (თავის ქალიშვილს უძახის). ფრიდა, ფრიდა!.. აბა, შეხედე!..

**ფრიდა.** აა! ესეც შენი პორტრეტი!..

**ძ-ნი მათილდა.** არა, არა, კარვად დაუკვირდი: ჩემი კი არა, შენია, შენი! დი ნოლი. მართლა? აკი გუუბნებოდით.

**ძ-ნი მათილდა** კი მაგრამ, რას წარმოვიდგენდი?.. (შეაფრთოვლებს, თითქოს შეამცივნაო). ღმერთო, რა გრძნობაა! (ქალიშვილს მიუბრუნდება). რას იტყვი, ფრიდა? (წელზე ხელს მოხვევს და მკერდზე მიიკრავს). აქეთ მოიწი! ნუთუ ჩემში შენს თავს ვერ ხედავ ამ პორტრეტზე?

**ფრიდა.** ჰო, მართლაც...

**ძ-ნი მათილდა.** არა, ხომ ხედავ?! ნამდვილი ჩემი ასლი ხარ! (ბელკრედის მიუბრუნდება). მოდით, თქვენც შეხედეთ, ტიტო! აბა, რას იტყვი?

**ბელკრედი** (სურათის შეხედვაზე უარს აცხადებს). არა, არა, არ შემიძლია! აპრიორულად არ შემიძლია!

**ძ-ნი მათილდა.** რა სიბრყველა! თქვენ გგონიათ, კომპლიმენტს მეუბნებით? (ეჭიმი ჯენონის მიმართავს). თქვენ მაინც მითხარით, ეჭიმი!

ეჭიმი უახლოვდება.

**ბელკრედი.** (მხარზემოდან გახედავს ეჭიმს; იღუმალი ხმით). სუუ!.. თუ ღმერთი გწამთ, არ გაცდუნოთ!

**ეჭიმი.** (დაბნეული; ღიმილით), კი მაგრამ, რამ უნდა მაცდუნოს?

**ძ-ნი მათილდა.** ყურადღებას ნუ მიაქცევთ. მობრძანდით, მობრძანდით! რა აუტანელი ვინმეა!

**ფრიდა.** ხომ იცით, პროფესიით ტაკიმასხარაა.

**ბელკრედი** (ეჭიმს, რომელიც კვლავ სურათისკენ მიემართება). ფეხებზე დაიხედეთ, ეჭიმო, ფეხებზე!

**ეჭიმი.** ფეხებზე? რატომ?

**ბელკრედი.** რატომ და იმიტომ, რომ რკინის ფეხსაცმელები გაცვიათ.

**ეჭიმი.** მე?

**ბელკრედი.** დიახ, თქვენ; და მინის ოთხი პაწაწინა ფეხისაკენ მიაბიჯებთ.

**ეჭიმი** (ხმაძალდა იცინის). რა კაცია!.. ჩემის აზრით, თუ სალად ვიმსჯელებთ, გასაოცარი არა არის რა იმაში, რომ შეილი დედასა ჰგავს.

**ბელკრედი.** ბაბ! მზადაა!

**ძ-ნი მათილდა** (გაშმაგებული მიაშურებს ბელკრედს). რა შუაშია „ბაბ“? რა მოხდა? ისეთი რა თქვა?

**ეჭიმი** (უმანკო გამოშტყველებით). განა მართლა ასე არაა?

**ბელკრედი** (მარკიზას პასუხობს). მან თქვა, რომ ამაში გასაოცარი არა არის რა; თქვენ კი, პირიქით, ძალზე განცვიფრებული ბრძანდებით. მომიტყვევთ, მაგრამ ერთ კითხვას გკადრებთ: რატომ, თუკი ეს ასე ბუნებრივი გეჩვენებათ?

**ძ-ნი მათილდა** (უფრო მეტად გაშმაგებული). ბრძივო! ბრძივო! სწორედ იმიტომ, რომ ასე ბუნებრივია! იმიტომ, რომ აქ (პორტრეტზე ანიშნებს) ჩემი ქალიშვილია გამოხატული. მაგრამ ეს ჩემი პორტრეტი და მე გამიკვირდა, რომ ჩემს მაგივრად ჩემი ქალიშვილი ვიხილე; მერწმუნეთ, გულწრფელად გამიკვირდა და მე ვიკრძალებოდა, ეჭვი შეიტანოთ ამაში!

ერთხანს უხერხული სინუშე ჩამოვარდება, რაც ამ უკმეხობითაა გამოწვეული.

**ზრიდა** (ხმადაბლა, უკმაყოფილოდ). ღმერთო ჩემო, მუდამ ასეა... ვაი-უშ-ველებელი და დავიდარაბა ყოველგვარი წვრილმანის გამო.

**ბაქრაძე** (ასევე ხმადაბლა, თითქოს უფრო აწივით, მობოღიშების კი-ლოთი). მაგრამ მე არც შემპარვია ეჭვი, მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ თავ-დაპირველად დედაშენით არ გაგკვირებია, ანდა, თუ რამემ გაგაკვირვა, მხო-ლოდ და მხოლოდ მსგავსებამ შენსა და ამ პორტრეტს შორის.

**ძ-ნი მათილდა**. გასაგებია რატომაც განაშეუძლო თავისი თავი ეცნო ჩემში და ისეთი დავენახე, როგორიც მისი ბნისა ვიყავი? მე კი შემიძლია, ჩემი თავი ვიხილო მასში, — სწორედ ისეთში, როგორიც, აი, ახლა.

**პიმი**. ცამდე მართალი ბრძანდებით! რადგანაც პორტრეტი — ესაა ერთ წაშში მოქცეული მარადისობა, იმდენად შორეული, რომ შეუძლებელია სინიო-რინას მახსოვრობა მოიცავდეს მას; მაგრამ, იმავედროულად, პორტრეტი ინახავს ყველაფერს, რაც მან შეიძლება გაახსენოს სინიორა მარკიზას: მოძრაობას, მი-მოხრას, მზერას, ღიმილს, მოკლედ, ყველაფერს, რაც უკვე აღარ შერჩა ამ ჩვენს მშვენიერ ქალბატონს...

**ძ-ნი მათილდა**. ჭეშმარიტად!..

**პიმი** (მარკიზას სათქმელს განაგრძობს და უშუალოდ მას მიმართავს). თქვენ ახლა, რაღა თქმა უნდა, თქვენსავე ქალიშვილში გაცოცხლებულ საკუთარ თავს ხედავთ.

**ძ-ნი მათილდა**. მაგრამ ამას (ბელკრედზე ანიშნებს) რა მოასვენებს, თუ ყველაფერი, თვით ყველაზე უშუალო გრძნობაც კი არ ჩამაშხამა? მხოლოდ იმი-ტომ, რომ მაწყენინოს.

**პიმი** (თავისი ახსნა-განმარტებით აღტაცებული პროფესორის ტონით მიმართავს ბელკრედს). მსგავსება, ძვირფასო ბარონო, ხშირად გონებაში უწევო-მელი მიზეზისგან იღებს დასაბამს და სწორედ ამით აიხსნება, რომ...

**ბაქრაძე** (ცდილობს ლეკცია გააწყვიტინოს)... რომ ვიღაცას შეუძ-ლია, მსგავსება აღმოაჩინოს ჩემსა და თქვენს შორის, ძვირფასო პროფესორო!

**დი ნოლი**. მორჩით, თუ ღმერთი გწამთ, მორჩით! (ორ მარჯვენა კარზე ანიშნებს და თითქოს აფრთხილებს ყველას, რომ იქ ვიღაცას შეიძლება ესმო-დეს მათი სიტყვები). ისედაც დიდი რისკი გავწიეთ, აქ რომ მოვედით...

**ზრიდა**. რა თქმა უნდა! მარტო ამის აქ ყოფნაც საკმარისია... (ბელკრედის გულისხმობს).

**ძ-ნი მათილდა** (სხაპახსუპით). ამიტომაც არ მინდოდა, რომ ჩვენთან წა-მოსულიყო.

**ბაქრაძე**. მაგრამ ჩემს ხარჯზე ხომ ამდენი იცინეთ და იმხიარულეთ?! უმადურებაც ამასა ჰქვია!

**დი ნოლი**. მორჩი, თუ ღმერთი გწამს, ტიტო! ექიმი უკვე აქაა. ხომ იცი, რაოდენ სერიოზულმა საქმემაც მოგვიყვანა და რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემ-თვის...

**პიმი**. დიახ, დიახ, მოდით, თავდაპირველად რამდენიმე წვრილმანი დავა-ზუსტოთ. მომიტყვევთ, ქალბატონო მარკიზა, ამ თქვენს სურათს რა უნდა აქ? დიდიხანია გაჩუქეთ?

**ძ-ნი მათილდა**. არა, არა, რას ქვია, გავარუქ? მაშინ ფრიდას ხნისა გახ-ლდით და დანიშნულიც კი არ ვიყავი. იმ უბედური დღიდან ოთხი თუ ხუთი წელი იქნებოდა გასული, რომ დედამისის (დი ნოლიზე ანიშნებს) დაფინებულ თხოვნას დავეყვი და ჩემი სურათი დავუთმე.

**პიმი**. ბატონი მარკიზის დედა კი, რაღა თქმა უნდა, მისი და იყო, არა? (მარჯვენა კარზე ანიშნებს და პენრის IV-ს გულისხმობს).



**დი ნოლი.** დიახ, ექიმო; ჩვენი აქ მოსვლა ჩემი ვალია, ვალი — დედაჩემის წინაშე, რომელიც ამ ერთ-თვის წინ გარდაიცვალა. ნაცვლად იმისა, რომ აქ ვიყოთ, მე და ეს (**ფრიდაზე ანიშნებს**) ახლა უკვე გზაში უნდა ვყოფილიყავით...

**ეკიმი.** და სულ სხვა რამეზე გეფიქრათ! მესმის, მესმის!

**დი ნოლი.** ექ!... მაგრამ განსვენებულ დედაჩემს საფლავშიც თან ჩაჰყვა ღრმა რწმენა, რომ მისი სათაყვანებელი ძმა სულ მალე განიკურნებოდა.

**ეკიმი.** მომიტევეთ: ხომ ვერ მეტყვიით, რას ემყარებოდა მისი რწმენა?

**დი ნოლი.** როგორც ჩანს, და-ძმას შორის გამართულ ერთ უცნაურ საუბარს, დედაჩემის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე.

**ეკიმი.** საუბარს?... აჰა!.. დალაზეროს ეშმაკმა, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყვდა, მისი შინაარსი რომ ვიცოდეთ.

**დი ნოლი.** სამწუხაროდ, მე არა ვიცი რა. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მათი უკანასკნელი საუბრის შემდეგ დედაჩემი ძალზე აღელვებული დაბრუნდა. როგორც ჩანს, ბიძაჩემი უჩვეულოდ აღერსიანი იყო მის მიმართ, თითქოს წინასწარ გრძნობდა დის მოახლოებულ აღსასრულს. სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე დედაჩემმა სიტყვა ჩამომართვა, რომ ყოველთვის ვიზრუნებდი მის ძმაზე. ყურადღებას არ მოვაკლებდი, ხშირ-ხშირად ვინახულებდი და ექიმებს უჩვენებდი...

**ეკიმი.** აჰა!.. კეთილი და პატიოსანი... ახლა ერთი ასეთი კითხვაც... ხანდახან ყოვლად უბადრუკი მიხეზიც კი... მაშასადამე, ეს პორტრეტი.

**მ-ნი მათილდა.** ოჰ, ღმერთო ჩემო! არა მგონია, ექიმო, რომ ამ პორტრეტს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. პირადად ჩემზე მხოლოდ იმიტომ მოახდინა აწინაი შთაბეჭდილება, რომ, ვინ იცის, რა ხანია, აღარ მინახავს.

**ეკიმი.** ნება მიბოძეთ, ნება მიბოძეთ...

**დი ნოლი.** დიახ, აკერ უკვე თხუთმეტი წელია აქაა.

**მ-ნი მათილდა.** მეტიც! სულ მცირე, თვრამეტი მაინც იქნება.

**ეკიმი.** გთხოვთ, მომიტევეთ: თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რისი თქმა მინდა. მე უზარმაზარ, დიახ, უზარმაზარ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ ორ პორტრეტს, შესრულებულს, თუ არა ვცდები, იმ სახელგანთქმულ და საბედისწერო კავალკადამდე ცოტა ხნით ადრე; მართალი ვარ?

**მ-ნი მათილდა.** დიახ.

**ეკიმი.** როცა ის სრულ ჭკუაზე იყო, — აი, ამის თქმა მსურდა! — თვითონვე გთხოვთ მათი შეკვეთა?

**მ-ნი მათილდა.** არა, ექიმო, კავალკადის ბევრმა სხვა მონაწილემაც და ახატვინა მაშინ თავისი პორტრეტი; ისე, სამახსოვროდ.

**ბელკრაიდი.** სხვათა შორის, — მეც, კარგად მახსოვს, შარლ ანჟუელის როლს ვასრულებდი.

**მ-ნი მათილდა.** დიახ, როგორც კი კოსტიუმები გავვიშვადეს...

**ბელკრაიდი.** პო, მართლა, ვილაცამ შემოგვთავაზა, ყველა სურათი ერთად შეგვეკრიბა და ამ ვილაში, სადაც უნდა დაბრუნებულიყო კავალკადა, როგორც გაღერებაში, სამახსოვროდ გამოგვეფინა, მაგრამ შემდეგ რატომღაც ყველამ თან წაიღო თავისი სურათი.

**მ-ნი მათილდა.** ჩემი სურათი კი, როგორც მოვახსენეთ, ოთხიოდე წლის შემდეგ დავუთმე... სხვათა შორის, ყოველგვარი სინანულის გარეშე, ვინაიდან დედამისმა (**დი ნოლიზე ანიშნებს**)...

**ეკიმი.** თუ იცით, თვითონ მას ხომ არ უთხოვია?

**მ-ნი მათილდა.** არა, არ ვიცი! შესაძლოა... ან იქნებ დამ მოისურვა ესა-ბოვნებინა მშისთვის...

**მეიმი.** ახლა ერთი ასეთი კითხვა: კავალკადის მოწყობის იდეა მას დაე-  
ბადა?

**ბელკრედი (სწრაფად).** არა, არა, მას კი არა, მე!

**მეიმი.** ნება მიბოძეთ...

**მ-ნი მათილდა.** ყურს ნუ ათხოვებთ! ესაზრი საბრალო ბელასის მოუვი-  
და თავში.

**ბელკრედი.** ვინ მოგახსენათ?

**მ-ნი მათილდა (ეჭიშხ).** დიახ; გრაფ ბელასის! საცოდავი ამ ორი თუ  
სამი თვის წინ გარდაიცვალა.

**ბელკრედი.** მაგრამ თუ ბელასი სულაც არ იყო იქ, მაშინ...

**დი ნოლი (ახალი აყალ-მყალის შიშით).** მომიტყევთ, ექიმო, განა ასე  
აუცილებელია იმის დადგენა, თუ ვის დაებადა ეს იდეა?

**მეიმი.** ეჰ, დიდ სამსახურს კი გამიწვედა...

**ბელკრედი.** ეს აზრი მე მომივიდა თავში! კვეხნაში ნუკი ჩამომართმევთ,  
თუმცა, კაცმა რომ თქვას, საკვებნი რა მაქვს? მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რა  
უბედურებაც მოჰყვა ამას... მშვენივრად მახსოვს, ექიმო: ნოემბრის ერთ საღა-  
მოს კლუბში ვიჯექი და ილუსტრირებულ გერმანულ ჟურნალს ვფურცლავდი  
(რა თქმა უნდა, მხოლოდ სურათებს ვათვალისწინებდი, რადგან გერმანული არ ვი-  
ცი). ერთ-ერთ სურათზე იმპერატორი იყო გამოსახული, რომელიღაც საუნივერ-  
სიტეტო ქალაქში; სადაც თავის დროზე სწავლობდა თურმე.

**მეიმი.** ბონში, ბონში.

**ბელკრედი.** შესაძლოა, ბონშიაც იყო. ცხენზე ამხედრებულ იმპერატორს  
გერმანელ სტუდენტთა უძველესი საზოგადოების ყოვლად უჩვეულო, ტრადიცი-  
ული სამოსი ეცვა. უკან კეთილშობილ სტუდენტთა მთელი კორტეჟი მისდევდა;  
სტუდენტებიც იმპერატორივით ცხენებზე იყვნენ ამხედრებულნი და მისნაირ  
ტანსაცმელში გამოწყობილნი. სწორედ ამ სურათის დანახვისას გამიელვა თავ-  
ში აზრმა. რადგანაც, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი კლუბის წევრები იმხანად  
დიდი საკარნავალო მასკარადისათვის ემზადებოდნენ და მეც ის ისტორიული, ან,  
უფრო სწორად, ბაბილონური კავალკადა შევთავაზე მათ. თვითველ ჩვენგანს  
ამა თუ იმ ეპოქის რომელიმე ცნობილი პიროვნება უნდა აერჩია და განესახიე-  
რებინა: მეფე, იმპერატორი, მთავარი, თავის ქალბატონთან – დედოფალსა თუ  
იმპერატორის მუდღესთან ერთად. ყოველი წყვილი ცხენებზე უნდა ყოფილი-  
ყო ამხედრებული, ხოლო ცხენების აკაზმულობა, რაღა თქმა უნდა, სათანადო  
ეპოქის სტილს შეხამებოდა. ჩემი წინადადება მიღებულ იქნა.

**მ-ნი მათილდა.** რა ვქნა, მე ბელასიმ მიმიპატიჟა.

**ბელკრედი.** თუ ამასთანავე, ისიც გითხრათ, რომ ეს აზრი მას ეკუთვნო-  
და, მაშასადამე, უკანონოდ მიუთვისებია იგი. გარწმუნებთ, მე რომ ჩვენი კლუ-  
ბის წევრებს ეს წინადადება შევთავაზე, იმ საღამოს ბელასი არც კი ყოფილა  
იქ. სხვათა შორის, არც ის ყოფილა (ნართაულად გულიხსნობს ჰენრიხ IV-ს).

**მეიმი.** და სწორედ მაშინ აირჩია ჰენრიხ IV?

**მ-ნი მათილდა.** იმიტომ, რომ მე თვითონაც ესა თუ ის სახელი უნდა  
ამერჩია, თუმცა არ კი ვიცოდი, ვისი და სრულიად დაუფიქრებლად წამოვიძახე,  
მე მიინდა მარკიზა მათილდა ტოსკანელი ვიყო-მეთქი.

**მეიმი.** არა... არ მესმის, რა კავშირია...

**მ-ნი მათილდა.** აჰ! თავდაპირველად ვერც მე გავიგე, როცა მან მითხრა,  
თუ ასეა, მაშინ მეც თქვენს ფერხით ვიქნები გართხმული, როგორც ჰენრიხ  
IV კანოსაშიო. „კანოსა“ ჩემთვის ცნობილი იყო, თუმცა, მართალი გითხრათ,  
კარგად აღარ მახსოვდა მთელი ეს ისტორია, მაგრამ როცა ჩემი როლის მოსამ-



ზადებლად ხელახლა გადავიკითხე, მივხვდი, რომ მე — პაპ გრიგოლ VII-ის უერთგულესი და უსანდოესი მოკავშირე — გერმანიის იმპერატორის მოსახლეს მტერი ვყოფილვარ. მაშინ კი ცხადი შეიქმნა ჩემთვის, რა იყო იმის მიზეზი, რომ მას შემდეგ, რაც მე უკვე ავირჩიე მისი დაუძინებელი მტრის როლი, მან პენრიხ IV-ის განსახიერება ირჩია, რათა ჩემს გვერდით ყოფილიყო კავალკადაში.

**მამიძე.** აა! ალბათ, იმიტომ, რომ...

**ბელკრაძე.** ოპ, ღმერთო ჩემო! იმიტომ, ექიმო, რომ ის მაშინ თავგადაკლული ეარშიყებოდა მარკიზას, ეს კი (მარკიზაზე ანიშნებს), ბუნებრივია...

**მ-ნი მათილდა (იფეთქებს).** „ბუნებრივია!“ დიახ „ბუნებრივი!“ მით უმეტეს, მაშინ „ბუნებრივი“ იყო!

**ბელკრაძე (მარკიზაზე ანიშნებს).** აი, ხომ ხედავთ: ვერ იტანდა!

**მ-ნი მათილდა.** სტყუით! არასოდეს ანტიპათიურად არ ვყოფილვარ განწყობილი მის მიმართ. პირიქით! მაგრამ ყოველთვის, როცა ვინმე სერიოზულად დამიწყებს სიყვარულის ახსნას...

**ბელკრაძე (თვითონ ამთავრებს მარკიზას სათქმელს)...** თქვენ მაშინვე თინი მოგივლით, მასხარად აივდოთ იგი!

**მ-ნი მათილდა.** არა, ჩემო ძვირფასო! ამ შემთხვევაში, სრულიადაც არა! რადგან ის არასოდეს ყოფილა თქვენსავით ბრიყვი.

**ბელკრაძე.** მე არასოდეს მომიტხოვია სერიოზული დამოკიდებულება ჩემდამი.

**მ-ნი მათილდა.** ვიცი, მშვენივრად ვიცი! მაგრამ იმასთან შეუძლებელი იყო ხუმრობა (სხვა კილოთი მიმართავს ექიმს). ძვირფასო ექიმო! სხვათა შორის, საბარალო ქალებს ერთი უბედურებაცა გვჭირს: როცა ვიღაც ერთავად ღანდევით დაგდევს და მისი თვალები დაჟინებით ალგითქამენ მტკიცე და ურყევ გრძნობას! (ნერვიულად იცინის) ამაზე სასაცილო არაფერია! კაცები თავიანთ თავს რომ ხედავდნენ მათსავ მზერაში ჩაქსოვილი ამ „ურყევობით“... რა ვქნა, სასაცილოდაც არ მყოფნის ეს! მით უმეტეს — მაშინ! ახლა მაინც შემიძლია გულწრფელად ვაღიარო: მას შემდეგ ხომ ოც წელზე მეტი გავიდა. მაშინ თუ დავცინოდი, ეს უფრო შიშით იყო გამოწვეული. იქნებ უნდა ვნდობოდი კიდევ მისი თვალების გამომეტყველებას. თუმცა ეს ძალზე საზიფათო კი იქნებოდა ჩემთვის.

**მამიძე (დიდი ინტერესით და ყურადღებით).** აი, სწორედ ამის გაგება მინდოდა! მაშ, ძალზე საზიფათო იქნებოდა თქვენთვის?

**მ-ნი მათილდა (დაუღევრად).** იმიტომ, რომ სხვებს როდი ჰგავდა, უნდა მოგახსენოთ, რომ მეც... რა თქმა უნდა, ცოტა... დიახ, ცოტა... თუმცა არა, მართალი ვითხრათ, საკმაოდ... (უფრო რბილ გამოთქმას ეძებს) დიახ, საკმაოდ მკაცრად ვეპყრობოდი ყოველივე ზომიერს, ღოხსა და ღუნეს! მაგრამ მაშინ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი, გესმით? თანაც, ხომ მოგეხსენებათ ყმაწვილი ქალის ამბავი: ავიწყვტე, თავი ავიშვი... საჭირო იყო სიმამაცე, რომელიც მე არ გამაჩნდა. პოდა, მასხარად ავივდე ის, თვით ისიც კი! სინანულით, სირცხვილით, სინდისის ქენჯნით, ჩემივე თავისადმი გულწრფელი ზიზღით, მით უმეტეს, რომ ვხედავდი, როგორ ერწყმოდა ჩემი დამცინავი სიცილი დანარჩენების — ყველა იმ ბრიყვის ქირქილს, რომლებსაც სასაცილოდ მიაჩნდათ იგი.

**ბელკრაძე.** ისიც და მეც!

**მ-ნი მათილდა.** თქვენი სიმდაბლე და მანჭვაგრება ყოველთვის დამცინავ სიცილს იწვევდა, ჩემო ძვირფასო, ის კი არასოდეს არ იყო სასაცილო. ძალზე დიდი განსხვავებაა, და, ეგეც არ იყოს, თქვენ ყოველთვის პირში დავცინა.

**ბელკრადი.** ჩემის აზრით, უმჯობესია პირში დაგცინონდნენ, ვიდრე ზურგს უკან.

**მამიძე.** მაგრამ, მოდით, საქმეს მივხედოთ, საქმეს! — მაშასადამე, თუ სწორად გავიგე, ის უკვე ერთგვარად აღგზნებული იყო.

**ბელკრადი.** დიახ! და თანაც ძალზე უცნაურად, ექიმო!

**მამიძე.** მაინც?

**ბელკრადი.** აბა, როგორ გითხრათ? თითქოს გულგრილად აღგზნებული.

**მ-ნი მათილდა.** რა გულგრილად, რის გულგრილად? ასეთი იყო, ექიმო. რა თქმა უნდა, ცოტა უცნაური, მაგრამ მის უცნაურობას სასიცოცხლო ძალთა სიჭარბე ედო საფუძვლად.

**ბელკრადი.** არა, მე იმას კი არ ვამბობ, რომ თავს გვანჯენებდა აღგზნებულად. პირიქით, ხშირად ეს აღგზნებულობა საეჭვოთი წრფელი იყო. მაგრამ მე მზადა ვარ დაეფიცო, ექიმო, რომ ის მაშინვე თითქოს სხვისი თვალთ ხედავდა თავის აღგზნებას. დიახ! ჩემის აზრით, ასე ემართებოდა სულის ყოველი თვითნებური მოძრაობისას. მეტსაც გეტყვით: დარწმუნებული ვარ, რომ ძალზე მტკივნეულად განიცდიდა ამას. ხანდახან თვითონვე აცოფებდა თავისი თავი და ეს ნამდვილად სასერიო იყო.

**მ-ნი მათილდა.** მაგას კი მართლას ამბობთ.

**ბელკრადი (ქალბატონ მათილდას).** და იცით, რატომ? (ექიმს) იმიტომ, რომ ეს თვითკრიტიკული მზერა დაუყოვნებლივ არღვევდა ინტიმურ კავშირს მის გრძნობასა და გონებას შორის. არა, თვალს როდი გვიხვევდა, მისი გრძნობა ნამდვილად მართალი იყო, მაგრამ ის მაშინვე იწყებდა მის შეფასებას... როგორ გითხრათ?... გონიერული განსჯის მეშვეობით, რათა აღეგზნო ის გულწრფელობა, რომელიც თითქოს აკლდა. და ის გამუდმებით რაღაცას თხზავდა, ყველაფერს აზვიადებდა, ყოველგვარ ზღვარს გადადიოდა, რათა გაეოგნებინა, საგონებელში ჩაეგდო თავისი თავი, და, ამრიგად, საკუთარი არსება მხოლოდ მისთვის ჩვეული მზერით—სხვისი თვალთ არ დაენახა. ამიტომაც იყო, რომ მერყევი ჩანდა, პათიემოყვარე და... მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ხანდახან — სასაცილოც.

**მამიძე.** იქნებ... უკარება და გულჩათხრობილიც?

**ბელკრადი.** რას ბრძანებთ! ერთავედ ნაცნობ-მეგობრებში ტრიალებდა და ცეკვების დადგმის, „სოცხალი სურათების“ წარმოდგენისა თუ საქველმოქმედო სპექტაკლების გამართვისას ჩვენი სული და გული იყო; ამით თავს იქცევდა, რაღა თქმა უნდა. ისიც უნდა მოვახსენოთ, რომ ხანდახან მშვენიერად უკრავდა კიდევ.

**დი ნოლი.** ხოლო ჭკუიდან შემლის შემდეგ დიდებული და საშინელი მსახიობი ვახდა.

**ბელკრადი.** თანაც მაშინვე! თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც კი ეს უბედურება მოხდა და ცხენიდან ჩამოვარდა...

**მამიძე.** მიწას კეფით დაასკდა, არა?

**მ-ნი მათილდა.** აჰ, რა საშინელება იყო! ჩემს გვერდით მოჯირითობდა და უცებ ყალბზე შემდგარი ცხენის ფლოკვებქვეშ დაეინახე...

**ბელკრადი.** ყველას გვეგონა, რომ საშინლად დაიმტვრა. რა თქმა უნდა, ცხენები შევაჩერეთ და, ერთგვარი დაბნეულობის მიუხედავად, მიწაზე დაგდებულს მივცვივდით. ყველას აინტერესებდა გაეგო, რა მოხდა. ციმციმ ავიტაცეთ და ვილაში წამოვიყვანეთ.

**მ-ნი მათილდა.** არავითარი მოტეხილობა! განაკაწრიც კი არ ეტყობოდა! არც ერთი წვეთი სისხლი!

**ბელკრადი.** რატომღაც გვეგონა, რომ გული, შეუღონდა...



**ძ-ნი მათილდა.** მაგრამ როცა ორი საათის შემდეგ...

**ბელკრედი.** კვლავ გამოჩნდა ვილის სალონში, — აი, რისი თქმა მსურდა...

**ძ-ნი მათილდა.** ღმერთო ჩემო, რა სახე ჰქონდა მაშინვე შევნიშნე!

**ბელკრედი.** არა, არა რას ამბობთ? მერწმუნეთ, ექიმო, არაფერიც არ შეგვინიშნავს!

**ძ-ნი მათილდა.** იმითომ, რომ ყველანი შეშლილებს ჰგავდით!

**ბელკრედი.** ყველა ხუმრობით ასრულებდა თავის როლს. ნამდვილი ბაბილონის გოდოლი გვეგონებოდათ!

**ძ-ნი მათილდა.** წარმოიდგინეთ, ექიმო, ჩვენი თავზარდაცემა, როცა დავრწმუნდით, რომ ის, პირიქით, სერიოზულად ასრულებდა თავისას.

**ჰეიში.** აა, მაშ, ისიც?..

**ბელკრედი.** დიახ, ისიც შემოგვიერთდა. ჩვენ გვეგონა, რომ მომჯობინდა და თავის როლს ასრულებდა, მხოლოდ ჩვენზე გაცილებით უფრო უკეთ, ვინაიდან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ საქმეში ტოლი არ ჰყავდა. მოკლედ, ყველას გვეგონა, რომ ისიც ხუმრობდა.

**ძ-ნი მათილდა.** ჰოდა, მათრახები უცხუნეს...

**ბელკრედი.** და მაშინ... — შეიარაღებული იყო, როგორც შეჭვერის მეფეს, — ხმალი იშიშვლა და ორ თუ სამ ჩვენგანს მივარდა... ყველას ელდა გვეცა და თმა ყალყზე დაგვიდგა.

**ძ-ნი მათილდა.** მე ვერასოდეს დავივიწყებ ამ სცენას, ჩვენს ნიღბებ-აფარებულ, შიშისაგან შეშლილ სახეებს მისი საშინელი ნიღბის წინაშე, რომელიც უკვე ნიღაბი კი აღარ იყო, არამედ — სიგიჟე!

**ბელკრედი.** ჰენრიხ IV, ნამდვილი ჰენრიხ IV მძვინვარების ჟამს!

**ძ-ნი მათილდა.** მე მგონია, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო, ექიმო, აკვიატებული აზრი მასკარადის შესახებ, მთელი თვე მოსვენებას რომ არ აძლევდა მას და ახლა სწორედ ამ აკვიატებულ აზრთან აიგივებდა თავის მოქმედებას.

**ჰეიში.** ადვილი შესაძლებელია! აკვიატებული იდეა დაფიქსირდა დაცემის წამს, მიწაზე კეფის დარტყმა ტვინის შერყევის მიზეზი გახდა და აკვიატებული იდეა საპუდამოდ ჩარჩა მის გონებაში. ასე შეიძლება იდიოტი გახდეს, გიჟი, შემულილი!

**ბელკრედი.** (ფრიდას და დი ნოლის). ხომ გესმით, რომ ხუმრობს, ჩემო ძვირფასო? (დი ნოლის) შენ მაშინ ოთხი თუ ხუთი წლისა იყავი (ფრიდას). დედაშენს ჰგონია, რომ ამ პორტრეტზე მის მავივრად შენა ხარ გამოხატული, მაგრამ მაშინ აზრადაც არ მოსვლია, რომ შენ გააჩნედა! მე უკვე თმა გამიჭაღარავდა, ის კი (პორტრეტზე ანიშნებს) — ბაბ! კოპი კეფაზე — და სამუდამოდ გახედა: ჰენრიხ IV.

**ჰეიში.** (ღრმად ჩაფიქრებული შალვა სწვეს ხელს, თითქოს სურს ყველას ყურადღება მიიპყროს და შეცნიერული ახსნა-განმარტებისათვის ემზადება). დიახ, დიახ, სწორედ ასეა; უნდა მოგახსენოთ, რომ...

მაგრამ ამ დროს მარჯვენა კარი იღება, რომელიც უფრო ახლოა სცენასთან და იქიდან გამოვარდება სახეშემოილი ბერტოლო.

**ბერტოლო** (დაფეთხებული). მომიტევეთ! შეიძლება?.. (მაგრამ ადგილზევე ხევედება, რადგანაც ხედავს მისი მოულოდნელი გამოჩენით გამოწვეულ შემოფოთებას).

**ფრიდა** (შეძრწუნებული წამოიკივლებს და თვალებით შევლას ითხოვს). ო, ღმერთო ჩემო! ისაა?!

**ძ-ნი მათილდა** (თავზარდაცემული უკან იხევს და სახეზე ხელებს იფარებს, რომ არ დაინახოს). ისაა?!.. ის?!..

**დი ნოლი** (მყისვე). არა, არა! ნუ გეშინიათ!

**პეპი** (განცვიფრებით). მაშ ვინაა?

**ბერტოლო**. ჩვენი მასკარადიდან ერთ-ერთი გაქცეული.

**დი ნოლი**. ეს ერთი იმ ოთხ ჭაბუკთაგანი გახლავთ, რომლებიც აქ, ჩვენი ნებით, შეშლილს უნდა მოემსახურონ.

**ბერტოლო**. მომიტყვევთ, ბატონო მარკიზო...

**დი ნოლი**. რას ჰქვია, მოგიტყეო? მე ხომ განკარგულება გავეცი, კარი გასალკებით ჩაგეკეტათ და აქ არავინ შემოსულიყო!

**ბერტოლო**. დიახ, ბატონო მარკიზო, მაგრამ რა ჰქნა, ვეღარ გავუძელი.

ნება მიბოძეთ, წავიდე.

**დი ნოლი**. აა, ეს თქვენ უნდა შესდგომოდით დღეიდან თქვენი მოვალეობის შესრულებას?

**ბერტოლო**. დიახ, ბატონო მარკიზო, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ გავუძელი...

**მ-ნი მათილდა** (დი ნოლის, შეშფოთებით). მაშ, არც ისე უწყინარია, როგორც გვეუბნებოდით?!

**ბერტოლო**. (სხაპახუპით). არა, არა, ქალბატონო! ის აქ არაფერ შუაშია! სულ ჩემ სამი მეგობრის ოინები გახლავთ! თქვენ ბრძანებთ — „მოემსახურონო“, ბატონო მარკიზო? მერედა, ვინ უნდა „მოემსახუროს“? — ეს სამი გიჟი? დიახ, თვითონვე არიან გიჟები! მე დღეს პირველად ვარ აქ და, ნაცვლად იმისა, რომ დამეხმარონ, ბატონო მარკიზო...

იმავე მარჯვენა კარიდან სწრაფად შემორბიან შეშფოთებული ლანდოლფო და არიადლო, მაგრამ, ვიდრე შემოვიდოდნენ, წამით მაინც შეჩერდებიან ზღურბლებზე.

**ლანდოლფო**. შეიძლება?

**არიადლო**. შეიძლება, ბატონო მარკიზო?

**დი ნოლი**. შემოდით! რა ამბავია, რა მოხდა?

**ფრიდა**. ოჰ, ღმერთო ჩემო, ახლა კი უნდა გავიქცე, ნამდვილად გავიქციე! მეშინია... (მარცხენა კარისაკენ მიემართება).

**დი ნოლი** (სწრაფად ჩასჭიდებს ხელს). მოიცა, ფრიდა!

**ლანდოლფო** (ბერტოლოზე ანიშნებს). ბატონო მარკიზო, ამ ბრიყვმა...

**ბერტოლო** (პროტესტის ნიშნად). აჰ, არა, დიდი მადლობა! აქ გამჩერებული არა ვარ, არა და არა!

**ლანდოლფო**. როგორ თუ არა ხარ?

**არიადლო**. ეს შტერი აქ გამოვარდა და ყველაფერი აგვირ-დაგვირია!

**ლანდოლფო**. მოთმინებიდან გამოიყვანა! რა ჰქნათ, ვეღარ ვაკავებთ! გვიბრძანა, დაგვეპატიმრებინა და ახლავე „გავგეხამართლებინა“ სატახტო დარბაზში!.. როგორ მოვიქცეთ?

**დი ნოლი**. ჩაკეტეთ, ჩაკეტეთ! მიდით და ჩაკეტეთ კარი!

ლანდოლფო კარს კეტავს.

**არიადლო**. მარტო ორდულფო რას გახდება?..

**ლანდოლფო**. ბატონო მარკიზო, რა იქნება, თქვენი მობრძანება ვაუწყოთ? იქნებ, სხვა რამეზე გადავუტანოთ ყურადღება! თუ როლები უკვე განაწილებული გაქვთ...

**დი ნოლი**. დიახ, დიახ, ჩვენ უკვე ყველაფერი გადაწყვიტეთ (ექიმს). თუ შეგიძლიათ, ახლავე ნახოთ, ექიმო?..

**ფრიდა**. არა, მე არა! არ შემიძლია, კარლო! მივიდივარ! თუ ღმერთი გწამს, შენც წამომყევი!

**მეიმი.** ერთი ეს მიბრძანეთ... ახლაც შეიარაღებული ხომ არ არის?

**დი ნოლი.** რას ბრძანებთ, ექიმო? (ფრიდას). მომიტყევე, ფრიდა, მაგრამ

ვე შენი შიში ნამდვილი სისულელეა. აკი თვითონვე გინდოდა აქ მოსვლა.

**ფრიდა.** არა; არა, მე კი არა, დედას!..

**მ-ნი მათილდა (გადაჭრით).** მე მზადა ვარ! გვიბრძანეთ, რა კენათ?

**ბელკრადი.** ჰო, მართლა, აუცილებელია, გადაცმულები გამოვეცხადოთ?

**ლანდოლფი.** აუცილებელია, აუცილებელი, ბატონო ჩემო! ამას ხომ ხე-

დავთ? (თავის ტანსაცმელს უჩვენებს) ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას, თუ დღე-  
ვანდელ ტანისამოსში გამოწყობილებს მოგვკრა თვალი!

**არიალდო.** ასე იფიქრებს, ეშმაკის ხრიკებიაო.

**დი ნოლი.** თქვენ გადაცმულები გეჩვენებათ ესენი, მას კი გადაცმულები  
ვეგონებით ჩვენ, თუ ტანსაცმელს არ გამოვიცვლით.

**ლანდოლფი.** ყველაზე უარესი კი ის გახლავთ, ბატონო მარკიზო, რომ  
მან შეიძლება იფიქროს, ეს ჩემი მოსისხლე მტრის საქმეაო.

**ბერტილდო.** პაპ გრიგოლ VII-ისა?

**ლანდოლფი.** დიახ! ჰენრიხ IV ბრძანებს, პაპი „წარმართიაო“.

**ბელკრადი.** პაპი? დიდებული ნათქვამი კია!

**ლანდოლფი.** დიახ, ბატონო! იმასაც ამტკიცებს, მიცვალებულთა სულე-  
ბის გამოხმობა შეუძლიაო; შავი მაგიის მიმდევარს უწოდებს პაპს და საშინლად  
ეშინია მისი.

**მეიმი.** დენის მანია!

**არიალდო.** გაცოფდება!

**დი ნოლი.** (ბელკრადის). შენი აქ ყოფნა აუცილებელი არ არის. მოდი,  
გავიდეთ; საკმარისია, მარტო ექიმმა ნახოს.

**მეიმი.** რაო?.. მარტო მე?..

**დი ნოლი.** არა, ესენიც ხომ აქ არიან (სამ ჭაბუკ მსახურზე ანიშნებს).

**მეიმი.** არა, არა... ჩემის აზრით, თუ ქალბატონი მარკიზაც...

**მ-ნი მათილდა.** დიახ! მეც აქა ვრჩები! მინდა ერთხელაც ვიხილო!

**ფრიდა.** რად გინდა, დედა? გეხვეწები, ერთად წავიდე!

**მ-ნი მათილდა (ბრძანების კილოთი).** თავი გამანებე! აბა, რისთვის მო-  
ვედი აქ? (ლანდოლფოს). მე დედა ვიქნები — „ადელიდა“!

**ლანდოლფი.** აგაშენათ ღმერთმა! იმპერატორის მეუღლის — ბერტას  
დედა! მაშინ თქვენთვის სავსებით საკმარისი იქნება, ქალბატონო, ჰერცოგის  
გვირგვინი დაიდგათ თავზე და თხემით-ტერფამდე გრძელ მოსასხამში გამოეხ-  
ვიოთ (არიალდოს). აბა, გაეარდი, არიალდო!

**არიალდო.** მოიცა, ამ ბატონს რა უყვოთ? (ექიმზე ანიშნებს).

**მეიმი.** ჰო, მართლა... თუმცა ჩვენ გადავეწყვიტეთ, კლიუნის ეპისკოპოსის  
— ჰუგოს როლი ავირჩიოთ.

**არიალდო.** თქვენ, ალბათ, „აბატი“ გინდოდათ ვეთქვათ! კეთილი და პა-  
ტიოსანი: ჰუგო კლიუნელი!

**ლანდოლფი.** ვინ მოთვლის, რამდენჯერ ყოფილა აქ.

**მეიმი.** (განცვიფრებით). როგორ თუ ყოფილა?

**ლანდოლფი.** ნუ გეშინიათ, მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ეს ძა-  
ლიან ადვილი როლია და...

**არიალდო.** ადრეც ბევრს შეუსრულებია.

**მეიმი.** კი მაგრამ...

**ლანდოლფი.** ნუ გეშინიათ, სახეები არ დაუმახსოვრებია. ის უფრო ტან-  
საცმელს უყურებს, ვიდრე კაცს.

**მ-ნი მათილდა.** მით უკეთესი ჩემთვისაც.

**დი ნოლი.** აბა, წავედით, ფრიდა! შენც ჩვენთან წამოდი, ტიტო!

**ბელკრადი.** არა, ეს თუ დარჩება (მარკიზაზე ანიშნებს), მეც მასთან ვიქნები.

**მ-ნი მათილდა.** რაში მჭირდება?

**ბელკრადი.** მერედა, მე ვამბობ, გჭირდებით-მეთქი? რა იქნება, ერთხელ მეც შეეველო თვალი? რაო, ვანა არ შეიძლება?

**ლანდოლფო.** რატომაც არა? იქნებ უკეთესიც კი იყოს, თუ სამივენი დარჩებით.

**არიალდო.** კი მაგრამ, მაშინ ამ ბატონსაც...

**ბელკრადი.** ერთი ადვილი როლი მეც შემირჩიეთ.

**ლანდოლფო.** რა იქნება, კლიუნელის როლი რომ მივეცეთ?

**ბელკრადი.** ეგ ვინდაა?

**ლანდოლფო.** კლიუნის სააბატოს ერთი ბენედიქტელი ბერი. თქვენ მონსინიორის მხლებელი იქნებით. (არიალდოს). ახლა კი წადი! (ბურტოლდოს). შენც უკან მიპყევ და მთელი დღე თვალთ ალარ დაგვენახო! (მაგრამ როგორც კი კარისაკენ გაემართებიან, უკან მიპყვირის). მოიცა! (ბურტოლდოს). ტანისამოსი მოიტანე, რომელსაც მოვცემს. (არიალდოს). შენ კი მიდი და მოახსენე, „პერცოვის მეუღლე ადელაიდა“ და „მონსინიორი ჰუგო კლიუნელი“ გაახლენენ-თქო! გესმის? (არიალდო და ბურტოლდო მარჯვნივ დატანებული პირველი კარიდან გადიან).

**დი ნოლი.** მაშ, ჩვენც წავიდეთ! (ფრიდასთან ერთად მარცხენა კარიდან გადის).

**მეიმი.** (ლანდოლფოს). იმედია, თავაზიანად მიმიღებს, როცა ჰუგო კლიუნელის სახით ვეახლები.

**ლანდოლფო.** რა თქმა უნდა; თქვენ დარდი ნუ გაქვთ. მონსინიორს აქ ყოველთვის თავაზიანად და დიდი პატივით იღებდნენ. თქვენც მშვიდად იყავით, ქალბატონო. არასოდეს არ ავიწყდება, რომ მას შემდეგ, რაც ორი დღე ალოდინეს თოვლ-ჭყაპში, სულ მთლად გათოშილი მხოლოდ თქვენ ორის მეოხებით შეუშვეს კანოსის სასახლეში, პაპ გრიგოლ VII-სთან, რომელსაც არ უნდოდა მიეღო იგი.

**ბელკრადი.** მე?

**ლანდოლფო.** თქვენ კი მოწინებით გადაქით განზე.

**მ-ნი მათილდა** (გალიზიანებული; ძალზე ნერვიულად). უმჯობესი იქნებოდა, წასულიყავით.

**ბელკრადი** (წამოუნთება; ხმადაბლა). თქვენ ძალზე აღელვებული ბრძანდებით.

**მ-ნი მათილდა** (ამაყად). რაცა ვარ, ესა ვარ! თავი გამანებეთ!

შემოდის ბურტოლდო; თან კოსტიუმები მოაქვს.

**ლანდოლფო** (მის დანახვაზე). აი ტანსაცმელიც! ეს მოსახსნამი - ქალბატონს!

**მ-ნი მათილდა.** მოიცათ, ქუდი მოვიხადო! (ქუდს იხდის და ბურტოლდოს აწვდის).

**ლანდოლფო.** იქ გაიტანე! (შემდეგ მარკიზას მიუბრუნდება და ანიშნებს, ახლა კი პერცოვის გვირგვინი უნდა დაგადგათ თავზეო). ნება მიბოძეთ!

**მ-ნი მათილდა.** ო, ღმერთო ჩემო, სარკე არა გაქვთ?

**ლანდოლფო.** როგორ არა, აი, იქ არის! (მარცხენა კარზე ანიშნებს). თუ ქალბატონ მარკიზას სურს, რომ თვითონ...



**მ-ნი მათილდა.** დიახ, დიახ, უმჯობესია, მე თვითონ. მომეცით, ახლავე აქ ვიქნები!

ქუდის იღებს და ბერტოლდოსთან ერთად გადის, რომელსაც გვირგვინი და მოსასხამი მიაქვს. ამასობაში, ექიმი და ბელკრედო საგულდაგულოდ ირგებენ ბენედიქტელთა ფლასებს.

**ბელკრედი.** მართალი ვითხრათ, არ მეგონა, რომ ბენედიქტელის როლის შესრულება მომიხდებოდა. უნდა მოვახსენოთ, რომ ეს სიგიჟე კაი გვარიანი თანხა ჯდება.

**ექიმი.** როგორც ყველა სხვა სიგიჟე...

**ბელკრედი.** თუმცა რა, როცა მის სამკურნალოდ მთელი ადგილ-მამული გაქვს...

**ლანდოლფო.** მართალს ბრძანებთ, ბატონო ჩემო. ჩვენ აქ იმდროინდელი კოსტიუმების მთელი გარდერობი გვაქვს; თანაც, ყველა საუცხოოდ შეკერილია. ეს ჩემი მოვალეობა გახლავთ: თეატრის საუკეთესო მკერავეებს ვუკვეთავ ხოლმე. მაგრამ ეს იაფი როდი ჯდება.

შემოდის ქალბატონი მათილდა; მოსასხამშია გამოხვეული, თავზე გვირგვინი დაუდგამს.

**ბელკრედი (აღფრთოვანებით).** დიდებულია! ნამდვილი დედოფალი ბრძანდებით!

**მ-ნი მათილდა.** (ბელკრედის დანახვაზე სიცილი წასკდება). ო, ღმერთო ჩემო, ახლავე გაიძრეთ ვგ ფლასები! რა უმსგავსი ხართ! ბერად გადაცმულ სირაქლემას მაგონებთ!

**ბელკრედი.** აბა, ერთი ექიმს შეხედეთ!

**ექიმი.** ვითომ რა?.. რა უშავს?..

**მ-ნი მათილდა.** არა, თქვენ მართლაც არა გიშაუთ რა, ბელკრედი კი სასაცილოა.

**ექიმი (ლანდოლფოს).** მაშ, აქ მიღების დღეებიც გაქვთ?

**ლანდოლფო.** ხანდახან. როცა გვიბრძანებს, რომ ესა თუ ის პირი ეახლოს. მაშინ კი სასწრაფოდ უნდა მოვძებნოთ ვინმე და დავითანხმოთ, რომ მის უდიდებულესობას წარუდგეს. ზოგჯერ ქალებიც კი...

**მ-ნი მათილდა** (ეჭვობა, ლანდოლფოს სიტყვები შიგ კულში მოხვდა, თუმცა კი ცდილობს დამალოს ეს). აა, ქალებიც?..

**ლანდოლფო.** ეჰ, ადრე... რა თქმა უნდა... თანაც რამდენი!..

**ბელკრედი.** (იცინის). დიდებულია, დიდებული! გადაცმულები? (მარკიზაზე ანიშნებს) აი, ამასაკით?

**ლანდოლფო.** როგორ გეკადრებათ?.. იმ მარაქის ქალები...

**ბელკრედი.** ...თანახმანი რომ არიან? გასაგებია! (მზაკვრული ღიმილით, მარკიზას). ფრთხილად, ეს უკვე სახიფათო ხდება თქვენთვის!

მარჯვენა მხარეს მეორე კარი იღება და არიალდო გამოდის.

**არიალდო.** (დარბაზში მყოფთ ხელით ანიშნებს, დაჩუქდითო, შემდეგ კი ხაზეიმოდ ზეაწეული ტონით აცხადებს). მისი უდიდებულესობა — იმპერატორი!

წინ ორი ლაქია მოდის, რომლებიც ტახტის კვარცხლბეკთან ადგილს, შემდეგ ორდულფოსა და არიალდოს შორის, რომლებიც მოწინააღმდეგეებით მოჰყვებიან უკან, გამორჩევა ჰენრი IV. დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იქნება. ძალზე ფერმკრთალია და ნახევრად გაჭაღარავებული, თუმცა შუბლსა და საფეთქლებზე ჩამოშლილი თეთრი თმა ქერა გვეგონებათ, იმ საღებავის წყალობით, რომლითაც ძალზე უეგრეილოდ შეუთხიზნია სახე. ტრაგიკულად ფერმკრთალ ლაქვებზე, სათამაშო თოჯინასავით, ასევე უშნოდ წასმული წითელი საღებავის ორი მკვეთრი ლაქა ატყვია, სამეფო სამოსზე მონანულის ძაძა მოუსხამს, როგორც კანოსაში. თითქმის სრულიად უძრავ გუგებში შემადრწუნებლად ბასრი და ნერვიული მზერა ჩაჰყინვია, რაც ასე ნაკლებად ეხამება მის მოჩვენებით სინანულს და ქედმოდრეკილობას, ვინაიდან ეს დამცირება დაუმსახურებლად მიიჩნია. ორდულფოს საიმპერატორო გვირგვინი მოაქვს, არიალდოს კი — არწივისთავიანი კვერთხი და სამეფო გვირგვინი ჯვრითურთ.

**ჰენრი IV** (ჯერ ქალბატონ მათილდას ესალმება თავის დაკერით, შემდეგ კი — ექიმს). მადონა!.. მონსინიორ!.. (შემდეგ ბელკრედის შეხედავს, მზადაა მასაც მიესალმოს, მაგრამ უცებ ლანდოლფოსაკენ შეტრიალდება, რომელიც მას მიუახლოვდა, და იჭვნეული ჩურჩულით ეკითხება). ეს ვინდაა, პეტრე დამიანე? **ლანდოლფო**. არა, თქვენო უდიდებულესობავ, ეს კლიუნელი ბერი გახლავთ, აბატის მხლებელი.

**ჰენრი IV** (ხელახლა მიუბრუნდება და თანდათან მზარდი უნდობლობით უყურებს ბელკრედის, ხოლო როცა ეს უკანასკნელი შემერთალი და დაბნეული მიაჩრდება ქალბატონ მათილდას და ექიმს, თითქოს რჩევას სთხოვს, როგორ მოვიქცეო, — წელში გაიშართება და ყვირის). არა, ეს პეტრე დამიანეა! სულ ტყვილად მისჩერებიხართ, მამაო, ჰერცოგის მეუღლეს! (მოულოდნელად იბრუნებს პირს ქალბატონ მათილდასაკენ, თითქოს სურს საფრთხე აირიდოს). გეფიცებით, დიახ, გეფიცებით, მადონა, რომ მე შევიცვალე დამოკიდებულება თქვენი ქალიშვილის მიმართ! ვალიარებ: ეს რომ არ მოსულიყო (ბელკრედიზე ანიშნებს) და პაპ ალექსანდრეს სახელით განქორწინება არ აეკრძალა ჩემთვის, ღმერთმანი, გავეყრებოდი! დიახ, აღმოჩნდა კაცი, რომელიც ას ოცი მამულის ფასად მზად იყო განქორწინების უფლება მოეცა ჩემთვის, — ეს გახლდათ მაინცის ეპისკოპოსი (ცოტა არ იყოს, დაბნეული ლანდოლფოსაკენ იხრება და ხწრაფად განაგრძობს), მაგრამ მე ახლა არ უნდა ვთქვა ეპისკოპოსების ძვირი (ქედმოდრეკით მიუბრუნდება ბელკრედის). მადლობელი ვარ თქვენი, პეტრე დამიანე, მერწმუნეთ, ახლა დიდად მადლობელი ვარ, გაყრის ნება რომ არ მომეცია! მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დამცირების მეტი არაფერი მახსოვს: დედაჩემი, ალაბერტი, ტრიბური, გოსლარი, და, აი, ახლა ეს ძაძები, ზედ რომ მაკეცი! (მოულოდნელად შეიცვლის ტონს, განზე გაიხედავს და იმ კაცით ლაპარაკობს, რომელიც თავის როლს იმეორებს). ეჰ, რაც არი, არი! აზრის სიცხადე, სიფხიზლე, მოთმინება და თავშეკავება ამ განსაცდლის უამს! (შემდეგ დარბაზში მყოფთ მიუბრუნდება და დარბაისლურად განაგრძობს) მე შემძლია ჩემი შეცდომების გამოსწორება და თქვენს წინაშეც კი ვიხრი ქედს, პეტრე დამიანე! (შდაბლად დაუკრავს თავს და ერთხანს ასე წელში მოხრილი რჩება მის წინაშე, მაგრამ შემდეგ, თითქოს რაღაც უცნაურმა ეჭვმა გაჰკენწლაო, თავისდა უნებურად, მუქარის ტონით იწყებს). თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არ ავრცელებთ იმ ბინძურ ჭორებს, თითქოს წმიდანი დედაჩემი — აგნესა — ეპისკოპოს ჰენრიხ აუგსბურგელის საყვარელი იყო!

**ბელკრედი** (კიდრე ჰენრი IV ჯერ კიდევ ქედმოდრეკილი დგას მის წი-

ნაშე, მაგრამ, იმავდროულად, მრისხანედ უქნევს თითოს, მკერდთან მიიტანს ხელს უარყოფის ნიშნად). მეე?... რას ბრძანებთ?..

**პინჩის IV** (წელში სწორდება). არა?... თქვენ არა?... მაშ, ცილს გწამებენ? (ერთხანს მიაჩერდება და განაგრძობს) არა მგონია, რომ თქვენ ამ სიმდაბლის მკადრებელი იყოთ! (ექიმს უახლოვდება, სახელოზე მოქაჩავს და ეშმაკურად ჩაუკრავს თვალს). ესეც „მათი“ ხროვიდანაა? კვლავ იგივენი, მონსინიორ?

**არიალლო** (ჩუმად, ამოხვრით, თითქოს ხურს პასუხი უკარნახოს ექიმს). ჰო, დიახ, მტაცებელი ეპისკოპოსები...

**პინჩი** (თავისი როლის შესრულებას ცდილობს და კვერს უკრავს არიალოს). დიახ, დიახ, ისინი...

**პინჩის IV** რით ვერ გაძღნენ? — საბრალო ბიჭი, მონსინიორ... თამაშით იტყევდა თავს; თუმც მეფე კი იყო, მაგრამ თვითონაც არ იცოდა ეს. სულ ექვსი წლისა ვიყავი, როცა დედაჩემს მოსტაცეს ჩემი თავი და, ჯერ კიდევ უგუნური, მის წინააღმდეგ, დინასტიის წინააღმდეგ, თავიანთ სასარგებლოდ გამომიყენეს. ოპ, ეს უკეთურნი, ყოვლისმბილწველნი, მპარავნი, ქურდნი, ერთიმეორეზე უფრო ხარბნი და გაუმაძღარნი; ანო — სტეფანეზე, სტეფანე კი — ანოზე მეტად! **ლანდოლფო** (ხმადაბლა, დაყინებით ცდილობს რაღაცაში დაარწმუნოს და ყურადღება სხვა საგანზე გადაატანინოს). თქვენო უდიდებულესობავ...

**პინჩის IV** (მყისვე შემოუტრიალდება). დიახ, დიახ! ამჯერად ეპისკოპოსების ძვირი არ უნდა ვთქვა. მაგრამ ამ ცილისწამებამ დედაჩემის მიმართ, მონსინიორ, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა (მარკიზას შეხედავს და გული მოუღებება). ისიც კი არ შემიძლია, რომ დავიტირო, მაღონა! თქვენ მოგმართავთ; ალბათ, თქვენშიაც ცოცხლობს დედაშვილური გრძნობა! ამ ერთი თვის წინათ თავისი მონასტრიდან ჩამოვიდა ჩემს სანახავად. ახლა კი მითხრეს, მოკვდაო (ძალზე აღელვებული ღუშდება, შემდეგ კი სევდიანი ღიმილით განაგრძობს). მე მისი დატირებაც არ შემიძლია, რადგან თუ თქვენ აქა ხართ, ხოლო მე ამნაირად ჩამულსა მხედავთ (თავის ძაძებზე ანიშნებს), ეს ნიშნავს, რომ ოცდაექვსისა გავზღდი.

**არიალლო** (ხმადაბლა, აღერხიანად, რომ ანუგეშოს). მაშასადამე, ის ცოცხალია, თქვენო უდიდებულესობავ!

**ორდულფო** (არიალდობავით). და თავის მონასტერში ცხოვრობს!

**პინჩის IV** (ორივეს მიუბრუნდება). დიახ, მე შემიძლია სამერმისოდ გადავდო ეს ჩემი გლოვა (თავმომწონედ უჩვენებს მარკიზას თავის შედებილ თმებს). აი, ხომ ხედავთ: ჯერ კიდევ ქერა თმა მაქვს... (შემდეგ ხმადაბლა, თითქოს საიდუმლოს ანდობს). მხოლოდ თქვენთვის! პირადად მე ეს არ მჭირდება! მაგრამ გარეგნობას მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. დროის ნიშანია, არა, მონსინიორ? (ხელახლა უახლოვდება მარკიზას და მის თმას აკვირდება). ექე! ახლა კი ვხედავ, რომ თქვენც, ქალბატონო... (ცალ თვალს მოჭუტავს და ექსპრესიულ ნიშანს გამოხატავს ხელით). აა, იტალიელი... (თითქოს ამის თქმა სურდეს: „არანამდვილიო“, მაგრამ ყოველგვარი ზიზღის გარეშე, ერთგვარი დამცინავი ალტაცებითაც კი). დემრთმა დამიფაროს ყოველგვარი ზიზღისა თუ განცვიფრების გამოვლენისაგან! ამოება ამათა! არავის არა სურს აღიაროს პირქუში და საბედისწერო ძალა, რომელიც ზღვარს უღებს ჩვენს ნებას. მაგრამ რაკი და ცაცთა ხვედრია დაბადება და გარდაცვალება... დაბადება... თქვენ - გსურდათ დაბადებულყოფით, მონსინიორ? პირადად მე — არა. და ამ ორ ზღვარს შორის, რომელთაგანაც არც ერთი არ არის დამოკიდებული ჩვენს ნებაზე, ვინ მოთვლის, რამდენი ისეთი რამ ზდება, რის გამოც ყველანი ვინატრებდით, ნეტავი არ მომზდარიყო, მაგრამ ძალაუნებურად კი ვურიგდებით ამას!

**ჩემი** (მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცა თქვას, თუმცა, იმავდროულად დადი ყურადღებით კი აკვირდება). დიახ, დიახ, რაღაცა თქმა უნდა!

**პინოს IV.** თუ ქედს ვიდრეკთ, ფუჭი სურვილები აღიძვრიან ჩვენში. ქალს კაცად ქცევა სურს, ბერიკაცს — ჭაბუკად... არცერთი ჩვენგანი არ ცრუობს და არ ცდილობს, თვალი ავიხვიოს. მეტსაც გეტყვი: ჩვენ საკუთარი ნება-სურვილით ვატარებთ ჩვენსავე მიერ გამოვლილ ნიღაბს. მაშინ, როდესაც უძრავად დგახართ, მონსინიორ, და ორივე ხელით მაგ თქვენს წმიდა ფლასებს ჩაჭყრინებართ, სახელოებიდან ნელ-ნელა მოცოცავს, მოცოცავს რაღაც... რაღაც ისეთი, რასაც თქვენ ვერ ამჩნევთ. სიცოცხლე, მონსინიორ! მერე კი ვაკვირთ, როდესაც ამჩნევთ, რომ ის ხელიდან დაგსხლტომიათ: რამდენი ზოზლი, რანაირი გაბორძტება საკუთარი თავის მიმართ, და თანაც, სინდისის ქენჯნა, დიახ, დიახ, სინდისის ქენჯნა! ოპ, რომ იცოდეთ, რამდენჯერ განმიცდია ეს! მე თვითონ შემინიშნავს ჩემი სახის ისეთი საშინელი გამომეტყველება, რომ მისთვის თვალის შევლება აღარ შემძლება... თქვენთვის კი უცხოა ამნაირი განცდა, მაღონა? თქვენ გგონიათ, ყოველთვის ის იყავით. რაცა ხართ? ო, ღმერთო ჩემო, კი მაგრამ, ერთხელ... არა, მაინც რამ შეგაძლებინათ ამის ჩადენა?.. (ისე დაჭინებით ჩააშტერდება თვალებში, რომ მარკიზას გულის წახელას აღარაფერი უკლია). დიახ, სწორედ „ამის ჩადენა?“ — ჩვენ მშვენივრად უკვებთ ერთმანეთს! ნუ გეშინიათ, არავის ვეტყვი! ანდა თქვენ, პეტრე დამიანე, როგორ შეგეძლოთ იმნაირ...

**ლანდოლფო** (უწინდებურად). თქვენო უდიდებულესობა...

**პინოს IV** (მაშინვე). არა; არა სახელს არ ვიტყვი! ხომ ვიცო, რანაირად ვაღიზიანებ? (სწრაფად მიუბრუნდება ბელკრედის). რას იტყვით? არა, მაინც რას იტყვით ამის თაობაზე?.. მაგრამ ჩვენ ისე გამწარებით ვებლაუჭებით საკუთარ ნიღაბს, როგორც ბერიკაცი საგულდაგულოდ რომ იღებავს თმას. რა მნიშვნელობა აქვს, რომ ეს საღებავი არ შეიძლება ჩემი თმის ბუნებრივ ფერად გავასაღო? — თქვენც, მაღონა, დარწმუნებული ვარ, იმიტომ კი არ იღებავთ თმას, რომ ხალხს თვალი აუხვიოთ, ან თავი მოიტყუოთ; არა. თქვენ სულ ცოტა რამ გნებავთ: როგორმე. შეიცვალათ თქვენი გამომეტყველება ხარკეში. მე ასე იმიტომ ვიტყევი, რომ ვიცინო და სხვებიც ვაცინო, თქვენ კი — სერიოზულად, მაგრამ გარწმუნებთ, რომ, ამ სერიოზულობის მიუხედავად, მაინც ნიღბოსანი ხართ, მაღონა! ნუ გგონიათ, თითქოს მაგ სათავყვანებელ გვირგვინს ვგულისხმობდე, შუბლს რომ გიმშვენებთ, — მე ქედს ვიხრი მის წინაშე, — ანდა პერცოგის მოსახსნამს! არა, მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ თქვენ ცდილობთ ხელოვნურად გაიხანგრძლივოთ თქვენივე ქერა თმის ხსოვნა, ასე ძლიერ რომ მოგწონდათ, ან კიდევ — წაბლისფერისა, თუკი ის მართლაც წაბლისფერი იყო. ხოლო თქვენ, პეტრე დამიანე, ხსოვნა იმისა, რაც იყავით, და რაც ქვეყნად მოიშობებდით, დღეს მხოლოდ სულში მთვლემარე წარსულის ღანდი, სიზმარული ჩვენება გგონიათ, არა? მეც ყველაფერი სიზმრად მეჩვენება, რადგანაც ჩემს ცხოვრებაში თუკი კარგად დაუფიქრდებით, იმდენი რამაა აუხსნელი და გონებაში უწყდომელი! ეპ, თუმცა, რა გასაკვირია, პეტრე დამიანე? ხვალ დღევანდელი დღეც სიზმარულ ჩვენებად წარმოვიჩინდება! (ანაზღეულად წამოეხრება და ხელებით ჩააფრინდება მონანულის ძაძებს). ოპ, ეს ძაძები! (თითქმის ველური აღტკინებით ცდილობს ტანზე შემოიგლიჯოს, დაფეთებული არიალდო, ლანდოლფო და ორდულფო კი მიეჭრებიან და ცდილობენ გააკავონ). უუპ, დაღაბეროს ეშმაკმა! (უკან იხევს, ძაძებს შემოიგლიჯს და ყვირის). ხვალ ბრესანონში ოცდაშვიდი გერმანელი და ლომბარდიელი ეპისკოპოსი ჩემთან ერთად მოაწერს ხელს პაპ გრიგოლ VII-ის — მღვდელმთავრის კი არა, ცრუ ბერ-მონაზვნის ტახტიდან გადადგომის მოთხოვნას!



**ორდულვო** (არიალღოსა და ლანდოლფოსთან ერთად ემუდარება, და ჩუმიდით). თქვენო უდიდებულესობაჲ, თქვენო უდიდებულესობაჲ, ღვთის გული-სათვის!..

**არიალღო.** (ხელით ანიშნებს, კვლავ შეიმოსოს ძაძები). კარგად დაფიქრ-დით, რას ამბობთ!

**ლანდოლფო.** მონსინირო, ქალბატონ პერცოვის მეუღლესთან ერთად, აქ თქვენს დასაცავად მობრძანდა! (დაფინებით ანიშნებს ექიმს, სასწრაფოდ ჩაე-რიეთ, რაღაცა თქვითო).

**ექიმი.** დიახ, დიახ... ჩვენ აქ თქვენს დასაცავად ვართ...

**ჰენრიხ IV** (იმ წამსვე სინანული იპყრობს, ცოტა არ იყოს, შემკრთალი ნებას რთავს მსახურებს, ხელახლა ჩააცვან ძაძები და მოცახცახე ხელებით ჩა-აფრინდება თავის სამოსს). მომიტევეთ... დიახ, დიახ... მომიტევეთ, მომიტევეთ, მონსინირო! თქვენც მომიტევეთ, მადონა!.. გეფიცებით, დიახ, გეფიცებით, მთელი სიმწვავეით განვიცდი ჩემი შეჩვენების სიმძიმეს! (ქედს იღრეკს და ორივე ხელს იფარებს თავზე, თითქოს ეშინია, რაღაცა დამეცემო; ერთხანს ასე ღვას, შემდეგ კი შეცვლილი ხმით, პოზის შეუცვლელად ჩურჩულით მიმართავს ლანდოლფოს, არიალღოსა და ორდულფოს): არ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავს, მაგრამ დღეს, მის წინაშე (მალულად ანიშნებს ბელკრედიზე) ვერასდრდებით ვერ ვახერხებ, ქედ-მოღრეკილი ვიყო!

**ლანდოლფო** (ხმადაბლა). ეს იმიტომ, თქვენო უდიდებულესობაჲ, რომ მაინცდამაინც პეტრე დამიანე გგონიათ იგი, მაგრამ, ღმერთმანი, სცდებით.

**ჰენრიხ IV** (შეშინებული უყურებს). მაშ, პეტრე დამიანე არ არის?

**არიალღო.** არა, ეს ერთი საბრალო ბერია, თქვენო უდიდებულესობაჲ!

**ჰენრიხ IV** (დამწუხრებული მწარედ ამოიხრებს). ეჰ, არც ერთ ჩვენ-განს არ შეუძლია თავისი საქციელის ახსნა, თუკი ინსტინქტურად მოქმედებს... იქნებ, თქვენ სხვებზე უკეთ გამოგოთ, მადონა, რადგანაც ქალი ბრძანდებით და, თანაც, პერცოვის მეუღლე. ეს დიადი და გადამწვევტი წამი ვახლავთ! მე შემეძ-ლო ახლავე, ვიდრე თქვენ გელაპარაკებით, ლომბარდიელი ეპისკოპოსები მომეხ-მო მეოხად, აქვე, ამ ციხე-სიმაგრეში ალყა შემომოერთყა და შემეპყრო პაპი, რო-მისაყენ ამელო გეზი, ახალი პაპი დამესვა ტახტზე და მოკავშირეობის ნიშნად, რობერტ გვისკარისათვის გამეწოდებინა ხელი. გრიგოლ VII-ს ველარაფერი იხს-ნიდა ჩემზე არა ჭრის ცოუნება და, მერწმუნეთ, ბრძნულად ვაქცევი. მე ვგრძნობ დროის სულისკვეთებას და მის სიღიადეს, ვინც არის ის, რაც უნდა იყოს: პაპი! ახლა, ამ დღეში რომ მხედავთ, მზადა ხართ მასხრად ამიგდოთ? ნუთუ მართლა სულელი ხართ და ვერ გაგიგიათ, რომ პოლიტიკურმა სიბრძნემ მაიძულა, აი, ეს ძაძები ჩამეცვა? გუებნებით, ხვალ შეიძლება ჩემი როლები შეიცვალოს. მაშინ რაღას იზამთ? მასხრად აივდებთ ძონძებში გამოხეულ პაპს? — არა! — ჩვენ თა-ნასწორნი ვართ. — დღეს მე მონანულის ძაძა მაცვია. ხვალ კი შეიძლება პაპი ტყვეს ძონძებით მოსილი იხილოთ. მაგრამ ვაი მას, ვისაც არ შეუძლია თავისი ნიღბის ტარება, გინდ მეფე იყოს და გინდა პაპი! შესაძლოა, დღეს ის მეტის-მეტად გულმხეცია და სასტიკი: კაცმა რომ თქვას, ასეცაა. წარმოიდგინეთ, მადონა, რომ თქვენი ქალიშვილი — ბერტა — ვის მიმართაც მილიანად შევი-ცვალე დამოკიდებულება (მოულოდნელად მიუბრუნდება და გაშმაგებული უყვი-რის ბელკრედის, თითქოს მას „არა“ ეთქვას). — შევიცვალე, დიახ, შევიცვალე, ვინაიდან იმ საბედისწერო წამს ჩემს მიმართ ისეთი სიყვარული და ერთგულება გამოიჩინა... (რისხვით სუნთქვაშეკრული ჩერდება და თავს ძალას ატანს, რომ მწარე გმინვა არ აღმოხდეს, შემდეგ კი ალერსით, მჭმუნვარედ ქედმოღრეკილი, ხელახლა მიმართავს მარკიზას): ბერტა ჩემთან ერთად ჩამოვიდა, მადონა, ქვემოთ,

ეზოში მიცდის; თვითონვე მოისურვა, მწირივით გამოძყოლოდა უკან, და ორი ღამე ღია ცის ქვეშ, თოვლსა და ყინვაში ითოშებოდა! თქვენ ხომ დედა ხართ მისი?! სიბრალულით გულ-მუცელი უნდა გეწვოდეთ! ამიტომაც მოვალე ხართ, მასთან ერთად (ექიმზე ანიშნებს) პაპს ჩვენი შეწყალება სთხოვით; როგორმე დაითანხმეთ, იქნებ მიგვიღოს.

**მ-ნი მათილდა** (ცხროიანივით ცახცახებს, ოღნავ გასაგონი ხმით).  
ღიახ, ღიახ, ახლავე...

**პანტონი IV** ერთი თხოვნაც უნდა შეგისრულოთ, ღიახ, ერთი თხოვნაც! (თითით მოიხმობს მათ და იღუმალი ხმით ეჩურჩულება): მარტო ის როდი კმარა, რომ მიმიღოს. ხომ იცით, რომ „ყველაფერი“ შეუძლია, გეუბნებით, „ყველაფერი“ -მეთქი! თვით მკვდრების გამოხმობაც კი! (მკვრდში მჯიღის ცეპით) აი, მე! ხომ ხედავთ? — არ არსებობს მავიური ხელოვნება, მან რომ არ იცოდეს! ამრიგად, მონსინიორ, მადონა, ჩემი ნამდვილი სასჯელი ისაა, — აი, შეხედეთ! (თითქმის შიშით უჩვენებს მათ თავის პორტრეტს), — რომ არ შემიძლია მისი ჯადოქრობისაგან დავიხსნა თავი! ახლა მე მონანიე ვარ და მონანიედვე დავჩრები, სანამ არ მიმიღებს. მაგრამ როგორც კი ანათემა ამეხსნება, ორივე უნდა შევედროთ პაპს, — რადგანაც ეს მის ხელთაა, — აქედან გამათავისუფლოს (ხელახლა უჩვენებს ორივეს თავის პორტრეტს) და საშუალება მომცეს, კვლავინდებურად ჩემი უბადრუკი ცხოვრებით ვიცხოვრო, საიდანაც მე ამომავდეს... საღ გაგონილა, სულ მუდამ ოცდაექვსი წლიხა იყო, მადონა?! თქვენი ქალისთვისაც გემუდარებით ამას, რათა შემეძლოს იმნაირი სიყვარულით მიყვარდეს იგი, რისი ღირსიცაა. ამას გეუბნებით ახლა, თქვენი მოწყალებით გულშემრული! აი, რა მინდოდა მეთქვა. მე თქვენს ხელთა ვარ, მადონა! მონსინიორ!

თავის დაკვრით მიემართება იმავე კარისაკენ, საიდანაც დარბაზში შემოვიდა. მარკიზა ისე აღელვებულია, რომ მისი გასვლისთანავე თითქმის გულშემოყრილი ჩაესვენება სავარძელში.

### მოქმედება მეორე

ვილის მეორე, სატახტოს მომიჯნავე დარბაზი, ძველებური, სადა ავეჯით გაწყობილი. სცენის სიღრმეში გასასვლელი ჩანს. მარცხნივ, ორი ფანჯარაა; ორივე ბაღს გადაჰყურებს. მარჯვნივ, კარია, საიდანაც შეიძლება სატახტო დარბაზში შეხვიდე. იმავე ღღის საღამო.

სცენაზე არიან ქალბატონი მათილდა, ექიმი და ტიტო ბელკრედი, რომლებიც საუბარს განაგრძობენ, მაგრამ ქალბატონ მათილდას განკერძოებით უჭირავს თავი. მარკიზა გულმოსული ჩანს, ეტყობა, თავისი თანამოსაუბრეების სიტყვები აღიზიანებს, მაგრამ არ შეუძლია ყური არ ათხოვოს მათ, რადგანაც ისე უჩვეულოდ აღგზნებულია, რომ ყველაფერი ძალაუნებურად მის ყურადღებას იქცევს, რაც საშუალებას არ აძლევს გონება მოიკრიფოს და თავის გულისთქმას ჩაუფიქრდეს, რასაც ახლა მთელი მისი არსება მოუცავს. ეგვეც არ იყოს, თავისი ორი თანამოსაუბრის სიტყვებს ქალბატონი მათილდა იმიტომაც უსმენს, რომ აშკარად გრძნობს, რარივ აუცილებელია მისთვის, როგორმე დაიოკონ და თავი შეაკავებინონ.

**ბელკრედი.** მართალს ბრძანებთ, ბატონო ექიმო, მაგრამ მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება.

**პეიმი.** დავას არ დაგიწყებთ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ეს მხოლოდ... ბეჭდილებაა.

**ბაქრაძე.** მომიტევეთ, მაგრამ მან ხომ გარკვევით თქვა! (მარჯვს მი-  
 უბრუნდება). ასე არ არის, მარჯვს?

**ქ-ნი მათილდა (ანაბლეულად გააიერკვება).** მაინც, რა თქვა? (შემდეგ  
 ჯიუტად) ჰო, დიახ... მაგრამ თქვენ რომ ვგონიათ, იმ მიზეზის გამო კი არა.

**პეიმი.** ის ჩვენს ტანსაცმელს გულისხმობდა: თქვენს მოსახსამს (მარჯვსა-  
 ზე ანიშნებს) და ჩვენს ბენედიქტურ ფლასებს. ყოველივე ეს ბავშვური საქციე-  
 ლია და სხვა არაფერი.

**ქ-ნი მათილდა (წამოენთება).** ბავშვური საქციელი? რას ამბობთ, ექი-  
 მო?

**პეიმი.** ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, ბავშვური საქციელია! — თუ შეიძ-  
 ლება, მათქმევინეთ, მარჯვს! — მაგრამ, მეორეს მხრივ, საქმე გაცილებით უფ-  
 რო რთულადაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

**ქ-ნი მათილდა.** ჩემთვის, პირიქით, ყველაფერი ნათელია.

**პეიმი.** (სპეციალისტის შემწყნარებლური ღიმილით, სპეციალისტისა, რო-  
 მელიც პროფანს ელაპარაკება). იცით, რა? უნდა ვიცნობდეთ შეშლილის სპეცი-  
 ფიკურ ფსიქოლოგიას, რისი წყალობითაც — მერწმუნეთ! — ის ამჩნევს და ხშირ  
 შემთხვევაში შესანიშნავადაც ამჩნევს, რომ მის წინაშე გადაცმულები დგანან,  
 მაგრამ ერთია, რასაც ამჩნევს და მეორე, — რაც სწამს; დიახ, მას ზუსტად ისევე  
 სწამს, როგორც პატარა ბავშვს, ვისთვისაც ერთია თამაში და რეალობა. ამიტო-  
 მაც მოგახსენეთ, პატარა ბავშვივით იქცევა-მეთქი. მაგრამ, ამჟამად დროს, ყოველი-  
 ვე ეს გაცილებით უფრო რთულია: მას მშვენივრად ესმის, რომ თავისი თავისათ-  
 ვის და თავისი თავის წინაშე ის მხოლოდ ხატებაა, — დიახ, სწორედ ის ხატე-  
 ბა! (მარცხნივ გაიშვერს თითხ: სატახტო დარბაზში გამოყენილ ჰენრიხ IV-ის  
 პორტრეტს გულისხმობს).

**ბაქრაძე.** აკი თვითონვე თქვა!

**პეიმი.** რა თქმა უნდა! ხატება, რომელსაც სხვა ხატებანი გამოეცხადნენ,  
 — მე ჩვენს ხატებებს ვგულისხმობ. და, აი თავისი ბორგნეული, უჩვეულოდ გა-  
 მახვილებული და გამამაფრებული წარმოსახვით მან მყისვე შეიგრძნო სხვაობა  
 თავის საკუთარ ხატებასა და ჩვენს ხატებებს შორის, ანუ ის, რაც ჩვენს ხატე-  
 ბებში მოჩვენებითი იყო. და ის უნდობლად განეწყო. ყოველი შეშლილისათვის  
 ნიშნეულია მუდმივი უნდობლობა. სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი! მან, რა  
 თქმა უნდა, ვერ გაიგო, რომ ჩვენი თამაშის მიზანი მხოლოდ მისი სიკეთე იყო.  
 მისმა თამაშმა კი მით უფრო ტრაგიკული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, რომ  
 ის, თითქოს განზრახ — ხომ გესმით ჩემი? — უნდობლობის გამო შეეცადა, სწო-  
 რედ თამაშად აღგვექვა იგი. ჩვენი შემყურე ისიც თამაშობს, დიახ, ბატონებო,  
 შეღებილი ლაწვებითა და საფეთქლებით; თანაც, გვაუწყებს, თითქოს ასე იმიტომ  
 მოითხოვნა, რომ ჩვენ გვაცინოს.

**ქ-ნი მათილდა.** არა, არა, სცდებით, ექიმო! არა და არა!

**პეიმი.** როგორ თუ არა?

**ქ-ნი მათილდა (გადაჭრით; საშინლად აღელვებული).** დარწმუნებული  
 ვარ, რომ მიცნო!

**პეიმი.** შეუძლებელია... შეუძლებელია...

**ბაქრაძე.** (იმავედროულად). რას ამბობთ, რას?!

**ქ-ნი მათილდა (კიდევ უფრო გადაჭრით; ცხროიანივით ცახცახებს).** მიც-  
 ნო-მეთქი, თქვენ გეუბნებით! როდესაც მომიახლოვდა და თვალბში ჩამხედა, —  
 დიახ, ჯიქურ ჩამხედა თვალბში! — მივხვდი, რომ მიცნო!

**ბელკარედი.** მაგრამ ის ხომ თქვენს ქალიშვილზე ლაპარაკობდა?

**მ-ნი მათილდა.** სცდებით! ჩემს ქალიშვილზეც არა, — ჩემზე!

**ბელკარედი.** შეიძლება მაშინ, როდესაც...

**მ-ნი მათილდა** (აღარ აცლის და უჩვეულოდ აღელვებული თვითონ განაგრძობს)... ჩემს შვილებს თმაზე ლაპარაკობდა? ნუთუ ვერ შენიშნეთ, რომ იქვე დისძინა: „ან კიდევ — თქვენი წაბლისფერი თმის ხსოვნა, თუკი ის მართლა წაბლისფერი იყო?“ მან გაიხსენა, რომ მე „მაშინ“ წაბლისფერი თმა მქონდა.

**ბელკარედი.** ეგ უკვე მეტისმეტია!

**მ-ნი მათილდა** (ყურადღებას არ აქცევს და ექიმს მიუბრუნდება). მართლაც, წაბლისფერი თმა მქონდა, ექიმო, ისევე, როგორც ჩემს ქალიშვილს, ამიტომაც იყო, რომ მასზე ჩამოავლო სიტყვა.

**ბელკარედი.** კი მაგრამ, რომ არ იცნობს თქვენს ქალიშვილს და არც არასოდეს უნახავს იგი?

**მ-ნი მათილდა.** საქმეც ეგაა! არაფერიც არ გესმით! ჩემს ქალიშვილზე ლაპარაკისას მე მგულისხმობდა, დიახ, მე, როგორიც ვიყავი ჩემი ყმაწვილქალობისას!

**ბელკარედი.** ოო! შეშლილობა გადაძვება, გადაძვები!

**მ-ნი მათილდა** (ხმადაბლა; ზიზღით). რა არის გადაძვები, ბრიყვო?

**ბელკარედი.** მომიტყევთ, განა ოდესმე მისი ცოლი იყავით? შეშლილის ბოდვას თუ ვერწმუნებით, მისი ცოლი თქვენი ქალიშვილი იყო: ბერტა სუსელი.

**მ-ნი მათილდა.** გასაგებია, რატომაც! — იმიტომ, რომ ჩემი თმა ახლა წაბლისფერი კი არ არის, როგორც მას ახსოვს, არამედ, ასე ვთქვათ, — ქერა, და მეც მისი სიდედრის — „ადელაიდას“ სახით მოვევლინე. ჩემი ქალიშვილი მისთვის არ არსებობს: თქვენი თქმისა არ იყოს, არასოდეს უნახავს იგი; ამიტომაც არ იცის, ქერა თმა აქვს თუ წაბლისფერი.

**ბელკარედი.** მაგრამ მან შემთხვევით, ალაღბედზე ახსენა „წაბლისფერი“, რადგანაც ახალგაზრდა ქალების უმრავლესობას ან ქერა თმა აქვს, ან წაბლისფერი; თქვენ კი, ჩვეულებისამებრ, წარმოსახვის თამაშს აპყვეით! — ექიმო, ეს ამბობს, რომ აქ არ უნდა მოვსულიყავი, ჩემი აზრით კი, თვითონ არ უნდა მოსულიყო.

**მ-ნი მათილდა** (ანაზღეულად იხნევა ბელკარედის შენიშვნაზე, მაგრამ მაშინვე მოეგება გონს, თუმცაღა მაინც შემტბარი ჩანს გულში აღძრული ეჭვით). არა... არა... ჩემზე ლაპარაკობდა... დიახ, ჩემზე... წამდაუნწმ მე მომმართავდა, მე მახსენებდა, მე მიხსენებდა.

**ბელკარედი.** ნუ მაცინებთ, თუ ღმერთი გწამთ! წუთითაც აღარ ამომასუნთქა, თქვენ კი გაიძახით, სულ ჩემზე ლაპარაკობდაო! იქნებ მაშინაც თქვენ გგულისხმობდათ, როცა პეტრე დამიანეს მიმართავდა?

**მ-ნი მათილდა** (გამომწვევად, ლამის მზადაა, ყოველგვარი თავდაჭერილობის ზღვარს გადახდეს). ვინ იცის! იქნებ ამიხსნათ, პირველი შეხედვისთანავე რაღა მაინცდამაინც თქვენდამი აღძვრა ზიზღი, მხოლოდ თქვენდამი? (მისი შეკითხვის ტონი დასაშვებს ხდის მხოლოდ ერთადერთ შესაძლო პასუხს: „რადგანაც მიხვდა, რომ თქვენ ჩემი საყვარელი ხართ“. — ბელკარედისათვის ეს იმდენად ცხადია, რომ გაოგნებული გახვედება ერთ ადგილას და პირზე შეკვინება სულელი დიმილი).

**მთიმი.** მომიტყევთ! ეს, შესაძლოა, იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ მას მხოლოდ ჰერცოგის მეუღლის ადელაიდასა და კლიუნელი აბატის მოხვლა აუწ-



ვეს. თქვენს გვერდით ვილაც მესამეც რომ დაინახა, ვისაც აშკარად არ მოეღონა და უცებ უნდობლად განეწყო...

**ბელკრედი.** დიახ, დიახ, სწორედ უნდობლობამ აიძულა, თავის მოსისხლედ ბტრად — ბეტრედ დამიანედ მივეწნიე! — მაგრამ მარკიზამ თუ ამოიჩემა, ნამდვილად მიცნოო...

**მ-ნი მათილდა.** ეჭვს გარეშეა! ეს მისმა თვალებმა გამომიფლავნეს, ექიმო! იცით, როცა ასე გიყურებენ... ყოველგვარი ეჭვი გამოიციხულია! ეს, ალბათ, მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. აბა, რა გითხრათ?

**მეიმი.** ვინ იცის? შესაძლებელია გონების წამიერი განათება...

**მ-ნი მათილდა.** იქნებ ეგრეც იყოს! მთელი მისი სიტყვა მე მომეჩვენა ტანჯული სულის სინანულად ჩვენი ახალგაზრდობის გამო; ამ სინანულის მიზეზად კი — ის საბედისწერო შემთხვევა, სამუდამო ნილაბი რომ ჩამოაფარა მის სახეს; ნილაბი, რომელსაც ველარასოდეს მოიხსნის, თუმცა კი უნდა, ძალიან უნდა ეს.

**ბელკრედი.** ალბათ, იმიტომ, რომ თქვენი ქალიშვილი შეიყვაროს; ან თვით თქვენდამი განუახლდეს ტრფობა, თქვენივე თანაგრძნობით გულშეძრულს!

**მ-ნი მათილდა.** მერწმუნეთ, მე გულწრფელად თანაუგრძნობ მას.

**ბელკრედი.** ო, რა თქმა უნდა, მარკიზა! ისე ძალიან თანაუგრძნობთ, რომ ჯადოქარი, ალბათ, სასწაულად მიიჩნევდა ამას.

**მეიმი.** თუ შეიძლება, მათქმევინეთ! მე სასწაულებს არ ვაზდენ, რადგანაც ექიმი ვარ და არ ჯადოქარი! დიდი ყურადღებით ვუსმენდი მის სიტყვებს და კვლავ ვიმეორებთ, რომ ბოდვის იმ სპეციფიკურმა ელასტიურობამ, რაც ნიშნულია ყოველგვარი სისტემატური შესწავლისათვის, მასში აშკარად და თანაც — როგორ გითხრათ? — უკვე საგრძნობლად იკლო. ბოდვის ელემენტები აღარც ისე მჭიდროდ ერწყმიან ერთმანეთს. ჩემის აზრით, ის უკვე დიდი გაჭირვებით ინარჩუნებს მის მიერ ნაკისრი როლის ცალკეულ ინგრედიენტთა წონასწორობას, რადგანაც მძაფრი ალტინება გამუდმებით არყევს და ორ სხვადასხვა მდგომარეობას შორის აქანავენს მთელს მის არსებას: ეს გახლავთ, ერთის მხრივ, აპათიის საწყისი სტადიის, ან, უფრო სწორად, ავადმყოფური უნიათობის, ხოლო მეორეს მხრივ, რეფლექსური მელანქოლიის მდგომარეობა, რაც აშკარად მოწმობს, დიახ, აშკარად მოწმობს ტვინის საკმაო აქტივობას. და თუ ახლა ეს მკვეთრი ბიძგი, ჩვენ რომ ჩავიფიქრეთ...

**მ-ნი მათილდა** (ფანჯრისაკენ შეტრიალდება, სნეულის მომჩივანი ტონით). კი მაგრამ, ავტომანქანა რად არ დაბრუნდა? მე ხომ ვანკარგულება გავეცი, რომ ოთხის ნახევარზე...

**მეიმი.** რას ბრძანებთ?

**მ-ნი მათილდა.** მანქანა რად არ დაბრუნდა-მეთქი? ახლა უკვე ოთხის ნახევარზე მეტია.

**მეიმი** (საათს ამოიღებს და დასცქერის). ოპო, უკვე ხუთი დაიწყო!

**მ-ნი მათილდა.** ნახევარი საათის წინ უნდა მოსულიყო. მაგრამ, როგორც სჩვევია...

**ბელკრედი.** იქნებ კაბა ვერ იპოვეს?

**მ-ნი მათილდა.** კი მაგრამ, მე ხომ გარკვევით ვუთხარი, სადაც იყო? (მოუთმენლად). ფრიდა, ალბათ, უკეთ მოძებნიდა... ჰო, მართლა, სად არის ფრიდა?

**ბელკრედი** (ფანჯარაში იყურება). ბაღში იქნება კარლოსთან ერთად.

**მეიმი.** მარკიზი, ალბათ, დაარწმუნებს, რომ საშიში არაფერია.

**ბელკარადი.** მაგრამ ეს შიში როდია! არ დაიჯეროთ, ექიმო! უგუნებოდა, გესმით? უგუნებოდა!

**ქ-ნი მათილდა.** თუ ღმერთი გწამთ, ნურაფერსა სთხოვთ! მე ხომ ვიცნობ.

**ექიმი.** მოთმინება ვიქონიოთ. ყველაფერი სწრაფად მოხდება; ამიტომ, მოდიტ, საღამოს დაველოდოთ... სულ ერთი წამის საქმეა! თუ კარგად შევანჯღრით და ერთი დარტყმით დაწვევით უკვე შესუსტებული ძაფები, რომლებიც მას ჯერ კიდევ აჩრდილთან აკავშირებენ, კვლავ დაუბრუნეთ, რასაც ითხოვს (აკი თვითონვე თქვა: „სად გაგონილა, სულ მუდამ ოცდაექვსი წლის იყო?“) და, ამრიგად, გაათავისუფლეთ იმისაგან, რასაც თავის სასჯელს უწოდებს... მოკლედ, თუ ღმერთმა ინება და ერთ წამში ვაგრძნობინეთ დროული დისტანციის მთელი სხვაობა...

**ბელკარადი (სხაპასხუპით).** განიკურნება! (შემდეგ მარცვალ-მარცვალ, ირონიული ინტონაციით). ჩვენ მას გა-ვა-თა-ვი-სუფლებთ!

**ექიმი.** დიახ, იმედი ვიქონიოთ, რომ ერთ გარკვეულ წამს გაჩერებული საათივით „მოვმართავთ“ მას. მაშ ასე, ხელში საათები დავიჭიროთ და დაველოდოთ სწორედ იმ გადაწყვეტ წამს. შემდეგ – დარტყმა, და, ვინ იცის, იქნებ მისი საათი კვლავ ამუშავდეს ესოდენ ხანგრძლივი გაჩერების შემდეგ.

ამ დროს შემოსასვლელიდან, სცენის სიღრმეში რომ ჩანს, დარბაზში შემოდის მარკიზი კარლო დი ნოლი.

**ქ-ნი მათილდა.** აა, კარლო! კი მაგრამ, ფრიდა სადღაა?..

**დი ნოლი.** ახლავე გეახლებათ.

**ექიმი.** ავტომანქანა მოვიდა?

**დი ნოლი.** დიახ.

**ქ-ნი მათილდა.** მართლა? კაბა მოიტანა?

**დი ნოლი.** ყველაფერი რა ხანია უკვე აქაა.

**ექიმი.** კეთილი და პატიოსანი!

**ქ-ნი მათილდა (ცახცახებს)** სადაა? აბა, სადაა კაბა?

**დი ნოლი (მხრებს იჩიჩავს და ხედიანად იღიმება, იმ კაცით, რომელიც იბუღებულა უადგილო ზუმრობაზე რეაგირება მოახდინოს).** ახლავე თქვენი თვალთა ნახავთ... (კარს უჩვენებს, სცენის სიღრმეში რომ მოჩანს). აგურ, იქაა ზღურბლზე გამოჩნდა ბერტოლო.

**ბერტოლო (საზეიმოდ ზეაწეული ტონით).** მისი ბრწყინვალეობა მარკიზა მათილდა კანოსელი!

მაშინვე შემოდის ფრიდა, მშვენიერებით გაბრწყინებული და გასხივოსნებული; დედამისის ძველი კაბა აცვია, „მარკიზა მათილდა ტოსკანელის“ სამოსელი; გეგონებათ, სატახტო დარბაზში გამოფენილი პორტრეტი გაცოცხლებულაო.

**მრიდა (წელში მოხრილ ბერტოლოდ რომ ჩაუვლის, ზიზღნარევი სიამაყით მიმართავს მას).** კანოსელი კი არა, ტოსკანელი! გესმით? ტოსკანელი! კანოსა მხოლოდ ჩემი ერთ-ერთი ციხე-დარბაზია!

**ბელკარადი (განცვიფრებით).** შეხედეთ, შეხედეთ! სულ სხვანაირია!

**ქ-ნი მათილდა.** ზედგამოჭრილი დედამისია! ღმერთო ჩემო, ერთი შეხედეთ! ნამდვილად ჩემი გაცოცხლებული პორტრეტია!..

**ექიმი.** დიახ, დიახ!.. რა თქმა უნდა, თქვენი პორტრეტი!

**ბელკარაი.** მეტიც! მეტიც!. ერთი შეხედეთ! სასწაულია სწორედ! **შრიდა.** ნუ მაცინებთ, თორემ კაბა შუაზე გაიფხრიწება! აჰ, რა წელი გქონია, დედა! რამდენი ოფლი ვღვარე, ვიდრე შენს კაბაში მოვაბერებები ჩაძრომას!

**მ-ნი მათილდა** (ხელების ცახცახით ცდილობს კაბის გასწორებას). მოი-ცა... ნაოჭები უნდა გავუსწორო... მართლა ასე ვიწროდა გაქვს?

**შრიდა.** ვიხრჩობი! თუ შეიძლება, მალე მორჩით, ღვთის გულისათვის...

**მქიმი.** რას იზამთ, სადამოს უნდა დაველოდოთ...

**შრიდა.** არა, არა სადამომდე ვერ გავძლებ, ვერ გავძლებ-მეთქი!

**მ-ნი მათილდა.** კი მაგრამ, ასე ადრე რატომ ჩაიცვი?

**შრიდა.** რა ვქნა, როგორც კი დავინახე, ცდუნებას ვეღარ გავუძელი.

**მ-ნი მათილდა.** ჩემთვის მაინც დაგეძახა დასახმარებლად... სულ მთლად დანაოჭებულა...

**შრიდა.** ვიცი. ეგ ძველი ნაოჭებია, დედა. მათი გასწორება ყოვლად შეუძლებელია.

**მქიმი.** ეგ არაფერი, მარკიზა. ილუზიაა აბსოლუტურია (შემდეგ უახლოვდება და ქალიშვილთან მიჰყავს, მაგრამ ისე კი, რომ მთლიანად არ დაფაროს ფრიდა). მომიტყევთ, აი, აქ დადევით... ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხიეთ... არა, უფრო ახლოს...

**ბელკარაი.** რათა უფრო საგრძნობი გახდეს დროული დისტანციის სხვაობა!

**მ-ნი მათილდა.** (მიუბრუნდება; ოდნავ გასაგონი ხმით). ოცი წელი, — საშინელებაა, არა?

**ბელკარაი.** ნუ გავაზვიადებთ!

**მქიმი** (დარცხენით; შთაბეჭდილების შერბილებას ცდილობს). არა, არა... მე მინდოდა... დიახ, მე მინდოდა... კაბა შემეთვალღიერებინა...

**ბელკარაი** (იცინის). რაც შეეხება კაბებს, მათ შორის, ექიმო, ოცი კი არა, რვაასი წელი ძევს! მთელი უფსკრულია! თქვენ მართლა აპირებთ აიძულოთ იგი (ჯერ ფრიდაზე ანიშნებს, შემდეგ კი — მარკიზაზე), აქედან აქამდე ისკუპოს? ფრთხილად იყავით, ვაითუ, კისერი მოიტეხო! — არა, ხუმრობით კი არა, სერიოზულად გაფრთხილებთ. ჩვენთვის ეს ოცი წელი ორი კაბა და მასკარადია. მაგრამ თუ მისთვის დრო, როგორც თქვენ ბრძანებთ, მართლა გაჩერდა, როგორც თვით მასში, ისე მის ირგვლივაც, და თუ ის ჯერ კიდევ მასთან, მის გვერდით ცხოვრობს (ფრიდაზე ანიშნებს), რვაასი წლის წინათ, შეიძლება ისეთი თავბრუ დაუსხას, როცა ამ ჩვენს დროში ისკუპებს, რომ...

ექიმი თითს აქნევს უარყოფის ნიშნად.

**მქიმი.** მაშ, თქვენის აზრით არა?

არამც და არამც! რადგანაც ცხოვრება; ძვირფასო ბარონო, მცისვე თავის წიაღში ითრევს ადამიანს. ჩვენი ცხოვრება მისთვის დაუყოვნებლივ იტყევა რეალობად. ის წამსვე დაუმსხვრევს ილუზიებს, კვლავ დააბრუნებს მიწაზე და მსწრაფლ დააჩქარებს, რომ ეგ თქვენი რვაასი წელი, არსებითად, იგივეა, რაც ოცი წელი. ახლა ხომ გესმით? — ეს იქნება ერთგვარი მასონური ნახტომი სიცარიელეში; ნახტომი, რომელიც ერთი შეხედვით, მართლაც რომ უჩვეულო ჩანს, მაშინ როდესაც; სინამდვილეში, სხვა არა არის რა, თუ არა ერთი საფეხურიდან მეორეზე ჩამოხიჯება.

**ბელკარაი.** აჰ, რა აღმოჩენა იქნება მისთვის! მართლაცდა, აბა, შეხედეთ,

ექიმო, მარკიზასა და ფრიდას! რომელია უფრო წინ? ჩვენ — ბებრებზე, ექიმოსა ახალგაზრდებს პეონიათ, წინ ჩვენა ვართო, მაგრამ ეს მცდარი აზრია: წინ ჩვენა ვართ, რადგანაც დრო უფრო მეტად ჩვენ გვეკუთვნის, ვიდრე მათ.

**მეიმი.** დიახ, წარსული რომ არ გვაშორებდეს...

**ბელკრადი.** გვაშორებდეს?.. კი მაგრამ, რას?.. თუ ისინი (ფრიდასა და დი ნოლიზე ანიშნებს) იტულებულნი იქნებიან, იმასვე იქმოდნენ, რასაც — ჩვენ, ესე იგი, ბერდებოდნენ, იმავე სისულელეებს სჩადიოდნენ და ასე შემდეგ... ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანი იმ კარით გადის ცხოვრებიდან, რომელიც მის წინაშეა. დიახ, სასტიკად ცდება! დაბადება კვდომის დასაწყისია და ვინც პირველმა დაიწყო, წინაც ისაა. ასე რომ, ყველაზე ახალგაზრდა ჩვენი საერთო წინაპარი — ადამია! აბა, შეხედეთ (ფრიდაზე ანიშნებს): მარკიზა მატყილდა ტოსკანელი რეაასი წლით უმცროსია ჩვენზე (ქალიშვილს მდაბლად დაუკრავს თავს).

**დი ნოლი.** თუ ღმერთი გწამს, მოეშვი მაგ ხუმრობას, ტიტო.

**ბელკრადი.** შენი აზრით, მე ვხუმრობ?..

**დი ნოლი.** რა თქმა უნდა, ო, ღმერთო ჩემო!.. აქ შემოსვლის წამიდანვე...

**ბელკრადი.** როგორც? ბუნედიქტელი ბერის ფლასებიც კი გადავიცივი...

**დი ნოლი.** დიახ, მაგრამ ძალზე სერიოზული საქმის გულისთვის...

**ბელკრადი.** ეე, იცი, რას გეტყვი?.. ყველა როდი გრძნობს ამ საქმის სერიოზულობას... მაგალითად, — ფრიდა... (ექიმს მიუბრუნდება). გეფიცებით, ექიმო, ახლაც ვერ გამოვივა, რის ქმნას აპირებთ.

**მეიმი.** (მოჭრით). მალე თქვენი თვალითა ნახავთ... მხოლოდ მაცალეთ!.. თუ მარკიზას ახლაც იმნაირად ჩაცმულს იხილავს...

**ბელკრადი.** აა, ესე იგი. მარკიზამაც...

**მეიმი.** რასაკვირველია! მარკიზამაც სხვა კაბა უნდა ჩაიცვას: აი, იქ რომ დევს... (მან უნდა ირწმუნოს, რომ მის წინაშე მართლაც მარკიზა მატყილდა კანოსელია...

**ფრიდა** (ხმადაბლა ესაუბრება დი ნოლის, მაგრამ მაინც შენიშნავს მეიმის შეცდომას). ტოსკანელი! ტოსკანელი!

**მეიმი.** (მოჭრით). ეგ სულ ერთია!

**ბელკრადი.** აა, ახლა კი მესმის! ის ორივეს დაინახავს...

**მეიმი.** დიახ, ორივეს, და მაშინ...

**ფრიდა** (განზე გაიხშობს ექიმს). თუ შეიძლება, აქეთ მობრძანდით, ექიმო.

**მეიმი.** ახლავე (ახალგაზრდებს უახლოვდება და რაღაცას უხსნის მათ).

**ბელკრადი** (ხმადაბლა, ქალბატონ მატყილდას). დალაზეროს ეშმაკმა! კი მაგრამ, მაშინ ხომ...

**მ-ნი მატყილდა** (გამტკნარებული ხახით მიუბრუნდება). რას ამბობთ?

**ბელკრადი.** ეს ამბავი მართლა ასე ძალიან გაინტერესებთ? იმდენად, რომ თანახმა ხართ ამ თამაშში მონაწილეობა მიიღოთ? ქალისთვის ეს შეუძლებელია!

**მ-ნი მატყილდა.** ჩვეულებრივი ქალისთვის!

**ბელკრადი.** არა, არა, ჩემო ძვირფასო, — ყველა ქალისთვის! ამნაირი თავგანწირვა...

**მ-ნი მატყილდა.** ჩემი ვალია ასე მოვიქცე მისი გულისთვის.

**ბელკრადი.** ნუ ცრუობთ! თქვენ არ გჩვევიათ თავის დამცირება!

**მ-ნი მატყილდა.** მერედა, რა? ან რა შუაშია აქ თავგანწირვა?

**ბელკრადი.** არა, თქვენ სხვის თვალში თავის დამცირება კი არა გასურთ, არამედ — ჩემი შეურაცხყოფა.

**მ-ნი მატყილდა.** ვინ ფიქრობს თქვენზე ამ წუთას?



**დი ნოლი** (წინ გადმოინაცვლებს). დიახ, დიახ, ეგრე ვქნათ... (ბერტოლდოს მიუბრუნდება). ეი, თქვენ! წადით და თქვენს ერთ-ერთ ამხანაგს უხმეთ! **ბარტოლდო**. ახლავე (სცენის სიდრეში დატანებული კარიდან გადის). **მ-ნი მათილდა**. მაგრამ ჯერ თავი ისე უნდა დავიჭიროთ, თითქოს მასთან გამომშვიდობებას ვაპირებდეთ.

**დი ნოლი**. რა თქმა უნდა! სწორედ ამიტომაც ვუხმე „მრჩევლებს“: მინდა გამომშვიდობების თაობაზე მოვეთათბირო (ბელკრედის). შენ კი შეგიძლია, ამ საქმეში მონაწილეობა არ მიიღო: აქ დარჩი.

**ბელკრედი** (ირონიულად აქნევს თავს). დიახ, დიახ... რატომაც არა?..

**დი ნოლი**. თუნდაც იმიტომ, რომ ხელახლა არ აღუძრა ეჭვი.

**ბელკრედი**. გასაგებია! ჩემნაირი არარაობა...

**მეიმი**. აუცილებლად უნდა დავარწმუნოთ, რომ აქედან წასვლას ვაპირებთ.

მარჯვენა კარიდან შემოდის **ლანდოლფო**, რომელსაც უკან ფეხდაფეხ მოსდევს **ბერტოლდო**.

**ლანდოლფო**. შეიძლება?

**დი ნოლი**. შემოდით, შემოდით! იცით რა?.. თქვენ ლოლო გქვიათ?

**ლანდოლფო**. ლოლო თუ ლანდოლფო, როგორც გუნებოთ.

**დი ნოლი**. აჰა! მაშ, აი, რას გეტყვით: ახლა მას ექიმი და მარკიზა გამოემშვიდობებიან...

**ლანდოლფო**. კეთილი და პატიოსანი. საკმარისი იქნება, უთხრან, რომ პაპმა მოწყალება მოიღო და თანხმობა განაცხადა, მიიღოს იგი. ამჟამად თავის ოთახშია, გულსაკლავად გმინავს და მწარედ ნანობს, ეს რა ვთქვიო; სასოწარკვეთილს აღარა სჯერა, რომ მიტევენას აღირსებენ. თუ კეთილ-ინებებდით და ხელახლა გამოიცვლიდით ტანსაცმელს...

**მეიმი**. დიახ, დიახ! აბა, წავედით!..

**ლანდოლფო**. მოითმინეთ. ნება მიბოძეთ, ერთი რამ გირჩიოთ: იქვე დასძინეთ, რომ მარკიზა მატყლიდა ტოსკანელმა თქვენთან ერთად გამოსთხოვა პაპს ის წყალობა, რისი ღირსიც მღვდელმთავარმა გახადა იგი.

**მ-ნი მათილდა**. აი, ხომ ხედავთ? მიცნო!

**ლანდოლფო**. არა, მომიტყევეთ; მას ძალზე აშინებს ამ ქალბატონის მტრობა, თავის ციხე-დარბაზში რომ უმასპინძლა პაპს; ესაა და ეს. მაგრამ, აი, რა არის საკვირველი: ისტორია, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, — თუმცა თქვენ, ალბათ, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, — არაფერს გვაუწყებს იმის თაობაზე, რომ ჰენრიხ IV მალულად ეტრფოდა მარკიზა მათილდა ტოსკანელს!

**მ-ნი მათილდა** (სულმოუთქმელად). არა, არაფერსაც არ გვაუწყებს, პირიქით!

**ლანდოლფო**. მეც ეგრე მგონია! მაგრამ ის ამბობს, მიყვარდაო, და წამდაუწუმ იმეორებს ამას... ახლა კი შიშობს, ვაითუ მარკიზას ზიზღმა ამ ფარული ტრფობის მიმართ ცუდად იმოქმედოს ჩემდამი პაპის დამოკიდებულებაზეო.

**ბელკრედი**. იქნებ როგორმე შეაგნებინოთ, რომ ეს ზიზღი უკვალოდ გაქრა.

**ლანდოლფო**. მართლა? მაშ, ყველაფერი რიგზე ყოფილა!

**მ-ნი მათილდა** (ლანდოლფოს) კეთილი და პატიოსანი (შემდეგ ბელკრედის). ისტორიაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ პაპს მხოლოდ მარკიზა მათილდას და კლიუნელი აბატის თხოვნამ მოუღბო გული. ისიც უნდა მოგახსენოთ, ძვირფასო ბელკრედი, რომ ჩვენი საკავალკადო სამზადისის გადაწყვეტილი

მქონდა, მესარგებლა ამ გარემოებით და, ამრიგად, დაძვდასტურებინა, რომ არც ისე მტრულად განწყობილი ვიყავი მისდამი, როგორც ეს თვითონ ეგონა.

**ბელკრადი.** თუ ასეა, რაღა მეთქმის, ძვირფასო მარკიზა? მაშ, მისდეთ, მისდეთ ისტორიას!..

**ლანდოლოფო.** კეთილი. მაშინ თქვენ, ქალბატონო, ხელახლა აღარც კი დაუჭირდებათ გადაცმა. შევიძლიათ, მონსინიორთან ერთად (ექიმზე ანიშნებს), მარკიზა მათილდა ტოსკანელის სახით გამოეცხადოთ.

**მეიმი.** (სწრაფად, დაბეჯითებით). არა, არა! ოღონდ ეგ არა, ღვთის გულისათვის! ასე შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაგვეყაროს! შეპირისპირების ეფექტი ანაზღაურელი უნდა იყოს, მყისიერი! არა და არა! წავიდეთ, წავიდეთ, მარკიზა: თქვენ კვლავ დედოფლის დედის – პერციოგის მეუღლის ადელაიდას სახით მოვევლინებით და ერთად დავემშვიდობებით მას. მთავარია, იცოდეს, რომ ჩვენ წავედით. ჩქარა, ჩქარა, დროს ნულარ ვკარგავთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა, მოსამზადებელი.

ექიმი, ქალბატონი მათილდა და ლანდოლოფო მარჯვენა კარიდან გადიან.

**ფრიდა,** ახლა ისევე შემეშინდა...

**დი ნოლი.** ისევე, ფრიდა?

**ფრიდა.** მერჩია, თავიდანვე მენახა...

**დი ნოლი.** მერწმუნე, საშიში არაფერია.

**ფრიდა.** მართლა ისე უწყინარია, როგორც შენ ამბობ?

**დი ნოლი.** რა თქმა უნდა.

**ბელკრადი.** (ირონიულად, აღერხიანი ტონით). მელანქოლიკოსია! ნუთუ ვერ მიხვდი, რომ შენ უყვარხარ?

**ფრიდა.** დიდი მადლობა! სწორედ მაგის გამო!

**ბელკრადი.** მერწმუნე, არაფერს გაენებს...

**დი ნოლი.** სულ ერთი წამის საქმე იქნება...

**ფრიდა.** კი მაგრამ, სიბნელეში... მასთან ერთად...

**დი ნოლი.** მხოლოდ ერთი, ერთადერთი წამი – და მე შენს გვერდით გაუჩნდება. დანარჩენები კარს უკან იქნებიან და თვალის დახამხამებაში მოცივიდებიან. როგორც კი დედაშენს თვალს მოჰკრავს, შენი როლიც დამთავრებული იქნება, გესმის?..

**ბელკრადი.** მე კი სულ სხვა რამისა მეშინია: ვაითუ წყლის ნაყვა გამოვივებს.

**დი ნოლი.** თუ ღმერთი გწამს, თავიდან ნულარ დაიწყებ! მე ეს ხერხი ძალზე ქმედითი მეჩვენება.

**ფრიდა.** მეც, მეც! წინასწარვე ვგრძნობ ყველაფერს და თხემით-ტერფამდე ვკანკალებ.

**ბელკრადი.** კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო, შეშლილები – ისე, რომ თვითონაც არ ესმით, – გარკვეულწილად ბედნიერები არიან, რასაც ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ...

**დი ნოლი** (გაღიზიანებული აწვეტივნებს). რომელ ბედნიერებაზე მელაპარაკები? თუ ღმერთი გწამს, მორჩი!

**ბელკრადი** (დაჩინებით). ისინი ტვინს არ იჭყლეტენ!..

**დი ნოლი.** მერედა, რა შუაშია აქ ტვინის ჭყლეტა?

**ბელკრადი.** როგორ თუ რა შუაშია? განა ჩვენი ჩანაფიქრის მიხედვით,

აი, ამის (ფრიდაზე ანიშნებს) და დედამისის დანახვამ ტვინი არ უნდა აჭყლებო-  
ნოს? ვანა ამაზე არ არის აგებული ჩვენი ფოკუსი?

**დი ნოლი.** როგორ გეკადრება? არავითარი ტვინის ჭყლეტა! ჩვენ მხო-  
ლოდ მისი ბორგნული წარმოსახვის ორმაგ ხატებას ვუჩვენებთ, როგორც ექიმ-  
მა ბრძანა!

**ბელკრედი (ანახდული გაღიზიანებით).** იცი რა? მე ყოველთვის მიჭირ-  
და იმის გაგება, თუ რატომ აძლევენ მათ ექიმის დიპლომებს.

**დი ნოლი (განცვიფრებით)** ვის?

**ბელკრედი.** ვისა და ფსიქიატრებს.

**დი ნოლი.** გადასარევი! მაშ, ვის დიპლომებს უნდა აძლევდნენ?

**ფრიდა.** რახან ფსიქიატრები არიან!

**ბელკრედი.** საქმეც ეგაა! იურისტების დიპლომებს, ჩემო ძვირფასო! ოპ,  
ეს გაუთავებელი ყებდობა! ვინც მეტსა ყებდობს, უფრო მეტადაც აფასებენ!  
„სპეციფიკური ელასტიურობა“, „დროული დისტანციის შეგრძნება“! უწინარეს  
ყოვლისა კი ვიცხადებენ, ჩვენ სასწაულებს არ ვახდენთო, მაშინ როდესაც სწო-  
რედ სასწაულია საჭირო! ისიც მშვენივრად ესმით, რომ რაც უფრო დაჟინებით  
ამტკიცებენ, ჯადოქრები არა ვართო, ჭირისუფლები მით უფრო მეტად ენდობიან  
მათ ცოდნას! სასწაულებს არ ახდენენ, მაგრამ კისერს კი იტეხენ ყოველ ფეხის  
ნაბიჯზე! დიდებულია, დიდებული!

**ბერტოლდო (რომელიც მარჯვენა კარის ჭუჭრუტანაში იჭყიტებოდა).**

აი, ისინიც, აი ისინიც! აქეთ მოდიან...

**დი ნოლი.** მართლა?

**ბერტოლდო.** მგონი, ისიც თან მოჰყვებათ... დიახ, დიახ, — აი, ისიც, აი,  
ისიც!

**დი ნოლი.** მაშ, გავიდეთ აქედან! სწრაფად (გასვლამდე ბერტოლდოს მი-  
უბრუნდება). თქვენ კი აქ დარჩით!

**ბერტოლდო.** აქ უნდა დავრჩე?

დი ნოლი, რომელიც უპასუხოდ ტოვებს მის კითხვას, ფრიდა და ექიმი სცე-  
ნის სიღრმეში დატანებული კარიდან გადიან. დაბნეული და შეცბუნებული ბერ-  
ტოლდო მარტოკა რჩება. მარჯვენა კარი იღება. პირველი შემოდის ლანდოლფო,  
რომელიც მოწიწებით იღრეკს ქედს, მას მოჰყვება ქალბატონი მათილდა, რო-  
მელსაც ისევე, როგორც პირველ მოქმედებაში, გრძელი მოსასხამი მოუსხამს და  
თაეზე ჰერცოგის გვირგვინი ადგას; შემდეგ შემოდის კლიუნელი აბატის ფლა-  
სებში ჩაცმული ექიმი; მათ შორის მოაბიჯებს ჰენრიხ IV, რომელსაც სამეფო  
სამოსი მოსავს. სულ ბოლოს მოდიან ორდულფო და არიალდო.

**პენრიხ IV (სატახტო დარბაზში დაწვებულ საუბარს განაგრძობს).** ჰოდა,  
გეკითხებით: რანაირად უნდა ვიყო ცბიერი, როცა თვითონვე ჯიუტად მთვლიან?

**ეჰიმი.** რას ბრძანებთ? თქვენი სიჯიუტე ვინა თქვა?

**პენრიხ IV (აღერხიანად იღიმება).** მაშ, მართლა ცბიერი გგონივართ?

**ეჰიმი.** არა; არა! არც ჯიუტი და არც ცბიერი.

**პენრიხ IV (შეჩერდება და იმნაირი ტონით წამოიძახებს, რომლითაც კე-  
თილმოსურნედ, მაგრამ, ამასთან, ირონიულად ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს  
შეუძლებელია).** მონსინიორ! თუ სიჯიუტე — ესაა ბიწი, რომელიც შეუთავსე-  
ბელია ცბიერებასთან, მაშინ, ჩემის აზრით, რაკი ამტკიცებთ, ჯიუტი არა ხარ-  
თო, მამსადაძმე, აღიარებთ, რომ, ასე თუ ისე, ცბიერი მაინცა ვარ. მერწმუნეთ, მე

ჰაერით მივრდება ცბიერება, მაგრამ თუ თქვენ გსურთ მთლიანად დაიხრეთ...  
 ნოთ...

**ეპიმი.** როგორ? მაშ, თქვენი აზრით, მე ცბიერი ვარ?

**პნერის IV.** არა, რას ბრძანებთ, მონსინიორ? მე როგორ გკადრებთ მაგას? (მოულოდნელად წვევებს სიტყვას და ქაღალტონ მატყლდას მიუბრუნდება). ნება მიბოძეთ, მადონა, ვიდრე ერთმანეთს დავემშვიდობებოდეთ, ორიოდე სიტყვა გითხრათ განმარტობით (განზე გაჰყავს და ძალზე აღელვებული, იღუმალი ხმით ეკითხება). თქვენი ქალიშვილი მართლა ძალიან გიყვართ?

**მ-ნი მათილდა (შეცხუნებული).** ო, დიახ, რა თქმა უნდა...

**პნერის IV.** და თქვენ გსურთ, რომ მთელი ჩემი სიყვარულითა და მოწონებით თავისი კუთვნილი მივაგო მას, იმ უმძიმეს შეცოდებათა ხანაცვლოდ, რაც მის მიმართ ჩამიდენია? თუმცა თქვენ, რასაკვირველია, არ უნდა ერწმუნოთ იმას, თითქოს მე გარყვნილი კაცი ვიყო, როგორც ამტკიცებენ ჩემი მტრები!

**მ-ნი მათილდა.** არა, რას ბრძანებთ?! არც მჯერა და არც არასოდეს დამიჯერებია...

**პნერის IV.** მაშ, თქვენ გსურთ...

**მ-ნი მათილდა.** რა?

**პნერის IV.** რომ მე შევიყვარო თქვენი ქალი? (ერთხანს უცქერის და იქვე დასძქნს იღუმალი, საწყალობლად შავედრებელი და, იმავედროულად, შიშნული ტონით). განა თქვენ მარკიზა ტოსკანელის მეგობარი არა ხართ?

**მ-ნი მათილდა.** და მიინც, კვლავ გიმეორებთ, რომ არც ერთ ჩვენგანზე ნაკლებ არ ევედრებოდა და ემუდარებოდა პაპს, რომ თქვენი შეწყალება გამოეთხოვა...

**პნერის IV (სწრაფად, ჩურჩულით, მორთოლვარე ხმით).** ნუ მეტყვით, ნუ მეტყვით ამას! ნუთუ ვერ ხედავთ, როგორ მოქმედებს ჩემზე?

**მ-ნი მათილდა (ერთხანს უხიტყვოდ მისჩერებია, შემდეგ ჩუმად, თითქოს ცდილობს საიდუმლო გამოსტყუოს).** თქვენ ისევ გიყვართ იგი?

**პნერის IV.** ისევე? მაშ, თქვენ უკვე იცით? არავინ არ იცის ეს! არავინ არ უნდა იცოდეს!

**მ-ნი მათილდა.** მაგრამ იქნებ მან იცის? ისე გულმხურვალედ სთხოვდა პაპს თქვენს შეწყალებას!

**პნერის IV (ერთხანს ჩუმად მისჩერებია, შემდეგ კი ამბობს).** თქვენც გიყვართ თქვენი ქალიშვილი? (მოკლე პაუზა. ექიმს მიუბრუნდება და შეშინებული მიმართავს): ეჰ, მონსინიორ, მერწმუნეთ, გვიან გავიგე, რომ ცოლი მყოლია... ძალიან გვიან... და, აი, ახლაც, ცოლი კი მყავს, - რასაკვირველია, მყავს - მაგრამ შემიძლია შემოღვიცოთ, რომ თითქმის არასოდეს არ ვფიქრობ მასზე. იქნება ეცოდავ, მაგრამ რა ვქნა, მის ხატებას რომ ვერ ვგრძობ გულში? თუმცა რა? საოცარი უფრო ისაა, რომ არც დედამისის გულშია იგი! აღიარეთ, რომ თქვენ ნაკლებად გაწუხებთ მისი აეკარგი! (ექიმს, სასოწარკვეთით). ის სულ სხვაზე მელაპარაკება! (თანდათან მზარდი აღზნებით) იმნაირად გაკერპებული, დიახ, იმნაირად გაკერპებული, რომ ვერაფრით ვერ გამოვიგა....

**ლანდოლფო (კრძაღვით).** იქნებ იმიტომ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ მარკიზა მათილდა ტოსკანელზე ეგ თქვენი მცდარი წარმოდგენა გაეკარგაწყოლოთ? (თითქოს თავისი შენიშვნისა შეეშინდაო, მაშინვე დასძქნს). რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ამ მომენტს ვგულისხმობ...

**პნერის IV.** მაშ, შენც ამტკიცებ, რომ მარკიზა ჩემი მეგობარი იყო?

**ლანდოლფო.** დიახ, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თქვენო უდიდებულესობავ!



**ქ-ნი მატხილდა.** დიახ, დიახ! სწორედ ამიტომ...

**პენრიხ IV.** გასაგებია. ესე იგი, თქვენ ამტკიცებთ, რომ არ გწამთ ჩემი სიყვარული მისდამი. გასაგებია, გასაგებია! არც არავის სწამებია ოდესმე; აზრადაც არავის მოსვლია. მით უკეთესი! მაგრამ კმარა, კმარა-მეთქი! (სიტყვას აღარ ამთავრებს და ხულ სხვანიირი განწყობილებითა და ხახის შეცვლილი გამომეტყველებით მიმართავს ექიმს): ხომ დაინახეთ, მონსინიორ? პირობას, რომელსაც პაპი უკავშირებს ჩემთვის შეჩვენების ახსნას, საერთო არა აქვს რა, სრულიად არა აქვს რა საერთო იმ მიზეზთან, რის გამოც მან შემაჩვენა! გადაეცით პაპ გრიგოლ VII-ს, რომ ჩვენ ბრესანონში შევხვდებით ერთმანეთს. ზოლო თქვენ, მადონა, თუ ღმერთმა ინება და თქვენი მეგობარი მარკიზას სასახლის კარზე შეხვდით თქვენს ქალიშვილს, აბა, რა დაგაბაროთ მასთან? გადაეცით, რომ ველი. იქნება შევძლო და გვერდიდან აღარ მოვიცილო იგი, როგორც მეუღლე და დედოფალი. ვინ მოთვლის, დღემდე რამდენი ქალი მოსულა აქ; ყოველი მათგანი მარწმუნებდა, თქვენი ცოლი ვარო, ვისაც მე ვიცნობდი, ვისაც ვფლობდი და ხანდახან ვეძებდი კიდევ... ნუ დამძრახავთ, ის ხომ ჩემი ცოლია!.. ყველა ბერტად ასაღებდა თავს, იფიცებოდა, სუზელი ვარო, და ღმერთმა იცის, რატომ, სიცილი აუტყდებოდა ხოლმე! (თითქოს საიდუმლოდ)- ხომ გესმით? საწოლში არასოდეს არ მაცვია ეს ტანსაცმელი, და ქალიც... ო, ღმერთო ჩემო! — დედაშობილა მიწვევს გვერდით... შიშველი კაცი და ქალი... ბუნებრივია!.. გავიწყდება, ვინა ხარ. როცა ტანსაცმელი კაუჭზე ჰკიდია, ის მხოლოდ არჩდილია და ლანდა! (ტონს იცვლის და მიმნდობი კილოთი მიმართავს ექიმს) მე ყოველთვის შიშით ვკანკალებ, როცა ღამით ამ არჩდილებს ვხედავ: ურიცხვი ხატებანი, ცხენებიდან ჩამომხდარნი რომ ხარხარებენ. ხანდახან მე მაფეთებს და თავზარსა მცემს ჩემივე მაჯისცემა, ჩემს ძარღვებში მბორგავი სისხელი და ღამის წყვლიადში ქურდული ნაბიჯების ხმა, შორეული ოთახებიდან რომ მოისმის... მაგრამ კმარა!.. ისედაც დიდხანს გაცდევინეთ; ალბათ, ჩამოწყდით ფეხზე დგომით. კარგად ბრძანდებოდეთ, მადონა! მშვიდობით, მონსინიორ! (უკანა კარამდე მიაცილებს მათ და გამოთხოვების ნიშნად მდაბლად უკრავს თავს მიმავალთ).

ქალბატონი მატხილდა და ექიმი გადიან. პენრიხ IV კარს ხურავს და სახე-შეცვლილი სწრაფად ბრუნდება უკან.

ტაკიმასხარები! ნამდვილი ტაკიმასხარები! ფერადი კლავიატურა! საკმარი-რისია, ხელით შეეხო და ერთბაშად გადმოიფრქვევა ფერების მთელი გამა: თეთრი, წითელი, ყვითელი, მწვანე... ახლა ამ პეტრე დამიანეს აღარ იკითხავთ?! — ხა, ხა, ხა! საუცხოოა! დიდებული! ჩემთან ხელახლა შემოსვლა ვეღარ გაბედა! (რადაც შლეგური აღტკინებით წარმოთქვამს ამ სიტყვებს, გაშმაგებული ბოლთახა სცემს და აქეთ-იქით იყურება, ვიდრე არ შენიშნავს შეშლილის უცნაური ფერიცვალებით გაოგნებულსა და თავზარდაცემულ ბერტოლდოს, მის წინაშე ჩერდება და შიშისხვან გახვევებულს თითით უჩვენებს მის სამ ამხანაგს, რომლებიც არანაკლებ გაოგნებულნი ჩანან). აბა, ერთი ამ ბრიყვს შეხედეთ, პირდაღებული რომ მომშტერებია! (მხრებში ხელს ჩააფლებს და ანჯღრევს). რაო, არ გესმის? ვერ ხედავ, როგორ ვამასხარავებ და ვაიძულებ ამ ტაკიმასხარებს, ნაირ-ნაირად მორთულ-მოკაზმულნი გამომეცხადონ?! — არადა, — ოჰ, ღმერთო ჩემო! — მხოლოდ იმისი შიში აქვთ, რომ მათი ბრიყვული ნიღბები არ ჩამოვავლიჯო და გადაცემულების ნამდვილი სახე არ ვამხილო; თითქოს მე თვითონ არ მეძულებინოს ასინი, ნიღბები ჩამოეფარებინათ; მხოლოდ იმიტომ, რომ მე მინდა შეშლილის რილი ვითამაშო!

ლანდოლფო-ორდულფო-არიალდო (გაოგნებულნი მიჩრებიან ერთმანეთს) როგორ? რას ბრძანებთ? ესე იგი...

პინრის IV (დაუყოვნებლივ შემოტრიალდება მათ წამოძახილზე და მბრძანებლურად ყვირის). კმარა! დავამთავროთ! ყველაფერი ყელში ამომივიდა! (შემდეგ ანაზღაურლად, იმ კაცივით, რომელსაც მოხვეწება ვერ უპოვია და არ შეუძლია ირწმუნოს ის, რასაც ხედავს). დალაზვროს ეშმაკმა, უტიფრობაც ამასა პქვია: სახლში შემომივარდე და საყვარელიც თან მომიტრიო!.. თანაც, თავი ისე უჭირავთ, თითქოს ჩემი სიბრალულის გამო მეახლნენ, რათა არ გააცოფონ საწყალი კაცი, რომელიც თავისთვის გდია და მისთვის აღარც სამყარო არსებობს, აღარც დრო და აღარც სიცოცხლე! — თორემ როგორ მოითმენდა მათ თავხედობას და თავგასულობას? — ისინი ყოველდღე, ყოველწამს მოითხოვენ, რომ დანარჩენები ისეთი იყვნენ, როგორც მათ ნებათ! მაგრამ ეს, მათი თვალსაზრისით, ძალადობა როდია! თქვენც არ მომიკვდეთ! რა ქვან, თუ ასე აზროვნებენ, ასეთნაირად აღიქვამენ და შეიგრძნობენ სამყაროს? ყველას თავისი აზრი აქვს! აა, თქვენცა გაქვთ თქვენი? რა თქმა უნდა! კი მაგრამ, რანაირი: ჯოგური, უბადრუკი, უშტიციო, ცვალებადი. ისინი სწორედ ამით სარგებლობენ და გაიძულევენ მათი საკუთარი თვალსაზრისი გაიზიაროთ, რათა მათსაკვით აღიქვამდეთ და შეიგრძნობდეთ ყველაფერს, ან იმნაირ ილუზიას მაინც უქმნიდეთ, თითქოს თქვენი თვალსაზრისი ზედმიწევნით ემთხვევა მათსას. და მართლაც, რა შეუძლიათ თავზე მოახვიონ სხვებს? სიტყვები, მხოლოდ სიტყვები, რომლებსაც ყველა თავისებურად აღიქვამს და თავისებურადვე იმეორებს! ეპ, მაგრამ სწორედ აქედან იღებენ დასაბამს ეგრეთ წოდებული „მოარული წარმოდგენები“ და ამ გზითვე ყალიბდება „საზოგადოებრივი აზრიც“! ვაი მას, ვინც ერთ მშვენიერ დღეს დაღდასმული აღმოჩნდება ერთ-ერთი იმ სიტყვით, რომელსაც ყველანი იმეორებენ: ასე, მაგალითად, „შეშლილი!“ ან კიდევ, თუ გნებათ, „ბრიყვი!“ მაგრამ მითხარით, განა შეიძლება მშვიდად და აუმიღვრევლად უყურო იმას, თუ როგორ ახვევს თავს ვიღაც უკეთური უამრავ ხალხს თავის წარმოდგენას შენზე და სხვების შეგნებაში დაჟინებით ნერგავს თავის საკუთარ აზრს: „შეშლილი!“ „შეშლილი!“ — მე ახლა იმას როდი ვამბობ, რომ სხვებს ვამასხრებ ამით. მაგრამ ადრე, სანამ ცხენიდან ჩამოვვარდებოდი და მიწას თავით დავასკდებოდი... (უცებ ჩერდება, რადგანაც ხედავს, რომ მისი ოთხი მსმენელი უჩვეულოდ დეღავს ოთხივე გაოგნებულია და ფერმიხდილი) რაო, რას მიშტერებიხართ ერთმანეთს? (გამოჯაგრებით იმეორებს გაოგნებულთა შესტებს). აჰ, რა აღმოჩენაა! მიდი ახლა და არკვიე, შეშლილი ვარ თუ არა? ვარ, ვარ, დიახ, შეშლილი ვარ! (გაცოფებული). და თუ ასეა, დაიჩოქეთ! დალაზვროს ეშმაკმა, დაიჩოქეთ-მეთქი! ხომ გესმით ჩემი ბრძანება? მამ, მუხლი მოიყარეთ ჩემს წინაშე! აი, ასე! ახლა სამგზის ახალეთ თავი მიწას! უფრო მაგრად! ყველანი ასე უნდა იდგნენ შეშლილის წინაშე! (ოთხი მუხლმოყრილი ჭაბუკის დანახვაზე გრძნობს, როგორ ინავლება მასში ველური სიშმაკე, რომელსაც ზიზღი ცვლის). აბა, ადექით, ადექით, ცხვრებო! ესე იგი, დამემორჩილეთ?! არადა, ხომ შეგებდლოთ, გიჟის ხალათი ჩაგეცმიათ ჩემთვის?! შეიძლება კაცი გასრისო ერთადერთი სიტყვის სიმძიმით? მერედა, რა? დიდი ამბავი! ბუზმა გაიბზულია! ასე მთელი სიცოცხლევ გასრესილია სიტყვების სიმძიმით! მკვდრების სიმძიმით! — აი, მე აქა ვდგავარ: ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ჰენრიხ IV შეიძლება ჯერ კიდევ ცოცხალი იყოს? არადა, მე ვლაპარაკობ და ჩემს ნებაზე გატრიალებთ თქვენ, ცოცხლებს! მე ასე მსურს! თქვენ მონაჩმახი გვინათ, რომ მკვდრები კვლავ განაგრძობენ სიცოცხლეს? — დიახ, აქ ეს მონაჩმასია, მაგრამ, აბა, გარეთ გადით და ცხოვრების ფერხულში ჩაებით! აჰა, თენ-

დება! დრო თქვენს ხელთაა, განთიადი მოგადგათ კარზე. — თქვენ ამბობთ, ეს დღე ჩვენი იქნებაო. ვითომ თქვენი იქნება? თქვენი? მაშ, მიესალმეთ ყველა ადათს, ყველა ტრადიციას! ენა ამოიღვით! გაიმეორეთ ყველა სიტყვა, ამდენჯერ რომ წარმოუთქვამთ თქვენამდე! თქვენ გგონიათ, რომ ცოცხლობთ? მკვდრების სიცოცხლეს იცოხნებით! (სულ მთლად გამოთავყანებულ ბერტოლდოს უახლოვდება) რაო, არაფერი არ გესმის? არა?.. რა გქვია?

**ბერტოლდო.** მეე?.. ბერტოლდო.

**ჰენრი IV** რა ბერტოლდო, რის ბერტოლდო, ბრიყვო! ჩვენ აქ მარტონი ვართ. მაშ მითხარი, რა გქვია?

**ბერტოლდო.** ჩემი ნამდვილი სახელი?.. ფინოს მეძახიან...

**ჰენრი IV** (დანარჩენი სამის გამაფრთხილებელ ვესტებს რომ მოჰკრავს თვალს, მვისხვე შეტრიალდება მათკენ, რათა ხმა ჩააწყვეტიოს). ფინო?

**ბერტოლდო.** დიახ, ფინო პალიუკა, ბატონო ჩემო.

**ჰენრი IV** (ხელახლა მიუბრუნდება დანარჩენებს). თქვენი სახელები კი ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამიგონია, ერთმანეთს რომ მიმართავთ ხოლმე (ლანდოლფოს). შენ ლოლო გქვია, არა?

**ლანდოლფო.** დიახ, ბატონო... (გახარებული). ო, ღმერთო... მაშ...

**ჰენრი IV** (უხეშად, სწრაფად). რა, მაშ?..

**ლანდოლფო** (მაშინვე მოიბუხება). არა... ისე...

**ჰენრი IV.** მაშ, მე შეშლილი აღარა ვარ? ნუთუ ვერ ხედავთ? რა თქმა უნდა, არა! — მოდი, ერთად ვიცინოთ მათზე, ვისაც ეს სჯერა. (არიალდოს). მე ვიცი, რომ შენ ფრანკო გქვია... (ორდულფოს) შენ კი... მოიცა...

**ორდულფო.** მომო!

**ჰენრი IV.** ჰო, მომო! დიდებულია!

**ლანდოლფო** (უწინდებურად). კი მაგრამ... ო, ღმერთო!..

**ჰენრი IV** (უწინდებურად). რა მაგრამ? — არაფერი!.. მოდი, ერთად ვი-მასხროთ, ვიცინოთ და ვიხარხაროთ! ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

**ლანდოლფო-არიალდო-ორდულფო** (დაბნეულნი და გაოგნებულნი მიშტერებიან ერთმანეთს; თვითონაც არ იციან ხაცინლადა აქვთ საქმე თუ სატირლადა). მაშ, განიკურნეთ? არა, მართლა? კი მაგრამ, როგორ?..

**ჰენრი IV.** ჩუმაღ! ჩუმაღ! (ბერტოლდოს). შენ კი რატომ არ იცინი? ისევე ნაწყენი ხარ? კარგი ერთი! შენთვის ხომ არ მითქვამს? — ყველას ვგულისხმობდი, გესმის? ზოგჯერ ძალზე ხელსაყრელია, ვიღაცა შეშლილად გამოაცხადო და ციებუმი უკრა თავი! იცი, რატომ? იმიტომ, რომ მისი სიტყვების ატანა ყოველად შეუძლებელია. რა შეიძლება ითქვას ამ ჩვენს წედანდელ სტუმრებს? ერთი როსკიპია, მეორე — მრუში, მესამე — ცრუპენტელა... აბა, რას ამბობ, რას?.. წმინდა წყლის სიცრუეა! აშკარა ცილისწამება!.. ვინ დაგაჯერებს? მაგრამ ძრწოლით კი ბისმენენ. ნეტავი გამაგებინა, რატომ და რისთვის, თუკი ეს მტკნარი სიცრუეა? — განა შეიძლება ერწმუნო შეშლილს? მაგრამ მაინც ხომ გისმენენ, შიშით თვალეზღაჭყეტილნი და ფერმიხდილნი? რატომ? მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რატომ? ხომ ხედავ, რა მშვიდადა ვარ?

**ბერტოლდო.** რატომ და... იქნებ იმიტომ, რომ...

**ჰენრი IV.** არა, არა, ჩემო ძვირფასო... აბა, ერთი კარგად ჩამომხედე თვალებში!.. ნუ გეშინია, მე ხომ არ ვამტიციებ, მართალია-მეთქი? სხვა რა არის, რომ ეს იყოს მართალი?.. მაგრამ თვალეზღაში კი ჩამომხედე!

**ბერტოლდო.** დიახ... ახლავე...



**პანრის IV.** აი; ხომ ხედავ? ხომ ხედავ-მეთქი? თვით შენც კასტრუქტორი...  
შიში ჩავდგომია. იმიტომ, რომ შემოიღო გგონივარ! — აი, საბუთი, აი, საბუთი!  
(იციინის).

**ლანდოლოვო.** (სასოწარკვეთილის გამბედაობით, სამივეს მაგივრად კითხება). მაინც რა საბუთი?

**პანრის IV.** რა და, ეგ თქვენი შიში იმის გამო, რომ ახლა კვლავ შემოიღო გგონივარო! და მაინც, დალაზეროს ეშმაკმა, თქვენ იცით! თქვენ გჯერათ ჩემი! აკი აქამდე გჯეროდათ, რომ შემოიღო ვიყავი. ასეა, არა? (ერთხანს უყურებს და რწმუნდება, რომ გაოგნებულნი არიან). აი, ხომ ხედავთ და გრძნობთ კიდევ, რომ ეს შიში შეიძლება თავზარდამცემ საშინელებად იქცეს, რის გამოც ფეხქვეშ ნიადაგი გვეცლება და ჰაერი აღარ ჰყოფნის ფილტვებს! რა თქმა უნდა! თქვენ ხომ იცით, რას ნიშნავს შემოიღო გვერდით ყოფნა? რასა და, იმ კაცის გვერდით ცხოვრებას, რომელიც ერთიანად ანგრევს ყველაფერს, რაც თქვენში თუ თქვენს ირგვლივ აგვიბათ: ლოგიკას, დიახ, ყველა თქვენი აზრობრივი კონსტრუქციის ლოგიკას! მაშ, რა გნებათ? შემოიღებები ბედნიერი ხალხია: ისინი ლოგიკის გარეშე აგებენ ყველაფერს, ან მხოლოდ თავიანთ ლოგიკას ემორჩილებიან, ბუმბულივით რომ ფარფატებს! ო, ფრთაფარფატნი, ფრთაფარფატნი! დღეს რომ აქ ხედავთ, ხვალ, ღმერთმა უწყის, საით გაუტყვენ! თქვენ ცდილობთ ლაგამი ამოსდოთ საკუთარ თავს, ისინი კი ფრთოსნებივით თავისუფლად დაჰქრიან და დაფრთხილებენ! დიახ, ფრთოსნებივით, ნამდვილი ფრთოსნებივით! თქვენ ამბობთ, ეს შეუძლებელიაო, მათთვის კი ყველაფერი შესაძლებელია. თქვენ ამბობთ, ეს არასწორიაო. კი მაგრამ, რატომ? იმიტომ, რომ შენ, შენ, შენ (სამ მათგანზე ანიშნებს) და ასი ათას თქვენი სიბრძნის ეს არასწორი ჰგონია! ეკ, ჩემო ძვირფასებო, თქვენ რომ იცოდეთ, რა ჰგონია სწორი ამ ასი ათასს, რომელსაც შემოიღოს ვერ უწოდებს კაცი! აჰ, ნეტა გაჩვენათ მათი თანხმობის საფუძველი, მათი ლოგიკის გვირგვინი! მახსოვს, ჩემს ბავშვობაში, ნამდვილი მთვარე მისი ანარქელი მეგონა ჭაში! ვინ იცის, კიდევ რა აღარ მეგონა ნამდვილი? გულუბრყვილოდ მჯეროდა ყველაფერი და მე ბედნიერი ვიყავი! რადგან ვაი თქვენ, თუ ფრჩხილებით არ ებლაუჭებით იმას, რაც დღეს გგონიათ, ან ხვალ გეგონებათ ნამდვილი, თუნდაც ის მთლიანად უპირისპირდებოდეს იმას, რაც ნამდვილი გეგონათ გუშინ! ვაი თქვენ, თუკი ჩემსავით მიიქცევით იმ საშინელების ჭვრეტად, რამაც შეიძლება მართლაც ჭკუაზე შეშალოს კაცი, თუკი სხვის გვერდით ყოფნისას თვალბეჭეტი ჩახედავთ მას, როგორც მე ჩახედე ოდესღაც ვიღაცის თვალბეჭეტი, მათხოვარივით ატუზულმა, იღუმალებით მოცულ კართან, რომელსაც ვერასდროს ვერ შევადებ, რადგან ვინც მის ზღურბლს გადააბიჯებს, ის კი აღარ იქნება, რაც არის, მთელი თავისი სამყაროთი, რომელსაც ხედავს და ეხება, არამედ — ვიღაც სხვა, საკუთარი თავისთვისვე სრულიად უცხო და უცნობი, სულ სხვანაირად რომ აღიქვამს და ხედავს ყველაფერს თავის გონებაში უწყვილომელ სამყაროში (ხანგრძლივი პაუზა. ლანდები უფრო მუქდებათ დარბაზში და ოთხ ნიღბოსანსაც უფრო მეტად ეუფლება შემოფოთებისა და სულიერი მიუსაფრობის გრძნობა. ისინი თანდათან შორდებიან მთავარ ნიღბოსანს, დიადი სიმწირის ჭვრეტაში დანთქმულს, სიმწირისა, რომელიც მარტო მისი კი არ არის, არამედ — ყველა კაცისა. ანაზღეულად შეკრთება, თითქოს თავის ოთხ თანამოსაუბრეს ეძებოს, რომელთა სიახლოვესაც ვეღარა გრძნობს, და თავისთვის წაიჭურჩულებს): სულ მთლად ჩამობნელდა.

**ორდოლოვო** (სწრაფად წამოიწევს წინ). თუ გნებათ, ლამბას მოვიტან.

**პანრის IV** (იროქიულად). ლამბას?... კეთილი... თქვენ გგონიათ, მე არ ვიცი? როგორც კი ჩემი ზეთის ლამპით დასაძინებლად გავალ, მაშინვე ელექტ-



რონის შუქს ჩართავთ ხოლმე აქაც და სატახტო დარბაზშიც. მე კი თავი ისე მიჭირავს, თითქოს ვერ ვამჩნევდე ამას...

**ორდოლოვო.** აა!.. ესე იგი, თქვენ გნებათ...

**პანკრიხ IV.** არა, არა, თვალს მომჭრის. მე ჩემი ლამაზა მინდა.

**ორდოლოვო.** ალბათ, უკვე მზადაა; აქვე კარს უკან (ხიღრმეში დატანებული კარისაკენ მიემართება, გამოაღებს და წამით გადის, შემდეგ კი ძველებური ლამპითურთ ბრუნდება უკან).

**პანკრიხ IV.** აი, ეს სუსტი სინათლეც. მოდით, მაგიდას შემოუსხედით. არა, ეგრე კი არა, ლალად, თავისუფლად... (არიადლოს) შენ, აი, ასე... (პოზას უჩვენებს; შემდეგ ბერტოლდოს). შენ კი — ასე (იმავე მოძრაობას იმეორებს). ესეც ასე!.. (მის პარდაპირ იკავებს ადგილს). მე კი, აი, აქ... (ერთ-ერთი ფანჯრისაკენ იბრუნებს პირს). ურიგო არ იქნებოდა, მთვარისთვის ერთი კარგი დეკორატიული სხივი შეგვეკეთათ... შენ, შეგვეწიე, შეგვეწიე, მთვარე... მე პირადად ყოველთვის ძალიან მჭირდება და როცა ჩემი ფანჯრიდან ვუყურებ ხოლმე, ამქვეყნად ყველაფერი მაიწყდება. განა მისმა შემყურემ შეიძლება წარმოიდგინოს, რომ მან ყველაფერი იცის? იცის, რომ უკვე რვაასი წელი გავიდა და შუქდებელია მე ნამდვილი პანკრიხ IV ვიყო, მისი ცქერით რომ იოხებს გულს ნებისმიერი მღაბიორივით. მაგრამ შეხედეთ, შეხედეთ, რა დიდებული სცენაა ამ დამეულ სიმყდროვეში: იმპერატორი თავის ოთხ ერთგულ მრჩეველთან ერთად... არა, ხომ დიდებულია?

**ლანდოლოვო.** (ჩუმად ჩახურჩულებს არიადლოს, თითქოს არ ხერხ თავისი ხმით დაარღვიოს იღუმალი ხიბლი). საოცარია! ვინ იფიქრებდა, რომ ეს ყველაფერი თამაში იყო?

**პანკრიხ IV.** რაო, რა მოხდა?

**ლანდოლოვო.** (შეცუბუნებული; თითქოს პატიებას ითხოვს). არა... ისე... მე მხოლოდ ამას... (ბერტოლდოზე ანიშნებს). ხომ იცით, ახლახან მიიღეს სამსახურში... ჰოდა, სწორედ ამ დილას ვეუბნებოდი: რა სამწუხაროა, რომ დღეს ასე გვაცვივა... გარდერობში იმდენი საუცხოო ტანსაცმელი გვიკიდია და ისეთი მშვენიერი დარბაზი გვაქვს-მეთქი (სატახტო დარბაზისაკენ გაიშვავს ხელს).

**პანკრიხ IV.** კი მაგრამ, რა არის სამწუხარო?

**ლანდოლოვო.** რადა ის, რომ ჩვენ არ ვიცოდით...

**პანკრიხ IV.** ...არ იცოდით, რომ ხუმრობით ასრულებდით თქვენს როლებს ამ კომედიაში?

**ლანდოლოვო.** რადგანაც გვეგონა, რომ...

**არიადლო** (მიუშვავდება)... რომ ეს სერიოზული საქმე იყო!

**პანკრიხ IV.** როგორ? მაშ თქვენ ეს საქმე სერიოზულად არ მიგანჩნიათ?..

**ლანდოლოვო.** რა გაეწყობა, რახან თქვენ ამბობთ...

**პანკრიხ IV.** ხომ გეუბნებოდით, ბრძვები ხართ-მეთქი! თქვენი თავისთვის თვითონვე უნდა შეგქმნათ ილუზია; მაგრამ იმით კი არა, რომ დროდადრო მწვეოდით, რათა ჩემს წინაშე გაგეთამაშებინათ კომედია, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნატურალურად, თითქოს ყოველდღე ვიდაცის წინაშე კი არ დაგჭირებოდათ კომედიის გათამაშება, არამედ მხოლოდ თქვენთვის (ბერტოლდოს ჩაჰჭიდებს ხელს), ხომ გესმის? — შენთვის, დიახ, შენთვის რეალობად გექცია ეს ფიქცია, გესეა, გეჭამა, ძილით გული გეჯერა და, თუ ქავილი აგიტყდებოდა, ზურგიც გეფხანა (დანარჩენებს მიუბრუნდება). ცოცხლებად, ჭეშმარიტად ცოცხლებად უნდა გეგრძობოთ თავი მეთერთმეტე საუკუნის ისტორიაში, აქ, თქვენი იმპერატორის — პანკრიხ IV-ის სასახლის კარზე, და აქედანვე, ამ ჩვენი შორეული ეპოქის წიაღიდან, როგორც ფერადი მიწისქვეშა მღვიმიდან, გექცირათ, როგორ

ფართხალებენ შორს, ძალიან შორს, რვაასი წლის შემდეგ, მეოცე საუკუნის ადამიანები, როგორ წრიალებენ, წვალობენ, ოფლს ღვრიან და ცვილობენ წინასწარ გაიგონ, როგორ წაუვათ საქმე, ან რანაირად გადაწყდება მათთვის ესოდენ საჭირობოროტო პრობლემები. თქვენ კი, იმავდროულად აქ, ჩემს გვერდით, ისტორიაში ყოფილიყავით! რა ვუყოთ, რომ სავალალოა ჩემი ზვედრი, საშინელია ჩემი საქმე და სასტიკია ჩემი ბრძოლა ბრმა ბედისწერის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ისტორიის კუთვნილებაა, აღარ შეიცვლება, აღარ შეიძლება შეიცვალოს, ვესმით? ყველაფერი სამუდამოდ გაყინულია და გახვევებული: თქვენ შეგიძლიათ მიესადაგოთ მას და დასტკბეთ იმის ჭკრეტით, თუ რა ლოჯიკურად გამომდინარეობს ყოველი შედეგი მისი მიზეზიდან, რარიგ ცხადად და ბუნებრივად ვითარდება ყველა მოვლენა მთელი თავისი წვრილმანებითურთ; მოკლედ, განიცადოთ ის ენით უთქმელი სიამოვნება, რასაც ჩვენ გვანიჭებს ისტორია!

**ლანდოლფი.** აჰ, რა მშვენიერია, მშვენიერი!

**ჰენრიხ IV.** მშვენიერი კია, მაგრამ მორჩა, მოგჭამათ ჭირი! ახლა, როდესაც ყველაფერი იცით, აღარ შემიძლია უწინდებურად ვიცხოვრო (ლამპას იღებს და დასაძინებლად წახვლას აპირებს). ვეღარც თქვენ შეძლებთ, თუკი აქამდე ვერ მიმზედარხართ ჭეშმარიტ მიზეზს! ყველაფერი ველში ამოივიდა! (თითქოს თავითხვის მძაფრი, მაგრამ დაოკებული რისხვით). დალაზეროს ეშმაკმა! ვანანებ, მწარედ ვანანებ ქალბატონ მარკიზას აქ მოსვლას! ხედავთ, სიდედრის სახით რომ გამოშეცხადა? ის კიდევ ვითომ აბატი იყო... თან ექიმიც რომ მოიყვანეს ჩემს გასასინჯად... ვინ იცის, იქნებ მართლაცა აქვთ ჩემი განკურნების იმედი?.. ტრაკიმახხრები! სიამოვნებით გავაწნავდი სილას ერთ მათგანს მაინც; ოო, სწორედ იმას! — მაგარი მოფარიკავე როა? შამფურივით ამაგებს ხმაღზე!.. ვნახოთ, ვნახოთ (უკანა კარზე აკაკუნებენ), ვინ არის?

**ჯოვანის ხმა.** მადლობა ღმერთს!

**არიანდო** (უხარია, რომ მისი დაცინვის საშუალება მიეცა). აა, ჯოვანი! როგორც ყოველთვის, ახლაც საღამოს მოვიდა, რომ საწყალი ბერის როლი გაითამაშოს!

**ორდულფი** (არიანდოსი არ იყოს, სიამოვნებით იფშენეტს ხელებს). დიახ, დიახ, ადგეს და გაითამაშოს!

**ჰენრიხ IV** (ხასწრაფოდ, შკაცრად). ბრიგვო! რას დასცინი საბრალო ბერიკაცს? თუ თამაშობს, ჩემი სიყვარულის გამო თამაშობს!

**ლანდოლფი** (ორდულფოს). ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც სინამდვილეში, ვესმის?

**ჰენრიხ IV.** დიახ, დიახ, როგორც სინამდვილეში! რადგან სიმართლე მხოლოდ მაშინ აღარ არის ზუმრობა! (კარის ვახალებად მიდის და ბერად გადაცმული ჯოვანი შემოჰყავს, რომელსაც პურგამენტის გრაგნილი ამოუჩრია იღლიაში). მობრძანდით, მობრძანდით, მამაო! (შემდეგ ტრაგიკულად, სერიოზული და ღრმა მწუხარებით). ჩემი ცხოვრებისა და ჩემი მეუფების ამსახველი ყველა საბუთი, რომელიც ჩემს სიმართლეს მოწმობდა, შეგნებულად გაანადგურეს ჩემმა მოსიხსნელ მტრებმა. ერთადერთი გადარჩენილი საბუთი — ესაა ჩემი ცხოვრება, აღწერილი ამ ჩემი უერთგულესი ბერის მიერ, — და თქვენ გინდათ მასხრად აიგლოთ იგი? (აღურსით მიუბრუნდება ჯოვანის და მაგიდასთან იწევებს). დაბრძანდით, მამაო, დაბრძანდით! გვერდით კი ლამპა მოვიდგათ (მაგიდაზე ღვამს ლამპას, რომელიც აქამდე ხელში ეჭრა). აბა, დავიწყეთ!

**ჯოვანი.** (გრაგნილს შლის და კარნახს უცდის, რომ წერა დაიწყოს). მე მზადა ვარ, თქვენო უდიდებულესობავ!

**ჰენრი IV.** (კარნახობს). მაინცში დადებული საზავო ხელშეკრულება იმდენადვე კეთილმოწყალე იყო უპოვართა და კეთილთათვის, რამდენადც არახელსაყრელი — მორჭმულთა და უკეთურთათვის (ნელ-ნელა ეშვება ფარდა). მან შვება მოუტანა პირველთ, შიმშილი და გაჭირვება — მეორეთ...

## ფარდა

### მოქმედება მისამ

სატახტო დარბაზი. ბნელა. ბინდბუნდში მხოლოდ სცენის სიღრმეში აღმართულ კედელს თუ გაარჩევს თვალი. პორტრეტები აულიათ და მათ ნაცვლად, კარნიზებს შორის, ნიშებს რომ ავარაყებენ, პორტრეტების ზუსტი ასლებივით ჩამდგარან მარკიზა მატილდა ტოსკანელის სამოსში გამოწყობილი ფრიდა, რომელიც ამნაირად მორთულ-მოკაზმული მოგვევლინა მეორე მოქმედებაშიც, და კარლო დი ნოლი, რომელსაც ჰენრი IV-ის სამოსი აცვია.

ფარდის ახდისას სცენა ერთხანს ცარიელია. შემდეგ მარცხენა კარი იღება და შემოდის ჰენრი IV, რომელსაც ლამა უჭირავს; უმაღლე შეტრიალდება და ოთხ მსახურს მიმართავს, რომლებიც ჯოვანისთან ერთად მეზობელ დარბაზში იმყოფებიან, ისევე, როგორც მეორე მოქმედებაში.

**ჰენრი IV** არა, დარჩით, დარჩით! უთქვენოდაც იოლას გავალ! ღამე მშვიდობისა! (კარს ზურავს და სატახტო დარბაზის გავლით, ძალზე დამწუხრებული და დაღლილ-დაქანცული მიემართება მარჯვენა კარისაკენ, საიდანაც შეიძლება თავის ოთახში შევიდეს).

**ფრიდა** (როგორც კი შენიშნავს, რომ ტახტს გაუხწორდა, შიშისაგან ნახევრად ცნობამიხდელი თავის ნიშაში წაიჩურჩულებს) ჰენრი...

**ჰენრი IV** (ხმის გაგონებაზე ელდანაცემივით ჩერდება, თითქოს ზურგში მუხანათურად ჩასცეს დანაო, შემრწუნებული სცენის სიღრმეში მდგარი კედლისაკენ იბრუნებს თავს და ინსტინქტურად ცდილობს, თითქოს თავის დასაცავად ასწიოს ხელი). ვინ მეძახის? (ეს შეკითხვა კი არა, ძრწოლით საეხე წამოძახილია, რომელიც პასუხს როდი მოითხოვს წყვილიდისა და დარბაზის თავზარდამცემი მღუმარებისაგან, რაც მას შევეხეულად აღუძრავს ეჭვს, რომ მართლაც შემლილია).

**ფრიდა.** (არანაკლებ შემრწუნებული თავზარდამცემი შიშის ამ ანაზღუდული გამოვლინებით და იმითაც, რომ გაბედა, ცოტა უფრო ხმამაღლა გაიმეოროს). ჰენრი... (ამასთანავე, ოდნავ გამოყოფს თავს, რომ მეორე ნიშისაკენ გაიხედოს, მაგრამ მაინც განაგრძობს მისთვის დაკისრებული როლის თამაშს).

ჰენრი IV საზარლად შეჰბდავლებს, ლამა ხელიდან უვარდება, ორივე ხელს თავში იტაცებს და ცდილობს გაიქცეს.

**ფრიდა** (ნიშიდან ცოკოლზე ჩამოხტება და შეშლილივით კივის). ჰენრი... ჰენრი... მეშინია... მეშინია...

თავის მხრივ, დი ნოლიც ჯერ ცოკოლზე, იქიდან კი იატაკზე ჩამოხტება და ფრიდასთან მიიბრუნს, რომელიც კვლავ თავზარდამცემული კივის და გულის შეღონებას აღარაფერი უკლია. იმავე წამს, მარცხენა კარიდან გამოცვივდებიან ექიმი, ქალბატონი მატილდა, რომელსაც მარკიზა ტოსკანელის სამოსი აცვია, ტიტო ბელკრედი, ლანდოფლო, არიადლო, ორდულფო და ჯოვანი.



ერთი მათგანი სასწრაფოდ ჩართავს შუქს დაბაზში: ჭერში მიმაღული ნათურებიდან უცნაური შუქი იფრქვევა, რის შედეგადაც კარგად განათებულია მხოლოდ დაბაზის ზემოთა ნაწილი, პენრიხ IV-ის მიერ გადატანილი საზარელი წამის შემდეგ. რის გამოც ჯერ კიდევ მთელი სხეული უცაცხაბებს, უსიტყვოდ დგას, ამ მოულოდნელი შემოსევით გაოგნებული დანარჩენები ყურადღებას არ აქცევენ და ფრიდას მისცვივდებიან, რომ გაამხნევეონ და დაამშვიდონ. საქმროს მკლავებზე მისვენებული ყმაწვილი ქალი ცხროიანივით ცაცხაბებს და მწარედ გმინავს: ყველანი ერთხმად აყაყანდებიან.

**დი ნოლი.** ნუ გეშინია, ფრიდა!... მე აქა, ვარ... შენთან...

**მეიმი** (სხვებთან ერთად მიირბენს). კმარა! კმარა! სულ ეს იყო...

**მ-ნი მათილდა.** განიკურნა!.. გესმის, ფრიდა? განიკურნა-მეთქი!

**დი ნოლი** (განცვიფრებით). განიკურნა?

**ბელკარაი** (ფრიდას). ეს მხოლოდ ხუმრობა იყო! ნუ გეშინია!

**ფრიდა** (უწინდებურად). არა! მეშინია! მეშინია!

**მ-ნი მათილდა.** კი მაგრამ, რისი? აბა, შეხედე! ეს ყველაფერი სიცრუე იყო, გესმის? სიცრუე!

**დი ნოლი** (უწინდებურად). სიცრუე? რას ამბობთ, მაშ, განიკურნა?

**მეიმი.** როგორც ჩანს, მე კი, ჩემდა თავად...

**ბელკარაი.** რა თქმა უნდა! აი, ამათ გვითხრეს! (ოთხ ჭაბუკზე ანიშნებს).

**მ-ნი მათილდა.** დიახ, რა ხანია! — თვითონვე უთქვამს მათთვის!

**დი ნოლი** (ახლა უფრო აღშფოთებული, ვიდრე განცვიფრებული). კი მაგრამ, როგორ? აკი ამ ცოტა ხნის წინათ?..

**ბელკარაი.** ეუქ! თამაშობდა! შენც დაგცინოდა და ჩვენც!.. ჩუმაღ, ზურგს უკან... ჩვენ კი გულუბრყვილოდ...

**დი ნოლი.** ვერ დავეჯერებ!.. ნუთუ, დასაც, თვით მის სიკვდილამდე?

**პენრიხ IV** (ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს, გაოგნებული იმ უსამართლო ბრალდებით, რასაც დაბაზში მყოფნი უყენებენ, ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ, მიხი მხრივ, ეს სხვა არა იყო რა, თუ არა ბოროტი, აწ უკვე მხილებული, ხუმრობა; თვალების ბრიალზე ეტყობა, რომ გადაწყვეტილი აქვს, მწარედ იძიოს შური, მაგრამ გულში მბორგავი აღშფოთების გრძნობა ჯერ კიდევ ხელს უშლის იმაში, რომ თავისი განზრახვის აღსახრულებლად სათანადო ფორმა მოძებნოს. და უცებ, სულის ხიღრმემდე შეურაცხყოფილს, თავში გაუელვებს აზრი: ადგეს და თვითონაც ჭეშმარიტებად აღიაროს ის სიყალბე, რაშიაც ბრალს სდებენ; ამიტომაც დისწულს უყვირის). განაგრძე! განაგრძე!

**დი ნოლი** (ყვირილით გაოგნებული). რა განვაგრძო?

**პენრიხ IV.** განა მხოლოდ „შენი“ და მოკვდა?

**დი ნოლი** (უწინდებურად). ჩემი და? მე გეუბნები „შენი“-მეთქი, ვისაც შენ აიძულებდი უკანასკნელ ამოსუნთქვედ დედაშენის — აგნესას სახით გამოცხადებოდა.

**პენრიხ IV.** განა ის „შენი“ დედა არ იყო?

**დი ნოლი.** რა თქმა უნდა, ჩემი დედა იყო, დიახ, ჩემი!

**პენრიხ IV.** ის მეც მომიკვდა, „ბებერსა და შორებულს“, შენი ძვირფასი დედა! შენ ეს-ესაა ისკუბე იქიდან! (ნიშაზე ანიშნებს, საიდანაც დი ნოლი გადმოსტა). რატომ გვონია, რომ მეც არ დავტროდი მას, დიდხანს, ძალიან დიდხანს, ძალიან დიდხანს, ჩუმაღ, მალულად, თუნდაც ამნაირად ჩაცმული?

**მ-ნი მათილდა** (ნირწამხდარი უყურებს სხვებს). რას ამბობს?

**მეიმი** (დიდი ინტერესით აკვირდება). ჩუმაღ, ჩუმაღ, ღვთის გულიხათვის!



**პენრიხ IV.** რას ვამბობ? ყველას გეკითხებით: განა აგნესა პენრიხ IV-ის დედა არ იყო? (ფრიდას მიუბრუნდება, თითქოს მის წინაშე მართლაც მარკიზა ტოსკანელი იდგეს). ჩემის აზრით, თქვენ მაინც უნდა იცოდეთ, მარკიზა!

**შრიდა.** (ჯერ კიდევ შეშინებული გულში ეკვრის დი ნოლის). მე? არა, არა!

**ჰეიმი.** ხელახლა იწყება ბოდვა... ჩუმად, ბატონებო!

**ბელკარაფი** (აღშფოთებით). რა ბოდვა, რის ბოდვა, ექიმო? ისევე კომედის თამაშობს!

**პენრიხ IV.** მე? თქვენ დააცარიელეთ ეს ორი ნიშა? ის პენრიხ IV-ის სახით გამომეცხადა...

**ბელკარაფი.** ახლა უკვე ზედმეტია ეს ხუმრობა!

**პენრიხ IV.** ვინა თქვა „ხუმრობა“?

**ჰეიმი** (ბელკარაფის, მკაცრად). მუ აღიზიანებთ, თუ ღმერთი გწამთ.

**ბელკარაფი** (ყურადღებას არ აქცევს ექიმს; ხმამაღლა). ვინა თქვა? ვინა და, აი, ამით მითხრეს! (ხელახლა ანიშნებს ოთხ ჭაბუკზე). დიახ, ამით, ამით!

**პენრიხ IV** (მიუბრუნდება, რომ კარგად შეხედოს მათ). თქვენ?.. მაშ, თქვენა თქვით, ხუმრობააო?

**ლანდოლფი** (შემკრთალი; დარცხვენით). არა... ჩვენ... ჩვენა ვთქვით, რომ მართლა განიკურნეთ...

**ბელკარაფი.** ესეც სავსებით საკმარისია, საკმარისი! (ქალბატონ მათილდას) რას იტყვით, განა ეს (დი ნოლიზე ანიშნებს) და, სხვათა შორის, თქვენც, მარკიზა, ამნაირად მორთულ-მოკაზმულნი, აუტანლად ინფანტილურნი არ ჩანხართ?

**მ-ნი მათილდა.** ჩუმად, ჩუმად! ჩვენი მორთულ-მოკაზმულობა რა სახსენებელია, თუ მართლა განიკურნა?

**პენრიხ IV.** დიახ. განვიკურნე! განვიკურნე! (ბელკარაფის). მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ყველაფერი ისე ადვილად დავივიწყო, როგორც შენ გგონია! (უბრუნებს). იცი თუ არა შენ, რომ აგერ უკვე ოცი წელი იქნება, რაც აქ მოსვლა არავის გაუბეღია იმ სახით, რაგორითაც შენ და, აი, ეს ბატონი მომეკვლინეთ? (ექიმზე ანიშნებს).

**ბელკარაფი.** დიახ, ვიცი! აკი დღეს დილით მეც გადაცემული გამოგვცხადე...

**პენრიხ IV.** ბერად გადაცემული, არა?

**ბელკარაფი.** შენ კი პეტრე დამიანე გეგონე! და მე არც კი გამიძინია. რადგანაც მეგონა, რომ...

**პენრიხ IV.** ...რომ მე შესულილი ვიყავი? ახლა კი გინდა იცინო, რაკი მარკიზას ამნაირად ჩაცმულს, ხოლო მე განკურნებულსა მხედავ? და მაინც, შენ შეგეძლო ვეფიქრა, რომ ჩემთვის ახლა მის გარეგნობას... (სიტყვა უწყდება და აღშფოთების შეძახილი აღმოხდება). აა! (და მყისვე მიუბრუნდება ექიმს). თქვენ ექიმი ხართ?

**ჰეიმი.** მე? დიახ...

**პენრიხ IV.** და თქვენც, სხვებთან ერთად, აღქვით და მარკიზა ტოსკანელის ტანსაცმელში გამოაწყვეთ? იცით თუ არა, ექიმო, რომ, ერთი წამით, ლამის ხელახლა დამიბნელეთ გონება? დალაზვროს ეშმაკმა! გააცოცხლო პორტრეტები, აამტყვევლო და აიძულო, ჩარჩოებიდან ისკუპონ... (ფრიდას და დი ნოლის, შემდეგ კი მარკიზას შეავლებს თვალს და, ბოლოს, თავის ტანსაცმელზე დაიხედავს). მართლაც რომ მშვენიერი კომბინაციაა... დიდებულია, დიდებული, ექიმო: ორი წყვილი... ერთი შესლილისათვის... (ხელს ოდნავ შესამჩნევად გაიქნევს ბელკარაფისაკენ). ამას კი, ალბათ, ყოველივე ეს უადგილო ხუმრობად ეჩვენება... კა!

(შეტრიალდება და უყურებს). ახლა მე მმართებს, საკარნავალო სამოსი გავიძრო და შენთან წამოვიდე, არა?

**ბელკრედი.** დიახ, ჩემთან! ჩვენთან!

**პენის IV.** სად, კლუბში? ფრაკითა და თეთრი საყვლოთი? თუ შენთან ერთად — მარკიზას სახლში?

**ბელკრედი.** სადაც გენებოს! ნუთუ კვლავ აქ დარჩენას მოისურვებ, რათა ეულად განაგრძო ის, რაც მხოლოდ სავალალო საკარნავალო ხუმრობა იყო? წარმოდგენაც კი მიჭირს, როგორ შეგეძლო ასე გაგვერძელებინა ცხოვრება გამოჯანსაღების შემდეგ!

**პენის IV.** მაგრამ იცი რა? ცხენიდან რომ ჩამოვევარდი და მიწას დაგკარი თავი, ერთხანს მართლაც შეშლილი ვიყავი...

**ეკიმო.** აა! დიდხანს გაგრძელდა ასე?

**პენის IV.** (სხაპასხუპით, ეკიმს). დიახ, ეკიმო, დიდხანს: დაახლოებით, თორმეტ წელიწადს (ანაზღუელად შიუბრუნდება ბელკრედის). ველარაფერს ვხედავდი, ჩემო ძვირფასო; არ ვიცოდი, რა დაგემართათ, — მე კი არა, თქვენ; როგორ შეიცვალნენ საგნები, როგორ გამყიდეს მეგობრებმა; როგორ დაიკავა ვიღაცამ ჩემი ადგილი... ვთქვათ, ქალის გულში, ვინც მე მიყვარდა... მე კი თითქოს მოკვდი... გავქერი, გაუწინარდი... და ყოველივე ეს ჩემთვის სულაც არ ყოფილა ხუმრობა როგორც შენ ფიქრობ!

**ბელკრედი.** არა, მომიტყევე! მე მაგას კი არ ვგულისხმობდი, არამედ — იმას, რაც იყო შემდეგ!

**პენის IV.** აა! შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს.... (შეჩერდება და ეკიმს მიმართავს). ძალზე საინტერესო შემთხვევაა, ეკიმო! დამაკვირდით, კარგად დამაკვირდით! (ლაპარაკისას მთელი სხეული უცახცახებს). დიახ, ერთ მშვენიერ დღეს... აბა, რა გითხრათ?... აი, ეს (შუბლზე მიიღებს ხელს) თავისით განიკურნა... ნელ-ნელა ვახელ თვალს და თავდაპირველად ვერც კი ვხვდები. სიხმარში ვარ თუ ცხადში? ხან ამას ვეხები ხელით, ხან იმას და თანდათან ვხვდები, რომ... აა!... ამის თქმისა არ იყოს (ბელკრედიზე ანიშნებს), ძირს სამასკარადო სამოსი! შორს ეს კოშმარი! გარეთ გავიდე, გარეთ! (ანაზღუელად იოკებს სიფიცხეს). კი მაგრამ, სად? ან რა ვაკეთო?... წარმოიდგინე, შენთან ერთად, მეგობრებს შორის მივაიჯებ; ხალხი კი ერთმანეთს თითით ანიშნებს ჩემზე და ჩემად ხითხითებს: პენის IV, პენის IV!..

**ბელკრედი.** მოიცა! რას ამბობ? რატომ?

**მ-ნი მათილდა.** ვინ გაბედავს?... თუნდაც გულში გაივლოს?... ეს ხომ უბედური შემთხვევა იყო?

**პენის IV.** მაგრამ მე ხომ ადრეც ყველა შეშლილს მეძახდა?! (ბელკრედის). შენზე უკეთ ვინ იცის? შენ არ იყავი, გააფთრებით, რომ ესხმოდი თავს ყველას, ვინც ჩემს დაცვასა ცდილობდა?!

**ბელკრედი.** ეგ ისე, ხუმრობით!

**პენის IV.** აბა, ამ ჩემს თმას შეხედე! (შეტრიალდება და კეფას უჩვენებს).

**ბელკრედი.** რას იზამ, მეც გავჭალარაუდი!

**პენის IV.** ჰო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მე აქ გავჭალარაუდი, კიდრე პენის IV ვიყავი, გესმის? არც კი შემომჩნევია! მხოლოდ იმ დღეს შევნიშნე, როცა უეტრად გავახილე თვალი და შევეძრწუნდი, რადგანაც მაშინვე მიკვდი, რომ მართლ თმა კი არა, ყველაფერი გაჭალარაუდა ჩემში, ყველაფერი დაიხვრა და სამუდამოდ დახრულდა კიდეს! რაღა დამრჩენოდა: მშვიერი ძკელივით მივკარდნოდი სუფრას, სადაც ყველაფერი უკვე ალაგებული იყო?!

**ბელკრედი.** მომიტყევე, მაგრამ სხვები...

**პანერის IV (ხწრაფად).** ვიცი! ისინი ჩემს გამოჯანმრთელებას ხომ ვერ დაელოდებოდნენ? თვით ისიც კი ვინც ჩემს ცხენს ხმალი აძგერა უკნიდან და სისხლით შეუღება გავა...

**დი ნოლი (აღელვებით).** რაო, რაო?

**პანერის IV.** დიახ, ვილაც მუხთალმა აიძულა გაჭენებული ცხენი, ყალფზე შემდგარიყო და უნავირიდან გადმოვეგდე!

**მ-ნი მათილდა.** (სხაპასხუბით; შეძრწუნებული) ღმერთმანი, პირველად მესმის!..

**პანერის IV.** იქნებ ესეც ხუმრობა იყო?

**მ-ნი მათილდა.** კი მაგრამ, ვინ?.. ვინ მოგვდედა მე და შენ უკან?

**პანერის IV.** რა მნიშვნელობა აქვს, ვინ? — ყველა, ვინც თავდავიწყებით განაგრძობდა ნადიმობას, და ახლა, მარკიზა, თავისი მწირი სიბრალულის უბადრუკ ნამცეცებსა თუ სინდისის მტანჯველი ქენჯნის გამოხრულ ძვალს მთავაზობს ბინძური ხონჩით! მადლობელი ვარ, მადლობელი (ელვის სისწრაფით მიუბრუნდება ექიმს). და მაშინ, ექიმო, — ხომ ხედავთ, რა საინიტერსო შემთხვევაა ფსიქიატრიის ისტორიისათვის! — მე ვამჯობინე, შეშლილად დავრჩენილიყავი, რადგანაც აქ ყველაფერი თავზე საყრელად მქონდა სრულიად ახლებური ტკობისა და განცხრომისათვის; დიახ, ვამჯობინე, ნათელი და საღი გონებით გამეგრძელებინა ჩემი სიგიჟე და ამრიგად მეძია შური იმ ცივსა და უსულს ლოდზე, ორად რომ გამიპო თავი! სიმარტოვე — აი, ასეთი, — რომელიც ყოველად უბადრუკი და აუტანელი მომჩვენა თვალის გახელისას, ჩემთვის იმ შორეული მასკარადის ფერადონებითა და ჯადოქრული ხიბლით აღივსო, როცა თქვენ, მარკიზა (ქალბატონ მათილდას უცქერის და ფრიდაზე ანიშნებს), ზუსტად ისევე ბრწყინავდით, როგორც ახლა, აი, ეს ბრწყინავს! და, მე — დაღაზვროს ეშმაკმა, ამჯერად უკვე ჩემი საკუთარი ჟინით! — ვაიძულე ყველა, ვინც ჩემს სანახავად მოდიოდა, გაეგრძელებინათ ეს შორეული, სახელგანთქმული მასკარადი, რომელიც ჩემთვის კი არა, თქვენთვის მხოლოდ ერთი დღის თავშესაქცევი ამბავი იყო! დიახ, მე გადაეწყვიტე: ეფემერულ გართობად კი არა, რეალობად, ჭეშმარიტი სიგიჟის რეალობად მექცია იგი! აქ ყველაფერი გადაცმულია და შენიღბული: ეს სატახტო დარბაზიც, ჩემი მრჩეველებიც — საიდუმლო მრჩეველები და, რა თქმა უნდა, გამყიდველებიც! (ანაზღეულად შეტრიალდება მათკენ) ნეტავი გამაგებინა, რა მოიგეთ იმით, რომ ქვეყანას მოსდეთ ჩემი ამბავი — განიკურნაო? თუ განვიკურნე, მაშასადამე, თქვენ აქ უკვე ზედმეტნი ხართ და მალე დაგიტოვებენ გულის ნადები გაანდო ვინმეს, — აი, ჭეშმარიტი შეშლილობა! ახლა კი ჩემი ჯურია და მე დაგდებთ ბრალს! აი, ესენიც ჩემთან ერთად აპირებდნენ თქვენს გამასხარავეებას (სიცელი წახკვება).

ყველანი, ცოტა არ იყოს, ნაძალადევად იცინიან, ქალბატონ მათილდას გარდა.

**ბელკრედი (დი ნოლის).** გესმის?... მშვენიერია, არა?..

**დი ნოლი (ოთხ ჭაბუკს).** თქვენ?..

**პანერის IV.** უნდა მიუტევოთ! ეს (ტანსაცმელზე წაივლებს ხელს) ჩემთვის მხოლოდ კარიკატურაა, აშკარა და ჩემივე ნება-სურვილით შექმნილი კარიკატურა იმ მეორე, უწყვეტი და ყოველდღიური მასკარადისა, სადაც ჩვენ, ტაკი-მასხრები ბელკრედიზე ანიშნებს), ძალაუნებურად ვინიღბებით, იმით, რადაც სხვის თვალში ვჩანავართ; ასე რომ, მიუტევეთ ამათ მათი ნიღბები, რადგანაც ჯერ კიდევ არ ესმით, რომ ეს ნიღბები მათივე სახეებია! (ხელახლა მიუბრუნ-

ქართველი  
ფილოსოფი

დება ბელკრედის). იცი, რა ადვილად ეჩვევი და რა თავისუფლად ფილოსოფი  
აი, ასე, — თითქოს ტრაგედიის პერსონაჟი იყო (ბოლთასა სცემს) — ამნაირსავე  
დარბაზში! აი, რას გეტყვით, ექიმო, დიდი ხნის ამბავია, მაგრამ მაინც მშვენიერად  
მახსოვს: ნოემბერი იღვა. ერთი მღვდელი — ირლანდიელი უნდა ყოფილიყო, —  
ბაღში მზეს მიფიცებოდა და მკლავით მერხის ზურგს დაყრდნობილი  
თვლემდა, ასეთი ლამაზი იყო, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდი. როგორც  
ჩანს, საამოდ მოეთენთა შემოდგომის სიბოროტი, რომელიც, ალბათ, ზაფხულის  
მცხუნვარებად ეჩვენებოდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ წუთას აღარც  
ის ახსოვდა, რომ მღვდელი იყო, და არც ის, თუ სად იმყოფებოდა. ზმანებაში  
ყო დანთქმული; ვინ იცის, რა სიზმარს ხედავდა. მოირბინა პატარა ბიჭმა ხელში  
ყვავილი ეჭირა, კისერში შეუღიბინა მთვლეძარეს და გაიქცა. მე დავინახე,  
როგორ გაახილა მღვდელმა მოცინარი თვალები და თავისსავე სიზმარს შეჰღი-  
ბა, — ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო კარგად. მაგრამ იმ წამსვე სახე მოექუფ-  
რა და თვალბუცი ისეთი სერიოზულობა ჩაუდგა, როგორც ჩემს მზერაში შე-  
ნიშნულ წელან. რადგანაც ირლანდიელი მღვდლები ისეთივე გულმოდგინებით  
იცავენ თავიანთი კათოლიკური რწმენის სიმკაცრეს, როგორც მე ვიცავდი მე-  
კვიდრეობითი მონარქიის წმიდათა-წმიდა უფლებებს. — მე განვიკურნე, ბატონებო,  
იმითომ, რომ შემიძლია მშვენიერად განვასახიერო შეშლილი, და მშვიდად და  
აუმღვრევლად ვახერხებ ამას! მით უარესი თქვენთვის, თუ ესოდენ მტკივნეულად  
განიცდით თქვენს შეშლილობას, ისე, რომ ვერც ხედავთ და წარმოდგენაც  
არა გაქვთ მასზე!

**ბელკრედი.** ამასაც მოვესწარი! ახლა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თურ-  
მე ჩვენ ვყოფილვართ შეშლილი!

**პინის IV (სიფიცით, რომლის დაოკებასაც ცდილობს).** შეშლილები  
რომ არ იყოს, შენცა და, აი, ესეც (მარკიზაზე ანიშნებს), რა მოგიყვანდათ  
ჩემთან?

**ბელკრედი.** მართალი გითხრა, აქ მოსკლისას დარწმუნებული ვიყავი,  
რომ შეშლილი შენა ხარ.

**პინის IV (სწრაფად, მარკიზაზე ანიშნებს).** ესეც?

**ბელკრედი.** ეგ კი აღარ ვიცი... ხომ ხედავ, რა მონუსხულია შენი სიტყ-  
ვებით და არა მოჯადოებულია შენი „შეგნებული“ შეშლილობით! (მარკიზას მი-  
უბრუნდება). გარწმუნებთ, მარკიზა, მაგ თქვენი ტანსაცმლით სულ თავისუფლად  
შევიძლიათ აქ დაესახლოთ...

**მ — ნი მატრილა.** დიდი თავხედი ვინმე ბრძანდებით!

**პინის IV (სწრაფად, თითქოს მარკიზას დამშვიდებას ცდილობს).**  
ყურადღებას ნუ მიაქცევთ! უწინდებურად მხოლოდ იმას ცდილობს, რომ მოთ-  
მინების ფილა აუვსოს სხევებს, თუმცა ექიმმა კი სთხოვა, თავი შეიკავეთო  
(ბელკრედის). რად უნდა მალეღვებდეს ის, რაც ჩვენს შორის მოხდა? როლი,  
რომელსაც შენ ასრულებდი ჩემს უიღბლო სიყვარულში (მარკიზაზე ანიშნებს),  
ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელს მიმართავს და ბელკრედიზე მიუთითებს), ან  
კიდევ როლი, რასაც ის შენს გვერდით ასრულებს ახლა... განა ესაა ჩემი ცხოვ-  
რება? არა, ის თქვენ როდი გეკუთვნით! არც მე მიძევს წილი თქვენს ცხოვ-  
რებაში, რომელშიაც ორივენი ერთად ჩაბერდით! (ქალბატონ მატრილას).  
ექიმის რჩევით რომ გასწირეთ თავი და ამნაირად ჩაცმული გამომეცხადეთ,  
ეს გინდოდათ გეთქვათ და დაგემტკიცებინათ ჩემთვის? ო, თქვენი ჩანაფიქრი  
მშვენიერად იქნა შესრულებული; აკი გითხარით, ექიმო: „აი, რანაირნი ვიყავით  
ოდესღაც და რანაირნი ვართ ახლა“ მაგრამ თქვენ რომ გჭირდებათ, მე ის შეშ-  
ლილი არ გვეგონოთ, ექიმო, არა! მშვენიერად მეხმის, რომ მე და ეს (დი ნოლიზე



ანიშნებს) ერთი ვერ ვიქნებით, რადგანაც ჰენრიხ IV მე ვარ, დიახ, მე! აგერ უკვე ოცი წელი იქნება! მე სამუდამოდ შევეზარდე ამ ნიღაბს! მან (მარკიზაზე ანიშნებს) ეს ოცი წელი თავის ნებაზე გაატარა, განცხრომასა და ამქვეყნიური სიამით ტკბობაში, რათა, ბოლოს, სრულიად უცხო გამხდარიყო ჩემთვის, ვინაიდან მე მას მხოლოდ ამნაირს ვიცნობ (ფრიდაზე ანიშნებს და სწრაფად უახლოვდება მას)... და ჩემთვის სამუდამოდ ასეთი დარჩა... მე თქვენ პატარა ბავშვებს მაგონებთ, რომლებსაც ჩემი ეშინიათ (ფრიდას). შენ კი მართლა შეგამინა, ჩემო მშვენიერო, ამ ხუმრობამ, რომელშიაც შენდა უნებურად, მათთვის სასურველი როლი შეგასრულებინეს! რა იცოდნენ, რომ ჩემთვის ეს ხუმრობა კი არ იქნებოდა, არამედ საბედისწერო სასწაული, რადგანაც ჩემმა ოცნებამ უფრო ნათლად შეიხსა ხორცი შენში, ვიდრე ოდესმე! დღემდე ხატება იყავი მხოლოდ; მათ კი გაგაცოცხლებს, სული ჩაივადებს! — შენ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემი! სრული უფლება მაქვს, ჩემად გთვლიდე! (ეხვევა და შეშლილივით იცინის, დანარჩენებს კი საზარელი ყვირილი აღმოხდებთ; მაგრამ როდესაც მისცვივდებიან, რომ ფრიდა ხელიდან გამოჰკლიჯონ, გამძვინვარებული ნამდვილი შლევით დატრიალდება და თავის ოთხ მსახურს უყვირის); დაიჭით ესენი! მე თქვენ გიბრძანებთ! დაიჭით-მეთქი!

დაბნეული ჭაბუკები თითქოს მონუსხულებივით ემორჩილებიან ბრძანებას და ცდილობენ როგორმე შეაკავონ დი ნოლი, ექიმი ბელკრედო.

**ბელკრედი.** (სწრაფად ითავისუფლებს თავს და ჰენრიხ IV-ს მივარდება). გაუშვი, ხელი გაუშვი-მეთქი! შენ ხომ შეშლილი არა ხარ?!

**ჰენრიხ IV** (კლვის სისწრაფით გამოხტაცებს დაშნას მის გვერდით მღვარე ლანდოლფოს). შეშლილი არა ვარ? აი, შენ! (მუცელში წასცემს).

გაისმის გულშემზარავი ბლავილი; ყველანი ბელკრედის მისცვივდებიან მისაშველებლად; თან ერთმანეთს აღარ აცლიან:

**დი ნოლი.** დაჭრა?

**ბერტოლდო.** დაჭრა! დაჭრა!

**მეიმი.** ხომ გეუბნებოდით!

**ფრიდა.** ო, ღმერთო!

**დი ნოლი.** აქ, მოდი, ფრიდა!

**მ-ნი მათილდა.** შეშლილია! შეშლილი!

**დი ნოლი.** დაიჭით!

**ბელკრედი** (როშელიც მარცხენა კარიდან გაჰყავთ, გაცოფებული ყვირის). არა, არ არის შეშლილი! არ არის შეშლილი! არ არის შეშლილი!

ყველანი ყვირილითა და წივილ-კივილით გადაინ მარცხენა კარიდან; ღრინცელი სცენის მიღმიდანაც მოისმის, ვიდრე ყველაფერს არ ჩაახშობს ქალბატონი მათილდას გულშემზარავი კივილი, რის შემდეგაც სიჩუმე ჩამოვარდება.

**ჰენრიხ IV** (სცენაზე რჩება ლანდოლფოს, არიადოსა და ორდულფოს-თან ერთად; თვალები ლამის ბუდიდან გადმოუცვივდეს, იმდენად შეძრწუნებულია თავისი საკუთარი ფიქციით, რამაც წაშში დანაშაული ჩაადენინა). ახლა კი... რა მეტი გზაა?... (მსახურებს მოიხმობს, თითქოს თავის დაცვა სურსო). ჩვენ აქა ვერჩებით, დიახ, აქ!.. ერთად, სამუდამოდ!..

შ ა რ დ ა

იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეშვაცაძე



ნოდარ ლომოიძე

# მთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები

ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდი გულსყურით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე რთულ პროცესებს, კერძოდ კი იმ კონფლიქტებს, რომელთა საფუძველი ეთნიკური წინააღმდეგობებია. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ამ ბოლო სამი წლის მანძილზე კონფლიქტი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ოსურ მოსახლეობასთან, კონფლიქტი, რომელმაც საბედისწერო, სისხლიანი შეტაკების სახე მიიღო.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის პრობლემის პოლიტიკურ ასპექტებზე ბევრა დაიწერა და ითქვა; მეც მქონია შესაძლებლობა, წერილობით და ტელეეკრანიის საშუალებით გამომეთქვა ჩემი თვალსაზრისი, ხაზგასმით აღმენიშნა, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გამოყოფას, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას ან თუნდაც სუვერენულ რესპუბლიკად გაფორმებას არა

აქვს არავითარი — არც ისტორიული, არც პოლიტიკური, არც საერთაშორისო-სამართლებრივი, არც თუნდაც ზნეობრივ-კუძმანური საფუძველები.

მაგრამ ამჟამად მე მიზნად, კიდევ ერთხელ შევებო პრობლემის მხოლოდ ისტორიულ ასპექტებს. საქმე ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსური მოსახლეობის გაჩენას აბსოლუტურად დამახინჯებულად, გაყალბებულად წარმოაჩენს ზოგიერთი ოსი ისტორიკოსი. ამით მათ შეცდომაში შეჰყავთ, პირველ რიგში, თავიხი საკუთარი ხალხი, გაუთვითცნობიერებელი ოსი მკითხველი. და ეს ხდება საფუძველი, რომ ოს ხალხს უჩნდება გაუმართლებელი პრეტენზიები, უნდობლობა ქართველების მიმართ, ხდება ქართველ ისტორიკოსთა დადანაშაულება თითქოსდა ოსეთის ისტორიის წინასწარგანზრახულ გაყალბებაში.

მეცხედლოთ კიდევ ერთხელ ხანდა და

უჭველ წყაროებზე დაფუძნებულ რეალურ ისტორიულ ფაქტებს.

საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული თვალსაზრისი, რომ ოსები, ანუ ქართული წყაროების „ოსები“, იდენტურნი არიან ძველ რომაულ-ბიზანტიურ პირველწყაროებში დამოწმებული ალანებისა ან, რომ ოსები ალანების უშუალო ჩამომავლები არიან. ეს თვალსაზრისი გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

ახ. წ. დასაწყისიდან, კლასიკურ ავტორთა მონაცემებით, ალანები ჩრდილო კავკასიის აზოვისა და დონისპირა ველუბზე სახლობენ. ისინი, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, სარმატული წარმომავლობის ირანულენოვან ტომებს წარმოადგენენ, რომლებიც ადრე შუა აზიის სტეპებში მომთაბარებოდნენ. ახ. წ. პირველ საუკუნეებში იხსენიებიან, როგორც საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ტომთა ერთობა, რომელსაც გაცხოველებული კავშირები — ხან მტრული და ხან მეგობრული — ჰქონდა რომთან, შემდეგ ბიზანტიასთან და ამიერკავკასიის ქვეყნებთანაც. ჩვენთვის საინტერესოა, რომ რომაული და ბიზანტიური წყაროები არაერთგზის მოგვითხრობენ ალანთა რაზმების მძარცველური შემოსევების შესახებ, რომ — ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში და ამიერკავკასიის ქვეყნებში, სხვა შემთხვევებში, თვით ამიერკავკასიელი ხელისუფალნი, მაგალითად, იბერიის მეფეები იწვევენ ალანთა რაზმებს, იყენებენ მათ დაქირავებულ სპად გარეშე მტერთან ბრძოლისას. ახ. წ. მეოთხე საუკუნის შუა წლებში ალანებს თავს დაესხნენ ჰუნების თურქული ტომები, გაანადგურეს მათი კავშირი, ამასთან, ალანების ნაწილი შეურთდა ჰუნებს, შეერწყა მათ და მათთან ერთად მიიღო მონაწილეობა ე. წ. „ხალხთა დიდ გადასახლებაში“, ე. ი. ევროპის ქვეყნებზე ლაშქრობაში. საგრძნობლად შემცირებული ალანური გაერთიანება დარჩა ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ მათი განსახლების არე მნიშვნელოვნად შევიწროვდა, სამხრეთისკენ ჩამოიწია და კავკასიონის მთის წინა და

ნაწილობრივ მთიანი ზონა მოიცავდა. აქ, ამ დროიდან იწყება მათი კონტაქტები კავკასიონის ქედის გასწვრივ უჭველესი დროიდანვე მცხოვრებ ადგილობრივ ავტონომურ მოსახლეობასთან, რომელიც ენობრივად იბერიულ-კავკასიურ ერთობას, ხოლო ანთროპოლოგიურად ე. წ. „კავკასიონურ“ ტიპს განეკუთვნებოდა. მამასადაძე, ახ. წ. IV საუკუნის შემდგომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ხდებოდა ირანულენოვანი, ვიწროსახიანი და გრძელთავიანი ანთროპოლოგიური ტიპის მქონე ალანებისა და კავკასიურენოვანი, ფართოსახიანი და ბრტყელთავიანი ადგილობრივი მოსახლეობის შერწყმა. ამ შერწყმის შედეგად წარმოშობილი ახალი ეთნიკური წარმონაქმნი ენობრივად ირანელები არიან, რადგან შერწყმის პროცესში გაიმარჯვა მოსულთა ენამ, ანთროპოლოგიურად „კავკასიონურ“ ტიპს ეკუთვნიან, რადგან ანთროპოლოგიურად გაიმარჯვა ადგილობრივმა ტიპმა. კულტურულად კი ეს ახალი წარმონაქმნი ალანური და „კავკასიონური“ კულტურების მემკვიდრეა. ეს დასკვნები მიღებულია ენათმეცნიერთა, ანთროპოლოგთა, არქეოლოგთა, წყაროთმცოდნეთა გამოკვლევების კომპლექსურად გათვალისწინების საფუძველზე (ვ. აბაევი, ი. ორანსკი, ნ. კულაევი, მ. აბდუშელიშვილი, ვ. ალექსეევი, კ. კრუპნოვი, ა. ნაგლერი, ა. გადლო და სხვ.). აი, ამ შერწყმის შედეგად წარმოშობილ ახალ ეთნიკურ წარმონაქმნს წარმოადგენენ სწორედ ოსები.

ამრიგად, ოსების ეთნოგენეზისი საკმაოდ გვიან დაწყებულია. სპეციალისტები (ვ. აბაევი, ა. ნაგლერი, ს. პლეტნიოვა, ვ. კუზნეცოვა, ა. გადლო და სხვ.) თვლიან, რომ ეს პროცესი V-VI სს-ის შემდეგ დაწყებულია და X-XII სს-ში დამთავრებულია. ხაზი მინდა გაუუსვა იმ გარემოებას, რომ ამ დებულებას გადაჭრით უჭერს მხარს 1987 წ. ქ. ორჯონიკიძეში რუსულ ენაზე გამოსული ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი ოფიციალური ისტორია ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური სსრ<sup>2</sup>.

ამრიგად, ალანებისა და ოსების გაიგევა კატეგორიულად გაუმართლებელია შეცნიერულად, ახევე, მცდარია ოსების ალანების პირდაპირ და უშუალო შემკვიდრებად გამოცხადება.

მაგრამ რით ავსხნათ, რომ ქართულ წყაროებში ანტიკურ ავტორთა „ალანების“ შესატყვისად ყველგან „ოსები“, ანუ ოსები ჩანან. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მაგალითად, ახ. წ. პირველ საუკუნეებში მეფეების აზორკისა და არმაზელის, მეფე ამახასპის, მირიან მეფის დროს ოსები ხან მტრად, ხან მოკავშირედ ჩანდნენ.<sup>2</sup> კარგად არის ცნობილი ოსების თავდასხმა ქართლზე ვახტანგ გორგასანლის დროს და შემდეგ მისი საპასუხო ლაშქრობა ოსეთში.<sup>3</sup> ასეთი ცნობები სხვაც ხაჭავიათა თავისთავად ცხადია, რომ ყველა ამ შემთხვევაში რეალური ისტორიულად იგულისხმება ალანები და „ოსებად“ ისინი იწოდებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ წყაროთა ავტორების დროს — XI ს-ში, ის ტერიტორიები, რომელიც ეკავათ ოდესღაც ალანებს, უკვე ოსებს უკავიათ. ქართველებმა ამ ტომთა სხვა სახელი არ იცნან და მათ წინამორბედებზე გადააქვთ მათ დროს ერთადერთი რეალური და ცოცხალი სახელი — „ოსეთი“ და „ოსები“<sup>4</sup>.

ამრიგად, სრული შეცდომაა I-VIII საუკუნეთა მანძილზე ოს ქართველთა ურთიერთობაზე ლაპარაკი. ამ პერიოდში ოსები, როგორც რეალური ეთნიკური ერთეული, უბრალოდ, არ არსებობდნენ. ამდენად, არ შეიძლება საუბარი მხოლოდ საქართველოსა და ალანთა ურთიერთობაზე.

მაგრამ ვარკვეული აზრით, ალანები ოსთა წინაპრებია (მათი ეთნოგენეზისის ერთეურთი კომპონენტია). მაშ, იქნებ არსებობს რაიმე მონაცემები ალანების ამიერკავკასიაში ჩამოსახლების, აქ ალა-

ნების მეტ-ნაკლებად კომპაქტურად სახლების შესახებ, თუ ასეთი რამ დადასტურდება, მაშინ ოს კოლეგებს კიდევ შეიძლება ჰქონდეთ რაღაც საფუძველი, ის მაინც ამტკიცონ, რომ ოსთა წინაპარ-წინამორბედებს ჰქონდათ საქართველოს მიწა-წყლის რაღაც ნაწილი დაკავებული. და მართლაც, ოს ისტორიკოს-არქეოლოგების ნაწილი თავგამოდებით ამტკიცებს ალანთა დასახლების არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული შუასაუკუნეების ხანიდან მაინც და საკითხს ასე სვამს: „ჩვენი წინაპრები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე სახლობდნენ და, ამდენად, ჩვენ ისტორიული უფლება გვაქვს ასეთივე განმეარგულებლება ვიყოთ ქართული მიწისა, როგორც ქართველები“.

რასაკვირველია, ასეთი მტკიცება აბსურდულია, რადგან, როგორც ვთქვით, ალანთა და ოსთა გაიგევა გაუმართლებელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აბსოლუტურად დაუსაბუთებელია თვით ალანთა საქართველოს, კერძოდ, ქართლის ტერიტორიაზე რაიმე დროს განსახლების მტკიცება.

მე არ ვაპირებ ამჟამად ამ მტკიცების და მათ საფუძვლად დადებული არგუმენტების განხილვას, რადგან ყველა ისინი ამ ცოტა ხნის წინ დაწერილებით გარჩია არქეოლოგმა ნ. აფხაზავამ თავის წერილში „ალანები და საქართველო“<sup>5</sup>. ნ. აფხაზავამ თვალნათლივ აჩვენა, რომ არც ანტიკური წერილობითი წყაროება და არც არსებული არქეოლოგიური მასალა არ იძლევა არავითარ საფუძველს ალანთა მეტ-ნაკლებად კომპაქტური მოსახლეობა ვიგულვით კავკასიონის ქედის სამხრეთით და ზოგიერთი ოსი ისტორიკოსის ამგვარი მტკიცებანი წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემების ან არასწორ გაგებაზე, ან აშკარად წინასწარგანზრახულ გაყვლებაზე და ფუძემდებელი, უფრო მეტიც, პირველწყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ნ. აფხაზავამ გააკვია, რომ X საუკუნე-

\* ამგვარი აღრევის მაგალითი სხვადასხვა წყაროებში, მაგ., ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე თურქულ ტომებს „ხაზარებს“ უწოდებდნენ, ვთქვათ, მირიანის დროს (IV ს.); ვახტანგ გორგასანლის დროს (V ს.). თუმცა ცნობილია, რომ ხაზარებმა იქ გაიღებთ გვიან დამკვიდრდნენ.



საქართველო  
საქართველო

ნემდე ალანები არამცთუ საკუთრივ საქართველოს, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც არ ჩანან. ისინი, — ალანები და საქართველო — ერთმანეთის უშუალო მეზობლებიც კი არ არიან. ხაზი უნდა გაუვსვათ იმ გარემოებას, რომ ავტორი ფართოდ იყენებს არაქართველ მკვლევართა (ბ. ვინოგრადოვი, მ. არტამონოვი, ნ. ვოლკოვა, ბ. კუზნეცოვი, ვ. კოვალევსკაია) შრომებს; ამ მკვლევარებს კი ქართულ მიკერძოებას ვერ დაეწაბება.\*.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ნ. აფხაზაევას ნაშრომს, მაგრამ მუ მაინც საჭიროდ მიმაჩნია, მოვიტანო რამდენიმე მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, როგორ აყალბებენ რეალურ ვითარებას ჩვენი ოსი კოლეგები.

ალანების უკვე ძვ. წ. I საუკუნიდან კავკასიონის ქედის გადმოდმა, ქართლის მთიანეთში მოსახლეობის მტკიცებისათვის ოსი ისტორიკოს-არქეოლოგები, ჩვეულებრივ, იყენებენ რომაელი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ერთ ცნობას იბერიის მთიანეთის მოსახლეობის შესახებ. სტრაბონი წერს, რომ იბერიის მოსახლეობის ეს ნაწილი „ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე“ და ამით, ე. ი. სკვით-სარმატების „მეზობლები და ნათესავეებიც არიან“. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ზოგიერთი მკვლევარი, მათ შორის, ქართველიც (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, დ. მუსხელიშვილი), ვარაუდობს, რომ ქართლის მთიანეთში ძველთაგანვე, ქართული მოდგმის ტომების გვერდით, სახლობდნენ ცალკეული ჩრდილოკავკასიური ტომები. ნ. აფხაზაევამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ სტრაბონის ცნობის ასე უკრტიკოდ დაჯერება გაუმართლებელია, რომ სტრაბონის ხანაში „ოსთა გადმოსახლებაზე“ ლაპარაკი საერთოდ

აბსურდია.<sup>6</sup> ჩვენი მხრით, დაუმატებთ, რომ სტრაბონი არც აქ და არც თავისი თზულებების სხვა ადგილას ალანებს საერთოდ არ ასახელებს. მისთვის ეს ეთნონიმი სრულიად უცნობია. სკვითურ-სარმატულ სამყაროში მის დროს ალანები, როგორც ჩანს, არ ფიგურირებენ. აღსანიშნავია, რომ არც ზემონახსენებულ მკვლევარები სტრაბონის ცნობის ინტერპრეტაციისას ალან-ოსებს არსად გულისხმობენ.

მაგრამ არქეოლოგი ბ. ტეხოვი უაქვალაციოდ იყენებს სტრაბონის ცნობას იმის დასტურად, რომ ალანთა ცალკეული ჯგუფები ადრეულ შუასაუკუნეებისათვის უკვე დამკვიდრებულან იბერიის მთიანეთში. ამასთან, ის ამტკიცებს, რომ სტრაბონის ცნობას ადასტურებენ არქეოლოგიური მონაცემები.<sup>7</sup> სტრაბონის ცნობის არასწორი ინტერპრეტაცია ანტიკურ წყაროთმცოდნეობაში, რბილად რომ ვთქვათ, გაუწაფაობის შედეგია, მაგრამ არქეოლოგიური მასალის ტენდენციურად წარმოჩენას კი რა უნდა დავარქვათ? ბ. ტეხოვი ამტკიცებს, რომ დიდი ღიახვის ზემო წელზე სოფ. სტრიფაზთან გათხრილი სამაროვანი ალანურ კულტურას მეკუთვნება. რეალური სურათი კი როგორია? ამ სამაროვანზე აღმოჩენილი 80-ზე მეტი სამარხიდან მომდინარე მასალაში ერთადერთია პატარა ჭურჭელი, რომელიც მართლაც „ალანური კულტურისთვისაა“ დამახასიათებელი, სულ რამდენიმე ნივთია, რომელიც განსხვავდება ქართულ არქეოლოგიური კომპლექსების მასალისაგან. რაც შეეხება მთლიანად სამაროვანს, დაკრძალვის წესს, სამარხ მოწყობილობას, აქ აღმოჩენილი ნივთების აბსოლუტურ უმრავლესობას, ყოველივე ეს მთლიანად დამახასიათებელია ადგილობრივი, „ქართლური“ მატერიალური კულტურისათვის.<sup>8</sup>

უფრო რელიეფურად ჩანს ასეთი გაყალბება დიდი ღიახვის სათავეებში გათხრილი ედისის სამაროვნის პუბლიკაციაში, რომელიც რ. კატევის (რ. ძათიათის) ეკუთვნის და რომელიც ასევე გა-

\* ნ. აფხაზაევას მოაქვს წყაროთა მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ VI ს-ში ალანთა ერთი ნაწილი თითქოს შდ. კოდორის სათავეებთან დამკვიდრებულა. ჩვენ ამჟერად ამ საკითხს არ ვეხებით. რადგან მას ქართლში ოსთა ჩამოსახლებაშიან უშუალო კავშირი არა აქვს.

რჩეული აქვს ნ. აფხაზაევს თავის პუბლიკაციაში.<sup>9</sup> რ. ძათიათიმ სამარხთა ერთი ჯგუფი (სულ 6 სამარხი) განიხილა და ისეთი აზრი გამოთქვა, რომ აქაური ინვენტარის ანალიზი მიუთითებს მათ კავშირზე ადრეული შუასაუკუნეების ჩრდილოკავკასიურ ძეგლებთან. ამავე დროს, აქ აღმოჩენილი ელიფტიკური ძეგლები, მშვილდსაკინძები, საკინძები, ბეჭდები, საყურეები, ქაშის დეტალები, სამარხთა ტიპი და სხვ. მთლიანად ქართულია და ანალოგიები მოეპოვება მხოლოდ ქართულ მასალაში ურბნისიდან, მცხეთიდან, არუსთავიდან და სხვ.<sup>10</sup> უფრო უარესად იქცევა იგი, როცა თავაზ „მოსაზრებებს“ აქვეყნებს ჟურნალში „Природа“ (მოსკოვი, 1986, № 10, გვ. 78). აქ იგი ელემენტარულად ატყუებს მკითხველს (ამჯერად უკვე საკავშირო მასშტაბით) თითქოს ედისში „დაკრძალვის წესი, სამარხის მოწყობილობა და სამარხებში აღმოჩენილი მრავალი ნივთი არაა დამახასიათებელი ამიერკავკასიისათვის“.

ამგვარი ყალბი „ანალიზის“ ფონზე უკვე სავსებით უცნაურია (რომ არ ვთქვათ, აღმაშფოთებელი) რ. ძათიათის დასკვნა: „ამრიგად, ალან-ოსთა ამიერკავკასიაში შემოდღევა (არა სამხედრო ლაშქრობები, არამედ აქ დასახლება — „оседание“) ხდება არა XV-XVII სს-ში და არც XIII-XVI სს-ში, არამედ გაცილებით ადრე, VI-VII სს-ში“.<sup>11</sup>

თავი რომ დავანებოთ ისტორიული შესაბამისების მთელ რიგს, ავტორი პირდაპირ ცრუობს და მკითხველს ატყუებს. აი, რამდენიმე მაგალითი იმ მეოთხედიდან, რომელსაც იყენებენ ცალკეული ოსი „სპეციალისტები“ თავისი იმ „დებულებების“ სამტკიცებლად, რომლებმაც, მათი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსებს უნდა აჩვენონ, რომ მათი წინაპრები აქ უხსოვარი დროიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ადრე შუასაუკუნეებიდან მაინც სახლობენ.

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ეს შორს

წავიყვანს, მით უფრო, რომ მასწავლებელმა თავი მოიკრიფა და თავმოყრილი ნ. აფხაზაევს ზემოაღნიშნულ წერილში და მჭევრმეტყველ მოწმობას წარმოადგენენ, როგორც ყალიბდება საქართველოს ისტორია. ამრიგად, დასკვნა ერთია: არც წერილობითი წყაროები, არც არქეოლოგიური მასალა არ იძლევა არავითარ საფუძველს, I-VIII საუკუნეებში ქართლში ალანთა მტნაკლებად კომპაქტური ჩამოსახლება და აქ დამკვიდრება ვივარაუდოთ. ეს მოსაზრება ან სათუო დებულება კი არ არის, არამედ სრულიად ურყევი და ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება, დაფუძნებული პირველწყაროთა ობიექტურ მეცნიერულ ანალიზზე.

მიკერძობებაში რომ არ ჩამომართვან, აღვნიშნავ, რომ IX ს-ის შუაწლებში ქართლში თითქოს მართლაც მოხდა ოსთა მცირე ჯგუფის ჩამოსახლება. „მატიანე ქართლისაში“ აღწერილია თბილისის ამირა სააკის წინააღმდეგ 853 წ. არაბი სარდლის ბულა თურქის ლაშქრობა, მისი ბრძოლა საქართველოს მეფე მთავრობასთან და ჩრდილო კავკასიის ტომებთან. აქ სხვათა შორის ნათქვამია, რომ ბულამ „განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანა ხაზარნი, სახლი სამასი, და დასხნა ივინი შანქორს. დარიალანით გამოიყვანა ოვსნი ვითარ სახლი ასი და დასხნა ისინი დმანისს და ენება ზაფხულის შესვლა ოსეთად...“<sup>12</sup>

რამდენად რეალურია მათიანის ეს ცნობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ყველა შემთხვევაში 100 ოჯახის — როგორც ჩანს, ტყვეების — ქართლში ჩამოსახლება, ცხადია, არ შეიძლება ოსთა ქართლში მიგრაციის პროცესის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ამ ასი ოჯახის დმანისის მიდამოებში ყოფნის რაიმე კვალი არ ჩანს.

როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები? VIII-X საუკუნეებში ალანები ხაზართა ხაკანატის ვასალები არიან და სწორედ ამ დროს განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ოსთა ეთნოგენეზისი, ე. ი. ალანთა კავკასიის უძველეს მოსახლეობასთან შერწყმის პრო-

გაქვეყნდა  
საქართველოში

ცესი, რომელიც არსებითად მთავრდება X ს-ის 60-იან წლებში ხაზართა სახელმწიფოს განადგურებით და ოსთა სახელმწიფოს წარმოქმნით.<sup>12</sup> ჩრდილოეთ კავკასიაში, დარიალის ხეობის დასავლეთით ჩამოყალიბებულ ამ სახელმწიფოს ბიზანტიური წყაროები ძველებურად „ალანთა ქვეყანას“, ხოლო მცხოვრებთ „ალანებს“ უწოდებენ, თუმცა არსებითად ეს უკვე ალანები არ არიან, არამედ ოსები — ქართული „ოვსები“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ VI-VII საუკუნეებიდან ალანთა ოსეთში სწორედ საქართველოდან იწყება ქრისტიანობის გავრცელება: მის დასავლეთ რეგიონებში — დასავლეთ საქართველოდან, აღმოსავლეთ ოლქებში — ქართლიდან; X საუკუნის შემდგომ საქართველოსა და ოსეთს შორის საკმაოდ მჭიდრო პოლიტიკური კავშირი მყარდება, რაც გამოიხატა თუნდაც დინასტიურ ქორწინებებში საქართველოს სამეფო დინასტიის წარმომადგენლებისა ოსეთის სამეფო სახლის წევრებთან. ცნობილია, რომ მეფეებს: გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი III ცოლად ჰყავდათ ოსეთის სამეფო სახლის ქალები. დავით აღმაშენებლის ქალი ოსეთში იყო გათხოვილი, თამარის მეუღლე დავით სოსლანი, წარმოშობით ბაგრატიონი, ოსეთის მეფის ძე იყო. XII საუკუნეში (1118 წ.) დავით აღმაშენებლის დროიდან ოსეთის სამეფო საქართველოს სამეფოს ყმადნაფიცი ქვეყანაა და ასეთად რჩება ვიდრე მონღოლთა შემოსევამდე. ამ მჭიდრო ურთიერთობის პროცესშიაც არავითარი მითითება იმაზე, რომ საქართველოს, კერძოდ, შიდა ქართლის ტერიტორიაზე მომხდარიყო ოსთა რაიმე კომპაქტური დასახლება, არ არსებობს. საქართველოს ერთიანი სამეფო ქმედით კონტროლს უწევს თავის საზღვრებს, საიმედოდ კეტავს ჩრდილო კავკასიის ზეკარებს და აქედან ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის რაიმე მიგრაციის ნიშნები XI-XIII საუკუნეებში არ შეინიშნება და არც არის მოსალოდნელი.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ვითარება უცებ შეიცვალა. და აი, ჩვენი

ოსი კოლეგები ამ ეპოქას მიიჩნევენ. ქართლში ოსთა მასობრივი ჩამოსახლების დასაწყის ხანად. ამას ამტკიცებს არსებითად ყველა ოსი ისტორიკოსი, მათ შორის ისეთი „მიუდგომელიც“, რომლებიც აღიარებენ — ადრე ფეოდალურ ხანაში საქართველოში ოსთა ჩამოსახლება არ ყოფილა.<sup>14</sup> აქედან კი გამოდის ლოგიკური დასკვნა: შვიდ საუკუნეზე მეტია, ოსები შიდა ქართლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ამდენად, ისინი, ამ მიწაწყლის მკვიდრებად შეიძლება ჩაითვალოს და ქართველებზე არანაკლები უფლებები აქვთ ამ მიწაზე.

ვნახოთ, აქვთ თუ არა ოსი ისტორიკოსებს ამგვარი მტკიცებებისათვის რეალური საფუძველი. კიდევ რომ დავუშვათ ოსთა შიდა ქართლის ბინადრობა 700 წლის მანძილზე, ისინი მაინც ვერ გაუტოლდებიან ამ ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში უწყვეტად მოსახლე ქართველებს. მაგრამ საქმე მართო მოსახლეობის ხანგრძლიობაში არ არის; მთავარია, რომ შიდა ქართლი ყოველთვის, დაწყებული ძვ. წ. V-VI საუკუნეებიდან უწყვეტად შედიოდა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში, ჯერ იბერიის (ქართლის) სამეფოში, შემდეგ ქართლის საერისმთავროში და, ბოლოს, გაერთიანებულ საქართველოს სამეფოში; შიდა ქართლი ერთიკურად, პოლიტიკურად და კულტურულად ოდითგანვე ქართული მიწა-წყალი იყო, ხოლო ოსები VIII საუკუნეში მოვიდნენ აქ, XIII-ში თუ XVIII-ში, ხულერთია, მაინც მოხულნი, შემოხიზნულ-ჩამოსახლებულნი იქნებიან.

მაგრამ მიუდგეთ საკითხს სხვაგვარად: მართლაც მოხდა XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსთა ქართლში დამკვიდრება? უნდა ვაღიაროთ, ამჯერად ოსი ისტორიკოსები არაფერს იკონებენ — არსებობს კონკრეტული ცნობა მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართლში ოსთა საკმაოდ კომპაქტური მასის ჩამოსახლების შესახებ.

XIV საუკუნის მემატიანეს, ე. წ. ფამთაღმწერელს დავით ულუს (გიორგა



ლაშას-ძე, 1249-1270) მეფობის აღწერისას მოთხრობილი აქვს, რომ „ამათ ჟამთა გარდამოვიდეს ბერქა ყაენისაგან\* ლტოლვილნი, ოსი\*\* დედაკაცი საკვირველი, სახელითა ლიმაჩაჲ, და მან მოიტანა შეილნი მცირენი, ნათესავით ახასარფაკაიანნი, პირშო ფარეჯან და უმრწემესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე; ხოლო მან პატივითა ისტუმრნა, და წარავლინნა ყაენს ულოს წინაშე,\*\*\* და ყაენმა შეიწყნარა ფრიად და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა, და ესრეთ მეფეს თანავე წარმოაქლინნა, ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქს, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი წინვანს“.<sup>15</sup>

სწორედ ეს ცნობა აძლევს საფუძველს ოს ისტორიკოსებს სრულიად გადაჭრილ ამტკიცონ, რომ XIII ს-ის 60-იან წლებში საქართველოში ოსთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის შემოსვლა, შემდგომ მათი არაერთგზის მოხსენიება XIII ს-ის ბოლოს და XIV ს-ის პირველ ოცწლეულში, არის დასაწყისი ოსთა მასობრივი ჩამოსახლებისა. მაგრამ აქ არის ერთი გარემოება: ჟამთააღმწერლის ცნობით, დავით ულუმ ოსები დაასახლა თბილისის, დმანისის და ჟინვალის სანახებში; მოგვიანებოთ მათ გორი დაიკავეს. XIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დასაწყისში ისინი სხვადასხვა ადგილას მოქმედებენ, მაგრამ არც ერთხელ არ იხსენიებიან იმ ტერიტორიაზე, სადაც შემდგომ სახლობენ — დიდი და პატარა ლიახვის, მეჯღდის, ქსნის ხეობებში. ასეთი შეუსაბამობა აიძულებს გ. თოგოშვილს

ამტკიცოს, რომ დავით ულუს დროშა მოსული ოსთა ჯგუფი და უფრო გვიან XIII ს-ის 90-იან წლებში და გიორგი ბრწყინვალის დროს მოქმედი ოსები სრულიად სხვადასხვა ნაკადია ოსებისა — პირველნი მართლაც დროებით შემოსული სამხედრო რაზმია, მეორენი კა ლიახვის ხეობით შემოვიყენენ ქართლს და აქ მყარად დამკვიდრდნენ.<sup>16</sup> თავის დროს ასეთი მოსაზრების სრული უსაფუძველობა დამაჯერებლად დაასაბუთა ვ. გამრეკელმა.<sup>17</sup>

საქმე ის არის, რომ წყაროებში ერთი სიტყვაც არ ჩანს იმის შესახებ, რომ 1263 წლის შემდეგ, ე. ი. ლიმაჩავის ხელმძღვანელობით მოსვლის შემდეგ, საქართველოში რაიმე გზით, მით უფრო, ლიახვის ხეობით, შემოსულიყოს ოსთა რაიმე ჯგუფი. ამას გარდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, XIII ს-ის 90-იან წლებში მოქმედი ოსების სათავეში დგანან იმავე სახელების მატარებელი ბელადები, რაც ჰქონდათ ლიმაჩავის მცირეწლოვან ვაჟებს — ფარეჯან და ბაყათარ. დავით VIII-ის დროისთვის ისინი დაკაცდნენ და თანამეტომეთ ჩაუდგნენ სათავეში. ერთი სიტყვით, XIII ს-ის 90-იან წლებში და XIV ს-ის დასაწყისში ქართლში მოქმედებდნენ იგივე ოსები, რომელნიც 60-იან წლებში შემოიკედლნენ ქართლს და რომლებიც მონღოლთა ყაენმა განალაგა ქართლში „მოლაშქრედ და თანამბრძოლელად“. მაშასადამე, თუ გ. თოგოშვილი ამტკიცებს, რომ გიორგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს გადმოსახლებული ოსები საქართველოს სახელმწიფოში შევიდნენ და რომ ამ დროიდან საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ოსური მოსახლეობა შეიქმნა,<sup>18</sup> ეს მტკიცება ვრცელდება 60-იან წლებში დავით ულუს დროს შემოსულ ოსებზე.

სანამ ამას შევეხებით, რამდენად სწორია ოსი ისტორიკოსების ეს მტკიცება (სულ ერთია, გულისხმობს ის XIII ს-ის 60-იან თუ 90-იან წლებს თუ გიორგი ბრწყინვალის ხანას), ენახოთ, როგორია ქართლში დამკვიდრებულ ოსთა საქმიანობა-მოქმედება.

\* მონღოლთა ჩრდილოეთის ულუსის — „ოქროს ურდოს“ ყაენი.

\*\* ტექსტის არც ერთ ხელნაწერში არ წერია „ოსი დედაკაცი“; ზოგიერთ ნუსხაშია „ორნი დედაკაენი“ (იხ. ქცა, II, გვ. 251, სქოლიო). მაგრამ შინაარსობრივად, როგორც ჩანს, სწორია „ოსი დედაკაცი“, ასეთი გასწორება გაზარებულთა.

\*\*\* იგულისხმება მონღოლთა სამხრეთის ულუსის — ე. წ. „ილხანთა“ ყაენი.





XIII ს-ის 90-იანი წლების, ე. ი. დიმიტრი თავადადებულის ძის, დავით VIII-ის (1273-1311) მეფობის აღწერისას ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა, იწყეს ოვსთა ოპრებად, ჰოცად, და რბევად, და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა“. ამ მოქმედების საპასუხოდ შეიკრიბნენ ერისთავ ბეგას ძის ამადას მეთაურობით „ყოველნი ქართველნი“ და შეუტყუეს გორში გამაგრებულ ოსებს; როდესაც გორში გამოკეტილ ოსებს გაუჭირდათ, მათ მოუხმეს მუხრანს მდგომ მონღოლებს, ისინიც მებრძოლთა შორის ჩადგნენ და აიძულეს ქართველები, ოსებს დაზავებოდნენ. „და მიერითგან — განაგრძობს ჟამთააღმწერელი, — შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განსხნა და აღფხურნა“.19 ეს პასაჟი თითქმის სიტყვასიტყვით აქვს გამეორებული ვახუშტი ბაგრატიონს.<sup>20</sup>

როდესაც მოგვიანებით დავით VIII მონღოლებს აუჯანყდა და მათ წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა გაშალა, ეს მონღოლთა „მოლაშქრედ და თანამბრძოლულად“ განჩინებული ოსები თავიანთ ფუნქციას ერთგულად ასრულებენ: მონღოლთა მხარეს იბრძვიან და აჯანყებულ ქართველთა მიმართ დამსჯელი რაზმების როლში გვევლინებიან<sup>21</sup>. აი, როგორ არის დახასიათებული ჟამთააღმწერელთა ოსთა მოქმედება ქართლში: „ვინათგან მეფე დავით არა მიენდო თათართა... მთავარი ბაყათარ განდიდებული იყო და აოპრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განსხმიდა მამულისაგან აზნაურთა, და იყო ჭირი დიდი მკუდართა ქართლისათა“ (ქცა, 11, გვ. 316). უფრო ქვევით მემატინე აგრძელებს: „ოტუბით რა ცნა დავით, უძმუნვარესად აოპრებდა ბაყათარ ქართლსა... და ბაყათარ აოპრებდა ქვეყანათა, და ჰოცდა კაცთა“ (იქვე, გვ. 317). ასეთი მაგალითები მოაქვს ვახუშტისაც (ქცა, IV, გვ. 245-246). აი, რა სამაგალითო როლს ასრულებდნენ XIII

ს-ის 90-იან წლებში ოსები, რომლებიც 60-იან წლებში აქ შემოიხიზნენ და მღებებიც „პატივითა ისტუმრნა“ დავით ულუმ.

მაგრამ, რაც მთავარია, ოსი ისტორიკოსები უმაღლეს მკითხველს ყველაზე მნიშვნელოვანს: ჟამთააღმწერელიც და ვახუშტიც სრულიად არაორაზროვნად უსვამენ ხაზს, რომ გიორგი ბრწყინვალემ ოსნი „განსხნა და აღფხურნა“ (ჟამთააღმწერელი), „განასხნა“ (ვახუშტი), ე.ი. გააძევა ქართლიდან და მოთხარა. „ახალი ქართლის ცხოვრებაც“, რომელიც ჟამთააღმწერელის თხრობას აგრძელებს, მოკლედ აღნიშნავს, რომ მალე გამეფების შემდეგ გიორგი V „მოადგა ოვსთა გორს მყოფთა და ბრძოლა სამწელ“ (ქცა, 11 გვ. 445). ხოლო ვახუშტი საკმაოდ აზუსტებს, რა მოჰყვა ამ სამწლიან ბრძოლას: „ხოლო მძლავრობდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი. ამან მეფემან (ე. ი. გიორგი V — ნ. ლ.) განასხნა ძლიერებითა თუსთა და წარუხუნა ციხენი და დაბნები, მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშუდა ქართლი ოვსთაგან, ვინათგან გზანი ყოველნი თვთ დაიპყრნა“ (ქცა, IV, გვ. 256). მაშასადამე, გიორგი ბრწყინვალემ არა მარტო „განსხნა და აღფხურნა“ ოსები თავისი სამეფოდან, არამედ თვით ოსეთში მიუხდა მათ, დაიმორჩილა და დახარკა, ხოლო ქართლი ოსთაგან „დაამშვიდა“ იმით, რომ ყველა ზეკარება თვით დაიკავა და ჩაკეტა. აი, ყოველივე ამას უმაღლეს მკითხველს ოსი ისტორიკოსები. ამრიგად, XIII საუკუნეში ქართლში შემოსული ოსთა ჯგუფი, რომელიც აქ ათწლეულების მანძილზე მონღოლთა არსებითად საპოლიციო, დამსჯელ ძალას წარმოადგენდა, XIV საუკუნის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალის მიერ პირწმინდად გაძევებულ იქნა საქართველოს საზღვრებიდან და მათ აქ შემობრუნების გზებიც ჩაკეტათ. ამდენად, ყოველგვარ საფუძველს კარგავს

მტკიცება, რომ XIII-XIV საუკუნეებიდან მოყოლებული ოსები უკვე ქართლის ტერიტორიაზე სახლობენ. ამ დროს მათ აქ შემოსვლა ხანმოკლე, თანაც არცთუ სახელოვანი ეპიზოდი იყო ოსთა ერთი მცირე ნაწილის ისტორიაში.<sup>21</sup>

როგორ განვითარდა მოვლენები შემდგომ?

XIII-XIV საუკუნეებში ჯერ მონღოლებმა, შემდეგ თემურ-ლენგის ურდოებმა გაანადგურეს ოსეთის სამეფო და შერეკეს ოსები კავკასიონის მთიან ხეობებში, სადაც უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ: მთისწინა ველებზე ცხოვრებას, კულტურულ მიწათმოქმედებას შეჩვეული ოსები გაჭირვებით ეგუებოდნენ მაღალმთიანი ზონის მწირ პირობებს, მცირემიწიანობას და, ცხადია, მიიღწეოდნენ ამიერკავკასიაში, საქართველოში, რომელიც განვითარების გაცილებით მაღალ დონეზე იდგა. უნდა ვიფიქროთ, ცალკეული ოჯახები ახერხებდნენ კავკასიონის მთავარი ქედის გადმოდმა გადმოსვლას და მის სამხრეთ კალთებზე დამკვიდრებას, სადაც მათ ზიზნებად ღებულობდნენ ქართველი მთიელები ან აქაური ფეოდალები; მაგრამ მასობრივი გადმოსახლება ოსებისა მაშინ შეუძლებელი იყო, რადგან თვით მაღალმთიანი ზონაც კი დასახლებული იყო ქართველი მთიელებით და მათგან ინტენსიურად გამოიყენებოდა. ხოლო ბარის რაიონებში მათი დასახლების ცდა, მიუხედავად მონღოლთა ხელშეწყობისა, რითიც დამთავრდა, ჩვენ უკვე ვნახეთ.

მხოლოდ თემურ-ლენგის გამანადგურებელ ლაშქრობათა შემდეგ, განსაკუთრებით კი იმ უწყვეტი შემოსევების შედეგად, რომელთაც XV-XVI საუკუნეებში ახორციელებდნენ თურქ-ოსმალებმა და ყიზილბაშური ირანი, როდესაც ხანგრძლივად შეთხელდა ბარის ოლქების მოსახლეობა, და ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართველ მთიელთა ბარში ჩამოსვლის პროცესმა, განთავისუფლდა ადგილობრივი მოსახლეობისაგან მთის ზონა და ოსებს მიეცათ მისი დაკავების საშუალება. და აი, XVII საუკუნის და-

საწყისიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება პირველი ოსური სოფლები.

მაგრამ ჩვენ ზუსტნი არ ვიქნებით, თუ დავმაღავთ, რომ იყო საქართველოს ერთი ოლქი, რომელშიც ოსთა მიგრაცია შედარებით ადრე, როგორც ჩანს, XIV საუკუნეში ხდება. ესაა დვალეთი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დვალეები იგივე ოსები არიან. ამ იგივეობას განსაკუთრებით ეპოტინებიან ოსი ისტორიკოსები. მაგრამ ის სპეციალისტები, ვინც საგანგებოდ, კვალიფიციურად და მიუდგომლად იკვლევს ამ პრობლემას, საეხებით დამაჯერებლად ასაბუთებენ, რომ დვალნი და ოსნი სრულიად განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისანი არიან. დვალეები იბერიულ-კავკასიურ ეთნიკურ სამყაროს მიეკუთვნებიან ენობრივად, მეცნიერთა ნაწილის აზრით, ნახურ-დაღესტნურ ჯგუფს, მეორე ნაწილის თვალთახედვით — ქართველურს. მართალია, დვალეთს ეკავა ცენტრალური კავკასიონის მონაკვეთი დარიალის ხეობიდან მამისონის უღელტეხილამდე, კავკასიონის მთავარი ქედის გაღალმა, მაგრამ უკვე ანტიკური ხანიდან პოლიტიკურად დვალეთი ქართლის სამეფოს, შემდგომ გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა და ეთნო-კულტურულად დვალეები, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ქართველები იყვნენ.<sup>22</sup> აღსანიშნავია, რომ კ. თორგოშვილიც აღიარებს, რომ დვალეების გაიგივება ოსებთან მცდარია. ის აღნიშნავს: „იმის მიუხედავად თუ ვინ იყვნენ დვალეები ენობრივად (ვეინახები თუ ქართველები), ისინი საქართველოსთან მჭიდრო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირში იმყოფებოდნენ, სახელმწიფო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით მასში შედიოდნენ“<sup>23</sup> და აი, სწორედ დვალეთში XIV საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება ოსთა თანდათანობითი მიგრაცია, ოსები სულ უფრო ინტენსიურად სახლდებოდნენ აქ. თავდაპირველად ამას ადგილობრივი მოსახლეობის და საქართველოს ადმინისტრაციის



(ერისთავის) წინააღმდეგობა ხდებდა, მაგრამ ზემოაღწერილ პროცესთა ზეგავლენით ეს წინააღმდეგობა კლებულობს და იწყება დვალთა ოსთავან ასიმილაცია. ნაწილი დვალებისა ამას გაურბის, კაკასიონის ქედის გადმოღმა გადმოდის, მაგრამ XIII საუკუნის დასაწყისისთვის დვალთა ოსებისგან ასიმილაციის, გაოსების პროცესი უკვე დამთავრებული იყო (იხ. ზემოდასახელებული ლიტერატურა).

ამრიგად, ისტორიული საქართველოს კუთვნილ ოლქთაგან მხოლოდ დვალეთში ხდება XIV საუკუნის პირველი ნახევრიდან ოსთა დამკვიდრება. რაც შეეხება კაკასიონის ქედის გადმოღმა, ე. ი. ძირითად საქართველოს, აქ ოსურია დასახლებები XVII საუკუნემდე არც ერთი და არანაირი წყაროთი არ არის დადასტურებული. მაგრამ XVII საუკუნეში ოსური დასახლებები საქართველოში თითოეუ ჩამოსათვლელი იყო, ისიც მხოლოდ დიდი ლიახვისა და თერგის სათავეებთან. XVII საუკუნის განმავლობაში და XVIII საუკუნეშიც ოსებს ქართლში ეკავათ მხოლოდ მდინარეების — დიდი და პატარა ლიახვების, მეჯუდის, ლეხურის, ქსნისა და თერგის სათავეები. არავის ხეობაში არ არის დადასტურებული არც ერთი ოსური სოფელი. როგორც ირკვევა, XVIII საუკუნის 30-იან წლებში შიდა ქართლის მთისწინეთსა და ბარში ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული სოფლები არ არსებობდა. ოსური მოსახლეობა შედარებით კომპაქტურია ლიახვების ზედა წელზე, ხოლო მეჯუდის, ლეხურისა და ქსნის ხეობათა სათავეებში სპორადულია, ე. ი. აქაურ ქართულ სოფლებშია გაფანტული<sup>24</sup>.

საინტერესოა, რომ ქსნის ხეობის მიმართ ასეთ დასკვნას ადასტურებს ცნობილი ირანისტი და ოსოლოგი ვასილ აბაევი:

«Исторические и языковые факты подтверждают, что поселение ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью произошло не так давно, примерно в пос-  
8. „ცისკარი“, № 5

ледние 200 лет. Они переселились из разных высокогорных районов Северной и Южной Осетии и принесли с собой мешанину говоров и наречий»<sup>25</sup>.

ქსნის ხეობის მიმართ საინტერესო დაკვირვებები აქვს რ. თოფჩიშვილს, რომელიც აქ მოსახლე გვართა სადაურობა-წარმომავლობის ანალიზის საფუძველზე ადგენს, რომ ქსნის ხეობაში ოსება განჩნდნენ მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულიდან. XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ოსები სახლობენ მხოლოდ მდინარის უკიდურეს ზემო წელზე მდებარე სოფ. ქამურში (შეად. ვახუშტი, ქცა, IV, გვ. 360). სხვა მონაცემებით XVIII საუკუნის მე-2 ნახევარში ქსნის ხეობაში ქართველებისა და ოსების შეფარდება ასეთი იყო: ქართველები აქ განსახლებულ კომლთა 81,3% შეადგენდნენ, ოსები — 18,7%. ამასთან, ოსები სახლობდნენ მხოლოდ ხეობის ზემო წელზე, ძირითადად ქამურში და ჭურთაში.<sup>26</sup>

ქსნის ხეობაში დადასტურებული სურათი, როგორც ჩანს, სათანადო წყაროთა ანალიზიდან საერთოა მთელი საქართველოსთვის. ამჟამად, რომ თვით XIX საუკუნის დასაწყისშიც ოსებს დაკავებული აქვთ მხოლოდ მდინარეების — დიდი და პატარა ლიახვების, მეჯუდის, ლეხურის, ქსნის, თერგის ზემო წელი და მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოდიან ისინი მთისწინაზონაში, ჩნდებიან არავის ხეობაში, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება ოსების უფრო ფართო განსახლება ბარის სოფლებშიც და სხვა ხეობებშიც.<sup>27</sup>

რაც შეეხება საქართველოში ჩამოსახლებული ოსების ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის გაფორმებას, ეს რუსეთის მთავრობამ მოახდინა XIX საუკუნის შუა წლებში, როდესაც საჭიროდ ჩაითვალა მთის მოსახლეობისთვის უფრო მყარი მმართველობის შექმნა და თუშებისთვის, ფშაველებისთვის, ხევსურებისთვის, მთიულ-მოხევეებისა და ოს-



ებისათვის ცალკე ადმინისტრაციული „ოკრუგების“ შედგენა. 1843 წლისთვის, სხვადასხვა ადმინისტრაციული გადაჯგუფებების შემდეგ, გაიხსნა „ოსეთის ოკრუგი“. საბოლოოდ ამ ოკრუგს მხოლოდ ორი უბანი შეერა – ჯავისა და პატარა ლიახვის – და იგი გორის მაზრაში შეიყვანეს. ტერიტორიულად ეს ოკრუგი მერმინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა და დიდი და პატარა ლიახვების ხეობათა ზემო წელს მოიცავდა.<sup>26</sup> თავისთავად ცხადია, მთიანი ზონის ოკრუგებს არავითარი ავტონომია არ გააჩნდათ და მათი დანიშნულება მთის მოსახლეობის უკეთ მართვა-დამორჩილების ორგანიზაცია იყო. ასეთი ვითარება გაგრძელდა 1917 წლამდე, რაც შეეხება იმ მოვლენების აღწერას, რომელთაც განაპირობეს 1922 წ. შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, მე მათ ამჟამად არ ვეხები, რამდენადაც ეს საკითხი დღეისთვის არსებულ მასალათა ამომწურავი გამოყენებით, თვალსაჩინოდ განიხილა და დამაჯერებლად შეაფასა ლ. თოიძემ თავის გამოკვლევაში – „როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ („მაცნე“ ბიბლიოთეკა, ისტორიის სერია, თბ. 1991).

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ზემოგანხილული ისტორია ოსთა საქართველოში

ჩამოსახლების სრულიად უწყვეტ ხდის, რომ თავის დროს შიდა ქართლში ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა ისტორიულად სრულიად გაუმართლებელი იყო. ოსური მოსახლეობა საქართველოში ჩნდება მხოლოდ XVII საუკუნის შემდგომ ხანებში და XIX საუკუნის შუა წლებამდე მისი განსახლების არე შემოიფარგლებოდა მხოლოდ შიდა ქართლის ძირითად ხეობათა ზემო წელით. მაგრამ მთავარი უფრო სხვაა: როცა არ უნდა ჩამოსახლებულიყვნენ ოსები, მათ დაიკავეს ისტორიული საქართველოს ძირძველი, საუკუნეთა მანძილზე პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და ეთნიკურად საქართველოს კუთვნილი მიწა-წყალი, ისინი აქ შემოსულ-შემოხიზნულნი არიან.

მათი აქ ცხოვრების ხანგრძლივობა, აქ გაწეული შრომა, აქ დაღვრილი ოფლი და ზოგჯერ ქართველებთან ერთობლივად დაღვრილი სისხლი მათ სრულიად ურყევ უფლებას აძლევს აქ ცხოვრებისა და ყველა მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობისა, მაგრამ მიწა-წყალი – და ამას ჩვენი ოსი თანამოქმენი უნდა დაეთანხმონ და შეეჩვიონ, – ეკუთვნის მხოლოდ ერთადერთს, საუკუნოვან მის მესაკუთრეს – ქართველ ერს. ამას ურყევად ადასტურებს ისტორია.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Ю. С. Гаглойти, Аланы и вопросы этногенеза осетин, Тб., 1966.
2. Ю. Кулаковский, Аланы по сведениям классических и византийских писателей, Киев, 1889.
3. История Северо-Осетинской АССР, Орджоникидзе, 1987, стр. 122.
4. ქართლის ცხოვრება, ს. უაუბნიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955, გვ. გვ. 12, 23, 47-48, 55-57.
5. იქვე, გვ. 150-157.
6. აფხაზავა, აღწერები და საქართველო. „მაცნე“ ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, 1991, №3, გვ. 7-26, №4, გვ. 33-59.
6. იქვე, „მაცნე“, №3, გვ. 9-16.

7. Б. В. Техов, Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви в I—VIII вв., Тб., 1987, стр. 76—94, შეად. გვ. 17, 18, 52.
8. აფხაზავა, დასახ. ნაშრ. „მაცნე“, № 4, გვ. 34-35, აქვე ლიტერატ.
9. Р. Г. Дзаттыати, Раннесредневековый могильник в селении Едыс (Южная Осетия), «Советская археология», 1986, № 2, стр. 198—208.
10. აფხაზავა, დასახ. ნაშრ. „მაცნე“, № 4, გვ. 36-38.
11. Р. Г. Дзаттыати, დასახ. ნაშრ., გვ. 208.
- 12 ქართლის ცხოვრება, ტ.1, გვ. 256-257,
13. Ю. С. Гаглойти, Аланы и





вопросы этногенеза осетин, Тб., 1966:

გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ცხინვალი, 1958, გვ. 106.  
14. История Северо-Осетинской АССР, стр. 142—144;

გ. თოგოშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 195-224.

15. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 251.

16. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 219-224.

17. ვ. გამრეკელი. XIII-XIV სს. მიწის საქართველოს ისტორიიდან; „მრავალთავი“, 1975, №V, გვ. 184.

18. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

19. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 296.

20. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 239.

21. ვ. გამრეკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 183-184.

М. К. Думбадзе, Б. Р. Ломинадзе, М. Д. Лордкипанидзе, К истории Нагорной Картли в V—XVII веках:

„საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“, 1983, გვ. 154-171.

22. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსტა ჩამოსახლების საკითხისათვის: წიგნში —

„ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, თბ., 1962.

В. Н. Гамрекли, Двалы и Двалетия в I—XV вв., Тб., 1961;

გ. ლამაშიძე, შუასაუკუნეების საქართველო-სა და ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა საკითხისათვის: „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, 1987, V, გვ. 3-7; 8. აფხაზავა, დასახ. ნაშრ., „მაცნე“, № 4, გვ. 41-52.

23. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 184-185.

24. ჯ. გვახალია, ქართველი და ოსი „ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის: „მაცნე, ისტორიის... სერია“, 1990, № 3, გვ. 7-12.

25. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1959, стр. 501.


26. რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნო-ისტორიული საკითხი (XVIII-XX სს): „მაცნე, ისტორიის... სერია“, 1987, №4 გვ. 29-45; მიხივე, ისტორიის შეგნებული გაყალბება თუ...: „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 19. 1.

27. ჯ. გვახალია, დასახ. ნაშრ., გვ. 13-14;

რ. თოფჩიშვილი, ისტორიის შეგნებული გაყალბება თუ...

28. ჯ. გვახალია, დასახ. ნაშრ., გვ. 14 15.





ბონდო არველაძე

# აბაკი და ქართულ-სომხური ურთიერთობანი

აკაკი წერეთელი პირადი მეგობრობით და ინტენსიური საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დაკავშირებული ცნობილ სომეხ დრამატურგთან გ. სუნდუკიანთან. ეს ურთიერთპატივისცემა და სიყვარული ორი ერის საუკეთესო შვილებისა ერთგვარი სიმბოლური გამოხატულება იყო ქართველი და სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლობისა და მარადიული ძმობისა. აი, რას წერს ი. გრიშაშვილი მათი მეგობრობის შესახებ: „საზოგადოდ აკაკი დიდი მეგობარი იყო სუნდუკიანისა და მისი ტიპებისა. თავის დროზე ვის არ უნახავს ეს ორი ადამიანი ერთად ხელკავით მოსიარულე რუსთაველის პროსპექტზე? ვინ იცის რამდენჯერ ულაპარაკიათ, აკაკი ჭეშმარიტად მეგობრული გრძნობით იყო გ. სუნდუკიანისადმი გამსჭვალული. ეს ძმური დამოკიდებულება რელიგიურად გამოიჩნდა აკაკის მიერ გ. სუნდუკიანისადმი მიძღვნილ ლექსებში.

გვინდა, მოვიტანოთ აკაკის მოგონების ერთი ნაწყვეტი გ. სუნდუკიანზე, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „თემში“, 1912, №64. აკაკის მოგონების ამ ნაწყვეტში კარგად ჩანს სომეხი დრამატურგის პოეტური სული და ბუნებისადმი სიყვარული. თბილისური გაზაფხულის ადრიანი დილაა. აკაკი დინჯად მიაბიჯებს მიხაილოვის პროსპექტზე (ამჟამად დავით აღმაშენებლის პროსპექტი — ბ. ა.). მუშტაიდში, შუაგულ ბაღში ალისფერ ყვავილებად გადაპნტილ ატმის ხის ქვეშ თვალი მოკრა გაბრიელ სუნდუკიანს, რომელიც მუხლმოყრდილი და ხელებ-აპყრობილი ქანდაკებასავით იდგა: „მე შეკერთი, — იგონებს აკაკი, — გადარეულამეთქი, გავიფიქრე... ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა აღტაცებული გაბრიელი და მომავყირა: „აკაკიჯან, აქ რას უზიხარ? წამოდი რა გაჩვენო, — დამავლო ხელი და მიმიყვანა ატმის ხესთან, — ამას ვერ ხედავ? რატომ არ დაეშობი და თაყვანს არ სცემ მშვენიერების გამჩენს? მე კი ეს ერთი ხანია, ყოველ დღით მოვდივარ და ვლოცულობ“.

აკაკის მოგონება ნათლად მეტყველებს გ. სუნდუკიანის დიდ პოეტურ სულზე, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე წარმართივით ეთაყვანებოდა ბუნებას და მის მშვენიერებას.

ქართული  
სომხური

შეიძლება ითქვას, რომ გაბრიელ სუნდუკიანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სომეხი მწერალია საქართველოში, ქართველი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილების ეს სიყვარული გ. სუნდუკიანმა უთუოდ დაიმსახურა არა მარტო თავისი შემოქმედებით, არამედ კეთილშობილური, მიმზიდველი პიროვნებით. იგი თავის ერს მუდამ მოუწოდებდა ქართველი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემისაკენ. ამავე დროს, შთააგონებდა ქართველი ხალხის მიერ სომეხი ერისადმი ძნელბედობის ქაშს უანგარო დახმარების სამაგიერო მადლიერების მაღალ გრძნობას. ამ თვალსაზრისით, გ. სუნდუკიანი თვითონ აძლევდა მაგალითს თავის ერს, როცა რაფიელ ერისთავის იუბილეზე განაცხადა: „მოგახსენებ ჩვენი გვარის მაგიერად, ჩვენ, საქართველოში აღზრდილი სომეხები, ქართული მიწით ვართ გაზრდილი, ჩვენ საქართველოს ჭირისა და ღვინის თანაზიარნი მუდამ ვყოფილვართ და ვიქნებით“ (კრებ. „საერო დღესასწაული“ 1899, გვ.3). კიდევ უფრო ამაღელვებელი და მადლიერების გრძნობითაა აღსავსე გ. სუნდუკიანის წერილი, რომელიც გამოაქვეყნა „პეპოს“ დადგმის ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით: „მოწყალეო ხელმწიფეო, ბატონო რედაქტორო! ორმოცდაათი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ჩემი კომედია „პეპო“ პირველად დაიდგა სცენაზე, რაც ქართულმა და სომხურმა თეატრმა იდღესასწაულეს ამ დღეებში. მე მივიღე მრავალი მილოცვა, როგორც კერძო პირთაგან აგრეთვე საზოგადოებათაგან და დაწესებულებათაგან, მილოცავდნენ თბილისიდან, რუსეთის საბრძანებლის მრავალი კუთხეებიდან და თვით საზღვარგარეთიდანაც. მე ვშრომობდი, ორი ჩემი სამშობლოს თანაბრად ძვირფასი ერის ქართველი და სომეხთა სტენისთვის. მე ვცდილობდი, ჩემს ნაწარმოებში გამოემხატა უმაღლესი საერთო კაცობრიული გრძნობანი და აზრნი“ (გაზ „ცნობის ფურცელი“, 1901, №4 მაისი).

საქართველოსადმი ასეთი დამოკიდებულების გამო ბუნებრივად ჟღერს აკაკის მიერ გ. სუნდუკიანისადმი მიძღვნილი მეგობრული სიყვარულით აღსავსე სტრიქონები. პირველი ლექსი ქართველმა პოეტმა გ. სუნდუკიანს მიუძღვნა 1901 წელს; იგი გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“.

ამ ლექსში აკაკიმ სომეხი ხალხის სულიერ მოძღვარს გ. სუნდუკიანს გაუზიარა და პოეტური სტრიქონებით აუწყა თბილისის სომხური ბურჟუაზიის უმადურობა, ბურჟუაზიისა, რომელიც სომეხ მწერალს გაშიშვლებული ყავს თავის დრამატურგიაში; ყველაზე უკეთ მან დაგვიხატა თბილისის მეგობრულ ბურჟუაზიის მტაცებლური ბუნება ბრილიანტოვებისა და სხვათა სახით.

1910 წელს შეუქმნია აკაკის ძმური სიყვარულით აღსავსე ლექსი — „გ. სუნდუკიანს“. პოეტი ამ ლექსში, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი გულთაღობით, წრფელ ძმობას უცხადებს სომეხ დრამატურგს. ამ ლექსის ცნობილი სტრიქონები ანდერძივითაა გადასული ქართველ და სომეხ ხალხში.

გ. სუნდუკიანის ცნობილი პიესა „პეპო“ 1871 წელს შეიქმნა. ეს პიესა, ისევე როგორც გ. სუნდუკიანის სხვა ნაწარმოებები, თბილისის მეცხრამეტე საუკუნის შუახანების ცხოვრებას ასახავს. ამ პიესას შედარებით ფართოდ შევეხებით, რადგან ის ყველაზე ტიპურად და რეალურად ასახავს საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებას ხსენებულ პერიოდში. ამავე დროს, ამ ნაწარმოების შესახებ ქართულ კრიტიკაში არაერთგვაროვანი აზრი იყო გამოთქმული. ამ შეხედულებათა შორის აკაკის ეკუთვნის ყველაზე სწორი და ჭეშმარიტი აზრი.

ვიდრე აკაკის მოსაზრების განხილვაზე გადავალთ, აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძემ სომეხ მსახიობ გ. ჩიმიშკიანთან კამათში ეს პიესა („პეპო“), მართალია, კრიტიკულად განიხილა, მაგრამ იქვე აღიარა: „ჩვენს ქართულ რე-

პერტუარში, ნათარგმნთა გარდა, „პეპო“ ბევრს პიესას სჯობია“ (ტ. გვ. 198). ვალ. გუნია ამ ნაწარმოებს თავისი მხატვრული ღირსებით გ. სუნდუკიანის მეორე პიესაზე, „ხათაბალაზე“ დაბლა აყენებდა, უფრო მეტიც, პეპოს მხატვრულ სახეს ის ნამალადევად, ხელოვნურად თვლიდა. მისი აზრით, პეპოს სახე არადაძაჯვრებელია, ხოლო სოციალურად ასეთი ტიპი თბილისის სინამდვილეში მოულოდნელია და არაცხოვრებისეული (ქართული თეატრი (1878-1889 წწ.), 1889წ. გვ. 71-72).

განვიხილოთ აკაკის შეხედულება „პეპოს“ შესახებ. აკაკის აქვს საკმაოდ ვრცელი წერილი, რომელშიც საფუძვლიანად არის განხილული ეს პიესა და დახასიათებულია მისი გმირები. 1901 წლის გაზ. „ივერიაში“ (№170) მოთავესებულია აკაკის წერილი: „პეპო ხონში“. 1901 წლის 25 ივლისს ეს პიესა ხონში წარმოუდგენიათ სახალხო თეატრში სცენისმოყვარეებს. სპექტაკლს დასწრებია აკაკი და წარმოდგენით მიღებული შთაბეჭდილებანი და ფიქრებია გადმოცემული მის სტატიისში. აკაკი მოხიბლულია როგორც პიესით, ისე შემსრულებლებით: „ობოლი მარგალიტი, სადაც უნდა იყოს, თავისს ღირსებას არ დაკარგავს. გინდ მდიდრის ფარჩ-ღიბაზე ეკეროს და გინდა ღარიბის ძონძე“, — წერს აკაკი. პირველად აკაკის, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეპარვია ქალაქის ცხოვრებაზე აგებულ პიესას სცენაზე როგორ წარმოადგენდნენ იმერლები, რომელთაგან, ზოგიერთს თბილისი, ალბათ, თვალთაც არ უნახავსო. „ხონელები საზოგადოდ ტიპური იმერლები არიან: სიცოცხლით სავსე, მკვირცხლი, მოძრავი და სხაპასხუბით მოლაპარაკე და „პეპოში“ კი ქალაქელები არიან დასახული, დინჯი და ენაბრტყელები. როგორ მოახერხებენ იმათ გამოხატვას სცენისმოყვარეები, მაშინ როცა ზოგს იმათგანს სოფლიდან ფეხი არ გაუდგამს და არათუ ქალაქელი ვაჭრები და კინტოები, თვით ქალაქიც კი თვალთაც არ უნახავს? ვფიქრობდი გუნებაში, მაგრამ შევცდი. თვით ჩვენი საყვარელი სათონი ავტორიც რომ დასწრებოდა წარმოდგენას, უეჭველად იტყოდა: ესენი ხომ ნამდვილი ჩემი ნათლულები არიან, მაგრამ, რა სხვანაირად უქცევენ კილოს?“

როგორც ჩანს, სცენისმოყვარე მსახიობებს ქალაქური დიალექტი ვერ ათვისებიათ და სცენაზე პიესის გმირები იმერულად უქცევდნენ. პეპოს როლი ექიმ ჩხიკვიშვილს შეუსრულებია, რომელსაც როლის ძირითადი აზრი სწორად ვერ გადმოუცია. „ექიმი ჩხიკვიშვილი გამოვიდა სცენაზე, მაგრამ ის პეპო და ყარაჩოლელი მეთევზე ვერ გამოგვისახა, — შენიშნავს აკაკი, — მაგივრად საუცხოოო ტიპი გაგვითვალისწინა დღევანდელ პეპო-ინტელიგენციისა“.

შემდეგ აკაკი საფუძვლიანად განიხილავს პიესის იდეურ შინაარსს, მის სოციალურ ხასიათს და გვაძლევს მეტად ორიგინალურ და საინტერესო დაკვირვებას. ეს დაკვირვება იმითაც არის საინტერესო, რომ ამ თვალსაზრისით „პეპო“ აკაკის თანამედროვე არც ერთ ქართველ მწერალს არ შეუფასებია. „პეპო ჩვენი ქვეყნის საზოგადო ტიპია. საქართველოს მიწის შვილი, ძვირად მოიპოვება მისთანა, რომ ცოტად თუ ბევრად, პეპოობაში წილი არ ედევას. ის ყოველ წრეშია და ყოველ წოდებაში. პეპობის საძირკველი ყველასი ერთია; მხოლოდ თვით შენობა, ე. ი. ზორცშესხმულობა წრისა და წოდების შესაფერისად სხვადასხვაგვარად იხატება“. აკაკი ცდილობს პეპოს სოციალური ადგილი მოუნახოს: „ვინ არის საზოგადოდ პეპო? სახარების ქრისტიანი, რომელიც მაცხოვრის ბრძანებვისამებრ, ხვალისათვის არა შფოთავს, არა ზრუნავს. სჯერდება მხოლოდ დღევანდელ დღეს. ეს დღე ხომ ჩემ ხელთ არის, „ხვალესაც“ ვნახავთ და შესაფერად მოვიქცევით!.. ამბობს... იმედი აქვს ჯერ ღვთისა და მერე თავისის, საკუთარ ჰალალ მარჯვენის, რასაც იშოვის და მოიმკის დღიურად მით კმაყოფილია“. შემდეგ გადმოცემულია განსხვავება პეპოსა და მის ერთ-ერთ პროტოტიპ ლობი-



საქართველო  
საქართველო

ანას შორის: ბნ სუნდუკიანცის ყარაჩოღელი — პეპო დიდად განსხვავდება მოქმედებებში. ფე კინტო-ლოპიანასაგან, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობს ნეტარებას, როცა „საყვარელი ზედ წამწამზე უზის და ორთაჭალის ბაღში ქეიფობს“. აკაკი ამ ტიპის საპირისპიროდ შენიშნავს, რომ: „პეპო ყველგან პეპოა, სადაც კი ჰალალი შრომა ამოძრავებს!.. და თავისი თავისაც თვითონვე იცის, არავის არ დააჭერს ფეხს, მაგრამ არც თვითონ ვისმე გაუთელება. მალა ღმერთი სწამს, დაბლა ადამიანობა. მისი მოქმედება ლოცვაა, მაცხოვრის მონიჭებული „მამაო ჩვენო...“

პეპოს შემდეგ აკაკი გადადის პიესის მეორე გმირის კაკულის სახის დახასიათებაზე. „ახლა გადავიდეთ პეპოს ამხანაგ ძმობაზე, კაკულიზე. ის კი ვინლა? კინტოა, პეპოს მიმდევარია, მისი თანამგრძნობი, ლხინში წამახალისებელი, ჭირში გამამხნეველები და გაჭირვების დროს სულისაც კი არ დამოშოველი და დამჭერი. მის უკანასკნელ ვერცხლის ქამარს, სიკვდილის საფასურს, სულის საინდერძოდ აძლევს პეპოს: „აჰა, სხვა ნივთებთან ერთად, თუ არ გყოფნის, რაცა გაქვს შენი, ეს ქამარიც მიუმატე. ვაჰყიდე და ალა არუთინას კი ნუ დააჩავგრინებ თავსაო“.

აკაკი ერთგვარი გულდაწყვეტით და სინანულით შენიშნავს: „დღეს როცა ძველებურმა ყოლიფერმა იცვალა სახე, კინტოობაც ვახუნდა და პეპო-კაკულეები გაძვირდნენ. მაგრამ ადრე კი მათი იყო ბურთი და მოედანი“. პოეტი პეპოსა და საზოგადო მოღვაწეობას შორის პარალელს ავლებს და დაასკვნის, „ეგებ იფიქროს ვინმემ სად შეთევზე და სად მოღვაწე ინტელიგენციო?.. ნამდვილი საზოგადო მოღვაწე იგივე პეპო არ არის, ჩვენი ცხოვრების მორევის პირად მიმდგარი? მისი შეუპოვარი და სამართლიანი, ქვეყნის გამოსაფხიხლებლად განატყორცილი სიტყვა იგივე ბადე არ არის, სადაც თევზებიც ებმიან და გველ-ბაყაყინიც? თვით უდიდესმა მომღვარმა მეთევზეები არ აირჩია პირველი მოწაფეებად! „დღეს თქვენ სათხევლით იჭერთ თევზებს და ამიერიდან მე დაგაჭერინებთ კაცებს მათდავე საბედნიეროდ“.

აკაკი წუხს, პეპოები იშვიათობად იქცნენ და მომრავლდნენ ზიმზიმოვები, ასეთი ადამიანები მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ და საზოგადო არაფრად უღირთო. „დღეს, ვიშეორებ, პეპო-კაკულობა ყველგან იშვიათია, სამაგიეროდ წელში გაიმართა ალა-არუთინობა და ზიმზიმოვობა და გამრავლდა — ვინ არიან ეს ვაჰბატონები? ის ინტელიგენტები, რომელნიც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრობენ და ყოველივე საზოგადო კი მათთვის საპირბადო და საფარისეველია“.

ამ დროს „პეპოები“ და „კაკულები“ ჯერ კიდევ არ იყვნენ გადაშენებულები და თითო-ოროლა იყო შემორჩენილი ქართულ საზოგადოებაში და, კერძოდ, ინტელიგენციაში. აი სწორედ ეს უკანასკნელი მოპიკანები უნახავს აკაკის ზონის თეატრის სცენაზე განსახიერებული: „სწორედ ამგვარი პეპო დაგვანახა ბ-მა ჩხაკიშვილმა ზონის სახალხო სცენაზედ. ისეთის ნაღვლიანის კილოთი იმეორებდა პეპოს მონოლოგს არუთინ-ზიმზიმოვების შესახებ, რომ ეტყობოდა ბევრი მათგანი უნახავს ჩვენს ინტელიგენტებში და იმათ იღებდა ნიშანშიო.“

დიახ, პეპობამ გამოიყვანა დარბაისელი ექიმი სცენაზე და თუ ხელოვნურად არა, გულწრფელად მაინც ითამაშა სხვების საგულისხმოდ და სამაგალითოდ“.

აკაკის მიერ პეპოს და კაკულის მხატვრულ სახეთა შინაარსის გაგება და ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, ზედმიწევნით ზუსტია და ჭეშმარიტი.

აკაკი წერეთლის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოძვე სომეხი ხალხის მწერლობის, ისტორიის და, საერთოდ, სომხური კულტურის შესახებ შექმნილ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებს. ეს ბუნებრივიც

განსაკუთრებული

არის, რადგან პოეტი თავისი ბუნებით იყო მეზობელ ხალხთა განსაკუთრებული მოყვარული და პატივისმცემელი. ამ მხრივ იგი ყველაზე მეტ ინტერესს სომეხი ხალხის სულიერი საგანძურისადმი იჩენდა, პირუთენელი ობიექტურობით აფასებდა სომეხი მშრომელი ხალხის საუკეთესო თვისებებს. სომეხი ხალხის შრომისადმი თავდაუზოგავ მოყვარულს ის განსაკუთრებით გამოეყოფა და მას ქართულ რაინდობას უპირისპირებდა: „რაინდული დრო თუმცა დიდი ხანია წავიდა, მაგრამ ჩვენ ქართველები კი მაინც არ ვიშლით რაინდობას. მუშაობას. შრომას ვერაღებთ და ისიც აღარ გვინდა, რომ სხვები რამეს იძენდნენ და ჩვენ დანაკარგსაც ხელში იგდებენ. ბატონობა არ არის ეს, მაშ რა არის? და მერე როგორი უსამართლო და უსაფუძვლო ბატონობაც,“ წერდა აკ. წერეთელი 1874 წელს 22 ნოემბრის გაზ., „დროებაში“ (№ 950). პოეტი გულისტკივლით განაგრძობს, რომ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ სძინავს და გამოღვიძებას არ აპირებს. მხოლოდ ასეთი საყვედური შეიძლება გაიგონო ქართველებისაგანო: „ჩვენი სატახტო ტფილისი წავკართვეს, ჩაიგდეს ხელში სომეხებმა! ამან კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს: მეონი საქართველოში შიგა-და-შიგ რაც უპირველესი მამულები იყო დაისაკუთრესო და სხვა...“ ამგვარი სინამდვილით გაღიზიანებული პოეტი ქართველი ხალხის გამოღვიძებას ცდილობს და მწარედ ამბობს: „ქართველ ხალხს ჯერ სძინავს, გამოღვიძებას არ აპირებს. იმერეთი, თუმცა ფზიხელია და მუშაობს, მაგრამ შეძენისთვის კი არა სხვისი დაკლებიხათვის, ასე რომ თვითო ყველას მღვენელი და მტერია და ყველა ერთად კი თვითოსი. გურული კოხტაობას უნდება და ჩანჯურს ღიღინებს მრავალ-ჟამიერებით. მგვრელი თავის მალალსა და ხერხიან ნიჭს წვრილმანობაზე ჰხარჯავს და სვანს ჯერ კიდევ კომბალი არ გადაუგდია ხელიდამ. ამგვარ მღვომარეობაში, რომ სომეხებმა ერთმანეთს ძმურათ ხელი მოჰკიდონ, ერთმანეთს დაეხმარონ და არათუ თავისი რამე დაჰკარგონ, ჩვენი დანაკარგიც მონახონ, საყვედურს ვეძმართლებით?

რომ რამე მატერიალური სარგებლობა შეეძლოს, დარწმუნებული ვარ, რომ სომეხები ჩვენ დედა ენასაც ხელში ჩაიგდებენ და მაშინ ნაცულად იმისა, რომ ჩვენ ჩვენი ქართული ენა არ დაგვეკარგა, დავიწყებდით საყვედურს, თავის გასასამართლებლად: „წავკართვეს ჩვენი დედა ენა სომეხებმა, ჩაიგდეს ხელში. დაისაკუთრეს და სხვ“.

აკ. წერეთელი დიდი მამულიშვილი იყო და ამიტომ სიმართლეს, მწარე სიმართლეს ეუბნებოდა თავის მშობელ ერს, რადგან იცოდა, „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. მას ამ წერილში მოაქვს არაერთი კონკრეტული მაგალითი მწერლობიდან. აი, ერთი მათგანი: „რაც ტერ-დავით იარალიანელს კომედიები აქვს მშვენიერ-ქართულით ნათარგმნი, ჩვენ საზოგადოთ ახალ განათლებულებს სიზმრადაც არ მოგვეჩვენება, ეს რისი მიზეზია? მისი, რომ ისინი სომეხები არიან, შრომის მოყვარულნი და ჩვენ კი ქართველები – რაინდები!!!“

ამ წერილის („ლუკმა გაეარდეს ჯამში ჩავარდეს“) ერთგვარი გაგრძელებაა აკ. წერეთლის მეორე სტატია „თავის თავს უნდა ჰკავდეს“ (გაზ. „დროება“, 1887, №7, 15 აპრილი). აკ. წერეთელი აქაც პირუთენელად ამხელს ქართველთა ნაკლს, მაგრამ არც თბილასის სომხურ პლუტოკრატიათა ზოგავს; ამხელს, საამ-კარაოზე გამოაქვს ქალაქის თვითმმართველობაში მოკალათებულ ამ მდიდართა ანტიქართული საქმიანობა და შენიშნავს: „დალოცვილი სომეხები, როცა მათთვის მოსახდენია ყოველთვის ძმობა-ერთობაზედ ჰყვირიან და როცა აღარ ჭირდებათ, მაშინ კი ბატონობაზედ ხელს არ იღებენ“.

აკაკი წერეთელმა ხმა აღიმალა ქალაქის თვითმმართველობის არაკანონიერი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რითაც პირველ რიგში იმერეთიდან საშუ-

საქართველო  
საქართველო

შაოს საქმენად ჩამოსული გლეხები იჩაგრებოდნენ. „ჩვენ ვამბობთ იმ იჯარის თაობაზე, — წერს აკაკი აღნიშნულ წერილში, — რომელიც ქალაქის გამგეობამ მიანდო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს (?) უ. გურგენბეგოვს და რომლის ძალითაც საწყალ იმერლებსა და მუშა ქართველებს უწყალოდ ჰგლეჯენ. წარსულ წელს გაზეთებმა „დროებამ“ და „თფილისის მოამბემ“ ბევრჯელ მიაქციეს ქალაქის გამგეობის ყურადღება, მაგრამ გამგეობას ყურაც არ გაუპარტყუნებია და მოიჯარადრები თავისას არ იშლიდნენ. ეს მოასწავებს, რომ გამგეობა მათ მოქმედებას თანაუგრძნობს, თორემ როგორ არ განსახდვრა მოიჯარადრის უფლება საბრალო მუშების შესახებ? აქ მხოლოდ ქართველების და მოსამსახურე ჩინოვნიკების ინტერესი იჩაგრება, სომხები არაფერს ჰკარგავენ და ეკონებ მისი მიზეზია, რომ ქალაქის გამგეობა გულგრილათ უყურებს ამ ალა-მაჰმად-ხანურ საქმეს“.

ქალაქის თვითმმართველობის ამგვარი უკანონობის წინააღმდეგ თბილისის სომხურმა პროგრესულმა პრესამ რომ ხმა არ ამოიღო, აი, ეს უკვირს აკაკი წერეთელს. განსაკუთრებით გაზ. „მშაკის“ დუმილით არის განცვიფრებული: „სომხურ გაზეთებს ხმა არ ამოუღია და ეს გვაკვირებს ჩვენ. განსაკუთრებით „მშაკის“ მხრით. მაგრამ იმათ უფრო სხვა ინტერესები აქვთ ეტყობა. მკითხველებმა უთუოდ იცნან, რომ თფილისში, ისე მუშაობა არ შეუძლიათ იმერლებს და ქართველებს, რომ პირველად თითო მანეთი არ გადაუხადონ გურგენბეგოვს!“.

შემდეგ მოტანილია რამდენიმე შემთხვევა თუ როგორ დაიჭირეს სალდათებმა იმერელი გლეხი თბილისში, წაართვეს მანეთი და გაუშვეს. ამგვარი მოქმედებით აღმფიქვებული პოეტი პროტესტს აცხადებს და ასეთი ირონიული სიტყვებით ამთავრებს სტატიას: ალბათ, უკეთესია იმერლებმა და ქართველებმა ზურგზე ქალაღი მიიკრან ამგვარი წარწერით: „რადგანაც ქართველად დავბადებულვარ, ნება არ მქონდა უჯარიმით თფილისის ქუჩებზედ სიარულისა, მაგრამ მანეთი გადახდილი მაქვს და ნულა დამიჭერთ“. ეს იყო მწარე სინამდვილე, რომელიც თბილისის სომხურმა ბურჟუაზიამ შექმნა.

აკ. წერეთლის „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ამ უკანასკნელ წერილს ახლა უკვე გამოეხმაურა გაზ. „მშაკი“, მაგრამ, სამწუხაროდ, აკაკის მიერ მდიდარი სომხების გაკრიტიკება სომხურ გაზეთის მთელი სომეხი ერის შეურაცხყოფად მიუღია. ამის გამო, აკ. წერეთელი განმარტებას აქვეყნებს გაზ. „დროების“ 1875 წლის 19 იანვრის ნომერში (12 № 9), სათაურით: „ჩვენ რა ვსტყვი და ისინი რას ამბობენ“. აკ. წერეთელი გაკვირვებულია გაზ. „მშაკის“ ამგვარი პოზიციით და წერს: „დროების №7-ში ჩვენ დაუპყმეთ ქალაქის გამგეობის და მისი თანამგრძნობი სომხების მოქმედება და თანაც ეს დაეძინეთ, რომ სომხების გაზეთების და განსაკუთრებით „მშაკისაგან“ გვიკვირს, ამავე საგანზე ხმის ამოუღებლობა თქო! თორემ, თუ ეს ასე არ ყოფილიყო, და მშაკელებიც მათთანა სომხებათ ჩაგვეთვალა, მაშინ რაღათ გაგვიკვირდებოდა ხმის გამოუღებლობა?“

არა თუ ფილოსოფოსი (იგულისხმება გაზ. „მშაკის“ რედაქტორი გრ. არ-წრუნი (1845-1898), რომელსაც უმაღლესი ფილოსოფიური განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. — ბ. ა.), უბრალო მომთაყვანე უნდა მიმხედარიყო თუ რას ნიშნავდენ ეს სიტყვები... ნუთუ ცხადად არა სჩანს აქედან ის, რომ სომხის გაზეთების გამომცემლები, მათი მიმდევრები და განსაკუთრებით „მშაკელები“ არ მიგვაჩნია იმ სომხების თანამგრძნობლად და თანასწორათ, რომელნიც ჩვენ დაუპყმეთ?..“

პოლემიკური სიმძაფრე თანდათან ძლიერდება აკაკის ამ წერილში, მაგრამ პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ობიექტურობის გრძნობა არ დალა-

ტობს. აკრიტიკებს რა გაზ. „მშაკს“, იგი ერთგვარი სინანულითაც კი შენიშნავს: „ჭე! სჩანს, რომ „მშაკს“ მთელს სომხის გვართ მიაჩნია ის ქალაქის სომხები; რომელნიც ჩვენ დაუკამეთ? თუ ასეა, ეტყობა, რომ ძალიან უხეიროდ ესმის სომხის გვარობა. და გვიკვირს ამის შემდეგ, როგორღა გვეუბნება, სად არის ნათესაობა, შეერთებულის სიმძლავრით წინ წასვლად და სხვ. მაშინ, როდესაც ის მომზრე და ერთობის მქონი ჰყოფდა იმ სომხებს და იმ სომხებში ხედავს მთელს სომხეთის გვარს, რომელთაც ქართველები გასაპარსავ ცხვრებად მიაჩნიათ“.

გაზ. „მშაკი“ იყო პროგრესული სომხური ორგანო და თავისი დროის მოწინავე პოზიციებზე იდგა. გაზეთი გმობდა თბილისის გამგეობის არასწორ გადაწყვეტილებებს. ამ გარემოებას თვით აკაკიც აღნიშნავს: „მშაკი“ გამოტყვილია, რომ თვითონაც დაუგმია ქალაქის გამგეობა და მათი მიმყოლი სომხობა; ეს ნიშნავს, რომ არ მოსწონს, რაღა თქვამავენ? და მერე რანაირად, თითქოს მართლა ისინი შეადგენდნენ სომხის მთელს გვარობას?!.. ან თვითონაც არ ესმის რას ამბობს და ან ჩვენი მოტყუება უნდა...“

მწვავე პოლემიკური ხასიათისაა აკ. წერეთლის სტატია – „მშაკის“ რედაქტორს“, რომელიც გამოქვეყნდა 1878 წლის 24 დეკემბრის ნომერში (№265). აკაკი თბილისის პროგრესულ ინტელიგენციას, გრ. არწრუნის მეთაურობით, საყვედურობს, მართალია, ქალაქის გამგეობის არჩევნებში მათ ხმა არ მისცეს მდიდარი ბურჟუაზიული სომხური საზოგადოების წარმომადგენლებს, მაგრამ მათთან ერთად გააშაკვეს ქართველებიცო. მას უპასუხა გრ. არწრუნმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, სომეხი ვაჭარი ერის ნაწილს შეადგენსო, მართალია, გაფუჭებულს და გადაგვარებულს, მაგრამ იგი მაინც სომხური ერის წარმომადგენელიაო. კიდევ უფრო მეტი, მართალია ისინი, სომეხი ვაჭრები, უციცლები არიან და დასაგმობი ხერხებით ცხოვრობენ, მაგრამ „განათლებულიც რომ იყვნენ, მაშინაც ვალდებულნი არიან საზოგადოდ არა იქონიონ-რა ქართველებთან ქალაქში, რადგან თფილისის –ქალაქი დღეს სომხებისააო. მართალია საქართველოშია, ძველი ქართველების სატახტო ყოფილა, მაგრამ ისტორიულ სიმართლეს რა ძალა აქვს, უარვყოფ და თბილისი მაინც სომხების არისო“.

აკაკი ეკამათება გრ. არწრუნს და გულანატყენი შენიშნავს, დღემდე თბილისი ისეთივე ქალაქი მეგონა, როგორიც ხარკოვი, ოდესა, მოსკოვი და კიევიო. ე. ი. გამოდის, რომელ ქალაქშიც სომხები ცხოვრობენ, ის ქალაქი მათ ეკუთვნისო. „პატრიოტობა თუ გინდა აბა ეს არის, რამდენი სასომხეთი გამოაჩინა!!!“

სადაც კი სომეხს არშინი შეუტანია, ყველა „ჰაისტანი“ ჰგონია უ. არწრუნს!“... – დასძენს აკ. წერეთელი და საყვედურობს გრ. არწრუნს – რა არის ქართველ ხალხს რომ უკაფინებ – კომერციის ნიჭი არ აქვსო-და იქვე უმატებს: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქართველ ხალხს ნიჭი გამოეჩინოს იმ გვარ კომერციაში, როგორიც არის; ყალბი სასწორ-საზომი, კოტრობის გამოგონება და ცეცხლით ფულის მოგება! უმჯობესია სულ მოისხოს საქართველოს ხალხი, ვიდრე მონაწირობა და ქვეყნის გლეჯა ხელობათ გაიხადოსო“...

როგორც ჩანს, ხუთი ათას თბილისელ ხელოსანს არჩევნებში განგებ არ მიაღებინეს მონაწილეობა, რადგან ისინი ქართველებს მისცემდნენ ხმასო; მეორეც, „აქ სხვა ხრიკები იყო, ხელოსნებში მრავალი ქართველია, რომელიც თქვენ არ გეპრიანებათ“, – წერს აკ. წერეთელი. იგი ამ წერილში იმოწმებს პეპოს და ამბობს: „მართალია, პეპოს თქმის არ იყოს, დღეს იჩაგრებიან ის დაბალი ხელოსნები დიდ და მდიდარ ვაჭრებისაგან, მაგრამ „საწყლის პატრონი ღმერთია“ ნათქვამია. ოდესმე პასუხს მოითხოვენ და თქვენც; არწრუნებო, გრცხვენოდეთ.



რომ ეკელღებით ვაჭარ-სომხობას, აქებთ იმათ მოქმედებას და ხელოსანი ვიღაც დაგიწყებოათ. ჩვენ კი, ჩვენის მხრით, იმით ვაფასებთ, და რამდენადაც თქვენი საქმე სომეხი ვაჭრები გვეშუს, იმოდენათ ხელოსანი გვიყვარს, რა ნაციასაც უნდა ეკუთვნოდნენ“.

აკ. წერეთელი თავის შემოქმედებაში განუზრელად ატარებს ერთ ხაზს — რამდენადაც პატივით მოიხსენიებს სომეხ მშრომელებს, იმდენად არ უყვარს ვაჭრები და ჩარჩები. რეცენზიაში „სომხური წარმოდგენა 14 სექტემბერს“ (გაზ. „დროება“ 1879, № 192) აკაკი განიხილავს სომხურ ისტორიულ დრამას „არშაკი“. ეს დრამა წარმოდგენილია თბილისის სომხური თეატრის სცენაზე. სპექტაკლს აკაკიც დასწრებია, მაგრამ ძალიან შეწუხებულია, ენა რომ არ ესმოდა, თუმცა მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონია, როცა შეატყო, თბილისში ახლად ჩამოსულ სომეხებსაც რომ არ ესმოდათ, სცენაზე რა ხდებოდა: „გუშინდელ იანცებსაც“ რო არა ეყურებოდა რა, ეს კი გასაკვირველი იყო... — წერს იგი.

აკ. წერეთელს ეკუთვნის წერილი — „თფილისის 5 თებერვალს“, რომელიც გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა 1880 წლის 7 თებერვალს (№ 29). ამ მცირე მოცულობის სტატიაში პოეტი ფიქრებს უზიარებს ქართველ მკითხველ საზოგადოებას, ესაუბრება მას. ის ერთგვარად ადარებს ქართველი და სომეხი ხალხის ეროვნულ თვისებებს და შესაშური პირუთვნელობით აღიარებს სომეხი ერის დადებით თვისებებს. ასეთი აღიარება შეეძლო მხოლოდ ისეთ დიდ მამულიშვილს, როგორც აკაკი იყო, რადგან ის მშვენივრად ხედავდა თავისი ერის შველთა ღირსება-ნაკლს და არ ეშინოდა თავისი ხალხისათვის სიმართლე პირში ეთქვა: „რომ ქართველი არ ვიყო, დიდი მოყვარული და პატივის მცემელი ვიქნებოდი საქართველოს სომხობის! საქართველოს გარეთ დღესაც კი მომწონან ისინი, რადგანაც არ შემიძლიან, რომ მათი ღირსება არ დავაფასო. ძვირათ შეხედებით მისთანა სომეხს, რომელიც შეძლების-და-გვარად, შემწეობას არ აძლევს თავის საზოგადო საქმეს. სხვები რომ არა ვახსენოთ, ისიც კმარა, რომ „არარატის“ საზოგადოებას წელიწადში ათას თუმნობით შეღის შესაწირავი. ყველგან შკოლები და შკოლები!“

ჩვენ ქართველები კი გადაქსაქსული ვართ, საქმეთ მიგვარნია ჩვენივე თავის დაუფასებლობა და ჩვენს თავს ჩვენვე დავსცინით, არა თუ რამეს ვაკეთებთ“.

აკაკი ქართველთ სამაგალითოდ უსახავს სომეხ მდიდარ ქველმოქმედთა საქმინობას და თავისი ერის შვილებს საზოგადო საქმის უანგარო სამსახურისკენ მოუწოდებს. რა თქმა უნდა, პოეტი აჭარბებს, როცა ქართველ ქველმოქმედთა ღვაწლს რამდენადმე აუფასურებს. „მაგრამ ქართველი რომ ვარ, არაფრად მეჭაშნიკება ქართველის გაბედნიერება და ეს განა ჩემი ბრალია?! ვიცი, რომ ვაკეთებული, გამდიდრებული ქართველი, არა თუ რას არგებს სამშობლოს, კიდევ აზარალებს!...“

ჩვენში, რაც რამ საზოგადო საქმეა, სულ ღარიბ-ღატაკების შრომითა და შემწეობითაა გაკეთებული და კეთდება“.

მწარედ, მაგრამ გულისტკივილით ნათქვამი სიმართლეა. ამ სიმართლით უნდოდა პოეტს მისი საყვარელი ერის გამოფხიზლება, რათა ჩვენს ხალხს დროის შესაფერად გამოეჩინა ცხოვრების ფხა და უნარი.

აკ. წერეთელს მშვენივრად ესმოდა, რომ, როცა ქართველი და სომეხი წაიჩხუბებოდნენ, მესამე ძალას უზაროდა მათი უთანხმოება და შუღლი. ეს აზრი მან გამოხატა ლექსში, რომელშიც გადმოცემულია ქალაქის თავის არჩევნების დროს ქართველ-სომეხთა ურთიერთ საარჩევნო ბრძოლა:

„რა“ და „ინჩა“ წაიჩხუბნენ  
და ერთმანეთს შავს უყრიან;

„ჩტო ტაკოვს“ ეცინება,  
 რომ ერთმანეთს ძირს უთხრიან.

1905 წელს არის დაწერილი აკაკის საკმაოდ მოზრდილი ლექსი — „პასუხად სომხებს“. ამ ლექსში პოეტი ძმურ საყვედურს ეუბნება სომხური საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს ქართველთაგან გაწეული ამავის დაუფასებლობის გამო.

მიუხედავად ზოგიერთი სომხის უმადურობისა, აკ. წერეთელი საერთოდ ხალხთა მეგობრობის, მითუმეტეს, ქართველთა და სომეხთა მრავალსაუკუნოვანი ძმობა-მეგობრობის განმტკიცების მომხრეა და შთააგონებს ყველას.

აკ. წერეთლის ცნობილი ისტორიული პოემა „თორნიკე ერისთავი“ გაზხეთ „ნობათის“ რედაქციამ 1884 წელს ცალკე გამოცა. ამის შემდეგ არაერთგზის გამოვიდა ეს დიდებული პოემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიული ამბავი. 978 წელს მთავარი ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა ბიზანტიის იმპერატორს, უფრო სწორად, დედოფალს და მის მცირეწლოვან ვაჟებს კონსტანტინეს და ბასილს. მან ძალიან შეაფიწროვა საბერძნეთი. დედოფალი იძულებული გახდა ქართველი მეფის დავით III კუროპალატისათვის მიემართა. მეფემ დასახმარებლად გაგზავნა ქართველთა ჯარი თორნიკე ერისთავის მეთაურობით. მეფის დავალება ქართველთა სარდალმა ბრწყინვალედ შეასრულა, ბარდა სკლიაროსი დაამარცხა და გაანადგურა. აი, ეს ძველი ამბავი დაედო საფუძვლად აკაკის პოემას „თორნიკე ერისთავი“. რადგან ამ ისტორიული ამბის მთავარი მოქმედი გმირების — მეფე დავით კუროპალატის, თორნიკე ერისთავის, ჯოჯოკისა და სხვების ქართველობაში ზოგიერთ სომეხ მკვლევართ ადრეც (XIX საუკუნეში) და ახლაც ეჭვი შეაქვთ, ჩვენ ამ საკითხს შედარებით ფართოდ შევვხებით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამ გმირთა ეროვნულობასთან ერთად სადავოდ არის გამხდარი მეფე დავით კუროპალატის სამეფო ტერიტორიის ქართველთა კუთვნილება. ეს მხარე არის ძველისძველი ქართული მიწა — ტაო თავისი ბრწყინვალე ქართული არქიტექტურული ძეგლებით (იშხანი და სხვა).

ბუნებრივია, თუ ტერიტორია არ არის ქართული, არც იქ არსებული ხეოთმოძღვრების ნიმუშები იქნება ქართული.

1945 წელს ერევანში რუსულ ენაზე გამოიცა ნ. ტოკარსკის ნაშრომი „Архитектура древней Армении“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორი იყო აკად. ი. ორბელი. ნ. ტოკარსკის ეს ყოვლად უნიადაგო და ობიექტურ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული მონოგრაფია მკაცრად გააკრიტიკა და მისი სიყალბე აკადემიური სიზუსტით ამხილა ს. ჯანაშიამ 1947 წელს.

სამწუხაროდ, ნ. ტოკარსკის გამოუჩნდა მიმდევარი. ეს არის ტ. მარუთიანი, რომელმაც 1978 წელს სომხურ ენაზე ერევანში გამოცა მოზრდილი მონოგრაფია „სიღრმეთა სომხეთი“. წიგნი სომხური არქიტექტურის ძეგლების სერიით არის გამოცემული. მასში სომხური ხეოთმოძღვრების ძეგლებადაა განხილული იშხანი, ოშკი, ხაზული, ბანა და სხვა. ტ. მარუთიანის ამ „ნაშრომს“ ჩვენ სპეციალურ რეცენზიას უძღვებით, ხოლო აქ კი განვიხილავთ მისი ამ „გამოკვლევას“ შესავალს, რადგან შესავალში ტ. მარუთიანი გულმოდგინედ ცდლობს ტაო, მეფე დავით კუროპალატი, თორნიკე ერისთავი, გრივოლ ბაკურიანი და სხვა სომხეთს მიაკუთვნოს.

თქმა არ უნდა, მარუთიანი ცდილობს ტაო-კლარჯეთის ისტორიაში ნაკლებად ჩახედული მკითხველის დაბნევას, რათა თავისი აკვიატებული აზრი როგორმე დამაჯერებელი გახადოს და თეთრი შავად მოაჩვენოს. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ მან, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ტაო-კლარჯეთი მარშპანობისა და არაბობის დროს უწყვეტლივ სომხეთის შემადგენლობაში მიაქ-

ცია. ავტორი ამ ძალზე მნიშვნელოვან საკითხს იოლად, ხელის ერთი დაკვირვებით წვევტს. და, რაც მთავარია, სასწორს მთლიანად თავის მხარეზე ხრის. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის ირგვლივ არსებობს მეცნიერთა განსხვავებული შეხედულებანი. პ. ინგოროვამ ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დაამტკიცა, რომ ნ. აღონცის, ვრ. ლაფანციანის შეხედულება — ტაო ძველი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეში დაკავშირებული იყო სომხეთთან, სიმართლეს არ შეეფერებოდა\*. ზოგიერთი მეცნიერი კი ტაოს სომხეთს უკავშირებს უფრო გვიან, მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით. ეს აზრი ემყარება სტრაბონის ერთი ცნობის მცდარ გაგებას, რაც უარყოფილია მეცნიერებაში. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ტაოს ერთი ნაწილი გარკვეულ პერიოდში, მართლაც იყო მოქცეული სომხეთის ფარგლებში. ეს გახლდათ იმიერ ტაო, რომელიც მამიკონიანთა სამფლობელოდ ითვლებოდა ამ დიდებული გვარის დაცემამდე. მაგრამ ტ. მარუთიანი ანგარიშს არ უწევს ისტორიის რეალურ სურათს და ჰაიპოთეზად მთელ ტაოს სომხეთის საზღვრებში აქცევს. იგი აცხადებს: სიღრმეთა სომხეთი ჩვენ წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებიდან დაწყებული მამიკონიანთა საგვარეულო სახლის მემკვიდრეობას შეადგენდა“ (გვ. 4). ჯერ ერთი, მამიკონიანთა გვარი ფლობდა იმიერ ტაოს და არა მთლიან ტაოს; მეორეც, ძირძველი ქართული მიწა იმიერ ტაო მამიკონიანებმა დაიკავეს არა პირველ საუკუნეში, არამედ „არა უადრეს მეორე საუკუნისა და არა უგვიანეს მეოთხე საუკუნის დასაწყისისა“.

ისე კი, თუ ისტორიის სიღრმეში წავალთ, მამიკონიანების საგვარეულო ქართველური მოდემის, კერძოდ, ჭანური წარმოშობის გვარია. ეს ფაქტი ეჭვმიუტანლად დაამტკიცა ცნობილმა სომეხმა მეცნიერმა, პროფ. ნ. აღონცმა. თუ რა მიზეზით მოხდა ამ ძველი ქართველური გვარის იმიერ ტაოში გადასახლება, როცა ეს მხარე ერთ ხანს სომხეთს იყო დაკავშირებული, დღემდე არ არის გარკვეული.

ნაშრომის შესავალში ტ. მარუთიანი ისეა გატაცებული ყოველგვარი ქართულის გასომხურებით, რომ მისთვის თურმე თორნიკე ერისთავი, ქართველთა სარდალი ჯოჯიკი, პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი გრიგოლ ბაკურიანისძე და მეფე დავით კუროპალატიც კი სომხები ყოფილან.

თორნიკე ერისთავი, სომეხი მკვლევარის აზრით, ტომით სომეხი და სარწმუნოებით ქალკედონიტია და ამას ისეთი „უმანკო გულწრფელობით“ წერს, თითქოს საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებას ამბობდეს. კი, მაგრამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტ. მარუთიანი საკუთარი ერის შვილს, ძველ სომეხ მემკვიდრეს ასოლიკს მაინც რატომ არ ენდობა, რომელიც მოვეითხრობს დავით კუროპალატის და მისი ჯარის აქტიურ როლზე ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში (978 წ.). ბარდა სკლიაროსის მიერ შევიწროებულმა ბასილ კეისარმა დასახმარებლად უხმო გამოცდილ მხედართმთავარს, ათონის ივერიის მონასტერში ბერად აღკვეცილ „ტომით ქართველს“ (ასოლიკი) თორნიკე ერისთავს. თუ რა ბრწყინვალედ შეასრულა ქართველმა მხედართმთავარმა ეს დავალება, ისტორიაში ცნობილია და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. მაღლიერმა კეისარმა თორნიკე ერისთავი უხვად დაასარუქრა, რაც ქართველმა ბერმა ივერიის მონასტერს შესწირა, ხოლო დავით კუროპალატს კი, იმავე ასოლიკის ცნობით, კეისარმა „დაუთმო“ ხლათ-არიჭი, კლისური, ბასიანი, სევენქი, პარქი, აპჰუნქი. თუმც ამ მიწების დათმობა უფრო დაბრუნებას ნიშნავდა, რად-

\* პ. ინგოროვია, გიორგი შერჩულე, 1964, გვ. 403.

გან „ეს ტერიტორიები მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, დაეიწინა და მის წინაპრებს ადრევეც ეკუთვნოდათ“ (შ. ბარდიკე).

მაგრამ ტ. მარუთიანი ასოლიკის ცნობასაც არ ენდობა და მაინც თავისას განაგრძობს: „ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში მამიკონიანთა დინასტიები კვლავაც განაგრძობდნენ არსებობას. ისინი ცნობილი იყვნენ „თორნიკელთა“ ან „ჩორდოვნიკელთა“ სახელით და მამიკონიანთა ადრინდელ სამფლობელოს ტაოს და სასუნს ზელახლა ეუფლებიან“ (გვ. 5).

მკვლევარს ჯერ დოკუმენტურად უნდა დაესაბუთებინა მამიკონიანთა და ერისთავთა გვაროვნული იდენტურობა და შემდეგ გამოეცხადებინა თორნიკე ერისთავი სომხად, ის კი ლიტონი სიტყვით თავისკენ მიითვლის თორნიკე ერისთავს, — რადგან, ეტყობა, ძალიან ხიბლავს მისი გმირული პიროვნება და ვერაფრით შერიგებია თორნიკეს ქართველობას.

აკ. წერეთელმა „თორნიკე ერისთავში“ პირუთვნელად დახატა ქართველთა მეფის დავით კუროპალატის დიდებული სახე და ამით ერთგვარი პასუხი გასცა ზოგიერთ სომეხ მეცნიერს, რომელნიც ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ, დავით კუროპალატი არაქართველ სომეხ მეფედ გამოაცხადონ. ეტყობა, აკაკის ძალიან აწუხებდა ამგვარ მეცნიერთა არაობიექტურობა, რადგან ამ საკითხს კიდევ მრავალჯერ შეეხო თავის წერილებში ნ. მართან კამათის დროს. ამ კამათს ქვემოთ განვიხილავთ.

ვფიქრობთ, საგანგებო მსჯელობას იმსახურებს აკაკის წერილი: „ისტორიული განხილვა სახელწოდებისა: არმენიის, პიაასტანის და სომხეთის“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნ. „აკაკის კრებულში“, 1898, ტ. V, გვ. 32-52. ამ საკმაოდ მოზრდილ წერილში აკაკი მიმოიხილავს სომხეთის ისტორიას და სომეხი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხებს. მკითხველს რომ სრული წარმოდგენა შეექმნას აკაკის ამ სტატიის შესახებ, ჯერ მის შესავალ ნაწილს გააცნობთ. აკაკის მიერ განვითარებული შეხედულებანი სომეხი ხალხის ეთნოგრაფიული და ეროვნული ფსიქიკის შესახებ დადებითი იყო და ამ გარემოებას, როგორც ვნახეთ, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა. ის არასდროს ურევდა და მუდამ განაცალკევებდა სომეხ მშრომელ ერს და თბილისის სომხურ ბურჟუაზიას, რომელიც ერთნაირად მიღებული იყო, როგორც ქართველისათვის, ისე გამრჯე, პატროსანი სომეხი ადამიანისათვის და თუ აკაკი ზოგჯერ საყვედურობდა პროგრესულ სომხურ ინტელიგენციას, მუნათი სამართლიანი იყო, რადგან ეს უკანასკნელი ხშირად გამოდიოდა თბილისის სომხური ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველად და უნებლიეთ მათ მხარეს აღმოჩნდებოდა ხოლმე.

წერილის პირველ ნაწილში აკაკი მისთვის დამახასიათებელი სუსხიანი ტონით წერს: სწორედ თბილისის სომხური ბურჟუაზიის შესახებ, რომელიც არაერთგვარული (რა თქმა უნდა, არაქართული) ვახლდათ, რადგან იგი აღმოცენებული იყო არამშობლიურ (სომხეთის გარეთ) ნიადაგზე და მეჭვჭვივით აჩნდა ქართულ ეროვნულ სხეულს. კომპადორული ბურჟუაზია თავის სომხურ ეროვნულ და თანაც კლასობრივ ინტერესებს იცავდა. მისთვის ქართული სინამდვილე ფულის მოგების და კაპიტალის დაგროვების ასპარეზი იყო. აი, ეს აქვს მხედველობაში აკაკის, როცა თავის წერილში ფითრის პარაზიტულ თვისებაზე ლაპარაკობს და ერთი მოთხრობის შინაარსს ყვება: „მცივა, მცივა, შემიბრალე, თავშესაფარი მომეცი, სიცივით ნუ მომკლავ, ზომ ზედავ პატარა ვარ... ლამის ქარმა გადამაგდოს და თოვლმა დამარჩოს... ბინა მომეცი!“ ასე ევედრებოდა სიცივისაგან სიკვდილის პირზე მისული პაწაწა ფითრის თესლი მსხლის ხეს. მსხალმა შეიბრალა, იფიქრა მადლია ვუპატრონებო და უთხრა: „შემომვერი, შე საწყალო, ადვილს როგორ დაგიჭერო?“ ფითრის მარცვალი შეძერა მსხლის ქექრ ქვეშ, სა-



დაც უფრო ღრმად იყო გახეთქილი და ზედ ცილამდე მიეკრო. მოიკალათა აქ მყუდროთ, თავისუფლათ, ხელ შეუშლელათ... ფითრი ნელ-ნელა იზრდებოდა; ღეროს ღერო ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი; გასუქდა, გალალდა, გაიბარჯდა, გაიზარდა, გაშალა შორს თავის ბრჭყალები. ფესვიდან მომდინარე წვეწვს წვეროებისკენ აღარ უშვებდა, წოვდა, როგორც ობობა ბუხს, წუწნიდა, როგორც ბალდი შაქარსა, ძლებოდა, როგორც სვავე სისხლითა. მსხალი კი თანდათან იმშეოდა. ბოლოს, მაგრამ გვიან კი მწვავედ იგრძნო მსხალმა ტკივილი იმ ადგილზე, სადაც ფითრი იჯდა.

— ვინა ხარ, რა ხარ და რა სულიერი? აღარ მოშორდები? თუ სტუმარი ხარ სტუმრობა ამდენი ხნის არ გაგონილა, სტუმრის წესი აასრულე და თუ მტერი ხარ, გამაგებინე მაინც რას ჩამციებიხარო? — დაეკითხა მსხალი.

ფითრმა გადაინახარა ისეთი საძაგელი და საზარელი ხმით და კილოთი, რომელშიაც გამოიხატებოდა მწარე და გულის მომკვლელი დაცინვა.

— რათ წავიდე?! ვერა ხედავ, რამდენი ვართ? აბა მიიხედ-მოიხედე, გაიხედე, იმ ტოტებზე! ჩვენი სამშობლოც აქ უნდა იყოსო.

ამ შეუპოვრობის შემდეგ, თითქოს ჯიბრზე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა წოვდა მსხალს; აღარ იძალებოდა და აღარც ადრენდულათ თავს იკატუნებდა. „მსხალი ნელ-ნელა ხმებოდა და ფითრი კი ხარობდა“.

მართალია, ვრცელი ამონაწერი გამოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ მკითხველი უფრო ნათლად ჩაწვდება მოტანილი მოთხრობის იგაუფრ შინაარსს, რაც აკაკის სტატიის ძირითად მიზანს უფრო მკვეთრად წარმოაჩენს.

აქვე შენიშნავს აკაკი ერთ მართლაც გულსატკენ ფაქტს: „მოუხედავად ქართულ-ბერძნული ისტორიის წყაროებისა სომეხთა ისტორიამ მეფის წართმევაც კი მოგვინდომა და დიდი დავით კუროპალატი თავის მეფედ აღიარა, რასაკვირველია, იმ განზრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებინა: თუ მეფე ჩვენი იყო, მაშასადამე, მისი სამფლობელო — ტაოსის კარი ანუ ახლანდელი ჭოროხის ხეობაც სასომხეთი ყოფილიაო. მომავლის გასაკვლევათ სხვისი წარსულის მისაკუთრება და მისივე ყოფილის უარის ყოფა უპირველეს ხერხათ უჭირავს ხელში“.

მეფე დავით კუროპალატის ქართველობის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, და გადავალთ ავტორის მიერ წამოჭრილ სხვა საკითხებზე. „იმათ (სომეხების ისტორიას — ბ. ა.), რომ დავეკითხოთ, თვით-არსებობა ქართველთა არასოდეს ყოფილა სახსენებელი, — წერს აკაკი და განაგრძობს, — ენაც იმათ უწყალობებით ჩვეთვის, აზნაინც მათს მესრობს შეუთხზავს ჩვენი და წეს-წყობილებაც მაგათგან მიგვიღია...“

შემდეგ აკაკი განიხილავს პროფ. ქ. პატკანოვის ერთ ნაშრომს და წერს: „გუშინ არ იყო, რომ მათი მეცნიერი — პატკანოვი ამტკიცებდა: ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ, მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში, ვახტანგის დროს შეთხზეს და ისიც სომხურ ზღაპრიდანო?“ (გვ. 36). აქ ნაგულისხმევია პეტერბურგის უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგის პროფ. ქ. პატკანოვის ნაშრომი: «Ванские надписи и значение их для истории передней Азии. О древней грузинской хронике» (журн. «Министерство народного просвещения», 1883, № 12, стр. 199—274).

ამ გამოკვლევაში პროფ. ქ. პატკანოვმა მიმოიხილა ქართული ისტორიის წყაროები და, მართლაც, სამწუხაროდ, ზემოთ მოტანილი მცდარი დასკვნა გამოიტანა.

პროფ. ქ. პატკანოვის მიხედვით ქართველებს მე-11 საუკუნემდე მშობლიურ ენაზე არ ჰქონიათ არავითარი წერილობითი თხზულება სხვას რომ თავი დაევა-

ნებოთ, ნეტავი „შუშანიკის წამება“, „აბო ტფილელის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება რა ენაზე იყო დაწერილი? ჩამოთვლილთაგან „შუშანიკის წამება“ ხომ მაინც იყო ცნობილი მაშინ, როცა პროფ. ქ. პატკანოვი თავის ნაშრომს, წერდა. მაგრამ, პროფ. ქ. პატკანოვის არაფერი ქართულის დანახვა არ სურდა, უფრო მეტი, მას ვახტანგ მეფის გამოგონებად ეჩვენება „ქართლის ცხოვრება“.

ძალიან შორს მიდის პროფ. ქ. პატკანოვის „ფანტაზია“, ქართველთა ძირეულ სამეფო გეარს — ბაგრატიონებს, სომეხი ეროვნების ბაგრატიდებად რომ აცხადებს, თუმცა სჯობია მოუხსინოთ მას:

«Древние родовые владения Багратидов находились в области Тайк у Чороха. В смежности с ними, между Чорохом и Рионом, находилась страна, известная в разные эпохи под названием Колхиды, Лазики и Абхазии. Орасль Багратуни, вступив в родственные связи с владетелями Абхазии и Грузии... VII века успела настолько усилиться в этих странах, что один из его членов в конце VIII века вступил на грузинский престол и тем положил основание знаменитой династии грузинских Багратидов (Багратионов), царствовавших до начала текущего столетия» (გვ. 220—221).

პროფ. ქ. პატკანოვი შემდეგ ჩამოთვლის სომეხ ბაგრატიდთა ჩამომავალ ცნობილ ქართველ მეფეებს: დავით აღმაშენებელს, გიორგი III, თამარ მეფეს და სხვებს, რომელთაც ქართველთა ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი აქვთ შეტანილი.

მაგრამ პროფ. ქ. პატკანოვი აქ არ ჩერდება და, უფრო განავითარებს რა თავის ე. წ. შეხედულებას დასკვნის სახით წერს.

«Не останавливаясь над разными несообразностями генеалогической таблицы Багратидов, мы замечаем, что грузинский летописец (по Вахтангу) почему-то находит нужной игнорировать действительных родоначальников грузинских Багратидов, то есть, армянских Багратуни, живших в Армении из незапамятных времен и также, по утверждению Хоренского, переселившихся из Палестины».

პროფ. ქ. პატკანოვის ამ ნაშრომს გამოეხმაურა ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე — „პროფესორი ქ. პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“ (1884 წ. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა). ამ მცირე მოუღკობის წიგნაკში დ. ბაქრაძემ პასუხი გასცა პროფ. ქ. პატკანოვის და არაერთ სიყალბესა და ტენდენციურობაში ამხილა.

დ. ბაქრაძე განსაკუთრებით ვრცლად და ბეჯითად განიხილავს პროფ. ქ. პატკანოვის მცდარ მოსაზრებას ვახტანგ მეფის მიერ „ქართლის ცხოვრების“ შედგენის შესახებ. ქართველი ისტორიკოსი შენიშნავს: „ბ. პატკანოვი ახალ შრომაში (იგულისხმება ზემოთ აღნიშნული ნაშრომი — ბ. ა.) საუბრობს ქართლის ცხოვრებაზე, ჩვენი ისტორიის დასაწყისზე. აქ დედააზრად იმას აქვს ქართლის ცხოვრების სათაური შენიშვნა, რომელიც გვაცნობს, ვითომც ვახტანგ მეფეს „მოეხენეს გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთაგანი და შეემოწმებინოს ქართლის ცხოვრება და რომელი განმეორათოს და სხვაჲ წერილნი მოეხენეს, სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოეხენეს და ესრედ აღუწერნოს“. ამის გამო, — წერს დ. ბაქრაძე, — ბ. პატკანოვი ქართლის ცხოვრებას თითქმის არ აძლევს არავითარ მნიშვნელობას. იმის აზრით, ქართლის ცხოვრება არ არის ძველი დროის ნაწარმოები“ (გვ. 7).

დ. ბაქრაძის ამ ნაშრომის დამოწმება კიდევ მოგვიხდება, რადგან აკ. წერეთლის ზემოხსენებულ წერილს კრიტიკულად გამოეხმაურა ნ. მარი, რომელიც მთელი მონდობით შეეცადა, დაეცვა პროფ. ქ. პატკანოვი და მისი ხსენებული ანტიქართული იდეა. ამ ცხარე პოლემიკურ ბატალიაში დ. ბაქრაძის ნაშ-

საქართველო  
საქართველო

რომს („პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, 1884 წელი) განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება, რადგან აკ. წერეთელი იშვიათად სარგებლობს ამ მართლაც იშვიათი ობიექტურობით დაწერილი ნაშრომით. ნაშრომმა თვით ნ. მარის ქებაც კი დაიმსახურა, მაგრამ ნ. მარი უსაფუძვლოდ ფიქრობდა, თითქოს აკ. წერეთელს დ. ბაქრაძის ეს ნაშრომი წაკითხული არ ჰქონდა. ოეტს წაკითხული ჰქონდა ეს ნაშრომი და იმ დროის ყველა ქართველი თუ უცხოელი მეცნიერის შრომებიც, რომლებიც საქართველოს ისტორიის საკითხებს ეხებოდა. ამას მოწმობს აკ. წერეთლის ორივე წერილი, რომელნიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს. „იმათი (სომეხთ მეცნიერთა — ბ. ა.). შთაგონებით არ იყო, რომ გრენმა საჯაროთ წარმოთქვა: „თამარ-მეფე მხოლოდ სომხებისა და ოსების ინტრიგამ დასვა ტახტზე, თვარა იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, ქართველები მცირესა და უმნიშვნელო, შეუგნებელ ბრბოს წარმოადგენდნენ“ („აკაკის კრებული“, 1898, №1, გვ. 36).

კიდევ უფრო გაუცხარებია აკაკი ზოგიერთი სომხური ჟურნალ-გაზეთის მკდარ დამოკიდებულებას ქართული ენის მიმართ: „იმათი (სომეხების — ბ. ა.) ჟურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ისე ღარიბია, რომ რთული აზრის გამოთქმა შეუძლებელია და სიტყვებიც სომხურიდან მიუღიათო, მაშინ როდესაც სულ სხვას ამბობენ ევროპელნი მეცნიერნი და მათ რიცხვში ბ. გატერიასი, რომლის აზრით სომხური ენის შესწავლა ისე არ მოხერხდება, თუ არ ქართული ენის წყალობით და საშუალებითო!“ ქართული ენისადმი ასეთი უსაფუძვლო ბრალდებით გულნატკენი პოეტი იქვე შენიშნავს: „ნეტავი ვინ უნდათ, რომ დააჯერონ და შეცდომაში შეიყვანონ — მსოფლიო ისტორია თუ ჩვენ? ვთქვათ, დავთანხმეთ: აღარ ვიწამეთ და აღარ ვირწმუნეთ არც უცხო ერების ისტორიული წყაროები ჩვენი ერის შესახებ, არც ჩვენი საკუთარი ქრონიკები, არც გუჯარები, ყალბათ ვცანით ჩვენი პერგამენტები, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა და სხვანი, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რაც ახლა ჩვენს თვალსა და ხელ შუა ხდება და რასაც ასე ნათლად ჩვენ თვალწინ ვხედავთ?“ (გვ. 36).

შემდეგ აკაკის მოაქვს მეექვსე საუკუნეში (596 წ.) სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილების შედეგად მიღებული ერთი დოკუმენტი. ეს არის სომეხთა პატრიარქის აბრაამის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის მიხედვით სომეხებსა და ქართველებს ურთიერთმეზობლობა და ნათესაობა აუკრძალათ. სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა ბრძანა: „ჩვენ ვბრძანებთ რომ სომეხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ ქართველებთან არავითარი კავშირი, არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, არ გაბედონ მგზავრობა ხალოცავად, როგორც სახელგანთქმული მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერიღონ იმათთან დამოკიდებულებას ცოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა იმათთან, როგორც ურიებთან. ვინ ამ ბრძანებას უარჰყოფს წყევლიმც არს იგი სულით და ხორციით და ყოვლის ცხოვრება“ (38).

ყოველივე ამის შემდეგ აკაკის მიაჩნია, სომეხებს ქართველებისადმი კორექტულ დამოკიდებულებას უნდოდა ვნა მთავარი და ერთგვარი დასკვნის სახით წერს: „ამის შემდეგ ჩვენ რაღათ ვერ ვეცადოთ სომეხების სინდისში ჩაგდებას, რომ მსოფლიო კანონს ეწინააღმდეგებიან და რჯული გატეხონ?“

სტატიის მეორე ნახევარში აკაკის მოაქვს ცნობები სომეხი ერის წარმომავლობის შესახებ. მას ეს ცნობები აუღია ერთი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის ნაშრომიდან. აკაკი წერს: „ჩვენ კი, ჩვენი მხრით, არ შეგვიძლია, რომ თვალყური არ ვადევნოთ არა თუ დღევანდელ მათ მომრავლებას ჩვენში, თვით მათ (ე. ი. სომეხების — ბ. ა.) წარსულსაც. საჭიროა ვიცოდეთ მართლა ესენი არი-





ან ის ძველი ჰაისტანის ხალხი, რომელსაც არც ჩვენ უარყოფთ, თუ სხვები შემოპარულან მათი სახელით? გავსინჯაეთ, შევამოწმებთ მათ ისტორიულ პასპორტს და მისთვის აქვე მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით, შეუცვლელათ ერთი ჩვენი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის აზრს“ (გვ. 38).

ამ ნაშრომში კი მართლაც ის აზრია გატარებული, რომ სომხები ადგილობრივი ტომი კი არ არის, არამედ მოსულები არიან. პოეტის ამ სტატიამ კამათი გამოიწვია. პოლემიკაში ჩაება ნ. მარი და ცხარედ შეუტია აკაკის, ხოლო პროფ. ქ. პატკანოვის ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ქართველთა შესახებ თავიდან ბოლომდე გაიზიარა.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ერთ თავის წერილში, რომელიც სომხურ ენაზე დაბეჭდა („აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ“, ჟურნ. „არშაქ“ („შეტყვა“), 1940, გვ. 23-29), საგანგებოდ მიუთითა ივ. ჯავახიშვილის ერთ ნაშრომზე („მამულიშვილობა და მეცნიერება“, 1904 წ.). წერილში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ივ. ჯავახიშვილი თავგამოდებით იცავს ნ. მარს და ენერგიულად უტევს ი. გოგებაშვილს. ამ პარალელით (ივ. ჯავახიშვილი აკრიტიკებს ი. გოგებაშვილს, ხოლო ნ. მარი არ ინდობს აკ. წერეთელს) პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი არაპირდაპირ იცავს ნ. მარს და მის გალაშქრებას აკ. წერეთლის ხსენებული სტატიის წინააღმდეგ.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ხსენებულ ნაშრომში ამ კამათის შეფასებისას ნ. მარი დაიცვა და ამით ერთგვარი შეფარული პოლემიკა გაუმართა არა მარტო ი. გოგებაშვილს, არამედ აკ. წერეთელს, რომელიც ნ. მართან იყო ჩაბმული პოლემიკაში. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ნ. მართან კამათი აკაკის პირველს არ წამოუწყია, მოხდა პირიქით: ზემოთ აღნიშნულ აკაკის წერილს („ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაისტანის და სომხეთის“) კრიტიკულად გამოეხმაურა ნ. მარი.

(«Отповедь») проф. Н. Марра грузинскому «Сборнику Акакия», сб. «Братская помощь пострадавшим в Турции армянам», 2-ое издание, 1898, М., ст. 560—569).

ნ. მარის ეს სტატია პირველად გამოქვეყნდა გაზ. „Новое обозрение“-ში (1895-го и 6-го февраля. ჩვენ მოსკოვში გამოცემული კრებულით ვსარგებლობთ). პირველი, რაც გვინდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ ნ. მარი თითქმის ლანძღვით მოიხსენიებს აკაკის სტატიას და უწოდებს „Легкомысленною коллекциею курьезов“. მოაქვს, აგრეთვე, ლაბრიუერის სიტყვები, რომელიც სტატიას აქვს წამმდვარებული: „Именно глубокое невежество говорить тоном поучения“ და სხვა ამგვარობით ამკობს აკაკის, რაც ნამდვილად არ უნდა ეკადრებინა დიდი მეოსნისათვის.

მართალია, ნ. მარი წერს, რომ

«Мы здесь вовсе не собираемся, конечно, защищать армян против выходки Акакия, которой они отнесутся по всей вероятности, с полным равнодушием» (ст. 560).

ასეთი აშკარა სიცრუე კი ნ. მარს არ ეკადრებოდა. რადგან თუ აკაკის კრებულში გამოქვეყნებულ სტატიას სომეხი მეცნიერები „равнодушно“ შეხვდნენ, მაშინ რამ აიძულა თვით ნ. მარი, კალამი აეღო აკაკის წინააღმდეგ და თავისი მომღვარი პროფ. ქ. პატკანოვი ან მისი მსგავსნი დაეცვა.

მაშ, რა აიძულა ნ. მარი ადვოკატის როლში გამოსულიყო? ალბათ, საკუთარი მომღვრის პროფ. ქ. პატკანოვის მასზე გაწეულმა ამაგმა და მისადმი პატრუისცემამ. ის, მართალია, წერს, სომეხთა დაცვას არ ვაპირებო, მაგრამ



თავის სტატიაში გულმოდგინედ, ბუნქტუალურად ცდილობს დაიცვას სომეხნი აკაკის „თავდახმისაჲნი“.

6. მარი დიდი მეცნიერი იყო და არ გაუჭირდა უამრავი სამეცნიერო ლიტერატურის მოტანა თავისი აზრის სასარგებლოდ. არც აკაკის ზოგიერთი ნაკლებად დამაჯერებელი შეხედულების კრიტიკის ქარცეცხლში გატარება გაძნელებია. 6. მარი ამ ნაშრომშიც იმეორებს, ძველი ქართული ლიტერატურა X საუკუნემდე სომხურის გავლენის ქვეშ ვითარდებოდაო (გვ. 562). აქ აღარ მოვყვებით მოსაზრების უსაფუძვლობის შესახებ, მაგრამ, ფაქტია, რომ 6. მარი სიცოცხლის ბოლომდე ასე ფიქრობდა, ეს ყველაფერზე მეტყველებს. მას აზრი არ შეუცვლია მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ამ პერიოდის ქართული თხზულება აღმოჩნდა.

აკაკი ქართველ-სომეხთა რელიგიურ განხეთქილებაში ბრალს სომეხებს სდებს და მოაქვს მათი კათალიკოსის აბრაამის წერილის შინაარსი ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობის განწყვეტის თაობაზე, გარდა ვაჭრობისა და აღებ-მიცემობისა. 6. მარი, იცავს რა სომეხთ მხარეს, აკაკის ამგვარ პასუხს აძლევს:

«Можно указать на случай такой же, а, пожалуй, еще более фанатической нетерпимости грузин к армянам, как иноверцам, и даже кощунственного отношения грузинских иерархов к христианской святыне. Достаточно, думается, напомнить ту отвратительную сцену, которая описывается в грузинских летописях по поводу спора о том, какая вера лучше — армянская или грузинская. Мы стесняемся передать здесь это сообщение грузинского летописца (см. груз. текст изд. Академии наук, ч. I, стр. 314—315)», (562).

6. მარის ამ მოსაზრებას აკაკი საფუძვლიანად პასუხობს და მოაქვს იმ ადგილის შინაარსი, რომლის მოტანაც მარს ასე ერცხვინება. აკაკი წერს: „მკითხველს მართლა უცნაური არა ეგონოს-რა. იმას, რასაც მეცნიერის უმანკობა ვერ იმეორებს, ჩვენი პოეტური თავხედობა გამოააშკარავენს. აი, რა იყო, ის საიდუმლო: ერთი ზღაპრული ლეგენდაა, მაგრამ სახალხოთ კი ბევრს არც კი გაუგონია, რომ ერთხელ ქართველებისა და სომეხების სამღვდლოებას ბაასი პქონდათ: ვისი სარწმუნოება უკეთესიაო — სომეხების თუ ქართველებისაო? რომ ვეღარ მორიდდნენ, მიიყვანეს მშვიერი ძაღლი და მის წინ დადვეს ორი სებისკვერი: ერთი ქართველების და მეორე სომეხების. ძაღლმა ვერ მიბედა ქართველებისას და სომეხების კი ჩასანსლაო“ (აკაკის „კრებული“, 1898, № 6, გვ. 51 — „პროფესორ მარრის საპასუხოთ“).

აკაკი განაგრძობს მსჯელობას და სრულიად მართებულად მიუთითებს 6. მარის ტენდენციურობაზე. მას სწორად მიაჩნია, რომ ლეგენდა, თქმულება საბუთად არ გამოდგება, რის შესახებაც წერს: „აი, ეს გახლავთ ის უცნაური ამბავი, რომელსაც ბ-ნი მარი იგონებს. მაგრამ აქ რა არის საერთო ამ ზღაპრულ ოზუნჯობას და ისტორიულ ფაქტებს შორის? სად ლეგენდა, რომელიც ბევრს არც კი გაუგონია და სად მთელი კრების განჩინება და პატრიარქის ეპისტოლე? აბა, გვიჩვენოს ერთი რამ მისთანა ბ-ნმა მარმა, რომ ან ქართველს ერს ან მის სასულიერო წოდებას სადმე დაედგინოს სომეხების სამტრო რამ? პირიქით, უტყუარი და სარწმუნო ისტორიული ფაქტები ამტკიცებენ, რომ ქართველებს მათი სარწმუნოებისა და ეროვნების დასაცავათ ბევრჯერ გარეთ სისხლი დაუთხევეათ და შიგნით კი მზა-მზარეულათ თავის საკუთარი ტპარები და სამლოცველოები დაუთმოა სომეხებისათვის. ნუთუ ესეები კი ავიწყდება ბ-ნი მარს?“ (გვ. 62).

აკ. წერეთლის მიერ 6. მარისადმი გაცემული ეს პასუხი გამოირჩევა დინჯი ტონით და საბუთიანი მსჯელობით. აკაკი თავისი პასუხის შესავალში წერს

ზოგიერთი მეცნიერის კარჩაკეტილობაზე და, გარკვეულწილად, რეალურად ცხოვრების უცოდინარობაზე, იგი ვაოცებულია ნ. მარის ასეთი მძაფრი რეაქციით და მიზეზსაც აუწყებს მკითხველს: „მიზეზი მისი (ნ. მარის - ბ. ა.) აშფოთებისა და ამხედრების ჩვენს „კრებულში“ სომხების საპასუხო დაბეჭდილი სტატია გამოდგა. უკვირს და გვსაყვედურობს მის ავტორობას! ცდილობს იქ აღნიშნული საბუთების დარღვევას და ჭეშმარიტების აღდგენას, კეთილი და პატიოსანი, ამას რაღა ევლობინება, მაგრამ ვაი, რომ მის საბუთს, გარდა სურვილისა, სარჩულათ არა უდევს რა, მხოლოდ ცარიელი საპირეა, ნამალადევით გადაჭიმული და ვერ რას ვამტკიცებს, რომ დაგვითანხმოს“ (გვ. 56).

აკაკი თავისი წერილის ძირითად შინაარსს ასე გადმოგვცემს: „ჩვენი სტატიის დედა აზრი იყო - დაგვემტკიცებინა, რომ სომხები იქ ეძებენ, სადაც არა დაჰკარგვიათ რა; ის უნდათ დაისაკუთრონ, რაც მათ არასოდეს არა ჰქონიათ! ეს არც ახალი მოვლენაა მათი მხრით. ძველადაც, იმ თავითვე ასე ჩადიოდნენ: აუკუღმართებდნენ თვით ისტორიასაც კი, ასე რომ მათი ისტორიული წყაროები ქართველებისა და საქართველოს შესახებ სარწმუნო არ არის“ (გვ. 56). აქ კი პოეტი ცოტას აჭარბებს, რადგან სომხური ისტორიული წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, შეიძლება ითქვას, ზოგიერთი გამოჩენილის გარდა, სარწმუნოა და სანდო. აკაკის თავის აზრის გასამართლებლად მოაქვს ის, რომ სომეხთა ზოგიერთმა მეცნიერმა „ქართველთა მეფე - ტაოსელი დავით კუროპალატი, ზემო ქართლის მპყრობელი, მიისაკუთრა და როგორც, თვით ის, ისე მისი სამფლობელოც სასომხეთად აღიარა“. ამგვარი ისტორიული დამახინჯებანი ახლაც ვრძელდებო - წერს აკაკი და განაგრძობს: „დღესაც კიდევ მთლად საქართველო სასომხეთად აქვთ ნაჩვენები და ცდილობენ ვველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ქართველობის ნიშანწყალი მოსპონ, ქართული კვალიც კი მოშალონ და ზედ თვისი დასდვან წინააღმდეგ ყოველგვარი სიმართლისა!.. და ამიტომაც ჩვენი მხრით მათდამი ძმობა-სიყვარულს ყურადღებასაც არ აქცევენ და მათი მტრობა და გაუტანლობა ჩვენდამი ძველი დროიდანვე მომდინარეობს. ამას ვამტკიცებდით ჩვენ. ეს სწყენია ბ-ნ ნ. მარს და ცდილობს ეს აზრი დაარღვიოს და რწმენა გავვიქარწყლოს“ (გვ. 57).

ნ. მარი ამ ნაშრომშიც იმეორებს - თითქოს

«В самую древнюю пору и вплоть до X века по р. Хр. грузинская литература находилась под значительным влиянием армянской, достаточно сказать, что первые переводы библейских книг на грузинский язык были сделаны с армянского языка, и это доказывается не армянами, а учеными, совершенно равнодушными к армяно-грузинским пререканиям» (ст. 562).

ახლა ვნახოთ, როგორ პასუხობს დიდი აკაკი ნ. მარის ამ უმართებულო და საფუძველმოკლებულ განცხადებას. „ნათქვამია - წერს აკაკი - „ურია, ღმერთს ნუ ფიცულობ და არა ღმერთმანიო“. მის არ იყოს, ჩვენ უარსა ვეყოფთ სომხურ წყაროებს და ის კიდევ მაინც იქითკენ გვიითიებს, მაგრამ ჩვენი მწერლობის შესახებ უცხოელების მოწმობა რა საჭიროა? ჩვენ თვითონ უკეთ არ უნდა ვიცოდეთ?“ (გვ. 57). შემდეგ აკაკი ლაპარაკობს ძველი ქართული მწერლობის შესახებ და საკმაოდ ღრმა ცოდნასაც ამჟღავნებს. იგი ჩამოთვლის ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს და შენიშნავს: „ჩვენა გვაქვს: ერთი ათონის დაბადება, მთაწმინდელების ნათარგმნი, და მეორეც ვახტანგისაგან სლოვიანურთან შესწორებული. მათ გარდა გვექონია კიდევ ნაწყვეტ-ნაწყვეტები დაბადებისა, სირიულიდან ნათარგმნი, მაგრამ განა სირიელები სომხები იყვნენ? თუ უფალი მარრიც ერთად დღევანდელ სომხის პატრიოტებთან იმ აზრზე დგას, რომ, რადგან აისორები, დღეს გრიგოლიანები არიან, გვართომობითაც სომხებათ უნდა ჩაითვალოს და

საქართველო  
საქართველო

არა თუ დღეს, ძველადაც კი, ე. ი. მაშინაც კი, როდესაც სულ სხვა სჯული სჭვრიათო“.

ამგვარი მაგალითების ჩამოთვლის შემდეგ აკაკი დაასკვნის: „ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასულიერო ლიტერატურა მდიდარია და ორიგინალურის გარდა, რაც გვაქვს ნათარგმნი, ის სულ ბერძნულიდან გვაქვს და რამდენიმეც სლოვიანურიდან, ანტონ კათალიკოსის მეოხებით, სომხურიდან კი არა მოგვეძევა რა, გარდა ერთი მხრით, კრიტიკებისა, რომლის არსებობა არც კი იცინა ჩვენში. აბა ერთი გვიჩვენოს ბ-ნმა მარმა, რა წიგნები გვითარგმნია სომხურიდან? სანამ ამას არ აასრულებს, ჩვენ სრული უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ბ-ნ მარს სომხურ ენასა და ისტორიასთან ერთად მათი ხასიათიც შეუთვისებია, ე. ი. სხვისას შეუპოვრათ, უსაბუთოდ ისაკუთრებს და ჩვენი — ბრძანებს“ (გვ. 58). აკაკის ამ აზრთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პოეტი ერთში ცდება, როცა ამბობს, სომხურიდან არა გვაქვს რა ნათარგმნიო. სხვა ყველაფერს რომ თავი დაეანუბოთ, მე-18 საუკუნეში ქართულ-სომხური და სომხურ-ქართული მთარგმნელობითი მუშაობა იყო გაჩაღებული თბილისში. ამ საქმეს მისდევდნენ ფილიპე ყაითაზაშვილი, ნათიშვილი და სხვები.

აკაკი თავის საპასუხო სტატიაში დეტალურად განიხილავს ნ. მარის მიერ წამოჭრილ ყველა საკითხს და ისე პასუხობს მას. პოეტის მახვილ თვალს კარგად შეუმჩნევია: ნ. მარის გაცხარება გამოუწვევია მისი მასწავლებლის პროფ. ქ. პატკანოვის გაკრიტიკებას. ამის გამო აკაკი წერს: „ყველაზე უფრო ის აწუხებს ბ-ნ მარს, რომ ჩვენ ჩვენს წერილებში მოწიწებით ვერ მოვიხსენიეთ მისი სასიქადულო მოძღვარი პროფესორი პატკანოვი და ვითომ ცილიც შევწამეთ. ბ-ნმა პატკანოვმა ერთ თავის თხზულებაში გადაჭრით ბრძანა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ და მე-XVIII საუკუნეში მიფე ვახტანგმა შეთხზა და ესეც სომხურ ზღაპრიდან, რომელიც ერთმა უმეცარმა ბერმა დასწერა მეთერთმეტე საუკუნეშიო“. აკაკი იქვე შენიშნავს, პატკანოვს პასუხი გასცა დ. ბაქრაძემ და დაუმტკიცა, რომ პატკანოვს ეს შეცდომა ან უმეცრებით მოუვიდა, ან განებე ჩაიდინაო. „ორ ცეცხლ შუა გამომწვედულმა პროფესორმა პატკანოვმა დ. ბაქრაძის შენიშვნები ჩაყლაპა და გაჩუმდა, — შენიშნავს აკაკი და განაგრძობს. — მაგრამ მარრი კი არა ჩუმდება და მაინც კიდევ გაიძახის: არაო! არც ერთი და არც მეორეო! პატკანოვი სხვებსავით პატრიოტული მეთოდით არ სწერდაო, რადგანაც ის მხოლოდ სარწმუნოებით იყო სომეხი, თორემ რუსი მეცნიერი იყოო და მისმა გამოკვლევამ მაინც ნათელი მოჰფინა ისტორიასო და სხვანი“ (გვ. 63). ნ. მარის ამ აზრს პოეტი მართებულ კომენტარს უკეთებს და წერს სიცრუე ვერაფერს მოფენს ნათელსო, ხოლო, რაც შეეხება პატკანოვის რუსობას, ამაზე მოსწრებულად პასუხობს: „რისთვის ბრძანებს ბ-ნი მარი პატკანოვზე, რომ რუსის მეცნიერი იყოო? აგრეც რომ იყოს, განა რუსის მეცნიერები კი არ ცდებიან და მიუდგომელი არიან?“ (გვ. 63).

აკაკიმ ნ. მარი ერთ უზუსტობაშიც დაიჭირა. საქმე ისაა, რომ ნ. მარმა, მეტიხმეტად გატაცებულმა პროფ. ქ. პატკანოვის დაცვით, ასეთი რამ დაწერა: „1858 წელს თვით დ. ბაქრაძემაც კი ეჭვი შეიტანა ქართლის ცხოვრების სიძველის სინამდვილეში?“ (გვ. 64). ამის შესახებ აკაკი წერს: დ. ბაქრაძეს ეჭვი არასდროს შეუტანია, ის მხოლოდ ჩიოდა, რომ ისტორიული წყაროები დაკარგულია და საკმაო საბუთი ჩვენი ქართული ქართლის ცხოვრების სიძველისა აღარა გვაქვსო, და იქვე ურთავს — „ეს მაშინ იყო, როდესაც განსვენებული დ. ბაქრაძე ახალგაზრდა იყო და პირველად გამოდიოდა სარბიელზე. შემდეგში კი, როდესაც ნახა საბუთები და მათ შორის მარიამ დედოფლის ვარიანტიცა, სულ



საქართველო  
დასწავლა

წინააღმდეგს ამტკიცებდა. საკვირველია, რომ ბ-ნ მარრს ის 1858 წელს დაწერილი სტატია ახსოვს და სხვები, ახლები კი არ სცოდნია!..“ (გვ. 64).

ნ. მარი თავის ნაშრომში შენიშნავს, პროფ. ქ. პატკანოვი, მართალია, ჩინებული მეცნიერია, მაგრამ წერილმანი შეცდომები მასაც მოსდისო, მით უმეტეს, ის ქართველოლოგიაში არ მუშაობს სპეციალურად და, რა თქმა უნდა, შეცდომებს ვერ აიცილენდაო. მეცნიერის ასეთი განცხადებით გაკვირვებული აკაკი კითხულობს: „მაშინ ჩვენც ამის მეტი რაღა ვთქვით, რომ გვირისხდება? ახირებულია თქვენმა მზემ!“

თავისი ნაშრომის ერთ ადგილას ნ. მარი წერს: სომეხი მეცნიერები ცნობილ ევროპელ მეცნიერს გრენს რატომ წააქეზებდნენ ქართველების გასაკიცხი რომ დასწერაო? მარის ამ შეკითხვაზე აკაკი ცოტა გაგულისხებული შენიშნავს — „სწორეთ იმავე მიზეზით და განძრავებით, რითაც კუტულს და ხვოლსონს დააწერიეს, რომ თბილისი ყოველთვის სასომხეთში ყოფილა და ქართველობა აქ არასოდეს არ ყოფილაო“ (გვ. 65).

აკაკი თავის სტატიაში წერს — „იმათი (სომხების — ბ. ა.) ჟურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ისე ღარიბია, რომ რთული აზრის გამოთქმა შეუძლებელიაო“ (გვ. 36). ამასთან დაკავშირებით ნ. მარი აცხადებს, სომხურ ჟურნალ-გაზეთებში ასეთი რამ არასოდეს გამოქვეყნებულა, თუმცა-ღა, შეიძლება, ასეთ რამეს ზოგიერთი უმეცარი სომეხი წერსო (გვ. 556), მარის ასეთი ორჭოფული პოზიციით გაკვირვებული აკაკი შენიშნავს: „ბ-მა მარმა, აბა გვიჩვენოს: ვინ არის და ვინ იყო ის მეცნიერი სომეხი, რომელიც ჩვენ სასარგებლოთ ამბობდა და ამბობს რასმეს? დღესაც ეს უმეცრები სწერენ და რატომ მეცნიერები არ ამტყუნებენ მათ და წინააღმდეგს არ სწერენ?! რათ არ ურღვევენ იმ უმეცრებს, რომელთაც საზოგადოთ სომხობა საბუთად ხელზე აქვთ დახვეული? და ან თვით ბ-მა მარმა რატომ არ ამოიღო ხმა მათ საწინააღმდეგოთ, მაშინ, როდესაც ჩვენ კი უბრალო თავის გამართლების ნებასაც არ გვაძლევს?! აქ რაღაც სხვა ამბავია...“ (გვ. 66).

აკაკი თავის პირველ წერილში წერდა: „ჩვენმა უკანასკნელმა მეფეებმა იხინს (სომხები — ბ. ა.) შიგ შუაგულ საქართველოში შემოიხიზნეს და როგორც ვაჭარ-ხალხს, ომში გამოუსადეგარს ქალაქები ჩააბარეს. ქართველი ხალხი კი ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა, ხანამ ძლიერი რუსეთი არ მიეშველა და მტერი არ ჩამოაშორა! დაღლილი, დაქანცული და დაწყლული ქართველები, შინ რომ მობრუნდნენ რა დახვდათ? ის, რომ მათი ყოფა-ცხოვრება, შემოიხიზნულ და მოძმეთ მიღებულ ვაჭრების ხელში იყო და ბოდიშის მაგიერათ, პირიქით, მედიდურათ ჰყვიროდნენ: „ვინ ხართ და საიდან მოდიხართო? თქვენ როდის ყოფილხართ აქაო? ეს ყოველთვის ჩვენი ყოფილაო“. დასამტკიცებლად ქართველებსავე ტამრებს-მონასტრებს მიუთითეს, სადაც ქართული ზედწარწერა ამოფეხიკათ და „დავით-ბაგრატიების“ ნაცვლად „არშაკ-მარშაკები“ ჩაეწერათ“ (გვ. 37).

ამის საპასუხოდ ნ. მარი წერს, შეუძლებელია, ქართულ ტამრებზე ქართული წარწერები წაეშალათ სომხებს და სომხური მიეწერათო: „ყოვლად შეუძლებელია, რომ ძველ ნანგრევებზე სომხები ქართულ ზედწარწერას ფხეკდენ, — წერს ნ. მარი და სამაგიეროდ სომხურს აწერდნენო: იმათ ეს ჩვეულება არ აქვთო: მე თვითონ ჩემის თვალთ ვნახე, რომ ალექსანდრეპოლის მაზრის ერთ სომეხს ეპოვნა ქვის ჯვარი ქართული ზედწარწერით და შეენახა“ (გვ. 68).

ეს პასუხი აკაკის მართებულად არ მიაჩნია და მიუთითებს მის უსაფუძვლობაზე. „საკვირველი გაკერპება ამას ჰქვია, — წერს აკაკი, — ჩვენ აქ ჩვენი თვალთ ვხვდებით და ის კი იქიდან გვარწმუნებს და რაღაც უაზრო საბუთებზე



გვითითებს, თითქოს არ ესმოდეს ჩვენი ნაწერის აზრი და მნიშვნელობა. აქ, ალექსანდრაპოლში, სულ სხვა არის და აქ, ჩვენში, კიდეც სულ სხვა. იქ ვინც ჯვარი იპოვნა რათ უნდა გადაეფიქრა ზედ წარწერა ქართული; მაშინ, როდესაც კარგად იცოდა, რომ ის ნივთი ღირებული რამე იყო და შექმლო გაეყვიდა. აქ კი, როდესაც ტაძრებზე და ციხეებზე ქართულ წარწერებსა შლიან და ბაგრატის, თამარის და გიორგის ნაცულად არმაკ-მარშალებს აწერენ; ამით ისა მსურთ დამტკიცონ, რომ ადრეც სასომხეთი ყოფილა და იმათი გაკლენა არ მოშლილა“ (გვ. 68).

შემდეგ აკაკი კითხულობს: „ნუ თუ ეს არ ესმის ბ-ნ პროფესორ მარტს და ჰგონია, ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებდეთ, რომ სომხებს ისე სძულდეთ ქართული ნაწერები, რომ სადაც უნდა ნახონ უმიზეზოდ მოშლიან? არა; ეს კარგად ესმის ბ-ნ მარტსაც და მიტრამაც ბოდიშსა ჰხდის სომხობას: „ამას უმეცარი ნასწავლები შვრებიან და ხალხის რა ბრალიაო?“ საუცხხოვა თქვენმა შუემნოცა უმეცრები ჩვენ წინააღმდეგ ცუდს ჩადიან, მაშინ იმახის ბ-ნი მარტი „ეგრე შეცნიერების ბრალიაო?“ როცა შეცნიერები — „უმეცრებმა რა ქნანო“, როცა ხალხი — „ინტელიგენციას რა ბრალი აქვსო“ და როცა ინტელიგენცია — „ხალხს რა მოეთხოვებაო?“. ამგვარი რამეებით არის გაჭვიდილი მისი სტატია და სწორე მოგახსენოთ, თუ არ პირადი ჩვენი პატივისცემა ბ-ნ მარტისადმი, პასუხის ღირსათ არასოდეს არ გავხდით ამ აბლაკატურ მრავალმეტყველებას“ (გვ. 69).

აკაკის „კრებულში“ (1898 წ. № 7, გვ. 10-12) მოთავსებულია თვითონ აკაკის მცირე მოცულობის სტატია „უბრალო საუბარი“ (შენიშვნები). ამ პატარა წერილში პოეტი გამოხატავს თავის პოზიციას მოძმე სომეხ ერთან დამოკიდებულების საკითხში. სტატია, ფაქტობრივად, აგებულია მიღებული ბარათების შინაარსის მიმოხილვაზე და გაცემულია პასუხი მათში აღძრულ კითხვებზე. მაინც რა შინაარსის წერილები მიუღია პოეტს? ამას ვგებულობთ წერილის შესავალშივე: „ბევრი სხვადასხვა წერილები მოგვდის, — წერს პოეტი, — მათ რიცხვში საყვედურებითა და ლანძღვითაც ბევრია შეკაზმული და ამ ბოლო დროს მუქარასაც გვითვლიან. მადლობა ღმერთს! იმ ხანში აღარა ვართ, რომ ქებამ აკვამჩატოს და გმობამ გული გაგვიტეხოს! და რაც შეეხება მუქარას, იმან სიცილის მეტი რა უნდა გამოიწვიოს — ჩვენი მხრით?“ (გვ. 9). მაინც რა ბრალს სდებდნენ ავტორები აკაკის? კითხულობს გაკვირვებული პოეტი და იქვე გულნატკენი დასძენს: „სომხებს ემტერებით და სდენით“ — იწერებიან. აბა, ამაზეა ნათქვამი: „შენი მე მითხარი და გული მოგიკალიო!“ იმათი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ღმერთმა ნუ დაგვიჩლუნგოს ისე გრძნობა-გონება, რომ რომელიმე ერი შევიძულოთ და მისი მტრობა გულში გავივლოთ“ (გვ. 9). აკაკის ეს სიტყვები ლიტონი განცხადება არ იყო, რადგან თავისი პოეტური თუ საზოგადო მოღვაწეობით ის ყოველნაირად ცდილობდა ქართველი და სომეხი ხალხის ძმობა-შეგობრობის განმტკიცებას. კრიტიკულ სტატიებშიც პოეტი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მისი ისარი მიმართული იყო თბილისის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ისევე მიუღებელი იყო მშრომელი სომეხი ერისთვის, როგორც ქართველისთვის. ამავე სტატიაში აკაკი კარგად განმარტავს თავის დამოკიდებულებას სომეხი ხალხისადმი; „ეტყობათ, ამ წერილების მჯღაბნელ ვაჟბატონებს მტერ-მოყვარეობა არ ესმით — წერს აკაკი, — მათ სამართლიანი საყვედური მძულვარების ნაყოფი ჰგონიათ. განა ძმები ძმებს და მეგობრები მეგობრებს არ ესაყვედურებიან ზოლმე, როცა ერთი მეორეში უსაქციელობას რამეს შენიშნავენ და დასაძრახისა ხედავენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს უგულობითა და სიძულვილით მოხდითო?“ (გვ. 10). აი, ეს არის

აკაკის ძირითადი პოზიცია სომეხი ხალხისადმი დამოკიდებულებაში. ესაა ძმური სიყვარული და თუ ხანდახან პოეტი საყვედურს გამოურევს მასში, ესეც ძმობიდან მოდის და არავითარ შემთხვევაში — მტრობიდან. ამიტომ აკაკი იქვე დასძენს — „ჩვენ სასომხეთში არა ვყოფილვართ და ნამდვილ სომხობას არ ვიცნობთ, თუ არ სხვადასხვა მხრიდან ჩვენში ვაჭრათ მოსულს, და მაშასადამე იმათთან ან მტრობას რათ დავიჭერდით და ან მოყვრობას! რაც შეეხება საქართველოში მყოფ იმ ვაჭარ ხალხს, რომელსაც ჩვენ შემკრებლობითად სომხებათ ვუწოდებთ, ჩვენ რომ იმათ ანგარიშის გაწევის დროს, ხან ვუაღერებთ, ხან ვუსაყვედურებთ, ხან შევეტკბით და ხან შევუფუცხუნოთ — ვის რა ხელი აქვს? და აქ ნაცია რა შუაშია?!“ (გვ. 10).

შემდეგ იგი განიხილავს მრავალი საუკუნის წინ საქართველოში შემოხიზნულ სომეხთა ეროვნულ და სარწმუნოებრივ მდგომარეობას. მას მიიჩნია, რომ სარწმუნოება და (ეროვნება) განა ერთი და იგივე არ არის, ასე რომ იყოსო. აღნიშნავს აკაკი: „მაშინ ავსტრიელები და ფრანკუზები, ისპანიელები, პოლონელები და სხვა ყველა, ვინც კი კათოლიკის სარწმუნოებას აღიარებს, ერთი ნაციის ხალხი იქნებოდნენ! მაშინ ბერძნები ხომ რუსები იქნებოდნენ? და, მაშასადამე, სომხები რაღა არიან, რომ ვინც კი მათ სარწმუნოებას აღიარებს, ის უთუოდ უნდა მათ ნაციასაც შეეისხლხორცოს, ტერიტორიისა და ისტორიის მიუხედავად თავის საკუთარ გვარ-ტომობაზე ხელი აიღოს?!“ (გვ. 10).

პოეტი მართებულად ეხება საქართველოში მცხოვრებ სომეხებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ და ქართველ ხალხს შეეისხლხორცნენ: „მართალია, არიან ჩვენში მართლა სომხის ტომის და მოდგმისანიც, მაგრამ ისინი მრავალ საუკუნეების განმავლობაში ისტორიული კანონის ძალით ისე შეეისხლხორცნენ ქართველებს, რომ არაფრით არ განსხვავდებიან თვინიერ სარწმუნოებისა და მათი სარწმუნოებაც ჩვენში ყოველთვის შეწყნარებული ყოფილა: არა თუ არ უდევნიათ, პირიქით, ჩვენი ეკლესიები და ტაძრებიც კი დაუთმიათ მათთვის“ (გვ. 11). შემდეგ მოაქვს კონკრეტული მაგალითები და ჩამოთვლის გრიგორიანულ ქართველთა გვარებს, რომელთა შესახებ წერს: „არღუთაშვილები, ბებუთაშვილები, თუმანიშვილები; შანშეშვილები და სხვანი, რომელთაც მდიდარი ადგილშამულები აწევენ თავზე და ყმა-შამულებით თავი მოჰქონდათ, ვისგან იყვნენ დაჯილდოებულნი, თუ არა ჩვენი ქვეყნისა და მეფეებისაგან? ვინ მიანიჭა მათ თავად-აზნაურობის ხარისხი? ვისგან და რა ენაზე აქვთ დაწერილი საბუთები და გუჯარები — სომხურზე თუ ქართულზე? იმათ შეუძლიან თქვან, რომ სომხის სარწმუნოებისა ვართო, მაგრამ ქართველები არ ვართო კი — ვერ იტყვიან. აქაც და ერთხელ: — ოდესმე ჩვენი წინაპარი სხვა ქვეყნიდან, რომ გადმოსულიყო, ყოლიფრის მიუხედავად, დღეს ათასი წლის შემდეგ, ისევე იქერს უნდა მიუბრუნდეთო! ეს რომ არ იყოს და საზოგადო კანონათა დიადვას, მაშინ ხომ ყველას გზა და კვალი არეული იქნებოდა!“ (გვ. 11). შემდეგ აკაკის მოაქვს ასეთი მაგალითი, ვინმე ქართველი რომ დიდი ხნის წინ სომხეთში გადასულიყო და მის ნაშვიერს მართლ მართლმადიდებლობის გარდა არა შერჩენოდეს რაო. მასზე სომხები ხომ ვერ იტყვიან ქართველიაო, რადგან მართლმადიდებელიაო, — სომხების პატრიოტობას რომ ცოტა გადაჭარბება და ნაძალადეობა ეტყობა — ცხადია, ამას საქართველოს სომხებიც კარგად გრძნობენ, მაგრამ რაღა კი ერთხელვე შორიდან მოსულებმა (სომხებმა — ბ. ა.), გადაიტყუეს, სიმაართლის კალაპოტში ვეღარ ჩამჯდარან“ (გვ. 11).

აკაკი სტატიას ასეთი დიდებუნიოვანი შეგონებით ამთავრებს: „მტკვრის „იორდანეთ“ დასახვა და საქართველოს „ალექსით ქვაყანათ“ წარმოდგენა — ისეთი უნაყოფო ოცნებაა, რომელიც ვნების მეტს ვერას მოუტანს ვერც ერთ მხა“

რეს! იმათ, რაც არ ჰქონიათ, რას დაჰკარგავენ?!“ (გვ. 12). აქ იგულისხმება ზოგიერთი სომხის ოცნება თბილისის სომეხთა ქალაქად მიწვევისა, რაზეც ობიექტურ პასუხს აძლევს აკაკი, როცა წერს: „იმათ, რაც არ ჰქონიათ, რას დაჰკარგავენ?! მაგრამ ჩვენ-კი გავიჭყლიტებით უსამართლოთ და ამიტომაც ვეძმარებთ თვალის გახელა! ავგილო, გღვენო, შენ ნაოხარზე მე გამოვიჭიმო. შენ სიტყვ-ხლე წავართვა და მე მით მოვიმატო“ — ეს სამართლიანი სიტყვა-პასუხი არ არის! ამას არცერთი ნაციის კანონიერი ინტერესი არ მოითხოვს! ეს მხოლოდ ველური, მზეცური ინსტიტუტია და ჩვენ არ გვინდა, რომ ამგვარი რამ სომხის ნაციას შეეწამოთ!“ (გვ. 13).

აკაკის პოზიციას განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი სტატიის ბოლო ნაწილში, როცა ის ერთმანეთისაგან განასხვავებს მტაცებლური ბუნების სომხურ ბურჟუაზიას, რომელსაც ბრბოს უწოდებს, და მაშინდელ სომეხ ხალხს. „ჩვენ იმას ვამტკიცებთ, რომ ის ბრბო, რომელიც დღეს ჩვენში მოქმედებს, მხოლოდ პირადი ინტერესებით არის გამსჭვალული და ნაციონალურ მისწრაფებას პირბადეთ ხმარობს და ზედ კალთად იფარებს. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ესენი სომხობის წარმომადგენლები იყონ. ეს მძარცველები, სადაც უნდა იყვნენ, არც ერთ რომელსავე ხალხში არ იქნებიან შეწყნარებულნი“ (გვ. 14).

ბოლოს აკაკი ამ სიტყვებით ამთავრებს თავის მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან წერილს: „ამავე აზრზე უნდა იდგეს თვით სომხობის ახალ-თაობაც და თვითონვე უნდა უარყონ ამნაირი სომხობა, მაგრამ, ჰოი, საკვირველება! ისინი მხოლოდ, ესარჩლებიან და მით ჩირქს სდებენ მთელ სომხის ნაციას! ახლა, ჩვენ ვიკითხავეთ: ვინ არის მტერი სომხის ნაციის და ვის სძულს ის, ჩვენ, რომელსაც მცარცველთა ბრბო, ჩვენზე მომდგარი და ჩვენში შემოსული სომხობის წარმომადგენლათ არ მიგვაჩნია, თუ ისინი, ვინც იმათ ექომაგება?“ (გვ. 14).

ნიშანდობლივია რომ აკაკი და ილია, ორივენი ერთ პოზიციასზე დგანან სომეხ ერთან დამოკიდებულების საკითხშიც. აკაკის აღნიშნულ სტატიაში გამოთქმული აზრი, რომელშიც პოეტი დიფერენცირებულად აფასებს სომეხ მშრომელ ხალხს და სომხურ ბურჟუაზიას, ანალოგიურია ილიას მიერ ცნობილ „ქვათა ღაღადში“ გამოთქმული შეხედულებისა. მართალია, ილიამ ამ ვრცელ წერილში მკაცრად გააკრიტიკა და მართებულად გააცამტვერა ზოგიერთი სომეხი და არასომეხი მეცნიერის ნაშრომი, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მაღალი წარმოდგენის არის სომეხ მშრომელ ერზე და სომეხ გლეხკაცზე, რაც სხვა დროსაც არაერთგზის უთქვამს, როცა საფუძვლიანად გააკრიტიკა და ამხილა სომეხი მეცნიერნი, ილიამ იქვე დასძინა: „ჩვენ ადრეც გვიუთქვამს დ ეხლაც ვიტყვი: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალდება, იგი ცოდვა — მთელს ერს სომხისას შეეწამოთ, რომელიც მართო ერთს გვარს გუნდს სომეხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ მეცნიერთ კუთვნის... მთელი ერი სომეხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავის საქმეს ადგია — ვაჭრობაა თუ ხვნა-თესვა — და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირვება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არამკითხე მოამბესავეთ მეტიჩრობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა“ (ი. ჭავჭავაძე, „ქვათა ღაღადი“, ტ. 8, გვ. 98).

სომხური პერიოდიკის ფურცლებზე აკაკის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული. ეს ცნობები სომეხ მკითხველ საზოგადოებას სხვადასხვა ინფორმაციას აწვდის აკაკის შემოქმედების შესახებ. გაზ. „მშაკ“-ის (მუშა) 1908 წლის № 271-ში სომეხი ლიტერატორი ტ. ფირუმიანი წერდა, რომ აკაკი 1958 წლიდან დღემდის ყველა ჟურნალ-გაზეთში სისტემატურად თანამშრომ-



ლობს. ის წერს ლექსებს და პოემებს, -სუსხიან ფელეტონებს, სტატიებს ისტორიაზე, ფოლკლორზე, მოთხრობებს, მოკლედ რომ ვთქვათ, მისი ნაწარმოებები ძალზე პოპულარულია. აკაკის არაერთი ლექსი სიმღერადაა ქცეული, მისი ქნარი ხალხის გულის ნადებს გამოზატავს, ამიტომაც რომ აკაკი ყველაზე ხალხური პოეტია საქართველოში". შემდეგ დახასიათებულია აკაკის შემოქმედება და მისი პოეტური ცხოვრების გზა. ტ. ფირუმიანი ასე ამთავრებს თავის წერილს: აკაკის ღირა არის მრავალხმიანი, მაგრამ მისი ძირითადი მოტივი პატრიოტიზმია. უმეტეს შემთხვევაში თავის საყვარელ საქართველოს წარმოსახავს ლამაზ, მაგრამ პატივყარულ სატრფოდ, რომელსაც დაუცხრომლად უმღერის, აკაკი არასოდეს არ იმეორებს და ყოველ ლექსში ახალ-ახალი ნიუანსები შეაქვს. ამ გარემოებამ იმერულ გლეხობას დიდი სამსახური გაუწია და ჩაგრული გამოადვიდა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტ. ფირუმიანი როცა ამბობს აკაკის პოეზიამ იმერული გლეხობა გამოადვიდაო, ეს არ არის სწორი, რადგან აკაკის პოეტურ ქნარს სრულიად საქართველო უკადებდა ყურს. მისი პოეზიის ასე ვიწრო კუთხური გაგების სასტიკი წინააღმდეგი იყო თვით აკაკი. ვანა მისი ცნობილი პოეტური სტრიქონები ამაზე არ მეტყველებს:

ჩონგური საქართველოა  
სიმები ჩვენ ვართ ვეგლო,  
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს  
მაშინვე უნდა შევლო.

აკაკისადმი მიძღვნილი ცნობილი სომეხი პუბლიცისტის ალ. ქალანთარის სტატია „იუბილარი“. ამ წერილში ავტორი სომეხ მკითხველს აცნობს თუ რა ადგილი უკავია და რა მნიშვნელობა აქვს აკაკის პოეზიას ქართულ ლიტერატურაში. ალ. ქალანთარი შენიშნავს: — „აკაკის დიდებულ შემოქმედებაში ღირს-შესანიშნავი ლექსების გვერდით უჭველად შეინიშნება სუსტი ლექსებიც, მაგრამ დღეს იუბილარის განვილი პოეტურ გზას თუ გადავხედავთ, განუზომელია ის დეაწლი პოეტისა, რომელიც აკაკიმ შეიტანა ქართული ლიტერატურის და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში“. ქართული ლირიკის პატრიარქს სომეხური სამწერლო საზოგადოების სახელით ალ. ქალანთარი გულწრფელად ულოცავს იუბილეს.

მზურვალედ ულოცავს აკაკის იუბილეს (70 წ.), აგრეთვე, ცნობილი სომეხი პუბლიცისტი ა. არაქელიანი (გაზ. „მშაკ“, 1902 №272). ამ ვრცელ ინფორმაციაში სომეხი პუბლიცისტი დაწვრილებით აღწერს საიუბილეო საღამოს, რომელიც 1908 წლის 7 დეკემბერს ჩატარებულა თბილისის სახაზინო თეატრში, „ამიერკავკასიაში არცერთ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ასეთი ფართი მასშტაბის იუბილე არ ჩატარებულა“. — წერს ა. არაქელიანი.

გაზ. „პორიზონში“ 1913, № 66 გამოქვეყნებულია სტატია: „აკაკი წერეთლის ახალი ნაწარმოებები“. აქ ლაპარაკია პოეტის რაკა-ლეჩხუმში მოგზაურობასა და მის ლექსზე „ფული“. შემდეგ ინფორმაცია გვაუწყებს, რომ ინგლისური ამხანაგობის „გრამაფონის“ თბილისის ფილიალის თხოვნით აკაკის სამი ლექსი წაუკითხავს და სიტყვაც უთქვამს: „სალამი ახალგაზრდებო, მე უკვე მიმაჯალი ვარ და ცუდია ვერას საგულისხმოს ვერ გიტოვებთ. გვედრებით მხოლოდ ერთს, სამშობლო გიყვარდეთ... ერი გიყვარდეთ, რომელიც არის კაცი: ბრივობის უპირველესი მისწრაფება! მაგრამ ამ სიყვარულში უნდა იყოს სიმაბრთლე და გულწრფელობა, უამისოდ ყოველი შრომა ფუჭია“.

1913 წლის გაზ. „პორიზონში“ №97 გამოქვეყნებულ ტ. ფირუმიანის წერილში ერთ ძალზე საინტერესო ფაქტზეა ლაპარაკი. ტ. ფირუმიანი თავის წერი-





ლში აღნიშნავს, რომ ცნობილ სომეხ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს დ. ალაიანს სომხური დედაენის შედგენის დროს ზოგიერთი ზღაპარი ქართული ფოლკლორიდან აუღია. „განსვენებულმა დ. ალაიანმა ერთხელ გაგვანდო, ჩემს სახელმძღვანელოში რამდენიმე ზღაპარი ქართველ გლეხების ნაამბობზე ავაგეო. ესენი იყვნენ იმერული მებაღეები, რომლებიც სამუშაოდ ბორჩალოში მიდიოდნენო. როდესაც ვუთხარი — წერს ტ. ფირუმიანი, — მის სომხურ ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში არის რამდენიმე საუბარი, დილოგი, რომელიც ძალიან ჰგავს ი. გოგებაშვილის ცნობილ სახელმძღვანელოში („დედა-ენაში“) ზოგიერთ ნაწარმოებსო, დ. ალაიანმა გულახდილად აღიარა, ჩემი მეუღლის დახმარებით ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთც ვსარგებლობდიო“ (გაზ. „პორიზონი“ 1923, №97).

დიდი მწუხარება გამოიწვია სომხურ საზოგადოებაში აკაკის გარდაცვალებამ. ამ სამწუხარო ფაქტს მასობრივად გამოეხმაურა სომხური პერიოდიკა. დაიბეჭდა გაზ. „მშაკის“ მოწინავე წერილი სათაურით „ქართველი ხალხის გლოვა“ (1915, №28). ამავე ნომერშია დაბეჭდილი გ. მირალიანის წერილი, რომელშიც განხილულია აკაკის შემოქმედება. გ. მირალიანი მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი პოეტის მიერ განვლილ პოეტურ გზას და თვით აკაკის ქართულ ლიტერატურაში პირველ პოეტს უწოდებს. სამძიმრის დებეშებია გამოქვეყნებული გაზ. „მშაკ“-ის 1915 წლის მრავალ ნომერში.

აკაკის პოეზიის ნიმუშების პირველი მთარგმნელია ვ. ტერიანი. როცა ტერიანმა ხელი მოჰკიდა აკაკის შემოქმედების თარგმნას, მაშინ აკაკის პოეზია სომხურად თარგმნილი არ იყო. ასე რომ, ვ. ტერიანმა სათავე დაუდო აკაკის შემოქმედების თარგმნას სომხურ ენაზე. ვ. ტერიანმა თარგმნა აკაკის ლექსი „კინტოს სიმღერა“. ამ თარგმანის თარიღი გარკვეულ არ არის. პოეტის არქივში დაცულ ამ ლექსის სომხური თარგმანის ხელნაწერს თარიღი არ უზის. პოეტის სიცოცხლეში კი ეს თარგმანი არ გამოქვეყნებულა. იგი, ჩვენი აზრით, 1914-1915 წლებში უნდა იყოს თარგმნილი; როგორც ტერიანის ბიოგრაფიიდან ვიცით, 1913-1916 წლებში, იგი განსაკუთრებით გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

საფიქრებელია, ვ. ტერიანი ვიდრე რუსთაველის პოემის შესავლის სომხურის თარგმნას (ვ. ტერიანს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის ბრწყინვალე თარგმანი, რომელიც დღემდე სანიმუშოდ რჩება) შეუდგებოდა, პირველად აკაკის ლექსის „კინტოს სიმღერის“ თარგმნას მოკიდა ხელი, ალბათ, ქართულიდან სომხურად მხატვრულ თარგმანში გაწაფვისა და გამოცდილების შეძენის მიზნით, „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი მან თარგმნა მომდევნო 1916-1917 წლებში, ხოლო „კინტოს სიმღერა“ უფრო ადრე, ე. ი. როცა ქართულის შესწავლა ორიოდე წლის დაწყებული ჰქონდა.

ვ. ტერიანს აკაკის ლექსის თარგმანზეც მისთვის ჩვეული მაღალი მთარგმნელობითი ოსტატობით და გულისხმიერებით უმუშავია. პოეტი ცდილობს, არ დაარღვიოს ორიგინალის ფორმისა და შინაარსის მთლიანობა. ჩარენცის სახელობის ერევნის ლიტერატურულ მუზეუმში, პოეტის პირად ფონდში დაცულია შავი ხელნაწერი მასალები, რომელიც მას ამ ლექსის თარგმანის დროს შეუსრულებია (ხელნაწერი №77). ეს ხელნაწერი შედგება ათგვერდიანი რვეულისაგან. პირველ გვერდზე ლექსი გადაწერილია ჯერ ქართულად, მერე რუსულად — ალბათ, შინაარსის უკეთ გაგების მიზნით. შემდეგ გვერდზე კი უკვე სომხურად გაუწყვია იგი. სომხურად თარგმნილ ტექსტს წინ პოეტის ხელით აქვს მიწერილი ერთსტროფიანი საკუთარი ლექსი სომხურ ენაზე.

აკაკის ამ ლექსში გახსნილია კინტოს ინდივიდუალური ხასიათი, რომლის-

თვისაც მხატვრული სიტყვის მარაგი აღებულია ქართული არასალიტერატურო ლექსიკური ფონდიდან. პოეტს სათარგმნელი მასალის პოეტური ლექსიკა შეურჩევია სომხური აშუღური პოეზიის ლექსიკური მარაგიდან. ამ გზით სომხურ თარგმანში შენარჩუნებულია დედნის მხატვრული სული და კოლორიტი.

სომხურ ენაზე აკაკის შემოქმედების თარგმნა გაფართოვდა და სისტემატური ხასიათი მიიღო ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან. ითარგმნა მისი არაერთი ლექსი, პოემა და მოთხრობა, ხსენებულ აღმანახში „არშაკ“ (შეტევა) 1940 წლის ნოემბერში მოთავსებულია აკაკის ლექსების სომხური თარგმანები: „ჩონგური“, „გაზაფხული“ (მთარგ. გ. ასატური), „ამირანი“, „მუხამბაზი“ (მთარგ. ს. ავჩიანი), „სულიკო“ (მთარგ. პ. კარაპეტიანი), „მეგობარს“, ვუძღვნი ბ-ნ გ. სუნდუკიანს, მთარგ. ლ. მელიქსეთ-ბეგი), პროზიდან „ბაში-აჩუკი“, რამდენიმე თავი (მთარგ. პ. მირიმიანიანი).

1961 წელს ერევანში გამოვიდა კრებული „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები“. ამ კრებულში შესულია აკაკის პოეზიის ნიმუშთა „სომხური თარგმანები“. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ავ. ისააკიანის მიერ შესრულებული თარგმანების მაღალი მხატვრული ოსტატობა: „ქუთაისი“, „ავადმყოფო მგოსანი“, „აპელაციის მცოდნეთ“ და სხვა. ამ კრებულში შესულია, აგრეთვე, ვ. ტერიანის, ს. ტარონცოს, გ. ბორიანის, ვ. ნორენცის და სხვათა თარგმანები.



## თეიმურაზ მალაფერიძე

# არჩილ ჯორჯაძის მიმონერიდან

„სახალხო გაზეთის“ 1913 წლის № 853-ში, პირველ გვერდზე, ასეთი ცნობაა გამოქვეყნებული:

რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველს და ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე ბათუმში გარდაიცვალა გაზეთის მუდმივი თანამშრომელი

### არჩილ ჯორჯაძე

დასაფლავება მოჰხდება ქ. ტფილისში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, ნაშუადღევს 2 საათზე, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

აქვეა ცნობა იმის თაობაზე, რომ განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ თავისი თხზულებანი უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. გამოქვეყნებულია სურათიც განსვენებულისა: სანდომიან, წვერულვაშიან ახალგაზრდა კაცს ხელი ყვრიმალისთვის შეუბჯენია და მეტყველი, ნაკლიანი თვალებით იმზირება.

ამის შემდეგ გაზეთის მომდევნო ნომ-

რებში კარგა ხნის მანძილზე იბეჭდებოდა სამძიმრის დეპეშები, გამოგზავნილი ევროპის, რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან თუ სოფლებიდან. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

**ბერლინი:** თქვენთან ერთად ცხარე ცრემლით დავსტირით ძვირფასი მასწავლებლის კუბოს.

გერონტი ქიქოძე.

**ლაიპციგი:** დამწუხრებულნი და დაობლებულნი ვგლოვობთ. დავკარგეთ ერის გუშაგი. ერო, სტიროდე შენს მოამაგეს, ვინდა შეგიხვევს მწუხარეს აწწყლულს? ერო, სტიროდე შენს ჭირისუფალს, შენთვის წამებულს, შენთვის დაკარგულს.

ქ. გამსახურდია, ხ. შანშიაშვილი და სხვანი.

**ბერლინი:** გზაში გავიგე შეუდარებელი არჩილის გარდაცვალების ამბავი. სიცოცხლე აღსაუეს შევნებითა და ტანჯვით, გაჰფრინდა მარადისობის წიაღში. უდაბნოსებურმა სიცარიელემ მოიცვა სული.

გრიგოლ რობაქიძე.

**პეტროპოლი:** ვწუხვარ არჩილს სიკვდილს, მაგრამ ახლა მისი ტანჯვა გათავდა. მისი ხსენება და აღთქმანი მარადი იქნება. ეს მანუგეშებს.

**ზურაბ ავალიშვილი.**

**ხარკოვი:** დავტირი არჩილს, რომელმაც საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანა შექმნა.

**დიმიტრი უზნაძე.**

დააკვირდით ამ ბოლო სიტყვებს: „საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანა შექმნა...“ ასეთი აზრის დაუფიქრებლად წამოსროლა უპატიებელი არასერიოზულობა იქნებოდა, რასაც დიმიტრი უზნაძეს ვერაგვით ვერ დაეწამებთ. საიმედოოდ მას უკვე დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია გერმანიაში ვლადიმერ სოლოვიოვის მეტაფიზიკურ ფილოსოფიაზე.

„სული ძლიერო, რომელმაც მამობრივი მზრუნველობით გულს ჩაგვიწერე მტყიცე იმედი წამებული სამშობლოს ბრწყინვალე აღდგომისა, იყავ კურთხეულ ამიერიდან!“ – წერს არისტო ჭუმბაძე, „სახალხო გაზეთის“ იმჟამინდელი რედაქტორი, ზოლო ი. ევდოშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი და სხვები მიცვალებულს უსასოო ნაღველით გამსჭვალულ ლექსებს უძღვნიან.

აი, კიტა აბაშიძეც:

„იგი ღრმა, გრძნობიერი ადამიანი იყო და ერთ დღეს, როცა დადგება ამისძ შესაფერი ისი ღრო, ჩვენ დავინახავთ მრავალ მომზიბველ და საოცარ თვისებას მისი ბუნებისას, რომელიც ჯერჯერობით დუმილის სამგლოვიარო ლეჩაქით უნდა იყოს შებურვფლი. ასეთი იყო მისი ნება.

გათავდა ტანჯვა, მაგრამ დაიწყო სულიერი აღდგომა. მისი აზრი ქართველი ერის უფლებების დაცვის შესახებ, „საერთო მოქმედების“ შესახებ, მომავალს ეუთვნის.

იგი განხორციელდება, ან ქართველი ერი მოკვდება. და აი, მაშინ მკედრეთით აღდგება იგიც, მისი საყვარელი სამშობ-

ლოც. თუ არა და, მის აზრთან ერთად დაიძარბება მისი სამშობლოც“.

როგორც ჩანს, არჩილ ჯორჯაძე, პიროვნება და მოაზროვნე, დიდად ხაბლიანი კაცი იყო; მას წარუხოცელი შთაბეჭდილება მოუხდენია ადამიანებზე, მათთვის უშურველად გაუნაწილებია გულის სითბო და ინტელექტის სხივმოსილება, ამიტომაც მისი ჭირისუფალი მთელი ქართველი - ერი იყო, - ერი, რომელსაც იგი დაუცხრომლად მოუწოდებდა ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ, საკუთარი მეობის გარკვევისაკენ, წარსულის, აწმყოსა და მომავლის გონივრულად შეხიზნობისაკენ.

აღესრულა კაცი,

რომელმაც უკანასკნელი სისხლის წვეთიც კი სამშობლოს მერმისისათვის მიიტანა სამსხვერპლოზე და შთამომავლობას თავდადების ნათელი მაგალითი დაუტოვა, რომელიც ღირსეული მექვიდრე იყო დიდი ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალებისა!

ეს კარგად იცოდა მაშინდელმა მოაზროვნე საქართველომ, ამიტომაც არჩილ ჯორჯაძეს, მარტის მოღუშულ დღეს 1913 წლისა, მთელი საქართველო ასაფლავებდა.

ქაშვეთის ტაძრიდან გრძელმა პროცესიამ დიდუბის პანთონისაკენ აიღო გეზი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ დელეგაციები; უნდა თქმულიყო მრავალი სამგლოვიარო სიტყვა, მაგრამ...

როდესაც კუბო ძვირფასი ცხედრით სამარესთან დასვენეს, „სახალხო გაზეთის“ რედაქტორმა, არისტო ჭუმბაძემ, ხალხს მოკლე სიტყვით მიმართა:

„ბატონებო, განსვენებულის ამხანაგებისა და ჭირისუფლებისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მიცვალებულის ხსოვნის აღსანიშნავად სიტყვები არ იქნება. ამიტომ გთხოვთ, მუხლმოდრეკითა და ღრმა დუმილით ვცუთ პატივი განსვენებულის ცხედარს.

ყველამ მუხლი მოიყარა. სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ ზარების ნელი რეკვა და სევდით აღსავსე „სა-



უკუნოდ იყოს ხსენება შენი“, რომელსაც ოთხი ზორო ერთად გალობდა“.

„სახალთა გაზეთი“, 1913, № 856

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ მუხომოდრეკილთა შორის იყო მყინვარით ჩამოთოვილი აკაკი წერეთელი, დიდი თანამოსაგრე ილია ჭავჭავაძისა.

იყო კლდის ნატეხი — ვაჟა-ფშაველა! ერთსაც და მეორესაც მზად ჰქონდათ მცირე რამ გამოსათხოვარი, მაგრამ, „მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“, საშუალება არ მიეცათ თქმისა.

აი, აკაკის სიტყვა, რომელიც უნდა წარმოეთქვა არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვის დღეს სასაფლაოზე:

„კურთხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენისთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ზოლმე.“

კრულ და წყეული იყოს ის გარემოება, რომელიც უდროოდ სტაცებს ხელიდან ცხოვრებას შენისთანა ნიჭიერ ახალგაზრდებს.

ახალგაზრდა შენ დიდ იმედებს იძლევიანობდი მომავლისათვის და ჩვენც ვამბობდით გუნებაში: „ჩვენ წარმავალნი ვართ, მოვლენ სხვები, უფრო მომზადებულნი, უმეტესის ენერჯით და ჩვენს ნაკლს გულწრფელად შეავსებენ“. მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ დაგცალდა, რომ მოვთავთებინა დაწყებული საქმე.

მე კი მოხუცი, როგორც მამა, საიმედოდ და სანუგეშო შვილის დამკარგავი, ედგეკარ შენს წინ და პირი მიშრება. სიტყვა ვერ მომიხერხებია, მაგრამ დუმილში მეტი თანაგრძნობა იხატება, ვიდრე მრავალმეტყველებაში. მშვიდობით, შვილო! სამარადისოდ იყოს შენი სახსენებელი!“

ზოლო ვაჟას ლექსი „ჭანდარი“, რომელსაც ქვესათაურად აწერია „უუძღვნი არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას“, ასეთი გახლავთ:

„მინდორზე იდგა ჭანდარი ტოტგართხმით, როგორც კარავი, წვიმის და პაპანების დროს მშრომელი ხალხის მფარავი. დადლილნი მუშაობითა, გულმკერდს ოფლ-გადმომდინარნი, იმ ხის ქვეშ თავ-

სა იყრიდნენ მუშები სახემცინარნი, სტკებოდნენ გრილის სითით ზეზე მყოფნი და მძინარნი. ხესა ჰლოცავდნენ, ამბობდნენ: „ხეო, იცოცხლე ღვთიანო! უშენოდ გემო წყალს არ აქვს, ვერცა ვჭამო, როცა ვჭმიანო“. დამწკრივლებიან ხის გრილში, წინ სუფრას გაიშლიანო, ჩრდილი საძოთხეს სჯობია, როცა ყანასა მკიანო, ლობიოს სჭამენ, ან მაწონს, სხვა იმათ არ იციანო! ცოტ-ცოტა ღვინოსაც შასმენ, გულით დარდს გადიყრიანო, შაჰშრებათ ოფლის ღვარები, გულმკერდს რომ უღარვიანო, უფრთხილდებიან ჭანდარსა, — მუშების დედა ჰქვიანო. მაგრამ ხე უცებ წაიქცა, მით აატირა გლეხები და ჭანდრის დიდრონ ფესვებზე სხვა ამოვიდა ხეები. დიდი ჭალაკი გაკეთდა ჭანდრის ნადგომზე ფიჩხისა, თუმც ჯერ არა აქვს მათგანსა არცერთს ლაზათი იმ ხისა. იმედი არის, რომ ერთ დროს დაიზრდებიან დიდები, — მათ ჩრდილში მოიგრილებენ მკერდ-ოფლიანი ბიჭები“.

დიდუბის პანთეონში, შესასვლელიდან ხელმარცხნივ, რუხი ქვით შემორაგული საფლავია. შიგნით ორი ტანძლიერი კეიპაროსი დგას, კენწეროები ურჩად აუწვდიათ ცაში. დრო-ჟამისაგან ჩამავებულ მარმარილოს პატარა ფილას აწერია: არჩილ ჯორჯაძე (1872-1913), „ქვირფას მასწავლებელს, მადლიერი მუშებისაგან“.

საფლავს მოუველელობა ეტყობა, ხავესი, ხმელი ბალახი, ფოთლები, სურო... ახლა იქ სიმყუდროვეა და ჩუმი მოლოდინი.

და მაინც, ვინ იყო არჩილ ჯორჯაძე? რით დაიმსახურა გამოჩენილ მოღვაწეთა თუ რიგითი ადამიანების საყოველთაო პატივისცემა და აღიარება?

ვანა რა ასეთი ურნახტი გაავლო ქართულ მიწაზე?

ამ კითხვებზე უთუოდ გემართებს მკაფიო პასუხის გაცემა:

XX საუკუნის პირველი თხუთმეტწლეული უაღრესად რთული და საინტე-



რუსო პერიოდი იყო რუსეთის იმპერიაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ. სოციალურ, ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ თუ სხვა რიგის პრობლემებს, რომლებიც საიმდროოდ ცხოვრებამ წამოაყენა და დაუყოვნებლივ ითხოვდა მოგვარებას, საქართველოში ემატებოდა კიდევ ერთი მტკივნეული პრობლემა: ეროვნული.

1905 წლის რევოლუციამ ნათელი გახადა, რომ სისხლზე და მახვილზე დაფუძნებული ტახტი რომანოვებისა სულს ღაფავდა და დიდ ხანს ვერ იბოვინებდა. ამას კარგად გრძნობდნენ მაშინ ძალზედ მომრავლებული პოლიტიკური პარტიები: რომლებიც ერთმანეთთან გააფთრებული პოლემიკით ცდილობდნენ საკუთარი თვალსაზრისის დაცვას და ხვალინდელი დღის განჭვრეტა-პროგნოზირებას.

საქართველოში ასეთი პარტია, ძირითადად, ორი იყო: ე. წ. „მესამე დასი“, რომელიც დაარსებიდან ცოტა ხნის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განუყოფელი ნაწილი შეიქნა. აგრეთვე, პარტია სოციალ-ფედერალისტებისა, რომელიც ზუსტად ჩვენი საუკუნის დასაწყისში (1901 წ.) ჩამოყალიბდა და რომელსაც ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატებისაგან მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა და, არსებითად, ილია ჭავჭავაძის ეროვნულ კონცეფციას იზიარებდა. სწორედ ამიტომ ამ პარტიას აქტიურად ემხრობოდა მამულიშვილურად განწყობილ ინტელიგენტთა და გლეხთა ფართო წრეები, აგრეთვე, მუშათა საგრძნობი ნაწილიც. აღსანიშნავია, რომ რევოლუციის შემდეგ, ხსენებულ ინტელიგენტთა მოზრდილი ჯგუფი ეროვნული ისტორიის, ლიტერატურისა და, საერთოდ, კულტურის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწეებად მოგვევლინა. საკმარისია დავასახელოთ: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კიტა აბაშიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აგრეთვე, XX საუკუნის თითქმის ყველა თვალსაჩინო მწერალი, რო-

მელთა სახელებს კრძალვითა ვისცემით წარმოთქვამს მთელი ქართველი ერი.

სოციალ-ფედერალისტთა პარტიის აღიარებული ლიდერი, ზნეობრივი და ინტელექტუალური მედროშე არჩილ ჯორჯაძე იყო.

არჩილ ჯორჯაძე არ არის პოპულარული სახელი ჩვენში. მას, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ იცნობს მკითხველთა ფართო საზოგადოება და მისი მემკვიდრეობაც, დღესდღეობით, სპეციალისტთა ვიწრო წრის ანაბარად არის მიტოვებული\*.

ამას, რაღა თქმა უნდა, აქვს თავისი მიზეზი: აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, უნიათო რეზონორები, მენშევიკები, ძალაუფლება ციურ მანანსავით გაურჯელად რომ ჩაუვარდათ ხელში, ბუნებრივია, ღირებულებათა გადაფასებასაც შეეცადნენ და სწორედ ამიტომ, ნაადრევად გარდაცვლილი არჩილ ჯორჯაძე (1913 წ.) ჩრდილში აღმოჩნდა, რადგან იგი თავის დროზე მოუნებელი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე იყო ნოე ჟორდანიასი და ძმათა მისთა.

მენშევიკების შემდგომ კვლავ შეიქცალა პოლიტიკური სიტუაცია და სისხლიანი ბოლშევიკური რეჟიმის ზოგიერთი ხელმძღვანელის (ფ. მახარაძე და სხვანი). შურისმაძიებლური მოსახრებებისა გამო (მათ ხომ საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი არჩილ ჯორჯაძის მსუსხავი პოლემიკური ისრები), აგრეთვე, კულგარული სოციალიზმის განუკითხავი პარპაშის ვითარებაში, როცა „რაპელები“ მზად იყვნენ, საკუთარი მამაკი ჯვარს ეჭვით, თუკი მათს პრიმიტიულ

\* საქმეს ვერ უშველა 1989 წელს გამოცემულმა მისი რჩეული წერილების კრებულმა (შემდგენელი აკ. ბაქრაძე, რედაქტორი ი. ორჭონიძე), რადგანაც წიგნი ყოველგვარი წინასიტყვაობისა და კომენტარის გარეშე დამტარებული ეს ატრიბუტები კი „იუსტიციის“ იყო მკითხველთა დაკავალანებისათვის. წიგნი დღესაც ნელნელად დევს მალაზაძის თარგობზე.

დოქტრინებს არ დაეთანხმებოდა, არც ილ ჯორჯაძე, ბუნებრივია, ისევე განიპირეს. მის ღრმა ცოდნასთან, დარბაისლს მსაჯულებასთან ჭეშმარიტად მამულიშვილურ პოზიციებთან ნაჭკარევი დოქტრინებით ბრძოლა დიახაც ასევე იყო და ამიტომ ნაცად, გარნა ნაზრახ ილეთს მიმართეს მაშინაც: არც ილ ჯორჯაძე საერთოდ მიაჩუმათეს, ხოლო ვითარება ისე წარმოსახეს, თითქოს იგი არც კი არსებულებო. ამავ დროს, მაგანი ურცხვი კრიტიკოსები დაურიდებლად „სესხულობდნენ“ აზრებს მისი ნაშრომებიდან, ცხადია, ავტორის მიუთითებლად.

იცის ისტორიამ მსგავსი პარადოქსები, საუბედუროდ, იცის!

ასე წამოვიდა ეს ბნელი ინერცია ოციანი წლებიდან, იგორა, იტრიალა და დღევანდლამდე მოვიდა. სწორედ ამიტომ, როგორც ითქვა, არჩილ ჯორჯაძის სახელი თითქმის არაფერს ეუბნება თანამედროვე ქართველ ინტელიგენტს. არადა, სამწუხაროა! კაცი, რომლის მთელი სიცოცხლე სანთელივით დანავლა საქართველოს უკეთეს მერმისზე ფიქრში, რომლისთვისაც აზრი და საქმე განუყოფელი იყო, კია ღირსი, რომ მის ნაწერებს კითხულობდნენ, ხოლო სახელს პატივისცემით იხსენიებდნენ. მით უმეტეს, რომ ყოვლად შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ-კულტურული ვითარების ოდნავ მაინც ობიექტური ასახვა, თუ არჩილ ჯორჯაძეს ჯეროვანი ადგილი არ დაეთმო ამ პროცესში.

რადა თქმა უნდა, ყოველივეს მისი ნაწერებიდან სადღეისოდ თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ბუნებრივია... ისეთი, აბა, ვის რა დაუტოვებია ამქვეყნად, რომ შთამომავლობას აწონდაწონისა და განსჯის გარეშე პირდაპირ დროსად აეუბნოს, თუ ეს თაობა მართლად დოკმატიკოსი და ტვინგაყინული არაა. დიახ, ზოგიერთი რამ არჩილ ჯორჯაძის ნააზრევიდან მოძველდა და მხოლოდდა ისტორიის კუთვნილება შეიქმნა, მაგრამ ჩვენ ვაღდებულნი ვართ, მის შე-

მოქმედებაში მოვიძიოთ სწორედ „რაციონალური მარცვალი“, რაც მარად-უამული გამძლეობით არის აღბეჭდილი და, აქედან გამომდინარე, სადღეისოდაც მისაღებია და გასათვალისწინებელი. ჩვენ ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთს ობიექტური მსჯავრი უნდა გამოვეტანოთ და ყოველივეს მხოლოდ მისთვის კუთვნილი სახელი დავარქვათ. შეუძლებელია, მოვითმინოთ ისტორიული ფაქტების ფალსიფიცირება ანდა ურცხვი მიჩუმათება, რაც ძალზე ხშირად ხდებოდა ზოლმე აკვიატებული დოქტრინების სახელით. ადამიანური ეთიკა გვავალებს, უმადურნი არ ვიყვნეთ წინაპრების მიმართ და დავიწყების ფერფლი მოვაშორეთ ყველა იმ მოღვაწის სახელს, რომელიც, ისტორიის პარადოქსებისა თუ ამ პარადოქსების ავბედითი ინერციის გამო, დღეს ჩრდილშია მოქცეული და ჩუმი მოთმინებით ელოდება იმ დროს, როცა თავის კუთვნილ, მართლაც რომ სისხლით მოპოვებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი კულტურის ისტორიამ.

ასეთი დრო, როგორც იქნა, დაგვიდგება და ჩვენი ზნეობრივი ვალია, ფეხი აუწყოთ მას.

ზემოთ უკვე ითქვა: არჩილ ჯორჯაძის გარეშე შეუძლებელია XX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივი აზროვნების ობიექტური ისტორიის გადმოცემა. იგი იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში იდგა, ეროვნულად განწყობილი ინტელიგენციის აღიარებული ლიდერი და, დიმიტრი უზნაძის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „საქართველოს კულტურული ცხოვრების ახალი ხანის შემქმნელი“ იყო.

არჩილ ჯორჯაძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნეში შემუშავებული ფორმულის — „ჩვენი თავი ჩვენადვე ვკვეყნდნენ“ — XX საუკუნისათვის ახლებურად დამუშავება, განვითარება და დროის კონკრეტული პირობებისათვის მისადაგება;

არჩილ ჯორჯაძის სახელთან არის და-



კავშირებული XIX საუკუნის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის პირველი მაღალკვალიფიციური დამუშავებაც. იგულისხმება მონოგრაფია „მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის“. ამ „მასალებიდან“ მრავალდებულებას დღესაც არ დაუკარგავს პირველქმნილი ელვარება, სიღრმე და მასშტაბები.

არჩილ ჯორჯაძის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, XX საუკუნის ქართული ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების საეტაპო ღირებულებათა შექმნა, საიდანაც, სხვას ყველაფერს რომ თავი დავენებოთ, ქართულმა მოღღერნიზმმა მიიღო ნოყიერი საზრდო.

აი, რას წერს ტ. ტაბიძე „ცისფერი ყანების“ მეორე ნომრის ბოლოსიტყვაში 1916 წელს:

„როცა გრ. რობაქიძემ ლექცია წაიკითხა ოსკარ უაილდზე, არჩილ ჯორჯაძემ მის საკამათო წერილში დაწერა: — რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობისათვის უაილდის შემოქმედებას? ჩემი აზრი ზოგიერთს პარადოქსად მოეჩვენება: უნდა ვსთქვა, რომ დღეს გვესაჭიროება გაბედული მხატვარი, დიდი ოცნების პატრონი, რომელიც გულში სევდას ატარებს, თავი კი გაშუქებული აქვს ღრმა და ფართო აზროვნებით... ჩვენ გვესაჭიროება, თუ შეიძლება ასე ითქვას, სინტეტიური სურათი ქართული ცხოვრებისა. ამ სინტეტიური სურათის შექმნა შეუძლია დიდსულოვნებას, დიდ ოცნებას და, თუ არ გამიწყრებით, „მშვენიერ მატყუერობასაც...“ არჩილ ჯორჯაძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ხელოვნება სძლევს ეროვნულ პარტიკულარიზმს, ოცნებით ფრთაშესხმული, რეალური ცხოვრების შემოქმედებითი შევსება და განმარტება იქნება. აქ სამახსოვროა, რატომ უნდა ატარებდეს მხატვარი დიდ სევდას და რატომ უნდა იყოს ფართო და ღრმა აზროვნებით გაშუქებული თავით. ეს გამოტანჯული აზრებია და შემდეგ აიხსნებიან. რასაკვირველია, ზოგს კი არა, ბევრსაც ეჩვენა „მშვენიე-

რი ტყუილის დაცვა პარადოქსად. მარტო ამგვარი დაყენება საკითხის მიანც გულისხმობს ერთგვარ ჯადოწრეს, რომელშიც იშლება ჩვენი მწერლობა. ხოლო დღეს იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების, საუკუნოებით დანრიღული წარსული ცოცხლდება და საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრადიციები დგებიან, დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ ბუდეს. რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკეთება ქართული იდეა. საქართველოს ხელოვნების მომავალიც ამ იდეის გაშლით გაიზომება“.

ახლა აქ საშუალება არ არის ტიციან ტაბიძის ამ ძალზე საგულისხმო აზრთა გაშლა-კომენტირებისა, ვიტყვებ უფლებას სხვა დროს უფრო ვრცელი და საფუძვლიანი მსჯელობისათვის. დასასრულ კი ერთი ჭკვიანი მწერლის შეგონება მინდა გავიმეორო:

„წარსულს ჩვენ არ ვირჩევთ. რაც გვერგო, ისაა ჩვენი წარსული, მაგრამ წარსულიდან იმის ამორჩევა კი უნდა შეგვეძლოს, რაც ჩვენი კულტურული ფონდის განუყოფელი ნაწილია, რაც გვაგრძნობინებს და გვაზიარებს სულიერი ცხოვრების მაშინდელ დონეს. წარსულზე ფიქრი უნებურად იმის სურვილსაც აღძრავს, რომ დღეს და მომავალში აღარ განმეორდეს ჩვენი მიღწევების შეგნებული გაღარიბება, წარსულის მოღვაწეთა დავიწყება, ერის ისტორიიდან მათი „ამოღება“. ესეც ჩვენზეა დამოკიდებული და უნდა მივხედოთ ამ საქმეს. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდება მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის აზრის სიმწიფე, ქართული მწერლობის მაღალი პრესტიჟი და ქართველი მწერლის სახელი“.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვგონებ, ზოგადად მაინც ნათელი უნდა იყოს არჩილ ჯორჯაძის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. ამიტომ ყველა დეტალს, მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულს, დიდი ღირებულება ენიჭება და ქვემოთ პირადი ხასიათის წერი-



ლების საჯაროდ გამოშვებაც სწორედ ამ მიზეზით გახლავთ გაპირობებული. მით უმეტეს, რომ ეს წერილები, ნაჭარბევად შეიცავენ ე. წ. „საზოგადოებრივ“ მოტივებს და, ამდენად, შორს სცილდება კამერულ-ეპისტოლარული ენის ფარგლებს.

პატივცემული მკითხველი თავადაც იოლად დარწმუნდება, რომ ქვემოწარმოდგენილი ბარათები ორად არის გაყოფილი: 1. არჩილ ჯორჯაძე სწერს ღვიძლ დას — თამარს, ანეტა ოქროშკედლიშვილის ქალს და პარტიულ თანამებრძოლს, ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და რევოლუციონერს — გიორგი დეკანოზიშვილს.

2. არჩილ ჯორჯაძეს სწერენ ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე და გრ. რობაქიძე. ჯერ პირველთა შესახებ: კარგა დიდი ხნის წინათ, ვგონებ, 1978 წელი იყო, ერთ კულტურულ და ტრადიციულად ინტელიგენტ ოჯახში მეგობრულ სადილზე ბაასის დროს, მასპინძელმა, ქალბატონმა ნუცა დუმბაძემ, როცა შეიტყო, რომ მე არჩილ ჯორჯაძის პიროვნებითა და საზოგადოებრივი ღვაწლით ვიყავი დაინტერესებული, შინდისფერ, მაგარ ყდაში ჩასმული წიგნი გამომიტანა და მითხრა: დარწმუნებული ვარ, დაგაინტერესებსო. გადავშალე და ელდა მეცა: არჩილ ჯორჯაძის პირადი წერილები იყო, მისივე ხელით ნაწერი. დრო-ჟამისაგან ჩაყვითლებული, სიფრიფანა ფურცლებიდან მიკვერდა მიჯრით მიწყობილი, წვრილი, ღამაზი, ენერგიული ასო-ნიშნები. იმორუსულად დაწერილი ბარათებიც, ფრანგულადაც (ისინი დღესაც ელიან თავის წამკითხველს). ეს ის დრო გახლდათ, როცა ა. ჯორჯაძეზე ხმამაღლა საუბრისათვის მადლობას არავენ გეტყვოდა, ამიტომ მით უფრო დაეფასე ქალბატონ ნუცა დუმბაძის გულგაშლილობა, როცა წერილები სახლში გამომატანა და თან ისიც დააყოლა, რამდენ ხანსაც გინდა, გქონდესო.

(ჩვენი საუკუნის ათიან წლებში, სოციალ-ფედერალისტთა პრესის ფურც-

ლებზე ხშირად შეხვდებოდით ჟურნალისტ სანგანიძის გვარს, უფრო სწორად, ფსევდონიმს, გვარად ვრძელიშვილი იყო. სანგანიძე ბაბუად ერგებოდა თურმე ქ-ნ ნუცა დუმბაძეს და სწორედ ამ გზით აღმოჩნდა ა. ჯორჯაძის წერილები მის ხელში, ხოლო როგორ მოხვდა ეს ბარათები თავის დროზე სანგანიძესთან, ქ-ნმა ნუცამ არ იცოდა. ამჟამად შინდისფერყდიანი წიგნი, ქ-ნ ნუცას სურვილით, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმშია დაცული).

ვინც ა. ჯორჯაძის ბიოგრაფიაზედა პირულად მაინც იცის, ისიც ეცოდინება, რომ ეს ბიოგრაფია ყრმობიდანვე ტრავგიკული იყო აღბეჭდილი. მაშინ ჯორჯაძეების ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა და არჩილიც ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე იყო. და აი, მოულოდნელად გავრდა საშინელი ხმა, ჯორჯაძეთა ორი ქალიშვილი, წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფეები, წყალს წითელაში ბანაობის დროს დაიხრჩუნენო. პატარა არჩილიც იმ დროს წყლის პირას ყოფილა. იმ უბედურმა შემთხვევამ ისეთი მძიმე გავლენა იქონია ყმაწვილზე, რომ წარუშლელი დადი დაუტოვა ცხოვრებაში. ამის შემდეგ მშობლები მალე გაეცალნენ „უბედურ“ ქუთაისს და არჩილიც ტფილისის გიმნაზიაში გადაიყვანეს.

მარად დაუვიწყარი თედო სახოკია იგონებს:

„არჩილ ჯორჯაძე 1891 წელს გავიციანი თბილისში, როცა ის პირველი გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე იყო. დიწი, დაფიქრებული და თან მეტად სანდომიანი სახის ყმაწვილი კაცი ამხანაგებში გამოირჩეოდა და მთელ ჩვენ სიმპათიას იზიდავდა. დედ-მამა ადრევე დაეხოცა და ახალგაზრდა არჩილის საზრუნავი იყო საკუთარი თავი, ორი და და ერთი პატარა ძმა (სულ ხუთნი იყვნენ — თ. მ.). თვალწინ მედგა, როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სახადილოში როგორ აჭმევდა ღარიბულ სადილებს უმცროს ძმას, კერძო გაკვეთილებში აღებული ფულით, მთლად მშობლიურ ზრუ-

ნვად გადაქცეული, თავად საზრუნავი ახალგაზრდა კაცი!"

გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ არჩილი პეტროგრადის უნივერსიტეტში შესულა, იქ გაუტაცია ფილოსოფიას, კერძოდ, სარწმუნოებრივ საკითხებს და სტუდენტობისავე დროს ბუდას მოძღვრებაზე ერთი სერიოზული ნაშრომიც დაუბეჭდავს ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“.

სწორედ ამ დროით, 1895, 97 და 98 წლებით არის დათარიღებული ბარათები ერთ-ერთი დის – თამარისადმი (დედენები რუსულადაა დაწერილი. თარგმანი ჩემია).

ამ ბარათების უკან დგას 26-28 წლის ახალგაზრდა კაცი, სერიოზული, ფიქრიანი, ცხოვრებისა და ხელოვნების იღუმალებათა შეცნობას მოწყურებული, ზოგადკაცობრიულ კითხვებით მოაზროვნე, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემებით გულგასენილი, რომელიც მზად არის საზოგადოების უანგარო სამსახურისათვის და დასაც იგივეს ურჩევს. წერილებიდან ისიც ჩანს, რომ ჭაბუკ არჩილის გულში მკაფიოდ გამოკანძულა ლიტერატურული მუშაობისაკენ ლტოლვა. მანამდე კი არჩილმა „მოგზაურობისა და განსწავლის“ წლები უნდა გაასრულოს, მოიაროს ევროპა, ბევრი რამ ნახოს, მრავალი შეიმეცნოს, ერთ ზანს ტოლსტოის მოძღვრების მხურვალე მიმდევარი შეიქნეს, ორიოდ წელი ლონდონში დაჰყოს ტოლსტოის მოწაფისა და მათაყვანებლის – ჩერტკოვის წრეში და შემდგომ, რელიგიის საკითხებზე საკმაოდ გულგაგრილებული, პარიზში გადავიდეს სორბონაში სასწავლებლად. ერთი სიტყვით, დისადმი მიწერილი ბარათები ერთობ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ა. ჯორჯაძის სულიერ-ინტელექტუალურ მივებზე და საბიოგრაფიოდაც ძალზე ფასეულია.

პომდეგნო ადრესატი ანეტა ოქრომჭედლიშვილის ქალი გახლავთ, მისდამი წერილები იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა ჭლექით დაავადებული ა. ჯორჯა-

ძე პარიზიდან (სადაც იგი გ. დეკანოზიშვილთან ერთად ქართულ გაზეთს „საქართველოს“ გამოსცემდა 1904 წელს. ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით – ქვემოთ) შვეიცარიის ქალაქ კლარნაში მიემგზვრება სამკურნალოდ და პარიზში დარჩენილ ა. ოქრომჭედლიშვილის ქალს, ნამდვილ სულიერ მეგობარს, იქიდან ბარათებით ეხმიანება.

ვინ იყო ანეტა ოქრომჭედლიშვილი? სამწუხაროდ, დღეისათვის მისი ვინაობის დადგენა არ მოხერხდა. შეიძლება მხოლოდ ფრთხილი მოსაზრება გამოითქვას, ხომ არ არის იგი ქალიშვილი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მეცენატ-გამომცემლის, ილია ოქრომჭედლიშვილისა? ეს ის ილიაა, რომელსაც თავის დროზე დიდი ილია ჭავჭავაძე მეგობრობდა (სხვათა შორის, შემონახულია მათი მიმოწერა, რაც ძვირფას დოკუმენტურ მასალას შეიცავს). ილია ოქრომჭედლიშვილისა და ანეტას მამაშვილობას ქრონოლოგიური ჩარჩოებიც საკვებით უჭერს მხარს, მაგრამ ეს მოსაზრება, საამდროოდ, მაინც ვარაუდის დონეზე უნდა დარჩეს, რამეთუ დოკუმენტური დადასტურება არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება ანეტა ოქრომჭედლიშვილის სულიერ ვინაობას, ეს საკმარისი სიზუსტით არის უკუფენილი არჩილ ჯორჯაძის ბარათებში. ამ ბარათების მიხედვით ჩვენ წარმოგვიდგება რუსულ-ევროპულად განათლებული, პარიზულ კულტურულ ყოფას ნაზიარები ახალგაზრდა მანდილოსანი, რომლისთვისაც უცხო არაა შავნადვლიანობის მწვარე შემოტყეები და არც სამშობლოს ცნება რელიგიის დონემდე აზიდული ჯერჯერობით, განსხვავებით არჩილ ჯორჯაძისაგან, რომელსაც სამშობლოს ზვლინდელი დღისათვის, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად გაუხდია. ფილტვები ჭლექითა აქვს დაცხრილული, უცხოობაში ეულად შთენილს ხშირად სცივა და შია კიდეც, მაგრამ მაინც არ კარგავს წონასწორობას, მოცახცახე ხელით წერს პატრიოტული გზნებით ანთებულ წერი-

ლებს და, ამავე დროს, პოულობს შინაგან ძალას, რომ სხვებს (ანეტა ოქრომჭედლიშვილს, გიორგი დეკანოზიშვილს...) მოუწოდოს სულიერი მხნეობისაკენ.

და აი, ჩვენ მივაღქვით გიორგი დეკანოზიშვილს.

თედო სახოკიასადმი მიძღვნილ მშვენიერ ესეში ბ-ნი ვახტანგ ჭელიძე იგონებს, თუ როგორ აღმოჩნდა ერთხელ კუკიის სასაფლაოზე თედოსთან ერთად, როგორ ურტყამდა მიწაზე ფეხს ეგზალტირებული მოხუცი და გაიძახოდა: „აი, აქ, სწორედ აქ არის დასაფლავებული გიორგი დეკანოზიშვილი! დაიხსოვით და სხვებსაც გადაეცი!“ ხოლო თვით თედო სახოკია გ. დეკანოზიშვილისადმი მიძღვნილ ბრწყინვალე ესეიზს ასე იწყებს:

„1910 წლის გიორგობისთვის 19-ს საფრანგეთის ქალაქ კანში გარდაიცვალა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მოძღვრების განმახორციელებელი და დაუღალავი მოჭირნახულე თავისი სამშობლოს და ერისა — გიორგი გაბრიელისძე დეკანოზიშვილი. მის თანამშრომელსა და მისი ტანჯვა-წვალების მოზიარეს, ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ჩემი მოგონება გაუუზიარო ახალ თაობას ამ ადამიანზე, რომელიც მარად უნდა იხსენიებოდეს, სანამ არსებობს ჩვენი ერი და არსებობენ მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი“. (თ. სახოკია, ჩვენი საუკუნის ადამიანები, 1869, გვ. 194.

გ. დეკანოზიშვილის სახელთან არის დაკავშირებული პარიზში გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა (შრიფტის ჩამოსხმა, სტამბის გამართვა, სხვა მსხვილმანი თუ წვრილმანი პრაქტიკული საქმეების მოვარება).

გ. დეკანოზიშვილმა (ა. ჯორჯაძესთან ერთად) 1904 წლის ზაფხულში მოაწყო ინტერპარტიული კონფერენცია ქალაქ ქენევაში. ამ კონფერენციაზე მიწვეულნი იყვნენ როგორც სოც-ფედერალისტები, ისე ანარქისტები (ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, კ. გოგელია) და, აგრეთვე, სოციალ-დემოკრატები.

კონფერენციის მიზანი იყო: რაიმე საფრთხის გამო ენის გამონახვა საქართველოს ავტონომიის განხორციელების საქმეში (უნდა გვახსოვდეს: მაშინ სრულ დამოუკიდებლობაზე ოცნებაც კი უნიადაგო გახლდათ!); მაგრამ კონფერენციის მესამე თუ მეოთხე დღეს სოციალ-დემოკრატებმა კრების დარბაზი დატოვეს და საჯაროდ განაცხადეს, საქართველოს ავტონომიისათვის ზრუნვა მჟავე პატრიოტიზმია და მტკნარი უაზრობაო (თ. სახოკია).

სხვას ან კი რას უნდა მოელოდეს კაცი სოციალ-დემოკრატებისაკენ?

პატივცემული მკითხველი ქვემოთ თავად ნახავს, რომ კონფერენციისათვის მზადების დაძაბული პერიპეტეიები საქმის სიზუსტით არის ასახული ა. ჯორჯაძის მიერ შენევიდან პარიზს გაგზავნილ წერილებში. საერთოდ, ამ ბარათებიდან ნათლად ჩანს გაზეთ „საქართველოს“ გამოცემასთან დაკავშირებული დრამატული პერიპეტეიები. წერილებს უდავოდ პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ და, ამდენად, უნიკალური ღირებულებისანი არიან.

გაზეთი „საქართველო“...

დღესდღეობით ამ გაზეთისა და მისთა მესვეურთა დეპაული რევოლუციურ ბრძოლაში რუსის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არ არის სათანადოდ გაშუქებული. ან თუ გაშუქებულია — ე. წ. „მარქსისტული“ პოზიციებიდან, ე. ი. ტენდენციურად და მცდარად (სასიამოვნო გამოჩაყლისია ბ-ნ დ. შველიძის საქმის ცოდნით დაწერილი გამოკვლევა „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში“ (ფედერალისტები), გაზეთი ერი, № 22-23, 1891 წ.).

ერთი რამ ცხადია:

საქართველოს საზღვარგარეთ ბეჭდვის საქმე უნდა შეფასდეს, როგორც ქართველი ერის რევოლუციური წარსულის გამიზნული, ნათელი გამოვლინება. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვიპაიყოთ იმ დიდი წვლილით, რაც ჩვენმა ტანჯულმა ერმა შეიტანა თვითმპყრობელობასთან თავგანწირული ბრძოლის საქმეში. „სა-



ქართველო“ ამ ბრძოლის ერთ-ერთი უღამაზესი ეპიზოდია. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რევოლუციის ჭეშმარიტი რაინდი გიორგი დეკანოზიშვილი (მარტო გემ „სარიუსით“ პოლანდიიდან ფოთში იარაღის შემოტანა რად ღირს!), გახეთის ასოთამწყობი კიკნაძე, მარად ძვირფასი თედო სახოკია, გიორგი ლახვიშვილი, კიტა აბაშიძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, გიორგი ზდანოვიჩი და სხვანი, რომლებიც საკუთარი სისხლისა და სიცოცხლის ფასად ხალხს ეროვნული თავისუფლების ტინს უღვივებდნენ.

ყველა ზემოხსენებული მოღვაწე არჩილ ჯორჯაძის თანამებრძოლი და სოცფედერალისტური პარტიის ბურჯთაგანი იყო, ხოლო თვით პარტიაზე ზუსტად წერს ბ-ნი დ. შველიძე:

„სოციალ-ფედერალისტების პარტიის წარმოშობა და მოღვაწეობა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, ამ პარტიის მოქმედებამ, იდეურმა მოღვაწეობამ, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული პრობლემატიკის დამკვიდრებისაკენ იყო მიმართული, განაპირობა შემდგომში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ეროვნულ ფასეულობათა მიმართულებით ორიენტირება“ (ერი, № 23, 1891).

რაც შეეხება არჩილ ჯორჯაძეს, „თავისი ფიზიკური სისუსტისა და თავმდაბლობის მიუხედავად, ის, როგორც ეტყობა, ბელადის თვისებებით იყო აღჭურვილი და მისი თანამაზრეების წრე ყოველთვის ისე უტკერდა, როგორც წინამძღოლს. მას ჰქონდა დიდი ღირსებები, რომლებიც ყველა ჭეშმარიტ ბელადს ახასიათებს: უანგარობა, ზნეობრივი სიფაქიზე, უკომპრომისობა“, — წერს ერთგან გერონტი ქიქოძე.

სწორედ ამიტომ და, რაც მთავარია, იმის გამო, რომ ა. ჯორჯაძეს მკაფიოდ დაფორმებული ეროვნული კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული, ეს კი საიმდროოდ (XX საუკუნის პირველი ათწლეული) წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

მის ირგვლივ შემოიკრიბა ეროვნულად განწყობილი ქართული ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა. ეს ინტელიგენტები ეროვნულ საკითხში დიდი ილია ჭავჭავაძის სულიერი შვილები იყვნენ და, სრულიად მართებულად, არჩილ ჯორჯაძის სახით ახალ დროებასთან მისადაგებულ ილიას მემკვიდრეს ჭვრეტდნენ. ამით აიხსნება მათი ერთსულოვანი დარაზმვა მის გარშემო.

თავის დროზე, როცა არჩილ ჯორჯაძის ცხოვრებისა და აზროვნების ამსახველ მონოგრაფიაზე ვმუშაობდი (იხ. „მნათობი“, № 10, 1987. ლიტერატურული გაზეთი, № 44, 45, წინამდებარე წერილში ზოგიერთი პასაჟი ხსენებული მონოგრაფიიდან პირდაპირ არის გადმოტანილი). კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში წავაწყდი რამდენიმე ძალზე საგულისხმო ბარათს ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძისა და აკაკი შანიძისას — არჩილ ჯორჯაძისადმი მიწერილს, თუ არ ჩავთვლით ივ. ჯავახიშვილის ერთი ბარათის ნაწყვეტს, რომელიც გამოქვეყნებულია ბ-ნ სერგო ჯორბენაძის წიგნში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“, სრული სახით ისინი პირველად ქვეყნდება.

გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით გამახარა გრ. რობაქიძის წერილებმა, შესრულებულმა მშვენიერი, მრგლოვანი „მაგარი“ კალიგრაფიით, რომელშიც აშკარად იხატება ავტორის „ნება“. დაე, ეს იყოს კიდევ ერთი გამონათება ჩვენი სასიქაფულო მწერლისა, რომელიც მაშინ, როცა ამ ბარათებს წერდა... ყმაწვილი კაცი იყო.

ძალზე ვრცელია საკითხების წრე, რასაც ამ სამი დიდებული პიროვნების წერილები მოიცავს. მათი დეტალური ახსნა-კომენტირება დიახაც რომ აუცილებელი და საშური საქმეა, მაგრამ ამჯერად ამის გაკეთება, ისედაც გაგრძელებული წინასიტყვის ფარგლებში, შეუძლებელი გახლავთ. ალბათ, მომეცემა ამის საშუალება! აქ მხოლოდ ზოგადად დავსძენ, რომ ეს ძვირფასი „სამება“ — ჯავახიშ-



ვილი, რობაქიძე, ჯორჯაძე, — დიახ, უდებს იმ დიად საქმეს, რომელზედაც სწორედ ეს „სამება“, სამივე თავთავის შემდგომ გრ. რობაქიძის მოსწრებული სფეროში — მეცნიერება, მწერლობა, თქმით, „X X საუკუნის საქართველოს კულტურა-ფილოსოფია — ბალაქერს რენესანსი“ ამოიზარდა.

### სანა-კატარაბური, 1893, 28 ოქტომბერი (ნაწყვეტი)

ძვირფასო დაო თამარ!

დიახ, ძალზე ბევრი და მრავალი შრომა-გარჯაა საჭირო! შენ, თამარ, მშვენიერად გესმის, რომ მხოლოდ წინ უნდა ვიყურებოდეთ. მომავალი ჩვენს წინაა — ყოველივე ჩვენზეა დამოკიდებული — შეგვიძლია სასარგებლონი ვიყვნეთ ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც, საზოგადოებისათვის. მე მწამს, რომ შენ არ დაემგვანები იმ ტვიცნარეულ ქალიშვილებს, რომლებიც არისტოკრატიულ წარმატებებს და მოჩვენებით ბედნიერებას დასდევენ.

გოცნი, შენი ძმა — არჩილი.

### სპბ, 10 იანვარი, 1895 წ.

ჩქარობ, გიბასუხო, ძვირფასო თამარ, რომ უნივერსიტეტი მე სავსებით შეგნებულად მივატოვე, ჩემივე ნებით, რადგან პრინციპული წინააღმდეგი ვარ სახელმწიფო სამსახურისა. განათლების თვალსაზრისითაც არაფერი დამიკარგავს, რადგან, ერთის მხრივ, მე უკვე შევიძინე იმდენი, რამდენიც ამ ვითარებაში შემძლე შემეძინა, მეორეს მხრივ, სწავლულთა და ლიტერატორთა ფართო წრესთან ნაცნობობამ, რომელთა მხარდაჭერითაც მე ვსარგებლობ, ამჟამად საშუალება მომცა დაემლიო და გამოვასწორო ჩემი ჩამორჩენა. რჩება ერთი კითხვა — კითხვა ნივთიერი უზრუნველყოფისა და ლუკმა-პურისა. ამ თვალსაზრისით ჩემი საქმეები კვლავ აწეწილია. როგორღაც გამაქვს თავი. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ლიტერატურული მუშაობა. მაგრამ ჯერჯერობით თავს მომზადებულად არ ვთვლი საამისოდ, რომ აშკარად ვიმუშაო ამ სარბიელზე. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია შემოვიფარგლო უბრეტენიო ლიტერატურული შრომით (იქნებ მხოლოდ კომბილაკორით). ვფიქრობ, მოვახერხებ პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალის რედაქციაში მოწყობას. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იმითმ მჭირდება, რომ განსწავლა გავასრულო იმ მიმართულებით, რომელიც განსაკუთრებით შეესატყვისება ჩემს ნიჭსა და ხასიათს. თანაც, ცოცხალ ლიტერატურულ წრეში მომიწევს ცხოვრება.

უკეთესი პირობები სწავლის გასასრულებლად და საკუთარ თავში კულტურული მიდრეკილებების აღსაზრდელად არც მჭირდება. ამიტომ არ უნდა შემფოთდეთ იმის გამო, რომ დიპლომი არ მიმიღია. მე დიპლომზე უარი იმიტომ კი არ ვთქვი, რომ ვერ შევძელი მის მისაღებად აუცილებელი პირობების შესრულება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მე იგი არ მესაჭიროება, რადგან არ მინდა ვიცხოვრო ბიუროკრატიული და ბურჟუაზიული ცხოვრებით. რომ არც მომიწიოს ჩემი სურვილების განხორციელება, მე მაინც ვამჯობინებ ცუდ ნივთიერ პირობებს, ვიდრე უზრუნველყოფილს, თუკი ეს უზრუნველყოფა საკუთარ სინიღისთან კომპრომისისკენ მომიწოდებდა...

შენ წარმოდგენაც კი არ შეგიძლია, თუ როგორ მახარებ, ჩემო თამარ, იმით, რომ კითხვის დიდი სურვილი გაგელავია. წიგნები ბევრს მოგცემს. მაგრამ წინდახედულად კითხვას გირჩევ, მოპასუნის მთლიანად წაკითხვა არა ღირს, დიდი ნიჭიერების მიუხედავად, მაინც ჭუჭყიანია. არც ზოლაზე ღირს მაინცდამაინც ხანგრძლივად შეჩერება.

შენი ძმა — არჩილი

## 2-14 ოქტომბერი, 1897 წ.

ჩემო თამარ.

გწერ ინგლისიდან, სადაც ერთი თვის წინ ჩავედი. პეტერბურგს იმიტომ მოვშორდი, რომ ცხოვრების საზიზღარი პირობები იყო. მეცადინეობას ახლა აქ გავაგრძელებ. იმედი მაქვს, ცხოვრების სახსარსაც აქვე მოექმბნი. ვცხოვრობ სოფელში, ლონდონის სიახლოვეს, ინგლისელი ფერმერის ოჯახში, სადაც ენის ცოდნაში ვიწაფები. გარეშემო ბევრი რამ ახალია და საინტერესო, იმედი მაქვს არ მოვიანებ, რომ საბოლოოდ მივატოვე უნივერსიტეტი და ყოველივე ის, რაც პეტერბურგში მაკავებდა. აქ ცხოვრება უფრო ფართოა, უფრო სრული და ღრმაც, ბევრი რამის სწავლა შეიძლება. გავეცანი მრავალ ინგლისელს, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობიან. მეც ვმეცადინეობ, ვმუშაობ და ცხოვრებაც ჯერხანად კარგად მიდის. ზაფხულში ცოტაოდენი ფული დაეზოგე — ჯერ არ მიჭირს — კარგია აქ სოფლად, ძალიან იაფად მოვეწყვე. ყოველივე აუცილებელს ვაკეთებ, რომ მომავალი უზრუნველყოფილი მქონდეს.

პირველ ხანებში მანადვლებდა უცხოთა შორის ცხოვრება, შინაურებისა და მეგობრებისაგან მოშორებით. ახლაც, როცა მეცადინეობას მოვრჩები, სევდა მეუფლება, მოგონებებს ვედღევი და ვცხოვრობ მოგონებათა სამყაროში, მაგრამ ეს გაივლის და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ცხოვრება აქ კარგად წარიმართება. მე გავაკეთებ, რის გაკეთებაც მინდა.

ამ ხნის მანძილზე მრავალი დაეჭვება მქონდა ცხოვრებაში (ჭორებს ნუ დაუჯერებთ — სიცრუეა, თითქოს მეზარმაცოს). გაზაფხულზე თავს ცუდად ვგრძნობდი. პარიზში გავემგზავრე მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრების ნირი შემეცვალა (დროებით). პარიზში კიდევ იმიტომაც წავედი, რომ მინდოდა იქ ხელოვნების ნიმუშებით შემემოწმებინა ტოლსტოის შეხედულებანი ხელოვნებაზე (აქ გამოვიდა მშვენიერი სრული თარგმანი მისი წიგნისა „რა არის ხელოვნება?“). პარიზში ზუსტად ერთი თვე ვიცხოვრე. იქიდან ლონდონს დაებრუნდი, სადაც, აგრეთვე, ერთ თვეს დავყავი. ახლა კი ისევ სოფელში ვცხოვრობ (იმასთან ახლოს, სადაც ადრე ვცხოვრობდი). ერთ ხანს მართლაც გაჭირვებული ვიყავი, მაგრამ ახლა არაუშავს — კარგად ვარ. ბევრს ვმეცადინეობ. ჩემზე ნუ იდარდებ. საერთოდ, თუ ცხოვრებისა და შრომის სურვილი მაქვს, არ დაიკარგები. მე კი, დროადადრო ძალზე ძლიერად ვგრძნობ ცხოვრების ძალას.

გაკონი შენ და ყველა ჩვენიანს, შენი ძმა — არჩილი

5. I. 1904.

პატივცემულო ბატონო ანეტა, ჩემს ღია წერილს მიიღებდით. ახლა გწერთ კლარანიდამ. აქ გუშინ დავბინავდი. დღეს დილით უკვე ვისეირნე და დავათვალიერე აქაურობა.

ჩემი მოგზაურობა სწორედ რომ არაფრით არ იყო შესანიშნავი. პატარა-პატარა უსიამოვნობა ბევრი იყო გზაში. ჯერ-ერთი, ბარე ხუთჯერ გადამსვეს სხვა და სხვა მატარებელში. საფრანგეთის შუაგული ნისლში იყო გახვეული, ამიტომ ვაგონიდან გამოსვლა ძალან უსიამოვნო იყო, მგზავრებმაც გამიწვრილეს გული...

მეორე დღეს მე და ჩემმა ამხანაგმა, სანდრო გაბუნიათ, დავათვალიერეთ ჟენევა და პირველ საათზე გაესწიეთ კლარანში. ჟენევაში მდინარე რონამ გამოაცა. ზურმუხტის ფერისა და ისეთი წმინდა, რომ ძირი უჩანს. თურმე ყოველთვის მაგისტანაა. ზურმუხტის ფერი რომ არის, არავინ იცის რატომ, ხოლო მისი სიწმინდე იმითი აიხსნება, რომ ტბიდან გამოდის და იმავე ტბაში ჩადის.

კლარანში რომ მივედით, კარგა ციოდა და ბურუსიც იყო. ხეირიანი პანსიონები ძვირი ყოფილა, 6-8 ფრანკამდე, უხეირო კი, რომელშიაც მე დაკვინავდი, შედარებით იაფია — დღეში 4 ფრანკი. ჩემი ოთახი პატარაა, ფანჯრიდამ ბურუსში გახვეული მთები ჩანს და ტბის პატარა ნაგლეჯიც. ჩემი დიასახლისი ბებერი ქალია, ცდილობს მასიაშოვნოს, მაგრამ რადგან ჩემი ოთახი ჯერ კიდევ ვერ გაუთბია კარგად, მისი ცდა ამაოა. ცუდია, რომ დიდ სითბოს დავეჩვიე თქვენსა, ვერ იქნა ვერ გაუთბი აქ. მაგრამ ეს ალბათ ნამგზავრი რომ ვარ, იმიტომ.

პანსიონში ჩემს გარდა ორი რუსია (ОН и ОНА) და ორი ფრანგის ქალიც. წუხელის სადილზე მელირსა ბედნიერება მათის გაცნობისა. რუსებმა ჯერ არ იცოდნენ, რომ მაგათი ენა მესმის და ამიტომ სადილობის დროს მოჰყვნენ თავიანთ თანამემამულეთა ჩვეულებისამებრ, აბდა-უბდა ლაპარაკს. ვიფიქრე, ესენი საცა არის მეც გადამკრავენ მეთქი და მოულოდნელად, ერთი რუსული სიტყვა მეც შევუბრუნე. გაოგნდნენ და ლაპარაკი დამიწყეს. შეიძლება კარგი ხალხიც იყოს... ერთი ფრანგი ქალი მყვირალაა, მეორე შვეიცარიელია, მგონი სკოლის მასწავლებელია იმავე სკოლაში. რვაგალია, პატარა და ლოყებიც თურაშაულ ვაშლსავით უღვივის. საზოგადოდ, შვეიცარიელები ძალიან ჯანსაღი და ჩასუქებული ხალხი ყოფილა... დღეს დღილით 9 საათზე მოსამსახურე ქალმა ყავა მომიტანა ოთახში. მოსამსახურე ლურჯთვალებიანი ახალგაზრდა ქალია, ფრანგული თითქმის არ იცის და ამიტომ ლაპარაკის მაგივრად სულ იცინის. ათ საათზე სასეირნოდ გავედი, ერთის მხრივ მალალი, დათოვლილი ბურუსით მოცული მთებია, მეორე მხრივ ბურუსშივე გახვეული ტბა არის. ასე რომ, წყალი თითქმის არ ჩანს. სწორე ვითხრათ, ჯერ აქ არა მომწონს რა. რა ვუყოთ, რომ მთებია, ამითი ჩვენ ვერ ვაგვაკვირვებენ. რაიც შეეხება ტბას, რომ არ ყოფილიყო ის ერჩივნა, ზამთარში მინც ნოტიოა იმისაგან. მართალი ვითხრათ, არა თბილა, პირიქით ცივა, მაგრამ მთის სიცივეა და იგი მანებელი არ არისო. არ ვიცი, მე კი მზე მირჩევნია და თუ სულ მაგრე იქნება, მგონი ავებარებები აქედამდე. მაგრამ შეიძლება არსად არ წავიდე. კრიტიკულის თვალთა ვუყურებ ყველაფერს, რადგან რაღაც მიზეზების გამო, გული ქოფაკ ძაღლსავით მიღრინავს. აქ მოსვლამდე ვფიქრობდი, „მთის საიდუმლოება“ მომზიბლავს მეთქი, მაგრამ მოსვლისთანავე დავინახე, რომ აქაურ მთას არც საიდუმლოება ჰქონია, არც სხვა რაიმე კეთილი. ან საიდამ ექნება, ყველგან გზებია, ყველგან სჯახლებია და უზარმაზარი კედლები, რესტორანებით, ბილიარდებით, ოფიცინატებით, უსაქმო ხალხით გაჭედილი... ჩვენს სოფლის თავში მთა არის, ყადორის მთას ეძახიან, შემარცხვინოს ღმერთმა, თუ აქაურობას ღირსეული ქიშპობა ვერ გაუწიოს.

გავიჭრელეთ წერილი აქაურის ამბებით. იმედი მაქვს თქვენც მაცნობებთ თქვენს აუკარგიანობას. თქვენი ცხოვრების რეჟიმი სრულიად გამოიცვლებოდა, მარტო ერთ რამეში დარჩებოდა ისეთი, როგორიც იყო — თქვენ, რასაკვირველია, ძველებურად არას მიირთმევთ, ძველებურად ყურადღებას არ აქცევთ თქვენს ნერვებს, ძველებურად სწუხდებით წერილების მოუსვლელობით და ვინ იცის, იქნება აქეთიქით აფრინეთ კიდევაც დეპეშები ამბების გასაგებად... გთხოვთ, ყოველივე მომწეროთ, ისიც, თუ ვინმელო ამ ძველ ჩვეულებებს ზურგი უქციეთ და ახალი შეითვისეთ.

მამ კარგათ და მშვიდობით იყავით. ველი თქვენს წერილს. დათიკოს კარგი სალაში. თქვენი პატივისცემელი არჩილ ჯორჯაძე...

პატივცემულო დაო ანეტა, იქნება გგონიათ, აქ სულ კაი, შიანი დღეები და ვტკბები ნაადრევი გაზაფხულის ნეტარებით? როგორ არა! ისეთი ჯოჯოხეთია გარეთ, რომ არ გაისვლება. ტბამაც მიქარები დაიწყო, ვითომ ზღვა ვარო, აქაფდა და აზვირთდა და მასთან, ისეთი ქარის ღმუილია, რომ მგლების სამყოფში მგონია ჩემი თავი. აი, თქვენი შვეიცარიაც. მაგრამ რა არის მუდმივი ქვეყნიერებაზედ, რომ დარს დავემდურო და მუქარა ვუგზავნო — რატომ ცხარე შხის სხივებს განუწყვეტლივ არა ჰფინავ მიწას, რათა იქ სითბოში ამყოფო ხბორები, ვირები, მაიმუნები და მისი მსგავსი არსებანი — ადამიანები.

ერთი სიტყვით, შინ ვზივარ და ამის გამო ცუდ გუნებაზედ ვარ და როგორც მთვრალი ადამიანი ხშირად მართალს ამბობს სიმთვრალეში, ისე ცუდ გუნებაზე წარმოთქმული სიტყვასაც ხანდისხან სიმართლის ბეჭედი აძევს. ყოველივე ამას ქარწასაღებად კი არ მოგახსენებთ, არამედ თქვენს საყურადღებოდ, რადგან დღეს ჩხუბს ვაპირებ თქვენთან.

ის წერილი, რომელიც დავხიე, ისიც საჩხუბარი წერილი იყო, დავხიე, რადგან ვიფიქრე, იქნება გაჯაგრდეთ-მეთქი. მაგრამ დღეს ამგვარ „დელიკატესს“ უფრო მიუყურე და მაინც ვიტყვი, რაც სათქმელი მაქვს.

თქვენს წერილებში ორი საგანი მაჯაგრებს და საღერღელს მიშლის. პირველი გახლავთ წერის რუსული მანერა (ენას ვილა ჩივის). ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველ ქალს, რომელსაც ღედა ქართულად ელაპარაკება და მიწერ-მოწერაც ქართულად აქვს, რომ ქართველი ქალი, რომელსაც რუსეთში თავის დღეში არ უცხოვრია, რომელსაც გამდელი ქართველი ჰყავდა, ვერ წარმომიდგენია, რომ ამ პირობებში აღზრდილი ქართველი ქალი იმ ზომამდე გარუსებულიყოს, როგორც თქვენ ხართ გარუსებული. მართალი ვითხრათ, მე იქვე მომდიოდა ჯაერი, თქვენს სუფთა რუსულ კილოს რომ ვუგდებდი ყურს. განსაკუთრებით ბოლმა იესებოდა ხოლმე, როდესაც თქვენს გვარს ამბობდით უცნაურის გამოთქმით: ოკრომჩედლოვა (რაც გინდა მიყავი და ეს „ჩინი“ შესაწყნარებელი არ არის). მე პეტერბურგში მოსამსახურე ქალები „Жоржазинь“-ს მეძახოდნენ და ნაკაშიძეს „Накашевич“. არ ვიცი, ოკრომჭედლოვა რითი სჯობია ჟორჯაზინს? იქნება გეგონოთ, ეს წერილმანი და უმნიშვნელოა. მაგრამ ნუ ასჩქარდებით. იქნებ რუსულად ჰფიქრობთ აზროვნობთ და ოცნებობთ? წინა თქვენს წერილში ერთი კარგი შედარება ვიპოვნე. თქვენი როიალი მოხუცებულ ბებიას გაგონებდათ. და ეს ბებია რუსის ბებია იყო და არა ქართველი... Образ старой... бабушки... в белом\* кругом... განა როდისმე გინახავთ ჩვენებური ბებია ამგვარ ჩეფიკში „С оборокой“. ეს რუსული „ნიანიების“ და „ბაბუშკების“ მოსართავი გახლავთ, ჩვენებური ბებია, როდესაც თავდაუხურავი არის, თავზედ თეთრ ტილოს, ან აბრეშუმის თავსახვევს წაიკრავს ხოლმე. ეგაც წერილმანია, რასაკვირველია, მაგრამ ამ გზით რომ ვიაროთ, ყველანი დაკარგავთ ენას, ლიტერატურას, ხელოვნებას და ამისი დაკარგვა ერის სიკვდილს მოასწავებს და ერთი მიბრძანეთ, რომელი სარწმუნოება, ანუ ფილოსოფია ამართლებს ერის განადგურებას? საკვირველია, ადამიანი, რომელსაც ეცოდება უბრალო პირუტყვი, ჭია, მცენარე, ხშირად დიდ ბოროტებას და დანაშაულობას სჩადის ხოლმე...

ძმაო გიორგი, შენმა წერილმა გამაცოცხლა. ძალიან მოწყენით ვიყავ უამბობის გამო. კარგი ჰქენ, რომ დაწერილებით მომწერე ყველაფერი. სრული-

\* Чепчике, с оборокой кругом.



ად გეთანხმები, გიორგი, რომ საქმე არ უნდა შევაჩეროთ. გულს არ ვიჭებოდა თუმცა ცუდათ დატრიალდა ჩვენი საქმე. თქვენ იქ მშვიერ-მწყურვალნი ხართ, მე აქ, დასნეულებული, უსაქმოდ ვიმყოფები, მაგრამ საქმე შეიძლება გამოვიდეს. ჩვენზე ბევრია დამოკიდებული. მე, ჩემის მხრივ, ყოველ ღონისძიებას ვიზმარ, რომ ფეხზე წამოვდგე და მეტის სიმტკიცით გავაგრძელო დაწყებული შრომა. შენი სიმტკიცის იმედი მაქვს. შენ ყოველთვის მამხნეველდი და მანუგაშებდი. შენი სიმტკიცე და რწმენა ჩემთვის დიდი ნუგეშია. მიუთ არ დაგვივარდეს, იმას მოუფრთხილდი. მეორეს ამისთანას ვერ ვიშოვნით.

კონკურსი უსათუოდ გავმართოთ. ეს უნდა იყოს პრაქტიკული მოქმედების დასაწყისი. უნდა შევქმნათ მებრძოლი ჯგუფები. რადგან იქ ვერ მოხერხდა, აქედამ დავიწყეთ, და ამასთან პარტიის ფიზიონომია გამოისახება. გაჭირებაშია მოგვეხმარებიან, რადგან ჩვენი ორგანო უსათუოდ პარტიის ორგანოდ უნდა შეიქმნეს. ჩვენს ეხლანდელს სისუსტეს, რასაკვირველია, არ გამოვაჩინოთ. პირიქით, სიმტკიცე და ენერჯია უნდა დავანახვოთ. დიდი სურვილი და ენერჯია, ჰქმნის ზშირად ახალ ისტორიულ ხანას. კონგრესისათვის უნდა კი მოვემზადოთ. უსათუოდ საჭიროა, რომ იმ დრომდე საბოლოოდ და გარკვევით ვაჩვენოთ ჩვენი პროგრამა. უსათუოდ დაბეჭდე დამატება (დიდი წერილი რომ არის). მეათე ნომერში ყველა სეპარატისტებს პასუხს გავცემთ და ამითი დაბოლოვდება განმარტება პოლიტიკური პროგრამისა. ამასთან, უნდა დავეწეროთ აგრარული კითხვის შესახებ. მასალა მოვაგროვე და ვემზადები მე-10 ნომრისათვის „დემოკრატიზმი და სოციალიზმი“ (რომ გამოვიგზავნე) დაიბეჭდება იმ ნომერში. მე-11-ში გამოვაქვეყნოთ დაწვრილებით შემუშავებული ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური და სოციალური პროგრამა. ამრიგად ჩვენ შეიარაღებულნი ვიქნებით კონგრესისათვის. კონგრესი რომ დაინიშნოს ამ ზაფხულს აგვისტოში, კარგი იქნება.

„რ-სოციალისტებს“, რასაკვირველია, ფეხთქვეშ არ უნდა დავეგოთ, მაგრამ ჩვენ მკითხველებს ყოველთვის უნდა დავანახვოთ, რაშია ვეთანხმებით. ამითი, მაგალითად, წერილი «Нац. вопр.» (ნომბრ.) შეუდარებელია, რაც ჩვენ გვითქომს, ის აზრია გატარებული. მეათეში უსათუოდ უნდა დავეწეროთ ამის შესახებ. საქმე ის არის, რაკი ავლაშქრდებით, რუს. სოც. დემ. წინააღმდეგ, რუსეთ. სოციალისტთა სხვა ჯგუფებში უნდა გვექონდეს თანაგრძნობა. ეს საჭიროა, როგორც ჩვენებური სოციალისტებისათვის, ისე ჩვენს მომავალ საქმისათვის.

მე მგონი, გიორგი, ახლა კი მალე მოგვივა ფული ჩვენებისაგან. სოფელში რომ წახვიდე ხოლმე, ემჯობინება. შენ თავს გაუფრთხილდი, თორემ შენც რომ გილაატოს ღონემ, უარესად გახდება ჩვენი მდგომარეობა. მე მგონი, აპრილამდე ჩვენ ბარგს ხელს არ ახლებენ. მაინც მიეწერ სახლის მოურავს. ფული რომ მოგივიდეს, თუ ძმა ხარ, ტანისამოსი და წაღები გამომიგზავნე, ძალიან მესაჭიროება. აქ კაი დარია, მაგრამ საკვირველია, ხველა თავს არ მანებებს, ასე რომ, მეშინიან კიდევ არ წამსქედეს სისხლი. მინდა ექიმს ვეჩვენო. ნ. ჟორდანის უნდა აქ მოსვლა, დღეს მომივიდა იმისაგან წერილი. სხვა პანსიონში დავყენებ. რომ შეიძლებოდეს, მეც წავიდოდი აქედამ. უცნაური ხალხით აივსო, სწორედ რომ უსიამოვნოა აქ ყოფნა, მაგრამ მე უფრო გარეთ ვარ, დავებუტები თხასავით.

ჟორჟოლამე მომიკითხე მეგობრულად. ზურაბის ადრესი შემატყობინე. ვეცდები ფრანგული ნომრისათვის რაიმე მოვაშალო. ერთი წერილი რომ

\* „საქართველო“ ფრანგულადაც გამოდიოდა.

გვაქვს, გახსოვს, ბერლინიდან რომ მოგვივიდა და რომ ააწვევთ კიდევაც მწვენიის შენიშენით? ისიც დაბეჭდება. ეს ორი სურათებიანი წერილი გადაეცე — ერთი მიშოს, მეორე — დათიკოს.

კარგად იყავ. ჩემი იმედი გქონდეს — არ დაგვივარდები, სანამ შეეძლება.

შენი არჩილი.

30.I.1904.

მშაო გიორგი, ეს არის შენი წერილი მივიღე. კაცო, ას მანეთად ქვეყანას ხომ ვერ ავაშენებთ. ქირაში რომ 100 მივცეთ, აღარაფერი დაგვრჩება, ჩვენი საქმე ასე დატრიალდა, მგონი რომ ევლარ მოვახერხო ცალკე აპარტამანში დგომა. თუ რაიმე მოგცეს, გაჰყიდე ავეჯეულობა, ხოლო წიგნები კი გამოაზიდვინე, მაგრამ შენ არ გაგაყიდევინებენ, მგონი; ისე მოიქეცი, როგორც ამჯობინო, არაფერს ვინაღელი მაინც და მაინც. თუ ჩვენი საქმე გამოკეთდა, განა აღარ შეიძლება მებელის ყიდვა. ეხლა კი, მგონი ჩვენთვის ტვირთია მხოლოდ ეს ბინა და ბარგი. პორტრეტებიც არის კედელზე და კამოდში — ისიც გაიტანე — ეელი მასალას ფრანგული ნომრის შესადგენად. რუს-იაპონიის ომს მაინც და მაინც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ნუ დავიქსაქსებით კითხვების გარკვევაში. ჯერ არ დაგვიმთავრებია ჩვენ მიერ წამოყენებული კითხვების გარკვევა. კონგრესისათვის საჭიროა დაეასრულოთ ჩვენი პროგრამის გამორკვევა. რაც ვთხოვე, გამომიგზავნე.

შენი არჩილი

P.S. ქართული ყველა ნომერი მჭირია.

მიწერ-მოწერა რედაქციამ უნდა იკისროს, ემჯობინება. სანდრო დაგეხმარება, მაგრამ რედაქციის სახელით სჯობია მოსწერო.

არჩილი. 12.II.1904.

მშაო გიორგი, ეუსურვებ ანეტას მშვიდობით განთავისუფლებას და მორჩენას.\* ერთი წვერი კიდევ შეგვემატება. კარგია. თუმცა ახლა გევიჭირს. მაგრამ მერე გავიხარებთ. ოჯახი და შვილები დიდი რამაა.

რაიც შეეხება „საქართველოს“, უნდა გითხრა, გიორგი, რომ შენ ხან ერთს მეუბნები, ხან მეორეს. იმ დღეს მომწერე, რაიც შეიძლება ბლომად უნდა გამოეცეთ აპრილამდეო. ეხლა კი გიმინელდება მასალის ბეჭდვა. ჩვენ ეხლა ვაჭრულის ანგარიშით ვერ ვიხელმძღვანელებთ სტატიების დაწერის დროს, თუ დამატება არ დაბეჭდვ — მეთერთმეტე ნომრის შინაარსი უნდა შეიცვალოს. ჩვენ კი დაეპირდით ავტორს და მკითხველებსაც. გიორგი, ჩვენი მოუაღეობაა მკითხველს ბევრი მასალა მივაწოდოთ. ყველა მეუბნება, აქ კანის შვრებით რომ თავისუფალ წერილებსაც ჰბეჭდავთო. შენ ამბობ, ვეცდებითო, მაშ, შეიძლება არ დაეპეჭდოთ? მე-11 ნომრისათვის მოვამზადებ: სეპარატისტებს, ტერორიზმის შესახებ, ჩვენი პროგრამის განმარტებას. შენ წერილში ომის შესახებ, იაპონიას ხომ არ გამოუცხადე თანაგრძნობა? მე მგონი, ორივე მხარე უნდა გავვიცხოთ. მუშაობა მეძნელება, მაგრამ ფრანგულისთვის მაინც ვამზადებ. მალე გამოგიგზავნი. კარგად იყავი.

შენი არჩილი.

P.S. მეთაურად წვრილი მესაკუთრ. შესახებ წერილი სჯობია, ვიდრე დემოკრ. და სოციალ. სოც. რევ. აზრი ეროვნ. კითხვ. შესახებაც არ დაგვავიწყდეს. წინა ნომერში დავპირდით. შეცდომაც შეასწორე — პოლონელების შესახებ.

არჩილი.

\* აქ ნახსენები ანეტა ოქრომჭედლოშვილის ქალი უნდა იყოს, მაგრამ ვინაა მისი მეუღლე? როგორც ცნობილია, გიორგი დეკანოზიშვილს ცოლად ფრანგი ქალი ჰყავდა.

20.11.1904.

გაქვეყნდა  
თბილისში

ძმთა გიორგი, ჟენევაში ვიყავ, კრებაც მოვახდინეთ. თანახმანი არიან კონგრესის გამართვის შესახებ აპრილის პირველ რიცხვებში. რაიც შეეხება ადგილს, ჟენეველებმა, რასაკვირველია, ჟენევა ირჩიეს. სანდრო გაბუნია ამოარჩიეს აგენტად. მას ექნება „საქართველოს“ რედაქციასთან მიწერ-მოწერა კონგრესის მოწყობის შესახებ. მამ ვინმე უნდა დაიხმარო და პატარა ბიუროსავით დააარსო რაიმე, რათა საზღვარგარეთ მყოფ ყველა ქართველებს შეატყობინო, აცნობო კონგრესის გამართვის საჭიროების მიზეზი. აგრეთვე ის, თუ რა საგანს უნდა მიაქციონ ყურადღება და რანაირად უნდა მომზადდნენ კონგრესისათვის.

ჟენეველებმა გადასწყვიტეს რეფერატების მომზადება. სხვა და სხვა მიმართულების ჯგუფნი მოამზადებენ წერილებს თავიანთ პროგრამის და აზრების დასაცავად. ჟენევაში ჯერ-ჯერობით ორი მიმართულება არის გამორკვეული — მარკსისტული და ანარხიული. ანარხისტები ბევრ კითხვათა გადაწყვეტაში გვეხმარებიან. მარკსისტებშიაც არიან იმითანანი, რომელნიც მხად არიან აუტონომია და ფედერალიზმი შეიწყნარონ. ჩვენ ჩვენი პროგრამა უნდა წარვუდგინოთ კონგრესს. ამრიგად, რამდენიმე აზრი შეეჯახება ერთმანეთს. ამ შეჯახებში გამორკვევა ჯგუფების ფიზიონომია და რადგანაც იმედია, რომ ჩვენ ჯგუფს ახალი წევრი შეემატება და ახალი თანამგრძნობი არღუმენტი შეეძინება, პარტიის დაარსებას საფუძველს ჩაუყვრით. ხოლო ეს იქნება შედეგი მოლაპარაკებისა, აზრთა შეჯახვისა.

აუცილებლად საჭიროა იქაც მოახდინოთ (თუ არ მოგიხდენიათ ჯერ) კრება და აგრეთვე, საჭიროა მისწერო სხვა ქალაქებშიაც. ყველა სტუდენტის ადრესი (თვითთულად) გაიგე... (მაგრამ ბრიუსელელები, გონი გვებუტებიან, აღარაფერს იწერებან). ყოველ შემთხვევაში, იმათაც შეატყობინე ჟენეველების გადაწყვეტილება დროის და ადგილის შესახებ. მისწერე ისიც, რომ საქმის წარმოებისათვის რედაქციასთან ბიურო დაარსდა-თქო, თქვენც ამოირჩიეთ ერთი კაცი (როგორც ჟენეველებმა), რომელსაც ექნება ამ ბიუროსთან კავშირი-თქო. რედაქცია ორგანიზაცია არის და ამგვარი საქმე ორგანიზაციამ უნდა იკისროს და არა კერძო პირებმა-თქო, მით უმეტეს, რომ ყოველივე ეს რედაქციას და მის თანამგრძნობ ჯგუფს წინდაწინვე ჰქონდათ გადაწყვეტილი-თქო. იმათაც და სხვა ქალაქებში და სახელმწიფოებში მყოფმა ქართველებმაც მოამზადონ რეფერატები. (რეფერატი სჯობია ექსპრომტათ შეთხზულ სიტყვას).

ჩვენც, ჩემო გიორგი, კარგათ უნდა მოვემზადნეთ. ჩვენი ახალგაზრდობა ჯერ-ჯერობით რუსეთის და საზღვარგარეთელი პარტიების გავლენის ქვეშ არიან. „საქართველოს“ გავლენა რამდენადაც შევატყვე, იმაში გამოისახა, რომ ზოგიერთს ეჭვი დაუბადა და ზოგს კიდევაც სურვილი გაუღვიძა ძირითადი კითხვების გადასინჯვისა.

ესეც კარგია, მაგრამ მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მიმართულება თან-დათან მეტ თანამგრძნობას მოიპოვებს. ნიადაგი მომზადებულია. ვერ წარმოიდგენ, მაგალითად, რა სენსაცია მოახდინა ჟენევაში მე-9 ნოემბმა. დიდი ლაპარაკი, დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. ერთმა სოციალ-დემოკრატმა მითხრა, ძალიან უკმაყოფილო ვარ, რომ ჩვენ დელეგატებს ვერ დაუციათ რუს სოც.-დემოკრ. კონგრესზე ამიერ-კავკასიის ავტონომიის კითხვაო. მეორემ მითხრა, არ მაკმაყოფილებს „ისკრის“ აგრარული პროგრამა, პროლეტარიატს ესარჩლება და სოფელი კი უპატრონოდ რჩებაო.

უნდა ვეცადოთ აპრილამდე შემდეგი მასალა დაებეჭდოთ: ა) დამატება — საქართველოს დამოუკიდებლობა და მის წინააღმდეგ პასუხი. ეს უნდა იყოს სეპარატიზმის კრიტიკა. ბ) აგრარული კითხვა-გამორკვევა იმისა, თუ ვისზე ვამ-

ყარებთ ჩვენს ძალ-ღონეს, რატომ ვესარჩლებით წვრილ-მესაკუთრებს და ნაირად გვესმის „მუშათა კლასის“ ინტერესების დაცვა. ჩვენ მართო პროლეტარიატის პარტია არა ვართ, როგორც მარქსისტები. პროლეტარიატს გარეთ არსებობს ხალხის დიდი ნაწილი, რომელიც დიდ გავრცელებაშია, რომელიც არც პროლეტარიატია, არც ბურჟუაზიული მესაკუთრე — ჩვენ იმათაც ვესარჩლებით. მხოლოდ მათი შეგნება კომუნიზმისაკენ უნდა განვახდინოთ. გ) დემოკრატიზმი და სოციალიზმი (უკვე გამოვიგზავნე). გარდა ამისა, საჭიროა შევიმუშაოთ კონგრესისათვის ტექნიკური და საპროპაგანდო კითხვებიც. კარგა იქნება, შენ რომ დასწერო კონგრესისათვის ერთი წერილი იმის შესახებ, თუ რაწილი უნდა იყოს მოწყობილი პროპაგანდა, რა საშუალებით შეიძლება ბროშურების და თავისუფალ აზრების გავრცელება და სხვა ამგვარი. მე ჩემის მხრივ შევიმუშავებ შემდეგ კითხვებს: როგორ ვუყურებთ ჩვენ ანარქიზმს და სოციალ-დემოკრატიზმს და ჩვენი საკუთარი პოზიცია. ჩვენი შეხედულება ტერორიზმის შესახებ. ერთის სიტყვით, ვეცდები მოკლედ და გარკვევით გამოვსახო უმთავრესი კითხვები ჩვენის თეორიული პროგრამისა.

მაცნობე შენ აზრი და ისიც, რას გადაწყვეტო კრებაზედ. ამ კვირას ვიმუშავებ ფრანგულ ნომრისათვის და იმედი მაქვს შაბათამდე მასალას დაგმზადებ. ახლა უკეთა ვარ. თუ აღარ მომიბრუნა, ისე აღარ მახველებს. ამით ვისარგებლებ და ვიმუშავებ...

შენი არჩილი.

11 იანვარი, 1900, ამბერაშუბი.

ძმავ არჩილი!

ამ წლის თავში მსურდა თქვენთვის წერილი მომეწერა, მაგრამ ცუდათ გამოთენდა იგი, და შთაბეჭდილებათა ვრცლად მოწერას ვეღარ ვახერხებ. ამ ერთი კვირის წინად შეიშალა მეტად სიმპატიური ყმაწვილი — კუჭია მიქელაძე. ტვერს წავიდა სამსონთან (განსაკუთრებული მეგობრობა აქვთ მათ) და აქ შეეშთხვა ეს უბედურება. საცოდავი ისედაც შეშლილი იყო საქართველოს აღფრთოვანებული სიყვარულით. არ გასულა საში დღე, რომ დემეშამ მაცნობა მეორე საშინელი ამბავი: მამარჯი გარდაცვლილა. მით მთლად დაირღვა ჩვენი ოჯახი. ვერც წასვლა მოვახერხებ და ვერც მწუხარების გამოსახვა. ამაშია ჩემი უბედურება, მაგრამ, ჰე, რას ნიშნავს ყველა ეს მარადიულის მიმართ?! ისევ ამით უნდა ვინუგეშოთ თავი...

ჩემი ცხოვრება აქ მეტად მარტივია: საჯარო ბიბლიოთეკაში მეცადინეობა და რამოდენიმე რუს მწერალთან სჯა-ბაასი, — აი, ყველაფერი. ვმეცადინეობ განსაკუთრებით ფილოსოფიითა და ლიტერატურითა. დავსწერე ერთი წერილი, რომელსაც ძალე ლექციად წავიკითხავ: „ადამიანის ტრაგედია და მისი ხსნა“ (მოტივები ფრ. ნიქშედან). დავსწერე, აგრეთვე „იდეა კამლეტისა“. უკანასკნელ წერილში კამლეტს უპირისპირებ სოფოკლეს ორესტიდის და ვატარებ მასში აზრს, რომ კამლეტი კოსმიური მოვლენაა უფრო, ვიდრე ფსიხოლოგიური. აქაური „ზნაშენიტოსტ“-ები ვერ ახდენენ ჯეროვან შთაბეჭდილებას, რუსეთის სიდიდე (ეს უკანასკნელი მაქვს მხედველობაში, როგორც სოციოლოგიური ფენომენი) აძლევს მათ „სიდიდეს“. აქ ერთგვარი იდუმალი კავშირი არსებობს, რომელიც ჯერ კიდევ გამოუკვლეველია, უთუოდ ამოიკითხავდით „სახალხო გაზეთში“ ჩემი დღიურიდან ერთი რუსი მწერლის შესახებ: უთუოდ მასაც მიხვდებოდით, რომ იგი ვიან. ივანოვია. ყველა ამგვარ შთაბეჭდილებას ახდენს: მწერლობაში რაღაც დიდი, ცხოვრებაში რაღაც პატარა. საქართველოს ბედობალი მათ ისე არ აინტერესებთ, როგორც მარსის მცხოვრებნი. სხვათა შორის,



ახალგაზრდა ქართველის ტრაგედია ამაშიცაა, მაგრამ ერთი რამ მაიმედობს: ვუცქერი იდუმალებით შეკრულს ცას და ვსცნობ: ერთი ვარსკვლავი მოსწყდა და შთაინთქა უფსკრულს. არ ვიცი, საიდან გაჩნდა და რად მიიძალა. ასევე ერთა ბედი: ვინ იცის, შეიძლება ვეებერთელა ერთი ვერ გადაურჩეს იმ ვარსკვლავის იდუმალ... ეს კი მის შვილებს ჯერ-ჯერობით არ ელანდებათ... პატარა ერთი კი პოზიტიურ უქადიან გაქრობას, საბრალონი!.. ზოგი მათგანი „ვარსკვლავებსაც“ მიმართავს, მაგრამ ამ იდუმალობას მაინც ვერ სცნობს ფსიხოლოგიურად...

ვათავებ. ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ძლიერ აშლილი ვარ და სიტყვა მაგრე არ შემორჩილება, გავიცანი. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. თქვენი დიდი მათყვანებელი ყოფილა. ნიჭიერი ადამიანი უნდა იყოს, მაგრამ საქართველოსთვის იგი დაკარგულია. ხოლო, თუ რომელიმე ერის შვილი სამშობლოსთვის დაკარგულია, იგი, ჩემის აზრით, ბოლოს და ბოლოს, თავის თავისთვისაც დაკარგული გამოვა, შეიძლება ეს მეტად ტრაგიული მომენტიც იყოს მის ცხოვრებაში.

გწერთ დროებით განმარტოებული, ყოველ მხრივ საშინლად განმარტოებული, მიიღეთ ჩემი საღამო და მეგობრული სურვილი. წუთის-სოფელი ნუ შეგაშინებთ!

თქვენი გრიგოლ რობაქიძე.

P.S. ამ წლიდან „სახალხო გაზეთს“ აღარ მიგზავნიან. მიკვირს. ნუთუ მართლა ბევრებს ჩაუვარდათ ხელში! „სახალხო გაზეთი“ გაგრძელება „ცნ. ფურ.“, „ისარის“, „შრომის“, „მეგობრობის“, „დროების“ და სხვ., და ნუთუ მე, ერთს უფასო თანამშრომელს, გაზეთს არ მომაწყვდიან? გთხოვთ, ეხლაც მისწეროთ რედაქციაში ეს, მაშინ უთუოდ გამოგზავნიან.

### 3 მარტი, 1911

ძმოს არჩილ!

მინდოდა ვრცელი წერილი მომეწერა საბასუხით, მაგრამ გადავიფიქრე: აღდგომის კვირეში ტფილისში ვიქნები და პირისპირ მოველაპარაკებო-თქო. და მართლაც: მგონი, ეს უკეთესი იქნება. მიუხედავად ამისა, ორიოდ სიტყვა მსურს მაინც მოგწეროთ ქართული ლიტერატურის რუსთა შორის გაცნობის შესახებ. კარგია თქვენი აზრი, მაგრამ მეტად საძნელო განხორციელებით. მართალია, ცოტაოდენი ძალა შემწვევს ამგვარ საქმიანობისათვის, მაგრამ ერთი საშინელი გარემოება მეღობება წინ. ეს არის აქაურ მწერალთა გულცივობა. დავდივარ ლექციების მოსასმენად, თუ სალიტერატურო საღამოს ვესწრები. ეხვდები მათ (მწერლებს) პირისპირ, თუ ვუცქერ მათ საზოგადოებაში, — ყველგან და ყოველთვის გულცივობა, მხოლოდ ლანდი აღფრთოვანებისა, კარჩაკეტილობა, ერთი სიტყვით, ვერ ვხედავ ვერსად ღვთაებრივ ცეცხლს. ეს კი აუცილებელი საჭიროა ინტერესის გასაღვიძებლად. რა უნდა ქნას აქ ქართულმა ლიტერატურამ? არაფერი... და გადავწყვიტე, ისევე მწერლობით გავაცნო მათ ჩვენი ლიტერატურა. ამას წინათ კიდევ დავეწერე ერთი სტატია (ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ შესახებ) და პეტრე სტრუვეს, „რუსსკაია მისლის“ რედაქტორს გავუგზავნე. მას მოსწონებოდა და თავის მხრივ ვალერი ბრიუსოვისთვის (ეს განაგებს აქ ლიტერატ. და კრიტიკ. განყოფილებას) გაუგზავნა... ამ დღეებში შემხვდა სტრუვე და გადმომცა: თქვენი წერილი უთუოდ დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის ერთერთ ახლობელ ნომერშიო (რომელში, დანამდვილებით არ ვიციო). კიდევ კარგი... ვნახოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენი ვაჟას მძლავრი მხატვრული კონცეპცია.

ერთი აზრი დამებადა: ჩვენი ახალგაზრდა მწერლობა, ჩემის აზრით, ნიჭიერია, მხოლოდ საფრთხე მოეღის გზის გაუკვალობის მხრივ. საჭიროა დაარსდეს ჯგუფი ლექტორებისა, რომელიც გააცნობს ახალგაზრდებს მწერლობის ტექნიურ მხარეს: ფორმას, სტილს, ფაბულას და სხვ. თორემ ჩვენ მგოსანთა (ენზანდელები მყვანან მხდეველობაში) ლექსები უმეტესწილად ძლიერ ქაოტურ ხასიათს იჩენენ. მე მგონია, ასეთი ჯგუფი დახმარებას გაუწევს მოუმწიბელთ და მოსწრაფებულთ...

ვხვდები ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. უბედურებაა: ჩვენც დაგვეკარგა და მგონი ვერც სხვებს მიეკედლოს.

სამსონ ფირცხალავასგან მომდის წერილები. ძლიერ შეწუხებულია კ. მიქელაძის სიკვდილით. ვაპირებ კრებულის გამოცემას მის სახსოვრათ.

იყავით ჯანმრთელად და დანარჩენი თვით მოვა.

თქვენი ერთგული გრ. რომაქიმე.

## 2.11.1913, კატარბურბი

### ღრმად პატივცემულო ბატონო არჩილ!

მსურს ორიღდე სიტყვით მოგმართოთ და ვთხოვთ, ყური მათხოვოთ.

ქება შეგასხათ, რა საჭიროა: თქვენ ახლა არ გამოდიხართ სამწერლო ასპარეზზე. ეს ერთი და აგრეც რომ იყოს, ჩემი მოწონება ვის რას შემატებდა, ან დაწუნება ვის რას მოაკლებს?!

არა! მე შინდა მხოლოდ მოგახსენით ღრმა მადლობა იმ სიამოვნების გამო, რომელსაც ვგრძნობ ხოლმე თქვენი წერილების წაკითხვის დროს. დიმიტრი ყიფიანი, გულახდილად უნდა ვითხრათ, მხოლოდ ახლა გავიცანი თქვენი წერილების წყალობით. წრფელი გული, ნათელი აზრი, საღი და მიუდგომელი მსჯელობა, აი, რა მახარებს ყოველთვის თქვენს ნაწერებში.

გმადლობთ, დიდად გმადლობთ!

თქვენი ჯანმრთელობისა და დღევგრძელობის მოსურნე და ორმად პატივისცემული

აკაკი შანიძე.



ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38. განყოფილებები: 98-36-43, საკორექტორო — 98-64-38.

გადამცა ასაწყობად 21.04.92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.06.92 წ., ქალაქის ზომა 70X108<sup>1/16</sup>, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირტბით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 13.05. შეკვეთა 646. ტირაჟი 12700.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“, 380009, თბილისი, შ. კოსტავას, 14.

შანი 5 მან.

ხელმოწერათათვის 2 მან.

050000 70284



629/65